

სადა ხარ, ღმერთო?!

იპოვე კალა
და მიზანი
შენს უღაპნოში!



ჯონ ბევირი

წიგნს „სადა ხარ, ღმერთო?!“
თან ერთვის DVD რესურსდისკი



ძვირფასო მეგობარო

როცა რთული განსაცდელებისა და გამოწვევების წინაშე გვინევს დგომა, მარტივია მოვადუნოთ მზერა ღმერთის აღთქმებისადმი. ეს წიგნი შენს გასამხნეებლად დაგწერე, რომ ყველა პერიოდს თავისი მიზანი აქვს, უდაბნოსაც კი.

სწორედ ამ უდაბნოს პერიოდებში არბილებს ღმერთი ჩვენს გულებს, აყალიბებს ჩვენს ხასიათს იმ დიადი გეგმებისთვის მოსამზადებლად, რომლებიც ჩვენთვის აქვს განსაზღვრული. შეიძლება მოგვეჩვენოს თითქოს ღმერთი დუმს და მისი თანდასწრება შორსაა, მაგრამ ღმერთს არ მიუტოვებხარ – იგი შენში მოქმედებს! ამ წიგნის ფურცლებიდან დაინახავ, როგორ მოდის წინსვლა, მას შემდეგ რაც წარმატებით გაიკვლევ გზას უდაბნოში.

ეს წიგნი საჩუქარია შენთვის. იყავი თავისუფალი და გაუზიარე მისი შინაარსი სხვა მორწმუნეებს, რომლებსაც შეიძლება ეს გამხნეება სჭირდებოდეთ. ასევე გთხოვ ეწვიე **CloudLibrary.org**—ს, რათა გადმოიწერო და შეისწავლო მრავალი ცხოვრების გარდამქმნელი რესურსი მშობლიურ ენაზე.

ვლოცულობ, რომ მისი ძალით და ძალაუფლებით გაიარო უდაბნოს პერიოდი; თანაგრძნობით სავსემ და მისი ხმისადმი მეტად მგრძნობიარემ. როგორც ოქრო იწმინდება ცეცხლში, ვლოცულობ ასეთივე წმიდა ოქრო გამოიღოს თქვენი განწმედის პერიოდმა.

თვალი არ მოაშორო მის აღთქმებს და კარგად დაასრულებ!

იყავი კურთხეული!

ჯონი



CloudLibrary.org

ჯონ ბევერი
JohnBevere@ymail.com



MESSENGER
INTERNATIONAL
MessengerInternational.org



სადა ხარ, ღმერთო?!

ივოვე ძალა
და მიზანი
შენს უღაბნოში!

სადა ხარ, ღმერთო?!

იპოვე ძალა
და მიზანი
შენს უდაბნოში!



ჯონ ბევირი

God, Where Are You?!, Georgian

© 2019 Messenger International

www.MessengerInternational.org

Originally published in English as God, Where Are You?!

Additional resources in Georgian by John Bevere are available for free download at: www.CloudLibrary.org

To contact the author: JohnBevere@ymail.com

„სადა, ხარ ღმერთო?!“ ჯონ ბევერი ქართულად

© 2019 Messenger International

www.MessengerInternational.org

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე

ჯონ ბევერისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე

ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org

ავტორის ელფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	VII
შესავალი.....	1
1. „სადა ხარ?“.....	5
2. კარგი საზოგადოება.....	19
3. აუცილებელი უდაბნო.....	31
4. ურთიერთობა.....	41
5. ახალი ღვინო.....	55
6. ზეციური ჯილდო.....	71
7. ღვთის განსაკუთრებული მაგისტრალი.....	83
8. ააშენე ჭა!.....	101
9. ძალის განწვრთა.....	117
10. წყალი უდაბნოში.....	131
11. უფლის გზის მომზადება.....	147
12. გამარჯვება უდაბნოში.....	163
კითხვები დისკუსიისთვის.....	183
დანართი.....	189

წინასიტყვაობა

„რადგან უფალი ანუგეშებს სიონს, ანუგეშებს მის ყველა ნანგრევს, ედემად აქცევს მის უდაბნოს და მის გაუკაცრიელებულს – უფლის ბაღად; სიხარული და მხიარულება იქნება მასში, სამადლობელი და სიმღერის ხმა“.

– ესაია 51:3

მიყვარს ესაიას წიგნი – ჩემი საყვარელი ძველი ალთქმის წინასწარმეტყველია. ამ კონკრეტულ მუხლში, ესაია გარკვეულ სურათებს იყენებს, რათა დაგვარწმუნოს, რომ ღმერთი ისწრაფვის ჩვენი უნაყოფო სივრცეების სიცოცხლის ბაღებად გადაქცევისკენ. მისი სიტყვები ავლენს, რომ გაუდაბურებული ადგილების მწირი ნიადაგი, რეალურად, ჩვენი გარდაქმნის კატალიზატორია. იმ ყველაფრის მოშორება, რაც იყო, ამჟღავნებს იმას, რაც იქნება. ჩვენს მამას შეეყავართ მომზადების ამ პერიოდში, ასე რომ მას შეუძლია მიგვიყვანოს ალთქულ ადგილას.

პატივი მქონდა, ჩემი ქმრის გვერდით მევლო იმედგაცრუების უდაბნოების გადაკვეთისას, სადაც უიმედობის მერყევი ქვიშა ჩაყლაპვით გვემუქრებოდა. ვუყურებდი როგორ ლოცულობდა, მსჯელობდა და ლაღადებდა იგი – „სადა ხარ, ღმერთო?!“

ღამეებს იმაზე ფიქრში ვატარებდით, თუ სად შეეცდით. იქნებ ისეთი არასწორი ნაბიჯი გადავდგით, ან შეცდომა დავეშვიტით, რისი გამოსყიდვაც შეგვეძლო?

ყოველ დილით, ადრე, მზის ამოსვლამდე, ჯონი დგებოდა, რათა მოესმინა და მოეძებნა ეს პასუხები...იმ იმედით, რომ ეს იქნებოდა დღე, რომელიც სიცხადესა და პეიზაჟის ცვლილებას

VIII შისავალი

მოიტანდა. მოუთმენლად ველოდი, როდის დაბრუნდებოდა სახლში. ჩვენი ვაჟებიც უკვე ფეხზე იყვნენ, როცა ის ბრუნდებოდა.

„რაიმე მოისმინე ღვთისგან?“ ვჩურჩულებდი მე.

ჯონი თავს გადააქნევდა. სევდა ჩემს გულს აავსებდა და იმედს გადაფარავდა.

გიჟები ვიყავით? ოდესმე მოგვისმენია ღვთის ხმა? როგორ შეგვეძლო, მოგვესმინა? თუ ღმერთი მიგვიძლოდა ამ ადგილამდე, მაშინ რატომ დუმდა იგი ჩვენი მარტოსულობისას?

დიახ, მე ვნუნუნებდი უდაბნოში.

ნეტავ მაშინ მცოდნოდა ის, რაც ახლა ვიცი. ბევრად მსუბუქი გულით და რწმენით სავსე ნაბიჯებით გავივლიდი ამ პერიოდს. გავაცნობიერებდი, რომ ვინმიდებოდი და ვემზადებოდი.

ამის ფონზე ვგრძნობ, რომ ეს წიგნი გზამკვლევი და საჩუქარია მრავალმხრივ. მიიღე ამ პერიოდის გაკვეთილები და ისინი კარგად მოგემსახურებიან შენ მომავალში.

გამხნევედი – შენ არ ხარ მარტო!

– ლიზა ბევირი

ნიუ-იორკ თაიმსის ბესტსელერი ავტორი

Messenger International-ის თანადამაარსებელი

შესავალი

ეს წიგნი ყველა ჩემს მოგზაურობაზე უდაბნოში, ისევე როგორც სხვების მსგავს ვიზიტებზე. მე არ „ჩამოვფრენილვარ“ და არც პირდაპირ მივსულვარ იმ ყველაფრამდე, რაც ღმერთს აქვს ჩემთვის. მაგრამ, მე ვლოცულობ, რომ ამ გვერდებზე იპოვოთ ძალა და გამხნევება, რათა წინ მიდიოდეთ თქვენი ხვედრისაკენ ღმერთში.

არ ვამტკიცებ, რომ ეს სრულყოფილი ან ყველაფრის მომცველი სწავლებაა. კიდევ ძალიან ბევრია, რისი დაწერაც შეიძლება. მაგრამ ეს ანგარიში ჩემი გულიდანაა და უდაბნოს პერიოდის ძირითად ასპექტებს ფარავს. ამ წიგნის განზრახვაა, წარგიდგინოთ ეს საკითხი, გაამზადოს ადგილი სულიწმიდისთვის, რათა პირადული გახადოს და მიგაღებინოთ ეს უწყება თქვენს ცხოვრებაში.

ეს წიგნი განიხილავს თუ რა არის უდაბნო და რა არ არის – ეს წიგნი განიხილავს უდაბნოს მიზანსა და სარგებელს. ვლოცულობ, რომ ამ მაგალითებით, ილუსტრაციებით და მითითებებით, დაინახოთ, როგორ იაროთ უდაბნოში ბრძნულად.

წაკითხვისას აღმოაჩენთ მრავალს იმ ჩემი პირადი მაგალითებიდან, რაც ჩემი მსახურების პირველ ორ პოზიციაზე ყოფნისას მოხდა. პირველი იყო მსახურება ჩემი მწყემსისადმი და მისი სტუმრებისადმი, ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში დალასში, ტექსასში. ამ მსახურებაში ყოფნის ბოლო თვრამეტი თვის განმავლობაში, ჩემს ცხოვრებაში უდაბნოს პერიოდი იდგა. მეორე შემთხვევა იყო, როცა ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ახალგაზრდულის ლიდერი ვიყავი ფლორიდის ეკლესიაში. უდაბნომ, რაც ამ დროს განვიცაადე, დალასის უდაბნოს პერიოდი პიკნიკად აქცია. საკმაოდ უცნაურია ისიც, რომ ეს ძლიერი უდაბნოც ამ მსახურებაში ყოფნის ბოლო თვრამეტი თვეს გაგრძელდა.

იყო თუ არა ჩემს ცხოვრებაში სხვა უდაბნოს პერიოდები? დიახ. მაგრამ იმ დროისთვის, როცა ისინი მოდიოდნენ, უკვე

2 სადა, ხარ ღმერთო?!

საკმაოდ დიდი გაგება მქონდა იმისა, თუ რას წარმოადგენდნენ. ამრიგად, გამუდმებით აღარ ვლაღაღებდი: „ღმერთო, რა ხდება?“ ან „სადა ხარ ღმერთო?!“ უკვე საკმარისად მქონდა ნასწავლი წინა პერიოდებისას, რომ მცოდნოდა, რა ხდებოდა და რა იყო შესაბამისი პასუხი.

უამრავ კაცთან და ქალთან მილაპარაკია, რომლებიც ამ პერიოდში არიან. ჩვენი საუბრებისას, ძირითადად, დაბნეულობისა და მარცხის შესახებ ვიგებ. ბევრს წარმოდგენაც არ აქვს, რა ხდება. რეალურად, ჩემმა ცოლმა, ლიზამ და მე ორი გამოკითხვა ჩავატარეთ ამ თემაზე ბოლო დროს და გამოხმაურება ყველაზე დიდი იყო ამ საკითხზე, ვიდრე ოდესმე გვქონია. ამან გამოიწვია, გადამეხედა ჩემი დანერილი პირველი წიგნისთვის, რომელიც თავიდან გამოქვეყნდა, როგორც *გამარჯვებული უდაბნოში*.

ეს წიგნი დაახლოებით ოცდაათი წლის წინ დავწერე. ხელახლა, ყურადღებით წაკითხვისას, გავანალიზე, რომ ეს იყო წინასწარმეტყველური უწყება, რომელიც გვიან 1980-იან და ადრეულ 1990-იან წლებს უფრო შეეფერებოდა. ასე რომ, მე და ჩემმა რედაქტორმა, დიდი ძალისხმევა ჩავდეთ დროის მიღმურ ქუმმარიტებებში, დავამატეთ უამრავი შეფასება, რაც ბოლო ოცდაათ წელში იყო გაბნეული და მთლიანად თავიდან დავწერეთ. მე მჯერა, რომ წიგნი, რომელიც ახლა გიჭირავთ დროის მიღმური უწყებაა, რომელიც დაეხმარება ადამიანებს, როგორც ახლა, ასევე -მომავალ თაობებს, რათა გზა გაიკვალონ ამ მნიშვნელოვან პერიოდში.

ჩვენ გვითხრეს: „ყოველივეს დადგენილი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი აქვს ცის ქვეშ“ (ეკლ. 3:1). არის პერიოდები ჩვენს ცხოვრებაში და ყველა პერიოდს თავისი მიზანი აქვს. მნიშვნელოვანია, გაიგო პერიოდის მიზანი, რათა სწორად იმოქმედო. საინტერესო იქნებოდა, სპეციალურ, თოვლში ჩასაცემელ კოსტუმში გამონწყობილი ადამიანი თუ ავიდოდა მთაზე ბაგირით, სწოუბორდის მექანიზმით მხოლოდ იმიტომ, რომ სახეზე დაცემულიყო ბაგირიდან ჩამოხსნისას. რატომ? ზაფხულია და თოვლი საერთოდ არ არის! მისი ქმედებები სარგებლიანია ზამთრის პერიოდში, მაგრამ გამანადგურებელია მის იმჟამინდელ პერიოდში.

ამ წიგნში ჩემი მიზანია, გაგიზიაროთ ამ მნიშვნელოვანი, ზედმეტი ნაწილების მოცილებისა და გაძლიერების პერიოდის

აზრი. მისი მიზანი: *მომზადება*. მალე აღმოაჩენთ, რომ მე ძირითადად მსახურებასთან დაკავშირებით ვსაუბრობ. ყველა ჩვენგანი მონოდებულია: ზოგი მარკეტინგში, ზოგი განათლების სფეროში, ზოგი ჯანდაცვაში, ზოგი მთავრობაში – და ეს სია უსასრულოდ გრძელდება. ჩემი მონოდება ხუთმხრივი მსახურებაა, შესაბამისად, ჩემი ისტორიები ამას ასახავს. თუმცა ეს პრინციპები იმაზე არაა დაფუძნებული, თუ ცხოვრების რომელ არენაზე მოგინოდა ღმერთმა. მარკეტინგში მყოფ ადამიანებს ისევე სჭირდებათ მომზადება თავიანთი მონოდებისთვის, როგორც ღვთის სიტყვის მსახურებს. და ეს ასეა ცხოვრების სხვა სფეროების შემთხვევაშიც.

კიდევ ერთი დეტალი: წიგნში დამატებით აზრს მოიცავს დასათაურება „გადარჩენის რჩევები შენი მოგზაურობისთვის.“ ისინი გამხნეების მოკლე, ცალკეული შეფასებები და სიტყვებია, რაც დაკავშირებული იმასთან, რომ შენი უდაბნოში ყოფნის დრო, რაც შეიძლება პროდუქტიული გახდეს. იმედი მაქვს, რომ ეს უწყება სიცხადეს მოიტანს, რათა არ დაიტანჯოთ უცოდინრობისაგან ამ პერიოდში, როგორც მე დავიტანჯე და რათა გაგამხნევოთ თქვენს ხანგრძლივ ლტოლვაში მისკენ, ვინც ერთადერთია ის, რომელიც აკმაყოფილებს.

უდიდესი პატივისცემით,

ჯონ ბევირი

იანვარი 2019

1


„სად ხარ?“

როცა ჩვენ ვიტანჯებით უნაყოფობითა და მარტოსულობით და რთულ სიტუაციაში სიმშვიდეს ვინარჩუნებთ, ვამონმებთ ჩვენს სიყვარულს ღვთისადმი; მაგრამ, როცა ის გვსტუმრობს თავისი თანდასწრების სიტკბოთი, ის ამონმებს თავის სიყვარულს ჩვენდამი.

– მადამ გიუნი / ჯენ-მარია ბოუვიერი დე ლა მოტე-გიუნი

„აჰა, წინ მივდივარ და არ არის იგი, უკან და — ვერ ვპოვებ მას; ჩემს მარცხნივ თუ იქმს რასმეს — ვერ ვამჩნევ, მარჯვნივაა შეფარული და ვერ ვხედავ მას“.

– იობი 23:8-9



გ აბრაზებული ვიყავი ყველაზე. და დარწმუნებული არ ვიყავი, რატომ?

თითქოს არაფერი არ მიდიოდა სწორად.

ჩვენი პირველი ვაჟი, ედისონი, თვრამეტი თვის იყო – და ძალიან მოუთმენელი ვიყავი მის მიმართ.

ვუყვიროდი ჩემს ცოლს, ლიზას.

იმედგაცრუებული ვიყავი ჩემი მწყემსით.

განანყენებული ვიყავი ადამიანებზე, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი.

თუკი გულწრფელი ვიქნებოდი, ალბათ, იმედგაცრუებული და განანყენებული ვიყავი ღვთითაც. ვწუნუნებდი: „რას აკეთებ?“

„რატომ არ მოქმედებ ჩემს ცხოვრებაში?“

„სად არის ჩემდამი მოცემული აღთქმების აღსრულება?“

„რატომ მიდის ყველაფერი ასე ცუდად?“

„რატომ არ მელაპარაკები?“

აღმოვაჩინე, რომ ისევ და ისევ კოჭლ პრეტენზიას ვუყენებდი: „სად ხარ?“

გქონიათ ისეთი მომენტი, როცა თითქოს უფალი იმდენად ახლოს იყო, რომ საკმარისი იყო, მისი სახელი დაგეჩურჩულებინათ, იგი *მაშინვე* იქ იყო და *მაშინვე* პასუხობდა?

მაგრამ შემდეგ მოვიდა დრო, როცა შეტყობინებას შეტყობინებაზე აგზავნიდი, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. თითქოს ის სრულიად გაუჩინარდა შენი ცხოვრებიდან. შეიძლება სწორედ ახლა ხარ ასეთ სიტუაციაში და კითხვა, რომელიც სიჩუმეში გინდა დაიყვირო, იგივეა, რასაც მე ვსვავდი: „სადა ხარ ღმერთო?!“

მე უდაბნოში ვიყავი, მაგრამ ამის შესახებ არ ვიცოდი. დალასში, ტექსასში ვცხოვრობდი და ვფიქრობდი, რომ ქრისტეს კარგი მიმდევარი ვიყავი, რომელსაც ღმერთმა აპატია. როგორც ახალგაზრდა ქრისტიანისთვის, ვფიქრობ, ეს იყო ჩემი პირველი ნამდვილი ვიზიტი უდაბნოში.

მანამდე ერთადერთი რისი გაკეთებაც მჭირდებოდა, იყო, დამეძახა და უფალი მაშინვე მპასუხობდა. მასხოვს როგორ სწრაფად პასუხობდა იგი ჩემს ყველაზე უმნიშვნელო თხოვნებსაც კი. მისი თანდასწრება იმდენად ახლო, იმდენად ცხადი და ძლიერი იყო. ახლა კი, უბრალოდ ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა. მთელი დღეები მუხლებზე ვიდექი და ვლაღაღებდი: „ღმერთო, რა ხდება? თითქოს მილიონი მილით ხარ ჩემგან დაშორებული!“

ისევ გადავხედავდი ჩემს ცხოვრებას და ვეკითხებოდი: „ასეთი, რა საშინელი ცოდვა ჩავიდინე?“

ნუ, სიმართლე იყო, რა თქმა უნდა, რომ, როგორც ყველა ადამიანი პლანეტაზე, პერიოდულად მეც ვვარდებოდი ცოდვაში, მაგრამ ასევე მალე ვინანიებდი და იესოს ვთხოვდი პატიებას. რამდენადაც ვიცოდი, იმ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში არ იყო განმეორებადი, გააზრებული ცოდვა.

„ღმერთო, რატომ აღარ მელაპარაკები?!“ ვეკითხებოდი ყოველ მშრალ დღეს.

ნამდვილად არ ვყოფილავარ იმ კატეგორიაში, რომელშიც ბიბლიის უდიდესი კაცი, იოზი იყო, მაგრამ დაახლოებით მისი მსგავსი რეაქციები მქონდა. იოზის სიტყვები, რომლებიც ხშირად უცხოურად მეჩვენებოდა, აზრს არ ატარებდა. ზოგიერთი მუხლი ძალიან კარგად გამოხატავს გრძნობებს, თუ რას ნიშნავს უდაბნოში მიტოვება:

„აჰა, წინ მივდივარ და არ არის იგი, უკან და – ვერ ვპოვებ მას; ჩემს მარცხნივ თუ იქმს რასმეს – ვერ ვამჩნევ, მარჯვნივაა შეფარული და ვერ ვხედავ მას“.
(იოზი 23:8-9)

ლოცვას ვაგრძელებდი, მაგრამ თითქოს ზეცა დახშული იყო.

შემდეგ უფალმა მაჩვენა, რომ ქრისტიანის ცხოვრება ბავშვის გაზრდას ჰგავს. მე სულიერი ჩვილი ვიყავი, მაგრამ ახლა, ახალ საფეხურზე გადავდიოდი. ამ დროს, თვალწინ უდიდესი, ბუნებრივი მაგალითი მქონდა. ედისონი დაახლოებით თვრამეტი თვის იყო. ლიზა დიდებული დედა იყო, როცა ედისონი აზლუქუნდებოდა, მაშინვე მასთან აღმოჩნდებოდა და პატარაზე ზრუნავდა. ედისონიც რამდენიმე წამში მის მკლავებში აღმოჩნდებოდა, თავს დანაყრებულად და მშვიდად გრძნობდა ძუძუს წოვისას.

მაგრამ შემდეგ ედისონი, ისევე როგორც ყველა ბავშვი, მომნიფებისკენ უნდა წასულიყო. ყველა ჩვენი ვაჟის შემთხვევაში, ოთხი ბიჭი გვყავს, დადგა დრო, როცა თავად უნდა გამოეკვებათ თავი. ოჰ, უნდა გენახათ რა არეულობა იყო! ისინი ცდილობდნენ, ეჭამათ და საჭმლის ნახევარი სკამებსა და იატაკზე იყო მიმოფანტული.

ბავშვები ისეთი იმედგაცრუებულნი ხდებოდნენ, რომ იგივენაირად ველარ გამოკვებავდი, როგორც მაშინ, მაგრამ რასაც ამ დროს აკეთებ, არის ის, რომ იყო პასუხისმგებლიანი დედა და მამა. როცა ჩვენი ვაჟები საჭმელს აქეთ-იქით ისროდნენ, გვინდოდა, ჩავრეულიყავით და ყველაფერი კონტროლის ქვეშ მოგვექცია, მაგრამ ვიცოდით, ასე მათ პროგრესს შევაფერხებდით. ნებას ვაძლევდით ჩვენს ბიჭებს, გაზრდილიყვნენ. ნამდვილად არ გვინდოდა, რომელიმე მათგანისთვის თვრამეტი წლის ასაკშიც კვლავ კოვზით გვეჭმია!

როცა ბავშვები იზრდებიან, დახმარების დონე, რასაც ისინი იღებენ, ცვლის მათ და ამხნევეს ზრდისა და განვითარებისთვის. იგივეს აკეთებს ღმერთი ჩვენთან მიმართებაშიც, რათა განვითარდეთ და მოვმწიფდეთ სულიერად. როცა ხელახლა ახალი დაბადებულები და მისი სულით აღვსილები ვართ, რაღაც პერიოდის განმავლობაში იგი გვიმჟღავნებს თავის თავს ჩვენს ყველა დაძახილზე. მაგრამ შემდეგ, რაც დრო გადის, იმედია, ვცდებით მხოლოდ რძის სურვილის ეტაპს (ებრ. 5:12), იმისათვის რომ გაზრდასა და მომნიფებაში დაგვეხმაროს,

იგი უშვებს, გავიაროთ პერიოდები, როცა ის მაშინვე არ გვიპასუხებს ჩვენს ყველა დაძახილზე.

როცა უფალი დამეხმარა, გამეგო, რომ ზრდა სულიერ მომწიფებამდე, ძალიან ჰგავდა იმ პროცესს, რომელსაც ყველა ადამიანი განიცდის ბავშვობიდან ზრდასრულომდე, მეტად დავფიქრდი და დამაინტერესა: არასწორი ხომ არ ვიყავი? რაშიც გავდიოდი, ეს რაიმე სახის სასჯელი ხომ არ იყო უფლისგან? შესაძლებელი იყო რომ უდაბნოში რალაციის სასწავლად ვიყავი, რათა გავზრდილიყავი, რაც უკეთ აღმჭურვიდა, რომ გავყოლოდი და მემსახურა იესოსთვის?

შემდეგ გამახსენდა, რომ ეს ზუსტად ის იყო, რაც იესოს შეემთხვა. თითქმის მაშინვე, როცა ის იოანემ მონათლა და მამამ აკურთხა, წმიდა სულმა იგი უდაბნოში წაიყვანა. მას საყვედური არ მიუღია და ნამდვილად არ შეუტოდავს.

ასე რომ, ჩემი სიბრაზის შემოტევებში, უეცრად ერთმა აზრმა გამიელვა: *იქნებ, ეს უდაბნო არც ისეთი საშინელია, როგორსაც მე ვქმნი?!*

უდაბნოს აღქმა

თუ გვინდა იესოს მსგავსნი ვიყოთ, ჩვენი ხასიათი უნდა განვითარდეს. და უდაბნო, ღვთის არჩეული ადგილია ამის მოსახდენად. ხშირად, როცა ამ პერიოდში ვართ, გვეჩვენება რომ ღმერთი კილომეტრებითაა ჩვენგან დაშორებული, მისი ალტემები კი ცარიელია. მაგრამ ეს მხოლოდ ისაა რასაც ვგრძნობთ და არა ის, რაც რეალობაა. სინამდვილეში, ის ხელის განწვენაზეა, რადგან იგი დაგვპირდა რომ არასდროს მიგვატოვებდა (ებრ. 13:5).

უდაბნო პერიოდია, როცა თითქოს იმ ოცნებებისა და ალტემების მიმართულების საწინააღმდეგოდ მიდიხარ, რომელშიც ერთდროს დარწმუნებული იყავი, რომ ღმერთმა მოგცა. უდაბნოში ვერანაირ სულიერ ზრდასა და განვითარებას ვერ გრძნობ. რეალურად, შეიძლება ისიც კი იგრძნო რომ უარესდები. მისი თანდასწრება თითქოს გაზრდის ნაცვლად იკლებს. შეიძლება ისიც კი იგრძნო, რომ აღარ უყვარხარ და იგნორირებული ხარ. მაგრამ ასე არაა.

რეალურად, უდაბნო საერთო დანიშნულების ადგილია ყველა წრფელი ქრისტეს მიმდევრისთვის – თუმცა, როცა ამ ადგილს სტუმრობ, შესაძლოა თავი სრულიად მარტო იგრძნო. სიმართლე ისაა, რომ უდაბნო აუცილებელი ადგილია, ღვთის ყველა შვილისათვის. რეალურად, იმისათვის რომ ჯანსაღი სიმნიფისკენ ნახვიდე როგორც ქრისტეს მონაფე, შეიძლება რამდენიმე მოგზაურობა გაიარო უდაბნოში.

ნეტავ შემეძლოს თქვენთვის იმის თქმა, რომ შეგიძლიათ აირჩიოთ გუგლ მეპის მარშრუტი, რომელიც მოკლე ან არაპირდაპირ გზას გაჩვენებთ ამ უნაყოფო ადგილას, მაგრამ ასე არ არის. და, ჩემო მეგობარო, ეს კარგია, რადგანაც მოგზაურობა უდაბნოში – ჩვენი თანხმობა ამ დროზე თუ პერიოდზე – აუცილებელია, თუკი გვინდა რომ ჩვენს აღთქმულ მიწაზე მივიდეთ!

უბრალოდ რა არის უდაბნო?

საბედნიეროდ, უმრავლეს ჩვენგანს არ მოუნია ფიზიკურად გადარჩენილიყო უნაყოფო ადგილას, როგორც ნამდვილი უდაბნოა, სადაც ძალიან ცოტა ნყალია და თავშესაფრის პოვნა რთულია. დღეები ცხელია, ღამეები ცივი და ჩვენ მარტონი, მწყურვალეები და მშივრები ვართ. ამ ყველაფერს ემატება, რომ დაკარგულები ვართ და წარმოდგენა არ გვაქვს როგორ გავიკვლიოთ გზა. შესაძლოა ასეთი გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ განგვიცდია უდაბნოს ემოციები. ამ წიგნში, მე რამდენიმე საკვანძო ინციდენტს გაგიზიარებთ ჩემი პირადი ვიზიტებისგან უდაბნოში – ასეთი რამდენიმე იყო და არც ერთი მათგანი არ ყოფილა პიკნიკი!

კარგი სიახლე ისაა, რომ უდაბნო მაინცდამაინც უარყოფითი დრო არ უნდა იყოს, თუკი ვისწრაფით დავემორჩილოთ ღმერთს. ვიცი, ეს ალოგიურად ჟღერს, მაგრამ უდაბნოს მიზანი საკმაოდ დადებითია: გაგვწვრთნას, გაგვწმიდოს, გაგვაძლიეროს და მოგვამზადოს ახალი ნაბიჯისკენ მის სულში, რაც შედეგად გამოიღებს იმას, რომ მეტად ნაყოფიერები გავხდეთ.

გაუცნობიერებლად, მრავალი ადამიანი უდაბნოში შესვლისას პანიკდება და უგუნურად იქცევა. გაუაზრებლად,

ისინი არასწორ რაღაცებს ეძებენ და აკეთებენ. ამის მაგალითი შეიძლება იყოს კარიერაში რადიკალური ცვლა, ან ერთი ეკლესიიდან სხვაში გადასვლა – ნებისმიერი გადამწყვეტი მოქმედება მათ ცხოვრებაში, რაც მათი აზრით ბედნიერებას მოუტანს ან ნორმალურ მდგომარეობას დააბრუნებს. მარტოხელა ადამიანისთვის, ეს შეიძლება იყოს ახალი ურთიერთობის დაწყება უეცრად, მტკივნეული განშორების შემდეგ.

თუკითავის დასაღწევ მარშრუტს ეძებ იმის გაცნობიერებამდე, თუ რატომ შეგიყვანა ღმერთმა ამ კონკრეტულ გვალვის სიტუაციაში, შენ უნებურად ახანგრძლივებ შენს უდაბნოს პერიოდს. ამან შეიძლება მეტი პრობლემა, უიმედობა და დამარცხებაც კი გამოიწვიოს, რადგან არ გესმის ის პერიოდი ან ადგილი, რომელშიც ღმერთი შეგიძლვა.

სწორედ ასეთი შემთხვევა იყო ისრაელიანებისთვის უდაბნოში ორმოცი წლის გატარებისას. იმის გააზრების ნაკლებობამ, თუ რა ხდებოდა მათ თავს, გამოიწვია ის, რომ მთელმა თაობამ ვერ დაიმკვიდრა აღთქმული მიწა. რა ტრაგიკულია! ღვთის მიზანი, როცა უდაბნოში მიუძღვებოდა, იყო: გამოეცადა, გაენვრთნა და გაემზადებინა ისინი, რათა ყოფილიყვნენ ძლიერი მეომრები, რომელთაც შეეძლებოდათ დაეპყროთ და ხელში ჩაეგდოთ მათი ღვთიური დაპირება – ახალი სამშობლო. მაგრამ, ამის ნაცვლად, ისრაელიანებმა შეცდომით აღიქვეს უდაბნო, როგორც სასჯელი; ასე რომ ისინი გამუდმებით წუნუნებდნენ, ბუზღუნებდნენ და დრტვინავდნენ.

მას შემდეგ, როდესაც მათი მზვერავეები დაბრუნდნენ და ინფორმაცია გაუზიარეს, მოვიდა დრო, რომ დაეტოვებინათ უდაბნო და დაეპყროთ აღთქმული მიწა, მაგრამ ხალხმა მოწუნუნეთა ცნობებზე გაამახვილა ყურადღება. მიცემული ჰქონდათ რა არჩევანი ღვთის აღთქმებსა და შესაძლებლობებს და ადამიანის აღქმასა და უუნარობას შორის, მათ აირჩიეს, დაეჯერებინათ კაცისთვის და არა შემოქმედისთვის. მათ იყიდეს ტყუილი, რომ ისინი დამარცხებით დაიტანჯებოდნენ და ვერ მიიღებდნენ მათ მიწას, რომელზეც რძე და თაფლი მოედინებოდა. მათმა უცოდინარობამ უზენაესის ბუნებასა და ხასიათზე, მათი ბოროტი საქციელი გამოიწვია.

ღმერთმა მრავალგზის თქვა: „კარგით, ისე მოიქეცით, როგორც გსურთ!“ ის, რაც მოკლე, ერთნაირი მოგზაურობა უნდა ყოფილიყო უდაბნოში, მთელი ცხოვრების გამოცდილებად იქცა.

ოჰ, შენ და მე არ გვსურს ასეთი გადანივებითი ცხოვრება! მაგრამ შეგვიძლია, ვისწავლოთ მათი შეცდომებით, როგორც მოციქული პავლე მიუთითებს: „ყოველივე ეს, სანიშნოდ დაემართათ მათ და აღწერილია ჩვენს შესაგონებლად“ (1 კორ. 10:11).

თუკი ვისწავლით იმის გაცნობიერებას, თუ როდის შევდივართ უდაბნოში, კბილების ღრჭიალისა და ნუნუნის ნაცვლად, შეგვიძლია, მადლიერები ვიყოთ, ვიცოდეთ, რომ ამ ადგილის მიღმა ახალი სიმწიფის, ძალის, კურთხევების, შესაძლებლობების და დაპირებების „აღთქმული მინაა“. ნუთუ არ გაამარტივებს ეს ყველაფერი რთულ პერიოდებს? მაშინ შეგვიძლია, დავეთანხმოთ იაკობს, რომელიც წერს:

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით... მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ: ზრდასრულნი, სრულქმნილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე“. (იაკ. 1:2,4)

ნიშნავს თუ არა უდაბნოში ვიზიტი იმას, რომ რაღაც ავუროი?

კარგი კითხვაა!

რაღაც აზრი დევს იმაში, რომ უმრავლესობა ჩვენგანი უდაბნოს პერიოდში ყოფნისას იკითხავს: „რა გავაკეთე არასწორად? ასე როგორ გავაბრაზე ღმერთი?!“ ეს უდაბნოს მნიშვნელობის თუ მიზნის არასწორი გაგებაა.

ბიბლიაში და ისტორიის განმავლობაში, კაცებმა და ქალებმა აღმოაჩინეს, რომ უდაბნო, ეს იყო მათი მომზადების დრო თავიანთი ხვედრისთვის ღმერთში. ამრიგად, უდაბნო ღვთის უარყოფა კი არ არის, არამედ მისი მომზადების ადგილი.

ვფიქრობ, ნამდვილად შესაძლებელია, ცხოვრების გვაღვიანადგილას აღმოჩნდე ცუდი არჩევანის შედეგად. სიმართლე ისაა, რომ არ აქვს მნიშვნელობა რამდენად შორს წავედით იესოს მსგავსებაში, ჩვენ მაინც გვაქვს ცოდვა, რომელსაც უნდა გავუმკლავდეთ და პოტენციალი, რომ ყველაფერი ავურიოთ. ასე რომ, შესაძლოა ძალიან ცუდმა გადაწყვეტილებამ, ან რამდენიმე არც ისე კარგმა გადაწყვეტილებამ, თხრილში ჩაგვაგდოს.

ბაღარჩინის რჩევები შენი მოგზაურობისთვის

№1 გაიაზრე შენი დრო

ბევრი ჩვენგანი გაკვირვებულია უდაბნოთი. ღმერთი ისეთი კარგია, ჩვენ ვიზრდებით მის კურთხევებს, თანდასწრებას, აღთქმებს მიჩვეულები. ჩვენ უბრალოდ არასდროს ველით, რომ კარგი პერიოდი შეწყდება. მაგრამ შემდეგ, ერთ დღეს, აღმოვაჩინოთ რომ რაღაც შეიცვალა. ამრიგად, პანიკაში ჩავრდნის მაგივრად, უმჯობესია, უკან დავიხიოთ და რაღაც პერსპექტივა შევიძინოთ. უნდა გესმოდეს, რაში გადიხარ, რადგან, თუკი არ გესმის პერიოდი და ის, თუ სად ხარ, შენი პასუხიც არასწორი იქნება.

ეს იქნება იმის მსგავსი, სამხრეთ ფლორიდის კლიმატიდან ჩრდილოეთ კანადაში რომ გადახვიდე. როცა ზამთარი დგება და თერმომეტრი მინუსებს გვაჩვენებს, კარგია, იცოდე, სად ხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გარეთ ქურთუკის გარეშე გახვიდე!

იგივე ეხება უდაბნოსაც. თუკი ყურადღებას არ მიაქცევ მინიშნებებს, რომლებიც უნაყოფო ადგილას ყოფნაზე მიუთითებენ, მრავალ მარცხს განიცდი და შესაძლოა, საკმაოდ ღირებულ შეცდომაც დაუშვა. ძველ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ისაქარის ძეებს “დრო-ჟამთა განსაზღვრა შეეძლოთ და უწყოდნენ, თუ რა უნდა ექნა ისრაელს“ (1 ნემტ. 12:32).

როცა გესმის შენი დრო უდაბნოში, ისიც გეცოდინება რა გააკეთო.

მაგრამ აი, ქეშმარიტება: ჩვენ მპატიებელი ღმერთი და დიდებული მღვდელმთავარი გვყავს, რომელსაც ესმის ჩვენი სისუსტეების. ასე რომ, პირველი ნაბიჯი თხრილიდან ამოსასვლელად, ან ჩვენ მიერ გამოწვეული უდაბნოს გასასვლელისკენ წასასვლელად, არის, რომ მივიდეთ ჩვენს მოსიყვარულე მამასთან და ვუთხრათ: „მამა, შევცოდე, ... ჩავიდინე (შეავსეთ ცარიელი ადგილი). გთხოვ, მაპატიე! მე ვინანიებ ამ ცოდვას და ახლა შენი მაღლით, სხვანაირად ვიცხოვრებ!“

ამრიგად, მე იმას ვამბობ, რომ მაშინაც კი, თუკი შენი ცხოვრების უნაყოფო ადგილას რაღაც შეცდომების გამო ხარ, სწორად წარსდები უფლის წინაშე, ნება მიეცი შეასრულოს ის, რაც უნდა რომ გასწავლოს და გამოგიყვანოს უდაბნოდან – იმედია, მალე და არა გვიან. რა თქმა უნდა, დროის ხანგრძლივობა მასზეა დამოკიდებული; მეფსალმუნე წერს: „შენს ხელთაა ჩემი დრო“ (ფს. 31:15). თუმცა, ამის თქმის მიუხედავად, ხშირად უდაბნოში სწორედ იმიტომ ხარ, რომ ეს ის ადგილია, რომელშიც ღმერთს ახლა შენი ყოფნა სურს. შენ არანაირი შეცდომა არ დაგიშვია, რაც ამ რთულ სიტუაციაში ჩაგაგდებდა. ვიცი, რომ ზოგჯერ ეს განცდა უფრო ართულებს საქმეს. ეს ერთ-ერთი იმ მთავარ მიზეზთაგანია, რატომაც ვწერ ამ წიგნს, რათა დაგეხმაროთ გაიგოთ, როგორ უყურებს ღმერთი უდაბნოს და როგორ სურს მისი გამოყენება ჩვენს გასაზრდელად და იესოსთან მისამსგავსებლად.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ცხადად უნდა გავიაზროთ, არის, რომ ღმერთს უდაბნოში იმიტომ არ შეუყვანიხარ რომ სატანის გეგმებთან დაგტოვოს და დაივიწყოს შენ შესახებ. სანამ ეგვიპტიდან გამოსულთა მეორე თაობის შვილებს ნება მიეცემოდათ აღთქმულ მიწაზე შესულიყვნენ, შემოქმედმა გაახსენა მათ:

„გახსოვდეს მთელი გზა, რომლითაც გატარა უდაბნოში უფალმა, შენმა ღმერთმა, ეს ორმოცი წელიწადი, რათა მოერჯულებინე და გამოეცადე, რომ შეეტყო, რა გაქვს გულში, დაიცავდი მის მცნებებს თუ არა“. (მეორ. რჯ. 8:2)

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ისრაელიანებმა მართლა ძალიან აურიეს ყველაფერი და მათი უგუნურების, უმადურებისა და ურჩობის გამო ზედმეტად დიდხანს მოუწიათ უდაბნოში დარჩენა, ღმერთი აპირებდა ეს ყველაფერი რაღაც კარგად ექცია. აი, რას აკეთებს იგი – როგორ მიხარია! შენ არა?

ნუ იქნები არასწორად ინფორმირებული – უფალი არ წყვეტს ჩვენს ცხოვრებაში მოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ უდაბნოში ვართ. იგი მიგვიძღვის უდაბნოში; უზენაესის გარეშე, ვერასდროს გავივლით მას. უფრო მეტიც, ეს ის ადგილი არაა, სადაც თაროზე ვართ შემოდებულნი მანამ, სანამ ის ჩვენს გამოყენებას მოისურვებს. ეს სულაც არაა გზა, რომლითაც ჩვენი თანამგრძობი მამა მოქმედებს. პირიქით, ეს არის ადგილი და დრო, რომლის დროსაც იგი ძლიერად მოქმედებს.

შესაძლოა, თქვენთვის ნაცნობი იყოს გამოთქმა: „ერთი ხის ყურებით ტყეს ვერ დაინახავ“. უდაბნოც იგივეა. რთულია, დაინახო, როგორ მოქმედებს უფალი, როცა მის შუაგულში ხარ.

ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება ცხადად უნდა გამოითქვას: უდაბნო დამარცხების ადგილი არაა, სულ მცირე, მათთვის არა, ვინც ღმერთს ემორჩილება. იესოს, შიმშილით დასუსტებულს, ისეთი ადამიანის გარეშე მყოფს, ვისაც მიენდობოდა ან ვისგანაც გამხნეებას მიიღებდა, რომელიც ფიზიკური ნუგეშისა და ზებუნებრივი გამოვლინების გარეშე იყო ორმოცი დღის განმავლობაში, უდაბნოში ბოროტი დაესხა თავს. იესომ დაამარცხა იგი ღვთის სიტყვით! უდაბნო არ არის უფლის შვილების დამარცხების დრო: „მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებას გვანიჭებს ქრისტეში“ (2 კორ. 2:14).

როცა ისრაელიანი ხალხი უდაბნოში იმყოფებოდა, გარშემო მყოფი ერებით იყვნენ შენუხებულნი. უფალმა უთხრა ისრაელს, რომ მათაც ებრძოლათ. ისრაელიანებმა დაამარცხეს ამორეველები (რიცხვ. 21:21-25), მიდიანელები (რიცხვ. 31:1-11) და ბაშანის ხალხი (რიცხვ. 21:33-35). თუკი ღვთის მიზანი მათთვის, იყო რომ მარცხი განეცადათ, არ ეტყოდა მათ, რომ დაეცვათ თავიანთი პოზიციები. მიუხედავად იმისა, რომ

იგი არ იყო გამიზნული დამარცხების დროდ, ბევრი მათგანი მოკვდა ალთქმულ მინაზე შესვლის გარეშე. ეს არ ყოფილა გზა, რომელიც ღმერთს ჰქონდა განზრახული, არამედ მათი დაუმორჩილებლობის სამწუხარო შედეგი იყო.

იმედი მაქვს, მტკიცედ დამკვიდრდება თქვენს გულში, რომ მიზეზი უდაბნოს უკან არ არის ზეციერი მამის უკმაყოფილება ან დასჯა. ეს არც ის ადგილია, სადაც ღმერთი მიგატოვებს და დაივიწყებს შენ შესახებ. და არც ის ადგილია, სადაც უნდა დანვე და დამარცხებას დაელოდო!

ღმერთი რაღაც კარგს ამზადებს!

უდაბნო არ არის ნიშნების, კურთხევის, სიუხვისა და საოცრებების ძიების პერიოდი, არამედ ღვთის გულის ძიების დრო, რაც ხასიათს და ძალას განამტკიცებს შენში. ეს არის დრო, როცა უნდა შეინარჩუნო ხედვა. სხვა შემთხვევაში, ალთქმის ცხადი სურათის გარეშე ჩვენს გულებში, ეს დრო იმედის გამაცრუებლად მოგვეჩვენება და ხელს შეუწყობს ჩვენს წუნუნს.

შენი პოზიციის გაანალიზება ცხოვრებაში პერსპექტივას მოგიტანს. ამის შემდეგ შეგეძლება, დაინახო ღვთის ხელი, მაშინაც კი, როცა მის შეხებას ვერ იგრძნობ. ეს არის დრო, როდესაც შენი სიყვარული მისდამი მნიფდება და კითხვიდან: „რას გააკეთებს ის ჩემს სასარგებლოდ?“, გადადის კითხვაზე: „რა სურს მას ჩემგან?“

ცოტა ხნის წინ მე ის დაცემა განვიცაადე, რასაც უძველესი ნმიდანი, იობი გამოხატავდა; როგორ არ შეეძლო ხელი ჩაეჭიდა იმისთვის, რასაც უფალი აკეთებდა. არ აქვს მნიშვნელობა სად მიბრუნდებოდა, იგი ვერ პოულობდა ღმერთს. თუკი იობი ამით დაამთავრებდა გაანალიზებას, მაშინ ეს ნამდვილი მარცხია. მაგრამ იობი სასონარკვეთილი არ დანებებულა. იგი რწმენისა და იმედის სიტყვებს გვთავაზობს:

„თუმცა იცის მან ჩემი გზები, რომლითაც დავდივარ და როცა გამომცდის, ოქროსავით ხალასი გამოვალ“.

(იობ. 23:10).

როგორი სუნთქვისშემკვრელი შეფასებაა! რაც არ უნდა ვცადოთ, გავარკვიოთ, სად მივყავართ უზენაესს, მან იცის გზა. ჩვენ შეგვიძლია, სრულიად მივენდოთ მას, რადგანაც როგორც მოციქული პავლე წერს: „[სრულიად] დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც დაიწყო თქვენში [მადლის გამოხატულების] კეთილი საქმე, [ერთგულად გააგრძელებს შენი მომნიჭების პროცესს მასთან ერთობით და] დაასრულებს კიდევ იესო ქრისტეს დღემდე” (ფილ. 1:6 TPT).

და ჩვენ ვიცით რომ ეს ჭეშმარიტებაა...უდაბნოშიც კი.

2


კარგი საზოგადოება

როდესაც ქრისტიანები განსაცდელის შტორმის პირისპირ აღმოჩნდებიან, შეიძლება მეტად მშვენიერები გახდნენ. ისინი გვანახებენ, რომლებიც მთების ქედებზე იზრდებიან — ქარისგან შელახულები და მაინც, ხეები, რომლებიც ყველაზე ძლიერები არიან.

– ბილი გრემი

„...სულიწმიდით აღვსილი იესო...სულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში“.

– ლუკ. 4:1



კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უდაბნოში! გიკვირთ ასეთი მხიარული მისაღმება? ზოგადად, ჩვენ არ ველით, რომ სულიერ უდაბნოში რაღაც დროის გატარება კარგი რამაა, მაგრამ შენ უნდა იცოდე, რომ ჩვენი საყვარელი მამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთ ადგილებს და შენ ახლა კარგ საზოგადოებაში ხარ.

თუკი ფიქრობთ, რომ უდაბნო კარგი ადგილი არაა, რომელსაც შენი რწმენის მოგზაურობისას უნდა ესტუმრო, გირჩევთ, თავიდან დაფიქრდეთ! სიმართლე ისაა, რომ უდაბნოში უამრავი წმიდანის ნაკვალებს ვპოულობთ, მათ შორის ღვთის ძისაც კი, რომელთაც მნიშვნელოვანი დრო გაუტარებიათ იქ ვიზიტებში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც უდაბნოში მივდივართ, კარგ კომპანიაში ვართ...და არ ვართ მარტო.

გთხოვთ, ნუ დამადანაშაულებთ სახელების ჩამოთვლაში, მაგრამ უდაბნოს მაცხოვრებელთა სია ნამდვილად საკმაოდ შთამბეჭდავია.

რა თქმა უნდა, უკვე ვახსენე იობი, კაცი, რომელსაც ბიბლია აღწერს როგორც ადამიანს, რომელიც „აღმოსავლეთის ყველა ძეზე მეტად იყო განდიდებული“ (იობ. 1:3). მან დაკარგა ყველაფერი: მისი ქონება, შვილები, ჯანმრთელობა, თავისი ცოლის მხარდაჭერა. დიდებული, ალალ კაცი, იობი უახლოესმა მეგობრებმა საიდუმლო ცოდვებში დაადანაშაულეს. იობი იმდენად გულგატეხილი იყო თავის უდაბნოში, ისიც კი თქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, საერთოდ არ დაბადებულიყო.

უდაბნოში ყოფნისას, დადიხარ იქ, სადაც აბრაამს, მდიდარ კაცს ურიდან, რომელიც მშვიდად ცხოვრობდა, ღმერთმა სთხოვა უკან მოეტოვებინა ყველაფერი და დაეწყო მოგზაურობა ახალი

ალტემული მიწის საპოვნელად. და სარა მასთან ერთად იყო ყოველ ნაბიჯზე! მოგზაურობის უდიდესი ნაწილი მათ უდაბნოში გაატარეს.

მოსე ძალიან კარგად იცნობდა უდაბნოს. იგი ფარაონის კარზე აღიზარდა როგორც პრინცი, მაგრამ ეგვიპტელის მოკვლის შემდეგ, საკუთარი თავი უდაბნოს უკანა პლანზე აღმოაჩინა, სადაც ორმოცი წლის განმავლობაში ცხვრებს უვლიდა. სწორედ იქ განუცხადა ღმერთმა საკუთარი თავი აალებული ბუჩქიდან:

„და მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს ფარას. წაასხა ერთხელ ცხვარი უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას, ხორებს. და გამოეცხადა მას უფლის ანგელოზი ცეცხლის ალში მაყვლოვანის შუაგულიდან. ხედავს: „ცეცხლმოდებულია მაყვლოვანი, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი. თქვა მოსემ: „მივალ და ვნახავ ამ დიდ სანახაობას, რატომ არ იწვის მაყვლოვანი?!“ იხილა უფალმა, რომ მობრუნდა მოსე სანახავად და მოუწოდა მას ღმერთმა მაყვლოვანის შუაგულიდან: „მოსე! მოსე!“ უთხრა: „აქა ვარ“. (გამოს. 3:1-4)

შემდეგ, როგორც ვიცით, მოსე დაბრუნდა უკან, ეგვიპტეში და წარუძღვა ხალხს ეგვიპტიდან, რა თქმა უნდა, უდაბნოში!

უდაბნოში მოულოდნელად შეეჯახები იოსებს, მამის საყვარელ ძეს, რომელიც საკუთარმა ძმებმა ჩააგდეს განსაცდელში, შემდეგ გაიყიდა როგორც მონა ეგვიპტეში. ამის შემდეგ ციხეში ჩასვეს, იმ დანაშაულში ბრალდებული, რაც არ ჩაუდენია. და აი, აქ, ფარაონის საპყრობილეში, ღმერთმა გამოუვლინა საკუთარი თავი იოსებს და მან დაიწყო მეპურისა და მწდის სიზმრების განმარტება. ამან გაუცნობიერებლად მოამზადა ის თავად ფარაონის სიზმრის განსამარტად.

და შემდეგ, აქ არის მეფე დავითი. სამუელმა იწინასწარმეტყველა, რომ იგი გახდებოდა შემდეგი მეფე, თუმცა ამის შემდგომ, მალევე, დავითმა აღმოაჩინა, რომ ტახტისთვის გამოქვაბულებში ცხოვრებითა და უდაბნოში ხეტიალით ემზადებოდა. აქ, ღმერთმა გამოუვლინა საკუთარი თავი დავითს, როგორც მისმა მწყემსმა, მისმა ძალამ, მისმა ფარმა, მისმა ციხე-სიმაგრემ.

იოანე ნათლისმცემელი მოწოდებული იყო დიდ წინასწარმეტყველად, მამამისმა მას იმ ხილვების შესახებ უთხრა, რაც ამ ყველაფერს ავლენდა. თუმცა, სწორედ უდაბნოში და არა ბიბლიის სკოლაში, გამოუცხადა ღმერთმა საკუთარი თავი იოანეს, რომელმაც სიცოცხლე იუდეის უდაბნოებში გაატარა, ცხოველის ტყავით შემოსილმა და მწერებით გამოკვებილმა. ლუკას 3:2-3 ამბობს: „...ღვთის სიტყვა იყო იოანე ზაქარიას ძისადმი, უდაბნოში. დადიოდა იგი იორდანეს მთელ მიდამოებში და ქადაგებდა სინანულის ნათლისცემას ცოდვათა მისატყვევლად“.

არაბეთის უდაბნო იყო ადგილი, სადაც უფალმა იესომ გაუმხილა მოციქულ პავლეს იმ საიდუმლოებათა დიდი ნაწილი, რომელიც ახალ აღთქმაში უნდა მომხდარიყო. იგი წერს, რომ ზეციერი მამის მიზანი იყო: „გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე, რათა წარმართებისთვის მეხარებინა იგი; მყისვე როდი ვეთათბირე ხორცსა და სისხლს. არც იერუსალიმში ავსულვარ ჩემს წინამორბედ მოციქულებთან, არამედ არაბეთში წავედი...“ (გალ. 1:16-17).

სად იყო მოციქული იოანე, როდესაც მიიღო გამოცხადება იესო ქრისტესი?

„მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და მოზიარე იესო ქრისტეს ჭირში, მეფობასა და მოთმინებაში; ვიყავი კუნძულზე, პატმოსი რომ ჰქვია, ღვთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისთვის“. (გამოცხ. 1:9)

პატმოსი უდაბური კუნძული იყო – საუკეთესო ადგილი უდაბნოს გამოსაცდელად.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შენი თანმხლები იესოა, რომელიც მას შემდეგ რაც სახალხოდ მიიღო კურთხევა მისი მამისა და სულიწმიდისაგან, ღვთიურად იქნა გაგზავნილი უდაბნოში, რათა სატანის საცდურებს შეხვედროდა.

დავაკვირდი, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთი თარგია: ღმერთი გვაჩვენებს დიდებულ რამეებს, რის გაკეთებასაც ის განიზრახავს ჩვენი მეშვეობით მომავალში და შემდეგ პირდაპირ უდაბნოში მიგვიძღვის, რათა მოგვამზადოს.

თუკი უდაბნოს დიდებული წმიდანები და ჩვენი უფალი იესოც საჭიროებდნენ ამას, მაშინ შემიძლია, ჩავეჭიდო აზრს, რომ ჩემთვის კარგია, თუკი რაღაც დროს უდაბნოში

გავატარებ, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ვისურვებდი უფრო მარტივ გზას. უდაბნო არის ადგილი, სადაც ღმერთი გვცდის, გვამდაბლებს, გვაძლიერებს და გვწმენდს ჩვენ. ეს არის ადგილი, სადაც იგი ოქროს თვისებებს აყალიბებს ჩვენში. ეს არის მოსამზადებელი ნიადაგი, მომავალი ნაყოფიერი საქმიანობისთვის, მის სამეფოში.

ყველაზე ამაღლებელი რამ უდაბნოს შესახებ ისაა, რომ ეს არის ადგილი, სადაც ღმერთი ახალი გზებით ავლენს საკუთარ თავს. წინასწარმეტყველი ესაია წერს:

„რადგან უფალი ანუგეშებს სიონს, ანუგეშებს მის ყველა ნანგრევს, ედებდა აქცევს მის უდაბნოს და მის გაუკაცრიელებულს – უფლის ბაღად; სიხარული და მხიარულება იქნება მასში, სამადლობელი და სიმღერის ხმა“. (ეს. 51:3)

ედემის ბალი იყო ადგილი, სადაც ღმერთმა ადამს გამოუცხადა თავი და სადაც მოზიარეობა ჰქონდათ.

უდაბნოში გშია და გწყურია უფალი. ამრიგად, როცა ღმერთი მზადაა საკუთარი თავის გამოსაცხადებლად, შენს არაფრის მქონე და მეტად ფოკუსირებულ მდგომარეობაში, შენთვის უფრო მარტივია მობრუნდე ამქვეყნიური რალაცებიდან და მიტრიალდე უფლისკენ. თუკი ვაპირებთ ღვთის მონოდებას ვუპასუხოთ, ამას აუცილებლად გამოვცდით. სწორედ უდაბნოში გვიცხადებს ღმერთი საკუთარ თავს ახალი გზებით. ესაის 45:15 ამბობს: „მართლაც შენ ხარ ღმერთი დაფარული, ღმერთი – ისრაელის მხსნელი“. მათთვის, რომელთაც ღრმად სურთ იგი, უფალი აკეთებს ამას, რათა მეტად მოაწყუროს პირადი ურთიერთობის ექსტაზი. უფალი ფარავს საკუთარ თავს მათგან, რომელთაც არ სწყურიათ ის. მას ვერ მიიღებ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. ის არასდროს იქნება მიჩნეული ჩვეულებრივად.

ღვთის წყურვილი

მათ, ვინც ეძებს ღმერთს მთელი გულით, იგი აუცილებლად გამოუცხადებს თავის თავს.

გახსოვდეს, ღმერთმა თქვა, რომ მან ისრაელიანები უდაბნოში შეიყვანა, რათა დაემდაბლებინა და წყურვილი გამოეწვია მათში. თუმცა, იმის მაგივრად, რომ ღმერთი მოწყურებოდათ, როგორც

იესო ნავეს ძე მოიქცა, ხალხს ისეთი რაღაცეები მოსწყურდა, რაც ღმერთმა მოაშორა მათგან. ასე რომ, როდესაც ის მოვიდა მათთვის საკუთარი თავის გამოსამყლავნებლად, როგორც მოსესთან გააკეთა, მათ ამის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ. რეალურად, მათ უარყვეს იგი. მეორე რჯულში ჩვენ ვკითხულობთ:

„როცა მოისმინეთ ხმა შუაგულ სიბნელიდან, ხოლო მთა ცეცხლით იწვოდა, მაშინ მოხვედით ჩემთან ყველა ტომის მთავარი და უხუცესი; მითხარით: „აჰა, გვიჩვენა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და სიდიადე და გვესმა მისი ხმა ცეცხლის შუაგულიდან. ამ დღეს ვიხილეთ, რომ ღმერთი ელაპარაკა ადამიანს და ცოცხალი დარჩა იგი. ახლა რად უნდა დავიხოცოთ? ხომ გვშთანთქავს ეს დიდი ცეცხლი: თუ კიდევ მოვისმენთ

ბაღარჩენის რჩევები პენი

მოგზაურობისთვის

№2 მნიშვნელობა არ აქვს რამდენად მარტოსულად გრძნობ თავს, ღმერთი იქაა

ხშირად, უდაბნოს მნიშვნელოვანი განცდაა ის, როდესაც გვეჩვენება რომ ღმერთი არ არის! სწორედ მაშინ, როდესაც თითქოს ყველაზე მეტად გჭირდება მისი თანდასწრების განცდა, გგონია, რომ იგი მილიონი მილითია შენგან დამორეზული.

მნიშვნელოვანია, გესმოდეს ღვთის თანდასწრების ორი სახის გამომყლავნება. პირველი, წმიდა წერილის ამ სიტყვებზეა დაფუძნებული: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ!“ (ებრ. 13:5). ეს უფლის ყველგანმყოფობაა. სწორედ ამაზე ამბობს მეფე დავითი: „ზეცაში ავიდე – იქ ხარ, ქვესენელში ჩავიდე – იქაც ხარ!“ (ფს. 139:8). თუკი გჯერა იმის, რასაც წმიდა წერილი ამბობს და თუკი ენდობი ღმერთს, მაშინ რეალობა ისაა, რომ არ აქვს მნიშვნელობა რას გრძნობ ან რა ხდება, ღმერთი შენთანაა.

უფლის, ჩვენი ღვთის ხმას, დავიხოცებით! რადგან ვინ არის ის ხორციელი, ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ცოცხალი ღვთის ხმა რომ მოესმინოს და ცოცხალი დარჩენილიყოს ჩვენსავით? მიუახლოვდი და მოისმინე ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, იტყვის და მერე გვითხარი ყველაფერი, რასაც უფალი ჩვენი ღმერთი, გეტყვის! ჩვენ მოვისმენთ და შევასრულებთ!“
(მეორ. რჯ. 5:23-27)

ღმერთს სურდა გამოეველინა თავისი თავი მათთვის უდაბნოში, როგორც მოსესთან მოიქცა, მაგრამ მათ უკან დაიხიეს და მოსთხოვეს მოსეს: „შენ წადი და ელაპარაკე უფალს, შემდეგ მოდი ჩვენთან და გვითხარი: რას ამბობს უფალი? და ჩვენ გავაკეთებთ!“

ღვთის მეორე თანდასწრება, რომელიც ყველას გვიყვარს და ასევე ქრისტიანული ცხოვრების ნაწილია, დამონმებული თანდასწრებაა. „დაამონმო“ ნიშნავს, უბილავი დასანახად გამოიტანო, გაუგონარი – გასაგონად, ის რაც არ იცოდი – იმად, რაც იცი. ეს არის ის, როდესაც ღმერთი თავისთავს რეალურს ხდის ჩვენი ფიზიკური გრძნობებისათვის. საოცარია ამასთან შეჯახება, ეს შეიძლება მოხდეს: თავყვანისცემის დროს, პირადი ლოცვისას, ტყეში სეირნობისას, ყოველდღიური, ჩვეულებრივი აქტივობებისას – უსასრულოდ ბევრი გზით.

ასე რომ, როდესაც სულიერად მშვიერი და მოწყურებული ხარ უდაბნოში, თუკი ღმერთი არ მოდის და არ გაკურთხებს თავისი მშვენიერი, სულისშემკვრელი თანდასწრებით, უბრალოდ მოდუნდი და ჩაეჭიდე მის ალთქმებს, რომელთაგან მთავარია: „მე არ დაგტოვებ და არ დაგაგდებ!“ როდესაც ვხარობთ მისით, მაშინაც, როცა მისი დამონმებული თანდასწრება არ გვაქვს, ეს უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს ჩვენი უცვლელი სიყვარულის შესახებ მისდამი.

სამწუხაროდ, ეს ხალხი არასდროს იცნობდა ღმერთს, მათ მხოლოდ იცოდნენ შემოქმედის შესახებ. ამრიგად, მათ არასდროს შეეძლოთ ისე მოქცევა, როგორც ის ავალედა მათ. იმის გამო, რომ არ იცნობდნენ მას, მათ არ უხილავთ მინა, რომელიც მათთვის იყო აღთქმული და უდაბნოში დაიხოცნენ.

როდესაც ღმერთს უდაბნოში შეეყავართ, როგორც იოანეს, მოსეს, დავითის, იოსების, პავლეს და სხვათა შემთხვევაში იყო, ეს იქნება ჩვენს გამოსაცდელად, რათა დაინახოს, უფალი მოგვწყურდება თუ ის კომფორტი და სიამოვნება, რაც მოგვმორდა. იაკობი წერს:

„ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება! წუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს ინვევს ჩვენში დავანებული სულის ნადილი?“ თუმცა, უფრო მეტ მადლსაც იძლევა; ამიტომ ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ენინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“. ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან! ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ! დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმინდეთ გულები, ორგულნო!“ (იაკ. 4:3-8)

როცა ვუახლოვდებით ღმერთს, მისი ძიებით მთელი გულით, ისიც მოგიახლოვდება ჩვენ. ისრაელის შვილები საკუთარი სურვილებით (გულისთქმებით) მეტად იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ზეციერი მამის. ისინი მრუშები და მრუშობის მონაწილენი იყვნენ, ეძებდნენ მშვიდობასა და უსაფრთხოებას, რომელსაც ამქვეყნიური საშუალებები მოუტანდათ. მათ მალე დაივიწყეს, რომ ეს სიმდიდრე და დაცვა ვერ გადაარჩენდა ეგვიპტელებს ან მათ ჯარს.

ღმერთი ამბობს, რომ მასთან მისაახლოებლად, ორი რამ უნდა გავაკეთოთ. პირველი, უნდა განვიწმინდოთ ხელები. მეორე კორინთელთა 7:1 ამბობს: „ამრიგად, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმინდოთ ხორცისა და სულის

ყოველგვარი სიბილნისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სინმიდე!“ ცოდვა გვაშორებს ღვთისგან: „არამედ თქვენი ურჯულოება გახდა გამყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის, თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან და არ ისმენს!“ (ეს. 59:2).

მეორე, ჩვენ უნდა განვიზმიდოთ გულები. ამის გასაღები იაკობის სიტყვებია: „განიწმიდეთ გულები, ორგულნო!“ (4:8). ორგული, (ინგ. ორაზროვანი) ადამიანები სულსა და ხორცს შორის მერყეობენ. მათ არ მოუმართავთ თავიანთი გონება და სიყვარული ღვთის საქმეებისადმი. კოლასელთა 3:1-2 ამბობს: „ამრიგად, თუ ქრისტესთან ერთად აღსდექით, ეძიეთ რაც მაღლაა, სადაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ. ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე!“

რასაც დაუცხრომლად ეძიებ, სწორედ ისაა, რაზეცაა შენი სიყვარული დაყენებული. მთავარი სიტყვა აქ არის დაყენებული. როდესაც ქალი თმას იხვევს, მისი თმის თითოეული ღერი იცვლება ქიმიურად და კულულებადაა დაყენებული. ახლა მას ხვეული თმა აქვს, რადგანაც თითოეული კულული დაყენებულია. შეიძლება გაჭიმო ეს თმა, მაგრამ როდესაც დაძაბულობა ეშვება, ისევ იგივე მგომარეობას დაუბრუნდება, როგორაცაა დაყენებული.

ადამიანები შეიძლება დადიოდნენ ეკლესიაში, იყვნენ თაყვანისცემის გუნდში და მონაწილეობდნენ ქრისტიანულ აქტივობებში, მაგრამ საითაა მათი გონება, როდესაც ისინი რაიმე „არაქრისტიანულს“ აკეთებენ? ის იქ იქნება, სადაც დაყენებულია. როგორც კი ადამიანი ტოვებს ეკლესიის შენობას ანუ ქრისტიანულ ატმოსფეროს, მათი გონება დაუბრუნდება იმას, რაზეცაა დაყენებული, ისევე როგორც დახვეული თმა ბრუნდება სანყის მდგომარეობაში.

უამრავ ადამიანთან მილაპარაკია ეკლესიებში ქვეყნის გარშემო, ვინც თაყვანისცემის სიმღერებს მღერის, ტელეფონში ჩანიშნებს აკეთებს სიტყვის მოსმენისას და თავის დროს ეკლესიის სხვადასხვა მსახურებასაც კი უძღვნის. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არაა, მაგრამ ეკლესიის მსახურებებსა და მოხალისეობრივ შესაძლებლობებს შორის, ისინი განიხილავენ თემებს, როგორიცაა ფული, პროფესიონალური სპორტი, ტანსაცმელი, რა არის ახალი

სოციალურ მედიაში, ჰობი, საპირისპირო სექსი, საჭმელი, საყიდლებზე სიარული, ტელეფონის საყვარელი აპლიკაციები და ქვეყნიერებისთვის დამახასიათებელი მრავალი სხვა რამ. ისინი ანთებულნი ხდებიან ამ ყველაფრის განხილვისას, მაგრამ ბიბლიის კითხვა, ლოცვა, სხვების მომსახურება და ეკლესიაში სიარულიც კი, ისაა რასაც ისინი ვალდებულებს გამო აკეთებენ.

როცა კაცს ქალი უყვარდება და ინიშნება რომ დაქორწინდეს, შენ არ გჭირდება უთხრა ამ ადამიანს, რომ იფიქროს და ილაპარაკოს მასზე. ქალი მუდმივად მის გონებაშია და რალაცნაირი ნაპერწკალი გამოკრთება მის ხმაში, როცა მის სახელს ახსენებს. მიზეზი ისაა, რომ მისი სიყვარული, ანუ გული, მისკენაა მიმართული. მისი გული გაორებული არაა. ის არ ფიქრობს სხვა ქალზე. ის შეყვარებულია!

დავითი ამბობს ფსალმუნის 16:8-ში: „მუდამ ჩემს წინ წარმოვიდგენ უფალს“. მისი გონება გაორებული არ იყო. მისი გული წმიდა იყო. მას სხვა რალაცები აღარ ჰქონია გულში, რაც ისევე უყვარდა, როგორც უფალი. მისი ღვთისადმი სიყვარული ბევრად ფარავდა ნებისმიერ კარგს, რისი შეთავაზებაც ქვეყნიერებას შეეძლო. ის, რაც გვიყვარს, მოგვწონს ან ვენდობით მეტად, ვიდრე იესოს, კერპად იწოდება. დავითი წერს:

„ვინ ავა უფლის მთაზე ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე? ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სუეტაკი, ვინც ამოა კერპებს არ წაპოტინებია და ყალბად არ დაუფიცია“. (ფს. 24:3-4)

ადამიანი, რომელსაც არ უყვარს, მოსწონს ან ენდობა რაიმეს იესოზე მეტად, სწორედ წმიდა გულის მქონეა. იესო ამბობს მათეს 10:37-ში: „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი; ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი.“

უდაბნოს პერიოდისას, მოდით ნუ ვიქნებით ისრაელის შვილებივით, რომელთაც იმდენად უყვარდათ ამქვეყნიური ცხოვრება, რომ გამოტოვეს შესაძლებლობა, გაეცნოთ ღმერთი.

ესაიას 35:1-2 ამბობს:

„გაიხარებს უდაბნო და ურწყული მიწა, გამხიარულდება ყარაბა და მთის შროშანივით გაიფურჩქნება. გაიფურჩქნება, აყვავდება და ილხენს მხიარულებითა და სიმღერით; ლიბანის დიდება მიეცემა მას, ქარმელისა და შარონის ბრწყინვალება; უფლის დიდებას იხილავენ ისინი, ჩვენი ღვთის ბრწყინვალებას“.

სწორედ უდაბნოა ადგილი, სადაც ვლინდება ჩვენი უფლის დიდება!

მოდით, შევუერთდეთ ყველა დიდი წმიდანის საზოგადოებას, ვინც ჩვენამდე გაიარა! მოდით, მივუახლოვდეთ ღმერთს სუფთა ხელებითა და წმიდა გულით, როგორც დავითი, მოსე, პავლე, იოსები და ღვთის სხვა დიდებული მამაკაცები და ქალები მოიქცნენ!

3


აუცილებელი უდაბნო

უკან დაბრუნდი ყველა შენს გამოცდილებაში! იფიქრე, როგორ შეგიძლვა უფალი უდაბნოში და როგორ გკვებავდა და გმოსავდა ყოველ დღე! როგორ დაიბადა ღმერთი ყველა შენი ცუდი მანერიდან და გაუმკლავდა ყველა შენს ბუზლუნს და მისწრაფებებს „ეგვიპტის მგრძობელობითი სიამოვნების“ შემდეგ! იფიქრე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ღვთის მაღლი ყველა შენს პრობლემაში!

– ჩარლზ სპურგონი

„გატარა უფალმა უდაბნოში...რათა მოერჯულებინე და გამოეცადა, რომ შეეტყო, რა გაქვს გულში“.

– მეორ. რჯ. 8:2



პირველი ვიზიტი უდაბნოში, ჩემთვის სრული შოკი იყო. გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემი, როგორც იესო ქრისტეს მიმდევრის პირველი რამდენიმე წელი, გრძელვადიან თაფლობის თვეს ჰგავდა. ლიზა და მე დალასში, ტექსასში დავსახლდით და რაღაც პერიოდი ინჟინრად მუშაობის შემდეგ, ჩვენს ეკლესიაში მსახურებაშიც ჩავდექი. ჩემი „საქმე“ იყო მოვმსახურებოდი ჩემს მწყემს და მის ცოლს და დავხმარებოდი მასპინძლებს და მონვეულ სპიკერებს ჩვენს დიდ ეკლესიაში. რა სასიხარულოა! ვფიქრობდი, რომ სამოთხეში ვიყავი. მე ვზრუნავდი სახარების უდიდეს მსახურებზე მთელს დედამიწაზე, რადგან ჩვენი ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო ამერიკაში.

როდესაც ეს დიდებული ეროვნული თუ საერთაშორისო ლიდერები აეროპორტში ჩამოვიდოდნენ, მე იქ ვიყავი რათა ეკლესიაში ან იმ ადგილას წამეყვანა, სადაც ისინი რჩებოდნენ. მათი ვიზიტებისას, ყოველთვის მიმყავდა იქ, სადაც ისურვებდნენ წასვლას და მათთან ერთად ვსადილობდი. საათებს ვატარებდი ჩვენი თაობის უდიდეს მსახურებთან ერთად. ჩემი პირველი წელი ამ პოზიციაზე საოცარი, სიცოცხლით სავსე იყო.

მაგრამ შემდეგ რაღაცებმა გართულება დაიწყო. ძალიან, ძალიან გართულება. მე ამ დროს არ ვიცოდი ეს, რადგანაც ღმერთს არ გამოუცხადებია ჩემთვის ამის შესახებ, მაგრამ მე უდაბნოში შევდიოდი. ეს არის ადგილი, სადაც ღმერთი გვწვრთნის. ეს არის ადგილი, სადაც ჩვენი ხასიათი ვითარდება და ჩვენი რწმენა ძლიერდება. *აუცილებელი უდაბნო.*

წარმოიდგინეთ: შენ ხარ ისრაელიანი, ცოტა ხნის წინ განთავისუფლდი მონობისგან, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარე. ახლახანს გამოსცადე საშიში, თუმცა მაინც გამამხნეველებელი გზა გამმაგებელი, აბოპოქრებელი წყლის ორ კედელს შორის, რათა

უსაფრთხოდ და მშრალად გასულიყავი მეორე ნაპირზე. მოტრიალდი და დაინახე კედლები, რომლებიც გიცავდნენ, როგორ დაიკეტა შენი მტრებისთვის. შენი მტანჯველები განადგურდნენ, სამუდამოდ გაქრნენ! შენ სიხარულით ზეიმობ და ცეკვავ ღვთის გამარჯვებული ხსნის გამო! გრძნობ რომ დაუძლეველი ხარ, რადგან იცი, რომ ზეციერი მამა შენს მხარესაა. შენ აღარასდროს შეიტან ეჭვს მის ძალასა და ერთგულებაში!

მაგრამ ახლა სულ სხვა პეიზაჟი გაქვს: რამდენიმე დღე გავიდა, ამიტომ შენ დაღლილი, მწყურვალე ხარ და ძალიან გცხელა. შენ არ დგახარ „ალთქმული“ მიწის კარიბჭესთან; ამის ნაცვლად, უმიზნოდ დახეტილობ გველებითა და მორიელებით სავსე უდაბნოში. უკვე აღარ მღერი და ცეკვავ ღვთის წინაშე იმ ცხენისა და მხედრის შესახებ, რომელიც ზღვაში ჩავარდა, არამედ ეწუნუნები შენს ლიდერს: „რატომ გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? რომ წყურვილით მოგეკალით ჩვენც და ჩვენი შვილებიც და ჩვენი სახლეულიც?

ახლა შენს თავს შეხედე...გჯერა, რომ ღმერთმა თავისი ძალით დაგიხსნა მტრის ძალისაგან, მხოლოდ იმიტომ, რომ დაეტოვებინე უმიზნოდ და გაურკვევლად სახეტილოდ დაბნეულობისა და სიჩუმის უდაბნოში? ეს იყო მისი მიზანი? რა თქმა უნდა არა – ეს უბრალოდ აუცილებელი ადგილია, რომელსაც უნდა ესტუმრო გზად ალთქმული ადგილისკენ.

როგორც ისრაელის შვილები გამოიყვანა ღმერთმა ეგვიპტიდან უდაბნოში, ასევე მიგიძღვის შენც. ბოროტს არ შეუყვანიხარ აქ, ეს ღმერთმა გააკეთა. და ამას აქვს მიზანი – ღვთიური გეგმა ამ გვალვიანი პერიოდისთვის. პირველი, ის გვამდაბლებს ჩვენ, შემდეგ ის გვცდის. ის ამას აკეთებს, რათა ვიცოდეთ ჩვენი გულების რეალური ბუნება.

როგორ გვამდაბლებს? „გათვინიერებდა, გაშიმშილებდა და მანნას გაჭმევდა“ (მეორ. რჯ. 8:3). მან შიმშილობით დაამდაბლა ისრაელიანები. მაგრამ მისი შემდეგი წინადადება აცხადებს, რომ მან მანნათი გამოკვება ისინი. ურთიერთსაწინააღმდეგოდ ყდერს. როგორ შეეძლო, ეშიმშილებინა, როდესაც მანნათი კვებავდა?!

მანნა საუკეთესო საკვებია რაც შეგიძლია ჭამო – იგი ანგელოზთა მოტანილი ნამცხვარია! ელიამ ორმოცდღიან მოგზაურობაში მხოლოდ ორი ნაჭერით აღიდგინა ძალები. ის-

რაელიანებს კი უხვად ჰქონდათ ის. ისინი კვირაში ექვს დილას იღებდნენ ახალ ნაყოფს ზეციდან და ამ მეექვსე დღეს მანნა სასნაულებრივად ძლებდა მეშვიდე დღემდე. მათ ერთი დღეც კი არ გამოუტოვებიათ საკვები, მას შემდეგ რაც ღმერთა პირველად მისცა მანნა, სანამ ალთქმული მიწის ნაპირებზე დაბანაკდებოდნენ.

მაშინ რატომ თქვა უზენაესმა: „გაშიმშილებთო?“ რა შიმშილზე ლაპარაკობს იგი? ამის გასაგებად, დაფიქრდით მათ სიტუაციაზე! მოდით ასე ვთქვათ. საუზმედ მხოლოდ ერთი პური გქონდა. არც კარაქი, არც არაქისის კარაქი, არც ჯემი, არც თინუსი, *მხოლოდ პური*. ჩვენ არ ვლაპარაკობთ რამდენიმე დღეზე ან კვირაზე, არამედ *ორმოც წლიან* დიეტაზე!

როცა ახალგაზრდულის მწყემსი ვიყავი, 56 ახალგაზრდა ადამიანი ტრინიდადის ერში რვა დღიან მისიონერულ მოგზაურობაში წავიყვანეთ. ტრინიდადის ეკლესია ამზადებდა საჭმელს და ჩვენი მასპინძლები ყველაზე სასიამოვნო ხალხი იყო. მაგრამ ყოველდღე ვჭამდით ქათამს. ისინი მას სხვადასხვანაირად ამზადებდნენ და ბრინჯთან და ბოსტნეულთან ერთად მოჰქონდათ სუფრაზე, მაგრამ *ყოვეთვის ქათამი* იყო.

რვა დღე ქათმის ჭამის შემდეგ, გვშიოდა სხვა რამის ჭამა. სახლში დაბრუნებისას, ჩვენი ჯგუფიდან ერთ-ერთმა ახალგაზრდა კაცმა დედამისს ჰკითხა, თუ რა ჰქონდათ სადილად: „ქათამი!“ უპასუხა მან. მან ხმამაღლა დაიყვირა და ხვენწა დაუნყო, ჰამბურგერის საჭმელად წაეყვანა.

ტრინიდადში ჩვენ მხოლოდ რვა დღის შემდეგ ვღმერთობდით, შეგიძლია ორმოცი წელი წარმოიდგინო? არა ოთხი, არამედ *ორმოცი* წელი, ერთი და იმავე საჭმელი! ახლა ვხედავთ, როგორ აშიმშილებდა მათ ღმერთი. ის არ აძლევდა იმას, რაც მათ სურდათ, არამედ იმას, რაც რეალურად სჭირდებოდათ, რომ ცოცხლები და ჯანმრთელები დარჩენილიყვნენ.

კიდევ რა გარემოებები ჰქონდათ მათ ისეთი, რამაც მათი წყურვილი, ლტოლვა გამოიწვია იმისაკენ, რაც არ ჰქონდათ? ამ ამბის წაკითხვისას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შესანიშნავია ის, რომ მათი სამოსელი და ფეხსაცმელი არ გაცვეთილა — როგორ დაზოგავდა ეს ოჯახის ბიუჯეტს. თუმცა, როგორ მოგეწონებოდა ერთი და იმავე ტანსაცმელი გეტარებინა ორმოცი წლის განმავლობაში? როგორი მოსაწყენია! არანაირი

ვიზიტები სავაჭრო ცენტრებში და ახალი სტილების შემომნება ინტერნეტში. ყავისფერი სანდლების ერთი და იმავე ნყვილი ორმოცი წლის განმავლობაში!

დიახ, მათ დაკმაყოფილებული ჰქონდათ ძირითადი საჭიროებები – დაცვა სიცივისა და სიცხისაგან, მაგრამ იმის დიდი ნაწილი, რაც უნდოდათ, არ ჰქონდათ.

წარმოიდგინეთ ერთი და იმავე პეიზაჟის მონოტონურობა, დღიდან დღემდე – არა რამდენიმე კვირის, არამედ ორმოცი წლის განმავლობაში. როგორ მოგვეწონებოდა ერთი და იმავე კაკტუსის, ბუჩქების, დამსკდარი მიწის ყურება – არანაირი მშვიდი ნაკადულები, აყვავებული ტყეები, თვალწარმტაცი ვენახები, ან ლამაზი ტბები – მხოლოდ უდაბნო, დღიდან დღემდე.

მათ ჰქონდათ ის, რაც სჭირდებოდათ, მაგრამ არა ის, რაც სურდათ. ამის ფონზე, მოდით თავიდან გამოვიკვლიოთ ეს მუხლი:

„გათვინიერებდა, გაშიშვლებდა და მანნას გაჭმევდა... რათა მიმხვდარიყავი, რომ არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით“. (2რჯ. 8:3)

ღმერთმა აშიშვილა ისინი იმ ყველაფრის მოშორებით, რაც მათი ხორცის სურვილებს და მისწრაფებებს დააკმაყოფილებდა, მაშინ, როცა აკმაყოფილებდა მათ პირველად საჭიროებებს და შიმშილი ცდიდა მათ ამაში: ღმერთს უნდოდა, მათ დაენახათ ისურვებდნენ თუ არა უფალს იმის ნაცვლად, რაც უკან მოიტოვეს. მას დაუნყებდნენ ძიებას, თუ იმას რასაც მათი ხორცი სთხოვდათ? სამართლიანობის წყურვილი ექნებოდათ, თუ კომფორტისა და სიამოვნების? სამწუხაროდ, ისრაელიანების გულები არ იყო მიმართული იმ ერთისკენ, ვისაც მათი დაკმაყოფილება შეეძლო, ასე რომ, ისინი ჩაიჭრნენ ამ გამოცდაში:

„გულისთქმა დაეუფლა მათ შორის მყოფ ბრბოს, მათთან ერთად ისრაელიანებიც მოთქვამდნენ და ამბობდნენ: „ვინ გვაჭმევსო ხორცს? გვახსოვს თევზი, რომელსაც უსასყიდლოდ ვჭამდით ეგვიპტეში, აგრეთვე – კიტრი,

ნესვი, ხახვი და ნიორი. ახლა ჩამოვხმით, რადგან მანნას გარდა არაფერია ჩვენს თვალნინ“. (რიცხვ. 11:4-6)

მათ ახსოვდათ რა დატოვეს ეგვიპტეში, სადაც შეზღუდული და მონური ცხოვრებაც კი ახლა უმჯობესად მიაჩნდათ იმ მშრალ ადგილთან შედარებით, სადაც ღმერთი შეუძღვა. მათ ნუნუნი და ბუზლუნი დაინყეს, ხორცს მოითხოვდნენ. ღმერთმა მოისმინა მათი ღალადი:

„შეუსრულა თხოვნა, ჭამეს [ხორცი – მწყერი] და გაძღნენ მეტისმეტად, შეუსრულა სურვილი მათი. მაგრამ ჯერ კიდევ არ გამძღარიყვნენ, ჯერ კიდევ პირში ჰქონდათ საჭმელი, მომსვრელი სენი მოუვლინა“. (ფს. 106:15; 78:29-30)

გადარჩენის რჩევები უნი

მოგზაურობისთვის

№3 თავი შეიკავე ყველაფრის ხელებში აღებისაგან

ჩვენთვის, თვითდამწყები ამერიკელებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცდუნება უდაბნოში არის, სცადო რაიმეს მოხდენა. როცა გრძნობ რომ უფალმა დატოვა შენობა და მილიონი მილითაა დაშორებული, როცა ჩვენი ყველაზე მოკრძალებული მცდელობებიც, რომ რაიმე გავაკეთოთ სამეფოსთვის, ეცემა, როცა საათობით ლოცვა, შედეგად მხოლოდ მუხლების ტკივილს იწვევს, სასონარკვეთისას ყველაფერს ვიზამთ, რომ რაიმე მოხდეს. ეს ცუდი აზრია. უდაბნო არ არის ადგილი, სადაც რაიმე უნდა მოხდეს – ცოტა წყალი და მოსაბეზრებელი დიეტა. ამ უნაყოფობაში, ჩვენ ვსწავლობთ, რომ ცხოვრება გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ ვაკეთებთ ან გვაქვს. ამის ნაცვლად, ეს იმაზეა, თუ ვის ვიცნობთ ახლოს და ვასრულებთ მის სურვილებს ყოველდღე.

მათ მიიღეს ის, რაც სურდათ, მაგრამ ძვირად დაუჯდათ. ამ ხორციით სენი მოვიდა მათ სულებში. ამ სენის გამო ისინი ვერ ძლებდნენ, ვერ აბარებდნენ გამოცდას და შესაბამისად, ისინი არასდროს შესულან მის აღთქმულ მიწაზე! ცოდვა ხორცის მოთხოვნა კი არ ყოფილა, არამედ ის, თუ რას წარმოადგენდა ეს თხოვნა. ამან გამოავლინა მათი გულის უკმაყოფილება ღვთისა და გაძლოლისა და უზრუნველყოფის მისეული მეთოდისადმი. ამან, ასევე, მათი შინაგანი სურვილიც გამოავლინა ეგვიპტეში დატოვებული ცხოვრების შესახებ, რომელიც ახლა სასიამოვნოდ ახსოვდათ და დავინწყებოდათ, რომ იქ მონები იყვნენ.

ეს გამომავლიზებული გაკვეთილია ყველა ჩვენგანისთვის: თუკი მხოლოდ აღთქმულის სარგებლობებს ვეძიებთ და არა თავად მას, ვინც აღგვითქვა, არ გვექნება ძალა ჩვენი ცხოვრების უდაბნოებისათვის. ცხადია, რომ ჩვენ გავიხსენებთ კარგს იმ დღეებიდან, რომლებიც რეალური პერსპექტივით თუ

ერთ-ერთ უდაბნოში ყოფნისას ყოველი დღე კვირად მეჩვენებოდა და ყოველი კვირა ერთ თვეს ჰგავდა, რადგან მცირე ხედვა, მცირე ვნება, მცირე სტიმული მქონდა. და მაინც, მე სვლა უნდა გამეგრძელებინა. წინ უნდა მივწოლოდი, მივახლოებოდი ღვთის სიტყვას ჩემს გულში, მემსახურა რაც შეიძლებოდა კარგად, გამეგრძელებინა გამოხატვა და თავი შემეკავებინა მოუთმენელი საქციელისაგან. მუდმივად უნდა შემეხსენებინა ჩემი თავისთვის, რომ იქ ვიყავი, სადაც უფალს სურდა ჩემი ყოფნა. ის არ ფლანგავდა დროს და ის აღასრულებდა თავის აღთქმებს.

და დარწმუნებით, უდაბნო არ არის ადგილი, რომ რაღაცნაირად სცადო, რათა აამაღლო შენი თავი. გახსოვდეს, შენ იწმიდები და ემზადები, ამრიგად გულმოდგინე უნდა იყო, რომ დარჩე მტკიცე და წინ აღუდგე ცოდვის ნებისმიერ საცდურს!

უდაბნოს მაგისტრალზე, რომელსაც უფალი აშენებს, ყოველთვის მასთან ერთად ირბინე. ნუ გადანწყვეტ გაუსწრო, თუკი გეჩვენება რომ ძალიან ნელა მოძრაობს!

შევხედავთ, სულაც არ იყო კარგი, არამედ მონობის უღელის დღეები იყო.

ერთია, ეძებო უფალი იმისათვის, თუ რისი მოცემა ან გაკეთება შეუძლია შენთვის. სრულიად სხვაა ეძებო უფალი იმისათვის, თუ ვინ არის ის. პირველი არჩევანი, შენი სარგებლისთვისაა და შენი ეგოისტური მოტივი გამოიწვევს, მაგრამ ეძებო უფალი იმისათვის თუ ვინ და რა არის, ააშენებს იმ ახლო და ძლიერ ურთიერთობას, რომელიც ყველას გვინდა.

ნაკურთხი სიმწირე

როგორც სავარაუდოდ ველოდით, უნაყოფო უდაბნოში ცხოვრება რესურსების სიმწირეს მოიცავს – ეს არის დრო, როცა იღებ იმას, რაც ემოციურად, ფიზიკურად ან მატერიალურად გჭირდება და არა რაც გსურს. ღმერთი დაგვპირდა რომ იზრუნებდა ჩვენს საწყის საჭიროებებზე, ამრიგად, უდაბნოში იგი უზრუნველგვყოფს ყოველდღიური პურიით და არა რაიმეს სიუხვით.

როცა ამერიკისთვის კარგი პერიოდი დგას, შეიძლება ვთქვათ, რომ არაჩვეულებრივად ვცხოვრობთ. უდაბნოში ამას ვერ ვიტყვით! ეს გამოცდილება, შეიძლება მრავალი სახის დანაკარგს მოიცავდეს. ეს არის დრო, როცა განიცდი იმას, რაც სოციალურად გჭირდება და არა რაც გინდა. უდაბნოში ღმერთმა იცის რა გჭირდება სულიერად და ეს შეიძლება სულაც არ იყოს ის, რაც გგონია რომ გჭირდება. ის ამ დროს აკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებებს – და არა მაინცდამაინც ჩვენს სურვილებს.

უდაბნოს მიზანი ჩვენი განწმედა და გაძლიერებაა. ჩვენი საქმეა, ვიყოთ მისი გული და არა მისი დაცვა. როცა სიუხვის პერიოდში ვართ, არ დაგვაზინყდება, რომ უფალი, ჩვენი ღმერთია ის, ვინც გვაძლევს სიუხვეს, რათა დააფუძნოს თავისი ნაშთი (მეორ. რჯ. 8:2-18).

საწყისი პრობლემა ისაა, რომ საჭიროებისა და სურვილის ჩვენეული განმარტება განსხვავდება რეალობისაგან. ჩვენს სურვილებს „საჭიროებებს“ ვეძახით, როცა ასე არაა! იქნებ ბევრმა ჩვენგანმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს, რას გულისხმობს პავლე:

„გაჭირვების გამო არ ვამბობ, ვინაიდან ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაც მაქვს. ვიცი გაჭირვებაში ცხოვრებაც და ვიცი სიუხვეშიც, მიჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: სიმაძღრესა და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას. ყოველივე ძალმიძს ჩემი გამაძლიერებლის, ქრისტეს მეშვეობით“. (ფილ. 4:11-13AMPC)

პავლემ იესოს ძალის მეშვეობით ისწავლა, რომ შეიძლებოდა ისეთივე კმაყოფილი ყოფილიყო მშრალ დღეებში, როგორც სიუხვეში. ჩვენ თითქოს ვერც დასავლეთის ეკლესიაში ვისწავლეთ დაკმაყოფილება, სადაც, სამწუხაროდ, ბევრი სიუხვეშიც არაა იმაზე მეტად კმაყოფილი, ვიდრე ისინი, ვისაც აკლიათ. თუკი არ ვფლობთ იმას, რასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენ გვეკუთვნის, ვფიქრობთ, რომ ლატაკები ვართ. ჩვენ ვასამართლებთ ადამიანთა რწმენას და ვზომავთ მათ სულიერებას მათი ქონების მიხედვით, იმით თუ რამდენად წარმატებულნი არიან, ან მათი სოციალური სტატუსის მიხედვით, როცა ამის ნაცვლად, მათი ხასიათი და რწმენა უნდა დავაფასოთ.

ისრაელიანებმა ეგვიპტე დიდი ქონებით დატოვეს, რაც ეგვიპტელთა გაძარცვის შედეგად ჰქონდათ – ვერცხლის და ოქროს ნივთებით და კარგი შესამოსელით. მაგრამ მათ ეს ძვირფასი მეტალები უდაბნოში კერპთა ასაგებად გამოიყენეს. შემდეგ ძვირფას შესამოსელში გამოეწყვენ და მათ წინაშე ცეკვა დაიწყეს. ეს ქონება რეალურად ღვთისმოსავობაზე არ მიუთითებს, პირიქით, ამის საწინააღმდეგოა სიმართლე. ეგვიპტიდან გამოსულთა საწყისი წევრებიდან მხოლოდ ორს ჰქონდა ისეთი თვისებები, რომ შესულიყვნენ აღთქმულ მინაზე. მხოლოდ იეშუა და ხალები შევიდნენ, რადგან მათ განსხვავებული სული ჰქონდათ – ისინი მთლიანად მიჰყვებოდნენ ღმერთს (რიცხვ. 14:24).

ჩვენი ღირებულებების სისტემა დამახინჯებულია, თუკი ერთმანეთს იმ სტანდარტის მიხედვით ვაფასებთ, თუ რა გვაქვს და არა ვინ ვართ.

მეორე მხრივ, ხშირად, როცა ქრისტიანები ფინანსურ სიუხვეში შედიან, ან შესაძლოა ლიდერობის და გავლენის პოზიციას იკავებენ, ისინი ამას უყურებენ, როგორც ღვთის ნებართვას, აკეთონ ის, რაც სურთ! ისინი ყიდულობენ რაც სურთ, ხარჯავენ ფულს პირად სურვილებზე, ან იყენებენ საკუთარ პოზიციასა

თუ გავლენას მათ სასარგებლოდ. ასე მოქცეულები, ძირითადად ისინი არიან, ვინც ზერელედ მოეპყრო გვალვის პერიოდებს. რეალურად, ფინანსურ კურთხევას და დიდ ძალაუფლებას მეტი დამოკიდებულება უნდა მოჰქონდეს უფლისადმი, მისი მიზნისა და გაძლოლისადმი.

დაფიქრდით იესოს დამოკიდებულებაზე თავის მსახურებაში. იგი არ ყოფილა ეგოისტურად მოტივირებული. მან თავის თავზე აიღო ჩვენი ცოდვა, დაავადება და სიკვდილით დასჯა. იგი ჩვენს კეთილდღეობას უფრო აფასებდა, ვიდრე თავისას, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ცოდვისგან თავისუფალი იყო. მისი მიზანი ცხოვრებისა და მსახურებისადმი არ ყოფილა თვითმომსახურება, არამედ თვითგაცემა! საკუთარი თავის უარყოფით, მან უდიდესი საჩუქარი – საუკუნო სიცოცხლე გასცა.

უდაბნოში ყოფნისას, ხასიათის ასეთი სიმწიფე ვითარდება ჩვენში ღვთის მიერ. უდაბნო არის ადგილი, სადაც სულის ნაყოფის დამუშავება ხდება. მისი გაცნობის დიდი სურვილით მორწყულები, ჩვენ ვსწავლობთ ვიაროთ, როგორც ის დადის.

4


ურთიერთობა

გასაოცარია, რამდენი სირთულე ლაგდება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, როდესაც შინაგანი ცხოვრება ინყებს წელში გასწორებას.

– ა.ვ. ტოზერი

„თუ მე გიყვარვართ, დაიცავთ ჩემს მცნებებს“.

– იოანე 14:15



რისი მიღება სურს ღმერთს იმით, რომ ლაშქრობას აწყობს უდაბნოში ჩვენთვის? ჩვენ უკვე შევეხეთ რამდენიმე სარგებელს ჩვენთვის და გავაგრძელებთ, სხვებსაც დავფარავთ – მაგრამ არის რაიმე მასში უფლისთვისაც? დიახ, არის. მას სურს გააძლიეროს ჩვენი ურთიერთობის დონე. ის ისწრაფვის იმისკენ, რომ ჩვენ ახლოს ვიყოთ მასთან. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი დიდად არაა დაინტერესებული უფალთან ურთიერთობის სარგებლობის მიღებით და ნებას აძლევს ვნებებს, უკუეჭვებს.

როდესაც ლიზაზე ვიყავი დანიშნული, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე ვიყავი მასზე შეყვარებული. გამუდმებით მასზე ვფიქრობდი. ყველაფერს გავაკეთებდი, რომ რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა მასთან. თუკი რაიმე სჭირდებოდა, არ ქონდა მნიშვნელობა, რას ვაკეთებდი, მანქანაში ჩავსტებოდი და მივუტანდი.

მახსოვს, ერთხელ თითქმის ხუთი საათი გავატარეთ ერთად მისი მშობლების სახლში. უხალისოდ წამოვედი. თითქმის მისული ვიყავი სახლთან, როცა ტელეფონმა დარეკა. ეს ლიზა იყო, რომელმაც ტკბილი, მიმზიდველი ხმით მითხრა: „ძვირფასო, ქურთუკი დაგჩა ჩემთან.“

ეს იყო მუსიკა ჩემი ყურებისთვის. დაყოვნების გარეშე, სიხარულით ვუპასუხე: „მამინ სხვა რა გზა მაქვს, უკან უნდა დავბრუნდე და წამოვიღო.“

მივედი და კიდევ სამი თუ ოთხი საათი გავატარეთ ერთად. საოცარი დღე იყო.

იმ დღეებში, თუკი შუალამისას დამირეკავდა და მეტყოდა: „ძვირფასო, ძალიან მინდა ნაყინი!“ სიხარულით ვუპასუხებდი: „ათ წუთში შენთან გავჩნდები! რისი ნაყინი გინდა?“ ვეძებდი

დროსა და მიზეზს, რომ მასთან ვყოფილიყავი. მისდამი ჩემი ძლიერი სიყვარულის გამო მახარებდა, როცა იმას ვაკეთებდი, რაც მას სურდა. მე ამ ყველაფერს იმისათვის არ ვაკეთებდი, რომ დამემტკიცებინა, რომ მიყვარდა; მე ვაკეთებდი ამას, რადგანაც მიყვარდა.

მე არ მჭირდებოდა ძალდატანება, რომ ადამიანებთან მის შესახებ მესაუბრა...ქებას ვასხამდი ნებისმიერთან, ვინც მომისმენდა. თუკი ვინმესთან საუბარი მოსაწყენი ხდებოდა, მაშინვე ვცდილობდი ლიზაზე და ჩვენს მომავალ ქორწინებაზე დამეწყო საუბარი. შეყვარებული ვიყავი!

თუმცა, ქორწინებიდან რამდენიმე წელიწადში, ჩემი ყურადღება სხვა რაღაცებზე გადავიტანე, როგორცაა სპორტი, აქტივობებიმეგობრებთანერთადდაგანსაკუთრებით, მსახურება. ახლა უკვე მომაბეზრებელი იყო მასთან დიდი დროის გატარება ან რაიმეს გაკეთება მისთვის. ლიზა უკვე იმდენად აღარ იყო ჩემს ფიქრებში. საჩუქრებს მხოლოდ შობას, ქორწინების დღეს და დაბადების დღეზე ვჩუქნიდი და ესეც ცოტა არასასიამოვნო იყო. რეალურად, ერთ-ერთ ვალენტინობას, მისთვის საჩუქრის ყიდვა დამავიწყდა. სხვა საშველი არ მქონდა, ბოდიში უნდა მომეხადა. სამწუხარო რეალობა იყო ჩემი მოუმნიფებლობა, რომ დამენახა ჩვენი ქორწინების პერიოდის ნიშნები. ჩვენი კავშირი დაიძაბა; ჩემი პირველი სიყვარული კვდებოდა!

ისეთი მაღლიერი ვარ, რომ ნელ-ნელა ღმერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და შემოაბრუნა ჩემი გული. მან დამანახა, რამდენად ეგოისტი გავხდი. მან კვლავ აანთო ჩვენი სიყვარულის ცეცხლი და განკურნა ჩვენი ქორწინება.

დაახლოებით მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ჩვენს ურთიერთობაში ღმერთთან. ბევრმა ქრისტიანმა მიაღწია კომფორტის ზონას, ადგილს სადაც დარჩენას იწყებენ და არა გაყოლას. ისინი აღარ მისდევენ ღმერთს. მათ საკუთარი სულიერი სტანდარტები დაინესეს საკუთარი თავის სხვებთან შედარებით ან იმით, რომ, რასაც ისინი გრძნობენ ადეკვატურია. ამ მხრივ, მათ შეწყვიტეს ღვთის, როგორც პიროვნების ღრმად გაცნობის ძიება. ფოკუსმა ყოველდღიურ საქმეებზე, წარმატების მიყოლაზე, ამ ცხოვრების საზრუნავებზე გადმოინაცვლა. ახლა უფალს მისი კურთხევების გამო ეძებენ და არა იმისათვის, რომ გაიცნონ. მათ საკუთარი გულების შეცდომაში შეყვანა დაიწყეს,

ზეციერი მამისგან საკუთარი თავისკენ შეატრიალეს. შესაძლოა, ისინი აგრძელებენ „ქრისტიანული“ მეგობრობის განვითარებას და მათი სტატუსის ან პოზიციის შენებას ეკლესიაში, მაგრამ მისთვის აღარ იუნჯებენ, ვინც სიცოცხლე მისცა.

როცა დროს შემოქმედის სარგებლობებისა და კურთხევების ძიებაში ვატარებთ, იმის მაგივრად რომ მასთან ახლო ურთიერთობა გვინდოდეს, ადვილად ვტყუვდებით. მოდით, გულწრფელები ვიყოთ! თავზე ხელს ვისვამთ თუკი საათებს ლოცვაში ვატარებთ, მაგრამ თუკი ამას მისი უპირატესობის გადმოსახედიდან შევხედავთ, გავაცნობიერებთ, რომ უბრალოდ მის გამოყენებას ვცდილობთ. იგი დაყვანილია დახმარების წყაროდ საჭიროების ჟამს. მაგრამ მას იმდენად ვუყვარვართ, რომ მოტყუებულებს ვერ დაგვტოვებს. ის იგივეს გააკეთებს ჩვენთვის, რაც გააკეთა იმ უამრავისთვის, ვინც მას ეძებდა:

„მეორე დღეს ზღვის გაღმა მდგარმა ხალხმა დაინახა... რომ იქ აღარც იესო იყო და აღარც მისი მოწაფეები, ამიტომ თავადაც ჩასხდნენ ნავებში და კაპერნაუმში მივიდნენ იესოს საძებნელად. ზღვის გაღმა რომ მიაგნეს, ჰკითხეს: „რაბი, აქ როდის მოხვედი?“ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, სასწაულის გამო კი არ მეძებთ, რომელიც იხილეთ, არამედ იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძებით“. (იოან. 6:22-26)

იესომ იცის რეალური მოტივაცია ჩვენს ქმედებებს მიღმა. როდესაც უამრავმა ადამიანმა მისი ძებნა დაიწყო, მან გაარჩია რომ ისინი სხვა კურთხევით (უფასო საჭმლით) უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ნიშნების ხილვითა და გაგებით. ნიშანი მიმართულებას ან ინფორმაციას გვაძლევს — თავად არ მიგვითითებს. იესომ იცოდა რომ ბრბო რეალურად მას იმ ნიშნების გამო კი არ მიჰყვებოდა, რომელიც ავლენდა თუ ვინ არის ის, არამედ მხოლოდ საკუთარ მუცელთა ამოსავსებად.

იცნობთ ისეთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ მაშინ გეკონტაქტებათ, როცა რაიმე სჭირდება ან უნდა თქვენგან? ან უარესი, გგონებიათ, რომ ვიღაცას თქვენთან მეგობრობა უნდა და მხოლოდ შემდეგ აღმოგიჩენიათ, რომ მხოლოდ რაღაცის: გავლენის, ფულის, მატერიალური კარგის — მიღება

სურდათ თქვენგან? არ არსებობდა რეალური დაინტერესება ან სიყვარული თქვენდამი, არამედ მხოლოდ დრო, რომელიც მათ მიზნებს ემსახურებოდა. *მტკივნეულია*, იყო ამგვარად გამოყენებული!

ამ ეგოისტური დამოკიდებულებითაა გაჟღენთილი საზოგადოება, ისევე როგორც ქრისტეს სხეული. ეკლესიაში ბევრია დაუკმაყოფილებელი; მათი სიყვარული ქრისტესადმი გაცივდა. ისინი ღმერთს პირადი სარგებლისთვის ემსახურებიან და არა ძლიერი სიყვარულის გამო, იმისთვის, თუ ვინ არის ის. ამრიგად, რამდენადაც უზენაესი მათ *სურვილებს* უზრუნველყოფს, ისინი ბედნიერები და აღფრთოვანებულები არიან ღვთით. მაგრამ, როცა პრობლემები მოდის და ცხოვრება რთულდება, მათი გულის მოტივი ვლინდება.

ყოველთვის, როცა ფოკუსი *საკუთარ თავზეა*, ნუნუნნი გარდაუვალია. რატომ? რადგან პრობლემა და სირთულე გარდაუვალია. როცა მოვა, ეგოიზმით ანთებული ნუნუნნიც დაიწყება. რამდენადაც გაგრძელდება სირთულე, იგივენაირად ნუნუნნიც. ეს ნიმუში კიდევ ერთხელაა ილუსტრირებული ისრაელიანების მიერ. როდესაც ღმერთმა იხსნა ისინი ეგვიპტეში ფარაონის მმართველობაში საშინელი ცხოვრებისგან, ხალხმა გაიხარა:

„აილო წინასწარმეტყველმა მირიამმა, აჰარონის დამ, დაფდაფი ხელში და მიჰყვა ყველა ქალი უკან დაფდაფებითა და ფერხულით. და ხოტბით უპასუხა მირიამმა: „უგალობეთ უფალს, რადგან ფრიად განდიდდა იგი; ზღვაში ჩაყარა ცხენი და მხედარი“. (გამოს. 15:20-21)

ხალხი უფრო ბედნიერი ვერ იქნებოდა. ისინი აღვსილნი იყვნენ შემოქმედის სიდიადით, სასწაულმოქმედი ძალით და სიკეთით, როცა თავიანთი დამატყვევებლებისაგან იხსნა. მხოლოდ სამი დღე იყო გასული, როცა შურის უდაბნოში მწარწყლებს შეეჯახნენ და ნუნუნნიც დაიწყო: „რა დავლიოთ?“ ეკითხებოდნენ მოსეს (გამ. 15:24). ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნუთუ იგივე ღმერთს, რომელმაც ახლახანს გააპოვნიტელი ზღვა, არ შეეძლო სუფთა წყალი მიეცა მათთვის? იგივე გმირი ლიდერი არ იყო მოსე, როგორიც სამი დღის წინ იყო?

ღმერთმა საბოლოოდ გაამტკნარა მწარე წყლები. მაგრამ ამ სასნაულის ხსოვნაც მალე გაქრა. რამდენიმე დღის შემდეგ

ბაღარჩენის რჩევები შენი მოგზაურობისთვის

№4 გახადე შენი დღის წესრიგი ცხადი

ერთ-ერთი ჩემი ადრეული უდაბნოს განცდისას, მართლა ძალიან ვცდილობდი დადებითი დამოკიდებულება შემენარჩუნებინა, რადგან თითქოს არაფერი აპირებდა შეცვლას. რეალურად, მხოლოდ ლოდინი არ იყო ის, რაც მანუხებდა – ეს იყო ტკივილი, რომელსაც ამ მოლოდინის დროს განვიცდიდი. უბრალოდ დაღლილი ვიყავი ამ მომაბეზრებელი სიტუაციით, რომელიც თითქოს მბლოკავდა და საშუალებას არ მაძლევდა ჩემი ღვთისგან მოცემული ოცნებისკენ, მოგზაურობისა და ქადაგების მსახურებისკენ მევლო. უფალმა მითხრა, რომ იგი ამ უდაბნოს ჩემს განსანმედად იყენებდა. მაგრამ ერთ დღეს, როცა ღმერთს ისეთ თემებზე ვეკითხებოდი როგორიცაა: რატომ იყო ეს „უდაბნოს ლაშქრობა ასეთი გრძელი“, უფალმა გამახსენა: „მე მინდა, დავინახო, მე მემსახურები თუ ოცნებას.“

ოჰ, ამან ნამდვილად მიიპყრო ჩემი ყურადღება! მთელი ჩემი ფიქრები და ლოცვა იქითკენ უნდა მიმემართა, თუ რა იდგა ჩემს დღის წესრიგში, ძალიან კარგი ოცნება, რომ გამეგრცელებინა სახარება მთელს დედამიწაზე, თუ უკეთესი მიზანი, ღვთის ნდობით მორჩილება და მისთვის დალოდება, რომ ელაპარაკა და ემოძრავა. მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებოდი მის სურვილებთან სინქრონიში.

ამრიგად, ჩემი რჩევაა: ნუ მისცემ შენს არაჩვეულებრივ, უფლისგან მოცემულ ოცნებას უფლებას, უფრო პრიორიტეტული იყოს, ვიდრე ღვთის თანდასწრებაში ცხოვრება და მხოლოდ იმის კეთება, რასაც შენი მამა ისურვებს.

ადამიანებმა გააგრძელეს ნუნუნი – ამჯერად საჭმელზე. ისინი ბუტბუტებდნენ: „ჩვენთვის უკეთესი იყო, სანამ ღმერთი დაგვიხსნიდა.“ მართლა? უკეთესია აკეთო აგურები, როცა დაცვა მათრახით გიჭრელებს ზურგს?

„ებუზღუნებოდნენ ისრაელის ძეთა ყოველი თემი მოსესა და აჰარონს უდაბნოში. უთხრეს ისრაელის შვილებმა: „ნეტავ, მომკვდარიყავით უფლის ხელით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორციტ სავსე ქვაბებს ვუსხედით და პურს ძლომამდე ვჭამდით!“ (გამოს. 16:2-3)

რთულ, გვალვიან პერიოდში, როცა ნუნუნი იწყება, იგი ძირითადად მიმართულია ლიდერისაკენ, ოჯახის წევრებისკენ, მეგობრებისკენ, მტრებისკენ – მთავრობისკენაც კი. ჩვენი უმრავლესობა (შიშიდან გამომდინარე) ვერასდროს დავასახელებთ ღმერთს ჩვენი გასაჭირის წყაროდ. შესაბამისად, ისრაელიანები ნუნუნებდნენ მოსესა და აარონის წინააღმდეგ, მაგრამ უდავოა, რომ ისინი რეალურად ფიქრობდნენ, რომ უფალმა გაუცრუა მათ იმედი! მოსემ დაინახა ეს მათში და მოუწოდა ტაბლახზე: „ჩვენს კი არა, უფლის წინააღმდეგაა თქვენი დრტვინვა“ (გამოს. 16:8)

უდაბნო ავლენს ჩვენი გულის მოტივებს – ეგოისტურია ისინი თუ არა. სთხოვე სულიწმიდას გაჩვენოს, თუ რა ხდება რეალურად შენს გულში; რა გამოძრავებს? რა დამოკიდებულება ან ქცევა გტოვებს შენი „ეგვიპტის“ მონობაში ან იწვევს შენს ნუნუნს უდაბნოში? შენი მომავლის ჯანმრთელობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, იყო გულწრფელი და ღია მისი სიყვარულით სავსე შესწორებებისათვის.

კარგი სიახლე ყველა ჩვენგანისთვის ისაა, რომ არაფერი გვაჩერებს მონანიებისა და ჩვენი გულის მდგომარეობის ცვლილებისაგან! ნებისმიერ წამს შეგვიძლია, შევწყვიტოთ ბუზღუნი და დავინწყოთ ღმერთთან ურთიერთობის ძიება იმის მაგივრად, რომ მხოლოდ წყაროდ გამოვიყენოთ იგი.

სიყვარულიდან შემდეგ ღმერთმა შეიძლება უდაბნოში გაგვეზავნოს.

ღმერთი მეტია, ვიდრე ფორმულა

თავად ღმერთი არ იყო ის, ვისაც ისრაელიანები მისდევდნენ, ამრიგად მათ არ იცოდნენ მისი გზები. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ მისი ყოვლისშემძლე ქმედებებით, მაგრამ, როგორც კი შემოქმედის ზებუნებრივი ძალა აღარ ჩანდა, უაზროდ ხეტიალს იწყებდნენ. თუკი მოსე მთაზე იყო, ისინი დინებას მიჰყვებოდნენ და ერთობოდნენ. ისინი მხოლოდ ხსნის სარგებლობით იყვნენ კმაყოფილნი. მეტად აღარ ისწრაფოდნენ უზენაესისკენ და იმისკენ რომ ახლოს გაცნობოდნენ მას.

ერთ დღეს უდაბნოში ღმერთმა უთხრა მოსეს ჩასულიყო დაბლა და ეთქვა ხალხისთვის რომ განენმიდათ საკუთარი თავი, რადგან იგი სინას მთაზე მოდიოდა მათთან სალაპარაკოდ, როგორც მანამდე მოსეს ელაპარაკა. თუმცა, როცა ეს დღე დადგა და ღმერთი გამოჩნდა თავისი ბრწყინვალეებით და დიდებულებით, ხალხმა ვერ გაუძლო ამას:

„ხედავდა მთელი ხალხი ჭექა-ქუხილს, აკვამლეულ მთას, ცეცხლის ალს და ისმენდა საყვირის ხმას; იხილა ხალხმა, შეკრთა და დადგა მოშორებით. უთხრეს მოსეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით!“ (გამოს. 20:18-19)

ისინი თხოვდნენ მოსეს: „შენ ელაპარაკე ღმერთს ჩვენს მაგივრად და გვითხარი რას იტყვის და ჩვენ შევასრულებთ?“ (პერიფრაზი), კვლავ აჩვენებდნენ მათ ეგოისტურ სურვილს, მიეღოთ უფლისგან სარგებლობა მასთან ურთიერთობის გარეშე. შესაძლოა, მათ კარგი განზრახვა ჰქონდათ – მათ სურდათ, დაეცვათ ღვთის სიტყვა, მაგრამ მასთან პირადი ურთიერთობის გარეშე, ისინი მას ვერ გაჰყვებოდნენ.

ისრაელიანებს სურდათ პასუხები მათ პრობლემებზე და არა ურთიერთობა, ამრიგად, გამოიცანინ: რა მოხდა? – ღმერთმა მისცა მათ ათი მცნება! მაგრამ არც ამას გამოუსწორებია პრობლემები. ყოველ მომდევნო თაობაში ადამიანები ამტკიცებდნენ, რომ არ შეეძლოთ ამ მცნებების დაცვა.

და რა შეიძლება ვთქვათ დღეს ჩვენს თაობაზე? რამდენი

ჩვენგანი ცდილობს საუკეთესო განზრახვით დაიცვას ღვთის გზები? ჩვენ აღტქმებსა და დაპირებებს ვიძლევი, რომელსაც არ ვასრულებთ, სანამ იმდენად უნაყოფონი არ ვხდებით, რომ ძლივსღა შეგვიძლია, ხმა ავიმალლოთ ლოცვაში. შეიძლება ნელ-ნელა მივუბრუნდეთ მწყემსს, ჩვენს მეუღლეს, მეგობარს, საყვარელ ბლოგერს, იმ იმედით, რომ როგორმე მათ მიერ შემოქმედის ძიებას მივისაკუთრებთ და გავაუმჯობესებთ ჩვენს ურთიერთობას ღმერთთან. როგორც ისრაელიანები, ჩვენ ვცდილობთ, დავიცვათ უფლის სიტყვა, მისი მცნებები – სიცოცხლის მიმცემი, პირადი ურთიერთობის შენარჩუნების გარეშე მასთან. იესო ამბობს იოანეს 14:21-ში: „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მას, ის არის ჩემი მოყვარული, ჩემს მოყვარულს კი მამაჩემიც შეიყვარებს; მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები.“

კვითხულობდი ხოლმე ამ მუხლს და ვფიქრობდი, როგორ თქვა უფალმა: „ჯონ, თუ დაიცავ ჩემს მცნებებს, დაამტკიცებ, რომ გიყვარვარ.“ შემდეგ, ერთ დღეს, უფალმა მიმითითა ხელახლა წამეკითხა ეს მუხლი. როცა წავიკითხე, მან მითხრა: „კიდევ ვერ გაიგე, რას ვამბობ – თავიდან წაიკითხე!“ კარგი, უფალო! ასე გაგრძელდა, სანამ მუხლი ცხრაჯერ თუ ათჯერ არ წავიკითხე.

საბოლოოდ, შევღალადე: „უფალო, მაპატიე ჩემი უმეცრება; მაჩვენე, რას ამბობ!“

„ჯონ, მე არ ვამბობ, რომ თუკი ჩემს მცნებებს დაიცავ, დაამტკიცებ, რომ გიყვარვარ“ – თქვა მან. „მე უკვე ვიცი გიყვარვარ თუ არა! მე იმას ვამბობ, რომ თუკი ადამიანი თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე შეყვარებულია ჩემზე, მას შეეძლება დაიცვას ჩემი მცნებები!“

მივხვდი! ეს ურთიერთობაა და არა რჯული. მე ამას როგორც ბრძანებას – რჯულს ვუყურებდი. მან კი ურთიერთობის მნიშვნელობა გამოავლინა.

- ღმერთს ვერ გაცინობ წესებისა და რეგულაციების მეშვეობით!
- ღმერთს ვერ იპოვი მეთოდებში!
- წმიდა, ყოვლისშემძლე უფალს ვერ დაიყვან ფორმულამდე!

თუმცა არსებობს რალაც ალტემები, რომლებიც ბევრ ჩვენგანს აქვს ღვთისადმი. უფალთან ურთიერთობას ჩვენ „კანონებითა და ფორმულებით“ ვანაცვლებთ, როგორცაა შვიდი ნაბიჯი ბედნიერებამდე, ოთხ პუნქტიანი გეგმა გადარჩენისთვის, წარმატებული ურთიერთობის ხუთი ასპექტი, დამტკიცებული მეთოდი ნაპასუხები ლოცვებისთვის. წარმოვიდგინოთ, რომ ღმერთი როგორღაც დაპირებების ყუთშია მოთავსებული, რომელიც სათითაოდ შეგვიძლია გამოვქაჩოთ და საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ. თუკი უზენაესს ასე ვუდგებით, გასაკვირია, რამდენად რთულია ცოდვასთან გამკლავება?

ღმერთი არ არის უახლესი თვითდახმარების ფორმულა! იგი ცოცხალი ღმერთია, რომელიც ცოცხლობს მის შვილებში – შენში და ჩემში. მას სურს გვიცნობდეს და ჩართული იყო ყველაფერში რანიც ვართ და რასაც ვაკეთებთ! ეს გულწრფელ სიყვარულს ეხება. ადამიანური მისწრაფების ფონზე, რომ ნება მივცეთ ჩვენს სიყვარულს, განადგურდეს. გასაგებია, თუ რატომ ამბობს იესო:

„მაგრამ შენს სანინაალმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, სად დაეცი, მოინანიე და აკეთე პირვანდელი საქმეები. თორემ მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სალამპრეს თავისი ადგილიდან, თუ არ მოინანიებ!“ (გამოცხ. 2:4-5)

სხვა ისრაელიანებისგან განსხვავებით, მოსეს არ სურდა, შორიდან ეცა თავყვანი ღვთისათვის. როდესაც მან უფალი დაინახა მის თანდასწრებაში, მას უკან არ დაუხევია. წინ წავიდა. გამოსვლის 20:21-ში ვკითხულობთ: „მოშორებით იდგა ხალხი, მოსე კი მივიდა ნისლთან, სადაც ღმერთი იყო.“ მიუხედავად იმისა, რომ მოსეს ჰქონდა გავლენა და ძალა, ის იყო სამ მილიონიანი ერის ლიდერი, ადამიანი რომელიც ყველაზე გასაოცარი ნიშნებისა და სასწაულების ნაწილი იყო ძველ ალტემაში, მან იცოდა, რომ მხოლოდ ეს არასდროს დააკმაყოფილებდა მას. ნახეთ მისი ლოცვა, ამ საოცარი ნიშნებისა და სასწაულების ნახვის შემდეგ:

„თუ ვიპოვე მადლი შენს თვალში, გემუდარები, მაუნყე შენი გზები, რათა შეგიცნო და ვპოვო მადლი შენს თვალში...თუ თავად არ ნაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან...მახილვინე შენ დიდება“. (გამოს. 33:13-18)

ღმერთმა მისცა მოსეს ეს თხოვნა. უღმობელი უდაბნოს შუაგულში, უფალმა უთხრა მას, ნაყევანა ხალხი აღთქმულ მინაზე. მან ისიც კი შესთავაზა, რომ რჩეული ანგელოზი გაეგზავნა, რათა მშვიდობით მისულიყვნენ. მან შეახსენა მოსეს, რამდენად კარგი იქნებოდა ეს მინა: რძისა და თაფლის მდინარეებით, მშვენიერი ხედებით, ბალებითა და ხეხილით საესე. მაგრამ ღმერთმა თქვა, რომ ის, პირადად, არ ივლიდა მათთან ერთად. როგორც კი მოსემ ეს მოისმინა, მან უარყო უზენაესის მონყალე შემოთავაზება. მან მთელი არსებით განაცხადა: „მე მირჩევნია მქონდეს შენი თანდასწრება შენი აღთქმების გარეშე, ვიდრე აღთქმები თანდასწრების გარეშე.“ დარწმუნებული, ვარ ღმერთს ძალიან ესამოვნებოდა ასეთი სურვილი.

მოსემ მეტიც კი მოინდომა და გაბედულად თქვა: „მაუნყე შენი გზები, რათა შეგიცნო!“ (გამოს. 33:13). იმისათვის, რომ ღმერთს ვიცნობდეთ, ჩვენ მისი გზები უნდა ვიცოდეთ! იგი საკუთარ გზებს მათ უმხელს, ვინც მის გულს და არა მხოლოდ ძალას და მფარველობას ეძებს. ვინც იცნობს მას მის ძალაში ივლის: „თავისი ღვთის მცოდნე ხალხი კი სიმტკიცეს გამოიჩენს და იმოქმედებს“ (დან. 11:32).

როდესაც პირველად ჩავდექი მსახურებაში, თითქმის ყოველ დილას, ერთ ან ორ საათს ვატარებდი ლოცვაში. ჩემი ლოცვები დაახლოებით ასეთი იყო: „ღმერთო, გამომიყენე სულების დასახსნელად, გამომიყენე ავადმყოფთა განსაკურნად, გამომიყენე ეშმაკთა განსადევნად!“ მე ვლოცულობდი ერთსა და იმავეს – იგივე რაღაცებს, სხვადასხვა სიტყვებით. იმდენად ეგოისტი ვიყავი, რომ ღმერთს შორს მიმწვდომ მსახურებას შევთხოვდი.

შემდეგ, ერთ დღეს უფალი დამელაპარაკა და მითხრა: „შვილო, შენი ლოცვები ეგოისტურია და მიზანს აცდენილი.“ ძალიან გამაოცა მისმა სიტყვებმა.

„რა მოტივი გაქვს, როცა ამ ყველაფრის გაკეთება გინდა?“ - მკითხა. „ერთადერთი, რაც შენგან მესმის, არის ‘გამომიყენე

რომ...'; შენ ხარ ლოცვის ფოკუსი. ჩემი მიზანი, როცა შენ გქმნიდი, არ იყო, რომ სულები მოგეპოვებინა, ეშმაკები განგედევნა და ავადმყოფნი განგეკურნა. მე შენ სიახლოვისთვის შეგქმენი – აი, რა არის შენი დანიშნულება.“

ამან ძალიან გამაოცა. შემდეგ რაღაც ისეთი მაჩვენა, რაც არასდროს დამავიწყდება: იუდა ათავისულებდა ხალხს და კურნავდა ავადმყოფს და ამ ყველაფერს იესოს სახელით აკეთებდა! დიახ, როდესაც იესომ გააგზავნა თორმეტი, მან ყველა მათგანი გაგზავნა – იუდას ჩათვლით, იმის, ვინც შემდეგ მას უღალატა. ჩემი ფოკუსი არასწორად იყო მიმართული. ღვთის მიზანი ჩვენთვის, მისი ზეციური ჯილდო, არის *შევიცნოთ იესო ქრისტე* (ფილ. 3:10).

რამდენიმე წლის შემდეგ ლიზა იგივე ხაზით ლოცულობდა, როცა შეხვედრისთვის ემზადებოდა. მას საუბარი ჰქონდა უფალთან. მან უთხრა: „ლიზა, მე არ ვიყენებ ადამიანებს, მე ვცხებ მათ, მე ვკურნავ, მე გარდავქმნი მათ, მე ჩემს ხატს ვუსაბამებ მათ, მაგრამ არ ვიყენებ.“ მან კითხვის დასმით გააგრძელა: „ლიზა, ოდესმე გამოუყენებხარ მეგობარს?“

„დიახ“ - უპასუხა მან.

„როგორ იგრძენი თავი?“ - ჰკითხა უფალმა.

„თითქოს მიღალატეს!“

უფალმა განაგრძო: „მრავალი მსახური მხოლოდ მათ გამოყენებას მთხოვს: გამომიყენე განსაკურნად, გამომიყენე გავლენისთვის, გამომიყენე სახსნელად. ასეც მოვიქეცი მათი გულის იმედით, მაგრამ ისინი ძალიან დაკავებულნი გახდნენ თავიანთი მსახურებით. ისინი აღარ წუხდებოდნენ იმისთვის, რომ გაეგოთ ჩემი გზები, ასე რომ, ისინი იყენებდნენ ჩემგან მიცემულ ნიჭებს, საკუთარი იმპერიის ასაშენებლად. ისინი შემომღალადებდნენ, როცა პრობლემები უტევდათ, მაგრამ განაწყენებულნი იყვნენ, როცა მე მათ ლოცვებს იმ დროსა და იმ მანერით არ ვპასუხობდი, როგორც მათ სურდათ. ისინი გამოყენებულად გრძნობდნენ თავს და ბრაზდებოდნენ ჩემზე. ისინი ეცემოდნენ, რადგან არ მიცნობდნენ.“

რას იფიქრებდით ქალზე, რომლის ერთადერთი ამბიციაც იყო შვილები გაეჩინა მისი ქმრისგან, ყველანაირი ინტერესის გარეშე, რომ პირადად გაეცნო ის? იგი მის ფეხებთან დაეცემოდა: „ოჰ, ჩემო ქმარო, გთხოვ გამომიყენე რათა შვილები გაგიჩინო!

გთხოვ, გთხოვ, მომეცი შვილები ან მე მოვკვდეები!“ აბსურდულად ჟღერს, თუმცა დიდად არ განსხვავდება იმისგან, რასაც უფალს შევთხოვთ, რომ „გამოგვიყენოს ხალხის დასახსნელად“, როცა თავად ჩვენც კი არ გვაქვს წესიერი ურთიერთობა მასთან. როცა ახლო ურთიერთობა გვაქვს იესოსთან, შვილები გვეყოლება – იგივენაირად, როცა ქალს ახლო ურთიერთობა აქვს თავის ქმართან.

ამრიგად ისრაელიანები არასწორ რალაცას ეძებდნენ და მისდევდნენ. ისინი *შექმნილს* ეძებნენ და არა *შემოქმედს*. და ვიცით, რაც მოხდა. იმის ნაცვლად, რომ უდაბნო მოსამზადებელი ადგილი ყოფილიყო – სიბრძნე და ძალა მიეცა იმისათვის რაც მომავალში ელოდათ – ამაოების მიწად იქცა, რასაც მთელი თაობა ამტკიცებდა. როგორი ფლანგვაა! აღთქმული მიწა ძალიან ახლოს იყო.

როგორი გაკვეთილია ყველა ჩვენგანისთვის! უდაბნოს უნდა ვხვდებოდეთ, როგორც პერიოდს დიდებული სიახლოვის გზაზე.

5


ახალი ღვინო

დაევიყოთ ჭურჭელი შენი ახალი ღვინისთვის, რომელიც ყველაფერს ანახლებს.

– ეფრემ სირიელი

„ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ. აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება, განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გზას გავიყვან, ხრიოკზე მდინარეებს ვადენ“.

– ესაია 43:18-19



მისათვის, რომ უფრო ახლოს ვიცნობდეთ ღმერთს, ცვლილებებს უნდა მივესალმებოდეთ. არ არსებობს უდაბნოზე უკეთესი ადგილი, ამის გამოსაცდელად. სწორედ აქ, ადგილას, რომელიც შეიძლება ყველაზე უნაყოფო, მიტოვებულ ადგილად მოგვეჩვენოს, გავხდებით მისი სულის ახალი მოძრაობის მომსწრენი.

შეიძლება ეჭვი დაგვებადოს: *რატომ სჭირდება ცვლილებების მოტანას რთული ან გვაღვიანი დრო?* ჩვენი განხილვა ამ თავში შემოგვთავაზებს პერსპექტივას ამ საკითხზე.

რალაც დროის წინ, რთული, თვრამეტოვიანი უდაბნოს გავლის შემდეგ, ახალგაზრდული მსახურების ლიდერად ამირჩიეს (დიახ, რამდენიმე წლის წინ!). ამ დროს ეს ეკლესია ფლორიდაში, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი იყო შეერთებულ შტატებში, ამიტომ ცოტა აღელვებული ვიყავი, რადგან ახალგაზრდული მსახურების მწყემსობის გამოცდილება არ მქონდა. მაგრამ ვიცოდი, რომ იქ ღმერთმა გამგზავნა და თუ ერთგულად გავყვებოდი მას, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ეს ახალგაზრდული მსახურება ტრადიციულ მოდელზე იყო აშენებული, შეგეთავაზებინა ბავშვებისთვის ძალიან ბევრი, მაგარი აქტივობა. სამწუხაროდ, ბევრი ამ თინეიჯერთაგან არ იზრდებოდა სულიერად. ბევრი მიშვებული ცხოვრების სტილით ცხოვრობდა. ასე რომ, როცა ეს მსახურება ხელში ავიღე, ვიგრძენი, როგორ მითხრა სულიწმიდამ: „შენი უწყება უნდა იყოს მონანიების, სინმიდის, მორჩილების და უფლობის შესახებ.“ შესაბამისად, სწორედ ამას ვასწავლიდი და ვქადაგებდი. ამ დროს ძალიან შეიცვალა ჯგუფის განწყობა.

შედევები გასაოცარი იყო. რამდენიმე თვეში ახალგაზრდული ჯგუფი სამჯერ გაიზარდა. ბანდის ნევრები, კულტის ნევრები

და ახალგაზრდა ზრდასრულები, რომლებიც შორს იყვნენ ღვთისგან, მოდიოდნენ, რათა სწრაფად გაეცნოთ იესო. უამრავი ახალგაზრდა წინა ჯგუფიდან, რომელზეც უკვე ხელი იყო აღებული, ცეცხლს იჭერდნენ. ყველა ჩვენგანს უყვარდა უფლის ძლიერი თანდასწრება და ვიზრდებოდით მასში სიყვარულში. ღმერთი ჩვენ და ჩვენს მცდელობებს უსაზღვროდ აკურთხებდა.

მივიჩინე, რომ უდაბნოს სეზონში უკვე გავიარე, როცა დალასში პირველად გამოვედი ამ სიტუაციიდან. ახლა ჩემს მონოდებაში ვიყავი, მექადაგა სახარება. გადავწყვიტე, რომ რადგანაც იესომ ერთ უდაბნოში გაიარა, იგივენაირად იქნებოდა ჩემთვისაც. როგორი არასწორი ვიყავი. ჩემთვის კიდევ ბევრი იყო გამზადებული განწყობა და გაძლიერებასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო ბევრი უნდა მესწავლა უდაბნოს სეზონის შესახებ. უდაბნო, რომელშიც საბოლოოდ, შემდეგ შევიდოდი, წინა თვრამეტი თვეს ბავშვის თამაშს დაამსგავსებდა.

სულიწმიდა უამრავ ინოვაციურ იდეას აძლევდა ჩვენს ლიდერთა გუნდს. აი, რა ხდება, როდესაც ახალი ღვინო მოგვეცემა ზეციდან, როცა „ღვთის მიერ ვართ გაგზავნილნი“, უდაბნოში მომზადების პერიოდის შემდეგ. იგი გვაჩვენებს, როგორ ვიყოთ ეფექტურები და ნაყოფიერები, როგორც მოსე, დავითი, იოსები და სხვები.

ზრდა, რასაც ჩვენს ახალგაზრდებთან განვიცდიდით, ჭეშმარიტად ზებუნებრივი იყო. თუმცა, ამ წარმატების შუაგულში, იმაზე ძლიერი ტვირთი ვიგრძენი, ვიდრე მხოლოდ ჩვენი ადგილობრივი ჯგუფია. ვიგრძენი, რომ ყველა ახალგაზრდას უნდა მივწვდომოდით ცენტრალურ ფლორიდაში. ამრიგად, ლოცვაში გაჩნდა იდეა, რა მოხდება, თუკი ტელევიზიით გავაშუქებთ ახალგაზრდულ მსახურებას? უკან, 1980-იანებში, ეს საუკეთესო გზა იყო რომ ადამიანებს მიწვდომოდი. არ იყო: ინტერნეტი, სოციალური მედია, იუთუბი, სმარტფონები – არაფერი. აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთ ადგილობრივ, მაღალი ძაბვის ტელესადგურს ოთხ მილიონიანი პოტენციური მაყურებელი ჰყავდა. გასაოცრად, ამ სადგურს თავისუფალი დრო ჰქონდა შაბათს ღამის ათ საათზე. ვიცოდი რომ ეს კარგი დრო იყო თინეიჯერთა „დასაჭერად“.

ეს იდეა ჩვენს უფროს მწყემსს გავუზიარე, რომელმაც მითხრა, რომ ამისთვის საკმარისი ბიუჯეტი არ გვქონდა. მე

ვკითხე, თუ შემეძლო, მომეწოდებინა ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რომ დაგვხმარებოდნენ ტელე გადაცემისთვის ფულის შესაგროვებლად. მან ნება დამართო, ამრიგად მე ბავშვებს წარვუდგინე გეგმა, თუ როგორ შეგვეძლო, მივწვდომოდი ცენტრალური ფლორიდის ახალგაზრდებს, რომლებიც ნარკოტიკებზე, ალკოჰოლზე იყვნენ დამოკიდებულნი და კიდევ უამრავი პრობლემის წინაშე იდგნენ. ახალგაზრდული ჯგუფის ბავშვებმა აიტაცეს ხედვა და საკუთარი შემოსავლიდან გაზეთების გაგზავნით, სწრაფი კვების დანესებულებებში მუშაობით, საცალო გაყიდვებით და კიდევ სხვა უამრავი ნახევარგანაკვეთზე სამუშაოთი, საკმარისი თანხა ავაგროვეთ იმისათვის, რომ ყოველ შაბათ საღამოს ტელევიზიის სადგურში ვყოფილიყავით.

ჩვენი უფროსი მწყემსი გაოცებული იყო და აღიარა, რომ ღმერთი მოქმედებდა. ეს იყო ახალი ღვინის ჩამოსხმა – ვის გაუგია ეკლესიის ახალგაზრდული ჯგუფი გადიოდეს ტელევიზიაში შაბათ საღამოს ათ საათზე? მაგრამ ამან გაამართლა. მალე უზარმაზარი მოსავალი დავინახეთ იმ სულებისა, რომლებიც ვერ მოისმენდნენ სახარებას ჩვენ რომ „ახალ ღვინოს“ არ დავთანხმებუდიყავით. ახალგაზრდულის მწყემსობის დატოვებიდან მრავალი წლის შემდეგ, კვლავ მესმოდა დამონებები იმ ცხოვრებების შესახებ, რომლებიც ჩვენმა სატელევიზიო პროგრამამ, ახალგაზრდულმა ცეცხლმა შეცვალა.

ცვლილება კარგია

მალე დავუბრუნდებით ახალგაზრდულ ჯგუფს. მაგრამ მანამდე, მოდით, განვსაზღვროთ, რა არის ახალი ღვინო და რატომ არის ის მნიშვნელოვანი.

ცვლილება, რისკენაც ღმერთი გვიბიძგებს, ხშირად მარტივი არაა, მაგრამ ყოველთვის კარგი და ნაყოფიერია. ხშირად ჩვენ გავუბრუნდებით ცვლილებებს, რადგან ის ჩვენი კომფორტის დონეზე ახდენს გავლენას. ჩვენ ნამდვილად ქცევების ქმნილებები ვართ. როდესაც ეს ნიმუშები დადგინდა, არაკომფორტულია მათი შესწორება. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანი იყო მისი სამეფოს შენებაში, ღია უნდა იყო ცვლილებებისთვის.

თუკი ღვთისმოსავ ოჯახში ვიზრდებოდით, ჩვენი რწმენის პრაქტიკა, მეთოდები და ტრადიცია ადრეულად ჩამოყალიბდა და ღრმად განვითარდა. რა თქმა უნდა, ყველა ტრადიცია

ბაღარჩენის რჩევები შენი მოგზაურობისთვის

№5 იცხოვრე კარავში – ნუ ააშენებ სახლს

ნურასდროს დაგავინწყდება – უდაბნო დროებითია! შენ უბრალოდ მისი გავლით მიდიხარ. ამრიგად, როცა უდაბნოში რჩები, კარავში იცხოვრე. არავითარ შემთხვევაში არ ააშენო სახლი!

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელიანებმა ათწლეულები გაატარეს უდაბნოში ხეტიალში, ეს არასდროს ყოფილა ღვთის ნება. მას არ უთქვამს მათთვის, ეპოვათ საუკეთესო შესაძლო სიტუაცია დასასახლებლად და დანებებულიყვენ იმას, რაც რეალობად ეჩვენებოდათ სახლების აშენებით. არა, ისინი კარგებში ცხოვრობდნენ, ყოველთვის მზად იყვნენ, აყრილიყვნენ და იქით წასულიყვნენ, საითაც ღრუბელი გადაადგილდებოდა. უდაბნო, ყოველთვის დროებით ადგილსამყოფელად იყო გამიზნული და არა საბოლოო დანიშნულების ადგილად. უფალს არასდროს უთქვამს: „მგონი, არც ისე ცუდია ეს უდაბნო! ვის სჭირდება ალთქმული მინა? მოდით, საძირკვლის ამოთხრა და შესაფერისი სახლების აშენება დავინყოთ თქვენთვის და ჩემთვის.“ დიახ, თავად ღმერთიც კარავში ცხოვრობდა უდაბნოში მოგზაურობის დროს.

დაბანაკება შესაძლოა, სამხიარულო და სასიამოვნოც კი იყოს დროის ხანმოკლე პერიოდისთვის, მაგრამ ბევრ ჩვენგანს ურჩევნია, ნამდვილ სახლში იცხოვროს და არა გარეთ. ნუ გახდები შეცდომაში შეყვანილი და საფუძველს ნუ ჩაყრი უდაბნოში! ყოველთვის მზად იყავი ასაბარგებლად, გადასაადგილებლად და საბოლოოდ შენი კარავი საკუჭნაოში შეინახე!

არასწორი არაა, მაგრამ როდესაც ადამიანები მხოლოდ ტრადიციიდან პასუხობენ და არა თავიანთი გულებიდან, რწმენის გამოხატულება შეიძლება უსიცოცხლო რუტინად იქცეს.

რეალურად, ასეთი რუტინა, რელიგიური სიმაგრეც შეიძლება გახდეს. ადამიანი, რომელიც რეგრესირდა და რელიგიური გახდა, არის ადამიანი, რომელსაც ღვთისმოსავობის გარეგნული გამოხატულება აქვს, ჩაჭიდებულია იმაზე რაც ღმერთმა გააკეთა, როცა თავს იკავებს იმისგან, რასაც ღმერთი ახლა აკეთებს.

ფარისევლები და იესოს დროის სხვა რელიგიური ლიდერები, ამგვარ ქცევას ავლენდნენ. ისინი იკვებნიდნენ იმით, რომ აბრაამის შვილები იყვნენ, აღთქმულის ძეგბი, მოსეს მონაფეგბი. იმას ჩაჭიდებულნი, რაც ზეციერმა მამამ გააკეთა, მათ არ მიიღეს მათ შორის მყოფი ღვთის ძე. გულმოდგინედ იცავდნენ თავიანთ ტრადიციებსა და ღვთისმსახურების წესებს და იესოს მოსვლით მათი კომფორტისა და სტაბილურობის ყველა სფერო გამოწვევის წინაშე დადგა. იესომ ცხადი გახადა, რომ ღმერთი მათ მიერ მოქცეულ ჩარჩოებში ვერ ჩაეტეოდა...ისინი უნდა ჩატეულიყვნენ ღვთისაში. მათ არ მიიღეს ეს ცვლილება და თავიანთ ტრადიციებს ჩაებლაუჭნენ.

მხოლოდ რელიგიური ადამიანი ელიტისტურ დამოკიდებულებას გაამრავლებს: „ღმერთი მხოლოდ ჩვენი და ჩვენი პარამეტრებით იმოქმედებს“ – რაც არასწორ აზრს ჩამოაყალიბებს, რომელიც საბოლოოდ სიძულვილამდე და ლალატამდე მივა, თუკი არ გადამონმდება. სწორედ ეს მოხდა იესოს დროს და ეკლესიის ისტორიაში.

იმისათვის, რომ შევიცვალოთ და რწმენის და დიდების ერთი დონიდან მეორეზე გადავიდეთ, უნდა გვინდოდეს მივატოვოთ ჩვენი კომფორტის ზონა და მივდიოთ გზას, რომელზეც უფლის სული გაგვიძღვება. ეს ბილიკი ხშირად უდაბნოს გავლით გვატარებს, სადაც უფალი ახალ სიცოცხლეს ბადებს.

ეს თარგი ცხადი იყო იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებაში. მამამისი მღვდელი იყო – ერთდროს მღვდელთავარი. იოანეს კარიერული გზაც მამისის მსგავსად მღვდლობისკენ უნდა წასულიყო. იგი იერუსალიმის სასწავლებელში უნდა წასულიყო, სადაც ცნობილი მასწავლებელი, გამალიელი, ასწავლიდა როგორ გამხდარიყო მღვდელი. მაგრამ ერთ დღეს უფალმა დაიწყო

იოანეს მოხმობა უდაბნოში. რაც უფრო მეტს ლოცულობდა, მით უფრო დიდი იყო მისი შინაგანი სურვილი, წასულიყო უდაბნოში. დარწმუნებული ვარ შინაგანი კონფლიქტი წამოიჭრა მასში და ასეთი აზრებიც ჰქონდა:

ყველა ჩემი მეგობარი, ვისთან ერთადაც გავიზარდე: „ბიბლიის სკოლაში“ მიდის. ისინი დიპლომებს მიიღებენ და ლიდერებად იქნებიან აღიარებულნი.

მათ სასულიერო წოდებებს მიანიჭებენ და ქვეყნის ყველა სინაგოგაში შეეძლებათ ქადაგება. რას იფიქრებენ ჩემზე? როგორ შევასრულებ ჩემს ხვედრს, თუკი „ბიბლიის სკოლაში“ არ ვივლი?

ვიცი, რომ მოწოდებაა ჩემს ცხოვრებაზე. მაშამ მითხრა, რომ მაღალი რანგის ანგელოზმა გამოუცხადა ჩემი დაბადება და უთხრა, რომ მე მსახური ვიქნებოდი. მაგრამ, თუკი უდაბნოში წავალ, არავის ეცოდინება, ვინ ვარ. არასდროს მომიწვევენ საქადაგებლად.

თუმცა, მისი მწველი მოწოდების დროს უდაბნოსაკენ, იოანემ გადალახა ყველა ის შეკითხვა, რომელიც მის გონებას ბომბავდა და გადანყვიტა სულს გაჰყოლოდა უდაბნოში. მის შესახებ ვკითხულობთ: „ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა; და უდაბნოში იყო იმ დღეებამდე, ვიდრე ისრაელს გამოეცხადებოდა“ (ლუკა 1:80). საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იოანემ თავისი უდაბნოს წვრთა ჯერ კიდევ ბავშვმა დაიწყო და წლები გაატარა იმ მსახურებისთვის მოსამზადებლად, რომელიც მხოლოდ ექვსი თვე გრძელდებოდა. იესომაც კი თქვა, რომ იგი უდიდესი იყო „ქალისგან შობილ“ წინასწარმეტყველებს შორის.

წმიდა წერილი არ ლაპარაკობს დროის ხანგრძლივობაზე, უდაბნოთა რაოდენობაზე და იმ დამლულ გარემოებებზე, რის პირისპირაც იოანეს უწევდა ყოფნა. ლუკას 3:2-ში ვკითხულობთ: „ანნასა და კაიაფას მღვდელმთავრობისას, ღვთის სიტყვა იყო იოანე ზაქარიას ძისადმი, უდაბნოში“. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სანამ ანნა და კაიაფა მოქმედებდნენ წესრიგიდან გამოსულ რელიგიურ სისტემაში, ახალი ჭურჭელი უხემ და გვალვიან ადგილებში ყალიბდებოდა. სწორედ აქ გამოვლინდებოდა ახალი ღვინო.

ღმერთმა იოანე უდაბნოში მოამზადა და არა მისი დროის „ბიბლიის სკოლაში“, როგორც იყო მიღებული! ხალხის უდიდესი მასები მოდიოდა მთელი იუდეადან და იერუსალიმიდან, რათა იოანეს მიერ ნალაპარაკები უფლის სიტყვა მოესმინათ

უდაბნოში. სულის ახალი ქარი იწყებდა მოძრაობას, ახალი ღვინო გადმოვიდა, მაგრამ უდაბნოში და არა რელიგიურ ადგილებში. ისინი, რომლებსაც რელიგიური პირმოთნეობა და ტრადიციები ყელში ჰქონდათ ამოსული, მწყურვალე გულებით მიდიოდნენ იოანესთან, რათა შეცვლილიყვნენ და მომზადებულიყვნენ ღვთის ძის გამოჩენისთვის.

ამის შემდეგ მალევე, იესო მოვიდა, რათა იოანეს მიერ მონათლულიყო მდინარე იორდანეში. მიუხედავად იმისა, რომ იოანე თავს უღირსად თვლიდა მის მოსანათლად, იესომ დაიჟინა ეს. აუცილებელი იყო იესოს მსახურებისთვის, რომ იქიდან დაწყებულიყო, თუ რას აკეთებდა ღვთის სული ამ დროს დედამიწაზე. ამის შემდეგ აღივსო იესო სულით და მაშინვე უდაბნოში იქნა წაყვანილი.

ბიბლია ცხადად გვეუბნება, რომ, როდესაც იესო უდაბნოში იქნა წაყვანილი, იგი *სულის* მიერ იყო აღვსილი, მაგრამ ორმოც დღიანი გამოცდისა და საცდურის შემდეგ, იგი სულის *ძალით* დაბრუნდა უდაბნოდან. ახლა, ის უკვე აღჭურვილი იყო იმ მსახურებისთვის, რომლისთვისაც დედამიწაზე მოვიდა. იოანე ნათლისმცემლის მსახურებიდან რამდენიმე თვის შემდეგ კიდევ ერთი ახალი რამ დაიწყო უდაბნოდან – იესო ქრისტეს მსახურება.

ახალი ღვინის ტიკი

დიდი ხანი არ იყო გასული იესოს მსახურების დაწყებიდან, როცა ვკითხულობთ: „მათ უთხრეს: ‘იოანეს მოწაფეები ხშირად მარხულობენ და ლოცვებს აღავლენენ, ასევე ფარისევლთაგანნიც, შენები კი ჭამენ და სვამენ“ (ლუკა 5:33). პირველი კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ, არის, ვინ იგულისხმება სიტყვებში: „მათ ჰკითხეს“? ამის პასუხს მათეს სახარებაში ვპოულობთ: „მაშინ მივიდნენ მასთან იოანეს მოწაფეები და უთხრეს...“ (9:14). წლების განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ისინი ფარისევლები იყვნენ, მაგრამ იმ დღეს, როცა აღმოვაჩინე, რომ ისინი იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები იყვნენ, წმიდა წერილის ეს ადგილი სულ სხვანაირად გაიხსნა ჩემთვის. ეს ადამიანები შენუხებულნი იყვნენ, რადგან ხშირად მარხულობდნენ და საათების განმავლობაში ლოცულობდნენ,

მაგრამ იესოს მონაფეები ამგვარად არ მოქმედებდნენ. იოანეს მიმდევრები იღებდნენ მთელ მსხვერპლს მაშინ, როცა იესოს მონაფეები მთელ ყურადღებას იღებდნენ.

ერთ-ერთი გზა, რომლითაც ღვთის სული მოძრაობდა იოანეს დღეებში, მეტი მარხვა იყო. თუმცა, იოანეს მონაფეები არ შეიცვალნენ და არ გადავიდნენ იოანეს მსახურების ნიმუშიდან იმაზე, რასაც უფალი იმ დროს აკეთებდა. მათ სწამდათ, რომ მსახურებისა და თაყვანისცემის სწორედ მათ მეთოდს მოჰქონდა ნაყოფები. მათ დიდი ფასი გადაიხადეს, რათა იოანე ნათლისმცემელს გაჰყოლოდნენ, მიატოვეს ოჯახები, რ უომდაბნოში ეცხოვრათ და მწერები ეჭამათ, ახლა კი მათი ლიდერი ციხეში იყო. ამ ახალ კაცს თან ახლდა მონაფეები, რომლებიც მათი წესებით არ თამაშობდნენ. იოანეს გუნდი განაწყენებული იყო და რელიგიური სულის განვითარების საფრთხის წინაშე იდგნენ.

გახსოვდეს, რელიგიური სული ყოველთვის ჩაეჭიდება იმას, რაც გააკეთა ღმერთმა და არ მიაქცევენ ყურადღებას თუ რას აკეთებს უფალი ახლა. შესაძლებელია, რომ იოანეს მონაფეები თავიანთი ლიდერის მიმართ ერთგულებაზე და იმაზე უფრო ფიქრობდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მისი მიმდევრები, ვიდრე იმაზე, თუ რას ამბობდა და აკეთებდა ღმერთი მაშინ. მათი ფოკუსი აღარ იყო უფლის გულზე. არამედ მეთოდზე, რომელიც ერთ დროს, შესაძლოა, ზეციერი მამის გულისკენ მიუძღვებოდა.

სიამაყემ და წყენამ დაიწყო დომინირება. ისინი, ვინც იოანესთან იყვნენ, დრო და ალბათ ფულიც ჩადეს მსახურებაში. ახლა ყველაფერი, რაც მათ გააკეთეს, რისთვისაც იდგნენ ან მიიღეს, საფრთხის ქვეშ იდგა. ასე რომ, მათ უარყვეს ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ მათი ლიდერი იესოს შესახებ აცხადებდა: „ის უნდა განდიდდეს, მე კი უნდა ვმცირდებოდე“ (იოან. 3:30).

ნახეთ, როგორ პასუხობს მათ იესო: „განა შეიძლება აიძულო მექორნილენი იმარხულონ, ვიდრე ნეფე მათთან არის?“ (ლუკა 5:34). მან გამოააშკარავა მათი რელიგიური გზები, როცა თქვა: „რაში სჭირდებათ იმარხულონ, როცა ღვთის ძე მათ შორისაა? ერთადერთი, რაც მათ სჭირდებათ, თუკი სჭირდებათ რაიმე შემოქმედისაგან, არის, მოვიდნენ ჩემთან“ (პერიფრაზი)! რელიგიურმა აზროვნებამ აფიქრებინა მათ, რომ უფლის

სიყვარულს მარხვითა და სხვა რელიგიური აქტივობებით მოიპოვებდნენ. მათ მარხვა უზენაესთან წვდომის საშუალებად დაინახეს, რაც მათი აზრით, მათ იმ ადამიანებზე უფრო მაღლა აყენებდა, ვინც არ მარხულობდნენ (ან მათ სხვა მეთოდებს არ იყენებდნენ). ამრიგად, სიამაყემ დაიდო ბინა. მეთოდი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე მისი საწყისი ნაყოფი.

მიუხედავად იმისა, რომ მარხვა სარგებლის მომტანია, ეს არ არის გზა, რითიც შეგიძლია, უფლის მანიპულირება, რომ ამის ნაცვლად, ისეთ ადგილას მოგათავსოს, საიდანაც უკეთ გაიგებ, რას ამბობს ღმერთი. მაშინ რაში სჭირდებოდათ მონაფეებს ემარხულათ, რომ უკეთ გაეგოთ იესო ქრისტესი, თუკი იგი მათ შორის იყო? კიდევ შევხედოთ ლუკას 5:34-35-ს: „იესომ მიუგო: ‘განა შეიძლება აიძულო მექორწილენი იმარხულონ, ვიდრე ნეფე მათთან არის? მაგრამ დადგება დღეები, როცა ნეფე წაერთმევათ და მაშინ იმარხულებენ, იმ დღეებში“.

ის არ ამბობს, რომ მათ შეიძლება იმარხულონ იმ დღეებში. ის ამბობს, რომ ისინი იმარხულებენ. აქ ადამიანები მხოლოდ საჭმლისგან მარხვაზე ლაპარაკობენ, მაგრამ იესო სხვა სახის მარხვაზე ლაპარაკობს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს მარხვა იქნება მაშინ, როცა სიძე წაერთმევათ. ის ლაპარაკობს მისი დადასტურებული თანდასწრებისგან მარხვაზე და არა მხოლოდ საჭმლისგან მარხვაზე. ჩვენ ვიცით ეს, რადგან იგი მის ახსნას აგრძელებს იგავში, რომელსაც შემდეგ ყვება. გაიხსენეთ, რომ უდაბნოს ერთ-ერთი განმარტებაა, ღვთის საგრძნობი თანდასწრების არყოფნა.

ახლა შეხედეთ იგავს, რომელსაც იესო ნათქვამის განსამარტად აძლევს:

„არავინ ჩაასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, თორემ ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს, ღვინოც დაიკარგება და ტიკებიც“. (ლუკ. 5:37)

ბიბლიაში ღვინო უფლის თანდასწრების სიმბოლოა. პავლე ეფესელთა 5:18-ში ამბობს: „ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით“.

ჩვენ აღვსილნი უნდა ვიყოთ ღვინით, ღვთის თანდასწრებით! ახალი ღვინო მისი სულის ახალი მოძრაობაა.

ნება მომეცით, მოკლედ წამოვწიო ეს მნიშვნელოვანი საკითხი კიდევ ერთხელ. გახსოვს, რა საოცარი იყო, როდესაც პირველად აღივსე სულიწმიდით? ღვთის თანდასწრება ტკბილი და ძლიერი იყო. ყოველთვის, როცა ლოცულობდი, მისი თანდასწრება მაშინვე დაამონმებდა საკუთარ თავს და შენ მთელი დღის განმავლობაში გრძნობდი მის ახლოს ყოფნას. ამ პერიოდში ეკლესიაში შენ უბრალოდ იჯექი და ტიროდი, რადგან ის ძალიან ახლოს იყო.

მაგრამ შემდეგ, ერთ დღეს, შეამჩნიე, რომ ასე მარტივად ვეღარ გრძნობდი მის თანდასწრებას. ისევ ისე ლოცულობდი, როგორც ადრე, მაგრამ ახლა გიკვირდა, *ღმერთო, სადა ხარ?! შენ უდაბნოში შეხვედი!*

არსებობს მიზეზი ამ უდაბნოსა თუ უფლის თანდასწრებისგან მარხვისა. ღმერთი გამზადებს, რათა ახალი ტიკი იყო. შენ ვერ ჩაახსამ ახალ ღვინოს, რომელიც უფლის სულის ახალი მოძრაობაა, ძველ ტიკში.

ღვინის ტიკები, რომელთაც იესოს დროს გამოიყენებდნენ, ცხვრის კანისგან დამზადებული კონტეინერები იყო. ღვინის პირველად ჩასხმისას ტიკები მოქნილი და დამყოლი იყო. ისინი მარტივად იწელებოდა და წინააღმდეგობის გარეშე იზრდებოდა, როცა ღვინო დუღდა. თუმცა წლების გასვლის შემდეგ შუა აღმოსავლური ჰაერი გამოაშრობდა ტიკს და მყიფეს და მაგარს დატოვებდა. თუკი ახლა იმ ღვინოს გადმოასხამდი და ახალ ღვინოს ჩაასხამდი, კანი ვეღარც ახალი ღვინის სიმძიმეს გაუძლებდა და ვერც ფერმენტაციას, რადგან ის მტკიცე და მყიფე იყო და მარტივად დაიზარებოდა ან დაიხეოდა. ამ პრობლემის გამოსასწორებლად ძველ ტიკებს რამდენიმე დღით ჩაალბობდნენ წყალში და ზეთის ზეთით დაზელდნენ. ეს ალადგენდა ტიკის მოქნილობასა და დამყოლობას.

ეს იმის სიმბოლურია, რაც ჩვენ გვემართება, რადგან ჩვენ ახალი სულიერი ღვინის ტიკები ვართ. ჩვენ მონოღებულნი ვართ, რომ ვიყოთ უფლის თანდასწრების მატარებელნი. ატმოსფერომ, რომელშიც ვცხოვრობთ, შესაძლოა განელოს ჩვენი სინატიფე ღვთის გზებისადმი. ჩვენ არ ვართ ზეცაში; ჩვენ გახრწნილ გარემოში ვცხოვრობთ, რომელსაც სამყარო ჰქვია. ამიტომ, ჩვენს გონებას განახლება სჭირდება. იმისათვის, რომ ჩვენი ტიკი ყოველთვის მოქნილი დარჩეს – და მზად იყოს ახალი ღვინისთვის. ჩვენ ღვთის სიტყვაში უნდა ვიყოთ ჩამბალი.

პავლე წერს ეფესელთა 5:26-ში: „რათა წმიდაეყო იგი (იესო) და განენმიდა (ეკლესია) წყალში განბანით, თავისი სიტყვის მეშვეობით.“ ტიკის ზეთუნის ზეთით დაზელა, ჩვენთვის ჰგავს ლოცვაში, ღვთის ძიებაში დროის გატარებას. როცა დროს ვატარებთ ღმერთთან, როგორც მის სიტყვაში, ასევე ლოცვაში, ჩვენი გონება ნახლდება და ჩვენი გზებით და მეთოდებით უდრეკები აღარ ვართ.

მაგრამ, იმისათვის რომ განაახლო ტიკი, უპირველესად საჭიროა გადმოღვარო ძველი ღვინო! ეს ნიშნავს, რომ ჭურჭელში საერთოდ აღარ უნდა იყოს ღვინო – აღარ უნდა იგრძნობოდეს ღვთის თანდასწრება! ეს გულისხმობს მარხვას ღვთის საგრძნობი თანდასწრებისაგან, ან როგორც ვამბობთ ხოლმე, გვაღვიან პერიოდს! ასეთ პერიოდში, შენ ცვლილებისთვის ემზადები!

რატომ გვაშორებს ღმერთი მის საგრძნობ თანდასწრებას? იმედი რომ გაგიცრუვდეს? არა, თუმცა ეს მოხდება! ეს იმიტომაა, რომ სურს თაროზე შემოგდოს სანამ დასჭირდები? არა! მიზეზი, რის გამოც გაშორებს თავის თანდასწრებას ისაა, რომ უფრო ერთგულად ეძიო იგი. ძიება კვლავ მოქნილსა და დამყოლს გხდის. ადამიანები, რომლებიც მოუქნელები და შეუვალები ხდებიან, სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთაც უფლის ძიება შეწყვიტეს. ისინი თავიანთ მეთოდებს მოერგნენ. ისინი მოერგნენ ფორმულებს, რომლებიც თვითონ განსაზღვრეს წინა, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ისინი, ვინც იოანე ნათლისმცემელს მიჰყვებოდნენ. ისინი მას მიეკვრნენ, რადგან ხედავდნენ, როგორ ყოვლისშემძლედ მოქმედებდა უფალი მისი მეშვეობით. თუმცა, იმის მაგივრად რომ გაეგრძელებინათ ზეციურ საჩუქარზე ჩაჭიდება ღვთის ახლოს გასაცნობად, ისინი უდრეკები გახდნენ თავიანთ რწმენასა და მეთოდებში.

უზენაეაი ყოველ მოძრაობაში, რაღაც ახალი სწავლებაა. სწავლება და დოქტრინა, საშუალებაა, რომელსაც ზეციერი მამის გულამდე მივყავართ. თუმცა, თუკი თავად სწავლებისა და დოქტრინის ფოკუსზე გავიჭედებით, ეს საბოლოოდ რელიგიურ უღელამდე, კანონებამდე ან შეცდომამდე – ან ყველა მათგანამდე ერთად მიგვიყვანს.

შეუძლებელია იცნობდე ღმერთს თაყვანისცემის მოუქნელი მეთოდით და მრავალი ქრისტიანი გაუცნობიერებლად ვერ

უძლებს ასეთ ცხოვრების წესს. ისინი აფუძნებენ თავიანთი თაყვანისცემის მოდელების, ნაბიჯების და რუტინების წყებას. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მიიღებენ საკმარის ცოდნას იმისათვის, რომ ტიპური ქრისტიანები იყვნენ, ისინი წყვეტენ ძიებას და იმ თარგში თუ ტრადიციებში ჯდებათ, რაც მათ განავითარეს. მიუხედავად იმისა, რომ რალაცნაირად სიცარიელეს გრძნობენ, მათი აზრით სრულყოფილად ასრულებენ სახარებას.

იერემიას 29:12-13 ამბობს:

„მომიხმობთ და მოვალ, შემევედრებით და მოგისმენთ. ძებნას დამიწყებთ და მიპოვით, როცა მთელი გულით მომძებნით“.

მხოლოდ ლოცვა საკმარისი არ არის მის საპოვნელად. უამრავი ადამიანია რელიგიური ფორმულებით დაბმულები, რომლებიც ერთგულად ლოცულობენ. ღმერთი ამბობს, რომ შენს ლოცვებში, გულმოდგინედ უნდა ეძებდე მას. იგი აქ ცხადად ამბობს, რომ ძიება გაცილებით მეტია, ვიდრე რუტინული ძალისხმევა. ამას მგზნებარე სურვილი და მისი გულის გამოკვლევა სჭირდება. აი, რატომ ამბობს ღმერთი ებრაელთა 11:6-ში: „ვინაიდან, ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არის და ის მიუზღავს მის მაძიებელს.“

ახლა, მოდით, კიდევ ერთხელ შევხედოთ თუ რას ამბობს იესო:

„არავინ ჩაასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, თორემ ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს, ღვინოც დაიკარგება და ტიკებიც. ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას; და ძველის არც ერთი მსმელი არ მოისურვებს ახალს, რადგან იტყვის: ძველი სჯობიაო“. (ლუკ. 5:37-39)

არავინ, ვინც ძველ ღვინოსაა მიჩვეული, არ ისურვებს მაშინვე ახალს. საკვანძო სიტყვაა აქ – „მაშინვე“, რადგანაც ჩვენ ადამიანები ვართ, ჩვევებითა და ნიმუშებით. ღმერთმა უნდა დაამსხვრიოს ეს კომფორტის ზონა, იმით რომ გამოაცარიელოს ძველი ღვინისაგან და ნება მოგვცეს მომზადების მშრალ

პერიოდში გავიაროთ ღვინის გარეშე, რათა მოგვწყურდეს ახალი ღვინო. როცა გწყურია და არაფერი გაქვს რომ დალიო, აღარ დაინწყებ წუნუნს: „არ მინდა ეს ახალი ღვინო, ძველი მინდა!“ თუკი ესწრაფვი ღვთის თანდასწრებასა და ძალას, გახსნილი იქნები უფლის სულის ახალი მოქმედებისთვის შენს ცხოვრებაში. დავითივით იქნები, რომელმაც თავისი უდაბნოს პერიოდისას თქვა:

„ღმერთო, შენ ხარ ჩემი ღმერთი, შენ დაგეძებ,
შენ სწყურისხარ ჩემს სულს!
შენკენ მოილტვის ჩემი სხეული უკაცრიელ
და გამოფიტულ, უწყლო მიწაზე!
ასე გიხილე სანმიდარში; ვიხილე შენი
ძალა და დიდება შენი“. (ფს. 63:1-2)

დავითს სწყუროდა შემოქმედის ძალა და თანდასწრება. ამის შედეგად, როცა ის საქმიანობა დაიწყო, რისთვისაც მონოდებული იყო, იგი მოქნილი იყო იმისადმი, თუ რა სურდა ღმერთს – განსხვავებით მეფე საულისაგან, რომელიც თავისი გზებით აკეთებდა ყველაფერს და არა უფლისათი.

კიდევ ერთ უდაბნოში დარჩენა

როგორც უკვე ვახსენე ამ თავში, ჩემი პირველი სწავლებითი მსახურება ახალგაზრდულის მწყემსობა იყო. სატელევიზიო შეხვედრები დიდი წარმატება აღმოჩნდა. ჩვენ საევანგელიზაციო რადიო ცნობებიც წამოვიწყეთ რეგიონის მეორე ყველაზე პოპულარულ საერო სადგურში. ყველაფერი დიდებულად მიდიოდა.

შემდეგ, ერთ დღეს, როცა ვლოცულობდი, სულიწმიდამ მითხრა, რომ ცვლილება მოდიოდა: „შენ აღარ იქნები ახალგაზრდულის მწყემსი“ – თქვა მან: „და მე გაგაგზავნი ეკლესიებსა და კონფერენციებზე ქალაქებში, ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირიდან დასავლეთ ნაპირამდე; კანადის საზღვრიდან მექსიკის საზღვრამდე; ალასკიდან ჰავაიმდე...“

ლიზას ვუთხარი, რაც სულმა მითხრა და ორივე ჩვენგანი გულში ჩავფიქრდით ამ ყველაფერზე, არავისთვის არ გაგვიზიარებია, გარდა მწყემსი მეგობრისა სხვა შტატში. ღმერთმა თქვა, რომ იგი გააკეთებდა ამას და ვიცოდი, რომ თუკი ჭეშმარიტად იგი ლაპარაკობდა, ჩემი დახმარება არ სჭირდებოდა უფალს ამის შესრულებაში.

მაგრამ არაფერი არ მომხდარა თითქმის ერთი წლის განმავლობაში. ამ ლოდინის პერიოდისას ღვთის თანდასწრებაში შესვლა სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა ჩემთვის, სანამ საერთოდ შეუძლებლად არ მომეჩვენა. ბევრად მეტ დროს ვატარებდი ლოცვაში, ვიდრე ოდესმე, მაგრამ მაინც მეჩვენებოდა, რომ ვერსად ვერ მივდიოდი. არა მხოლოდ ეს, სანყისი ხედვა რაც ახალგაზრდულ ჯგუფთან დაკავშირებით მქონდა, თითქოს ქრებოდა (ძველი ღვინოს გადმოსხმა ხდებოდა). რაც უფრო მეტს ვლოცულობდი, მით უფრო მცირდებოდა ხედვა. გარეგნულად არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ შინაგანად, ჩემი სურვილი იკლებდა.

საათებს ვატარებდი ლოცვაში ახალგაზრდული მსახურების დაწყებამდე და რამდენჯერმე ღმერთს იმასაც კი შევეხვეწე რომ ვინმე სხვას ექადაგა. სიცარიელეს ვგრძნობდი როცა მსახურებაზე მივდიოდი, მაგრამ ღვთის სული მთლიანად მომიცავდა ხოლმე, როცა ვმსახურებდი. თუმცა, როცა დავამთავრებდი და სახლისკენ მივდიოდი, მისი თანდასწრება კვლავ ერთი კვირით მტოვებდა!

ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ ყველაფრის შუაგულში, შინაგან და გარეგნულ განსაცდელებს გავდიოდი, რაც მანამდე არასდროს განგვიცდია. მაინტერესებდა რაიმე არასწორი ხომ არ გავაკეთე, ასე რომ ყველა ცოდვის აღიარება დავინყე რისი გახსენებაც კი შეეძელი, რაც ოდესმე ჩამედინა, მაგრამ ჩემი სიმშრალიდან არანაირი შვება არ იყო.

ერთ დღეს, როცა ვცდილობდი გამომეცნო, მაინც რა ცოდვა ჩავიდინე, უფალმა მითხრა: „უდაბნოში იმისგამო არ ხარ, რომ შესცოდე! მე გამზადებ შენ მომავალი ცვლილებისთვის.“

იგი ჩემში იმ ხასიათს ავითარებდა, რაც მჭირდებოდა, რათა მსახურების მომავალი ფაზის მონოდებას მივყოლოდი. შეხედეთ ესაიას 43:18-19:

„ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ. აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება, განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გზას გავიყვან, ხრიოკზე მდინარეებს ვადენ“.

მოგვიანებით ამ წიგნში მე გეტყვით თუ როგორ სასწაულებრივად გამოავლინა უფალმა ამ დროის განმავლობაში ის განსაკუთრებული დეტალები, რაც უკავშირდებოდა „მომავალ ცვლილებას.“ ყველაფერთან ერთად, ჩემი უდაბნოს ყველაზე მეტი მცდელობით სავსე დღეებში, უფალი ამზადებდა ჩვენი მსახურების დაბადებას ამერიკაში და საბოლოოდ, ერებში.

მეგობარო, ღმერთი შენს ძველ ღვინოს ამოაშრობს, რათა როცა ახალი მოვა და განსაცდელები შეუტევენ ახალს, არ ისურვო, რომ ძველს დაუბრუნდე!

6


ზეციური ჯილდო

ზოგიერთი ადამიანი უბრუნდება წარსულს და ქექავენ ყველა პრობლემას რაც კი ჰქონიათ, შემდეგ უყურებენ მომავალს და ელიან, რომ კიდევ უფრო მეტი პრობლემები ექნებათ, ბოლოს კი ბარბაცითა და მერყეობით მიჰყვებიან ცხოვრებას.

– დ. ლ. მუდი

„ძმებო, არ მიმაჩნია, რომ უკვე მივალწიე, არამედ ერთს ვაკეთებ: ვივინყებ, რაც უკან დარჩა და იმას ველტვი, რაც ჩემს წინაა. ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მონოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში“.

– ფილიპელთა 3:13-14



მოციქულმა პავლემ ახალი აღთქმის წერილების ორ-მესამედი დაწერა და გზა გაუკაფა უამრავ წარმართულ ეკლესიას. მისი მსახურება მთელს მსოფლიოში გავრცელდა და სიცოცხლის ბოლოსკენ მაინც ამბობს: „არ მიმიღწევია“. ის არ იყო კმაყოფილი და არც იქნებოდა, სანამ თავისი რბოლის ბოლოს არ მიაღწევდა და ზეციურ ჯილდოს არ მიიღებდა.

იმისათვის, რომ დავასრულოთ ჩვენი რბოლა და მივიღოთ ჯილდო, პირველი, რაც ჩვენს გულში უნდა დამკვიდრდეს არის ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია მისთვის.

ჩვენ არ ვართ სრულყოფილები; ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ცვლილება და ზრდა.

მოსემაც, მიიღო უდიდესი მონოდება, გაძლოდა სამ მილიონიან ერს და იყო სასწაულებრივი ნიშნებისა და საოცრებების ნაწილი, როგორც არავინ ძველ აღთქმაში. თუმცა, ღმერთმა თქვა რომ მოსე იყო ყველაზე თავმდაბალი (ვინც ყველაზე მეტად სწავლობდა) კაცი დედამიწაზე. მას საკუთარი თავის შესახებ არ მიუჩნევია, რომ სადღაც მივიდა, იგი აგრძელებდა წინსვლას, რათა დაესრულებინა რბოლა და მიეღო ზეციური ჯილდო. იმისათვის, რომ გავიზარდოთ და შევიცვალოთ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს სწავლა.

მეორე, რაც უნდა გავაკეთოთ ჩვენი რბოლის დასასრულებლად ღვთისთვის, არის *დავივიწყოთ ის ყველაფერი (გამარჯვებები და დამარცხებები), რაც ჩვენ უკანაა!* კიდევ ერთხელ, აი, რას ამბობს ღმერთი ესაიას 43:18-19-ში:

„ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ! აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება,

განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გზას გავიყვან, ხრიოკზე მდინარეებს ვადენ“.

წარსული მარცხები, უარყოფები ან ცოდვები, თუ მუდმივად ჩვენში იქნება, ეს ყველაფერი ხელს შეგვიშლის, წინ წავიდეთ ქრისტეში. თუმცა, წარსულის ტრიუმფებსაც შეუძლია უკან დაგვხიოს. თუ ზედმეტად დარწმუნებულები ვართ საკუთარ თავში და წარსულ მიღწევებს ვეყრდნობით წამოსანეგად და განსამტკიცებლად, გამოვტოვებთ იმას, რაც ღმერთს ახლა აქვს ჩვენთვის. სწორედ ამას ამბობს ღმერთი ესაის 43-ე თავში. წინა რაღაცებიც მისგან იყო, მაგრამ იმისათვის, რომ წინსვლა გააგრძელო რათა შეასრულო ის, რასაც იგი განიზრახავს ჩვენთვის, მზად უნდა ვიყოთ, მივატოვოთ გზები, რომლითაც ადრე გვატარებდა ღმერთი. თუ ასე არ მოვიქცევით, ღვინის ძველ ტიკებად გახდომის საფრთხის წინაშე ვდგავართ.

პავლეც ხაზს უსვამს ამ ჭეშმარიტებას:

„როცა ბალღი ვიყავი, ბალღურად ვმეტყველებდი, ბალღურად ვაზროვნებდი და ბალღურად ვმსჯელობდი; მამაკაცი რომ გახვდები, ყოველივე ბალღური მივატოვე. რადგან ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ. ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ კი ისე შევიცნობ, როგორც მე ვარ შეცნობილი ღვთის მიერ“. (1 კორ. 13:11-12)

ბავშვი არასწორი არაა; იგი მოუმწიფებელია. როცა ხუთი წლის ვიყავი, მთელი ჩემი სამყარო სატვირთო მანქანები და ლეგო იყო. ძირითადი მიღწევა ანბანის თქმა იყო. ცხოვრებას მუქი სათვალისა და ვუყურებდი, რადგანაც არ ვიყავი მომწიფებული, რომ მის უფრო რთულ და ღიდ ასპექტებს გავმკლავებოდი.

როცა თვრამეტი წლის ვიყავი, სატვირთო მანქანები და ლეგო უკვე წარსულში იყო დარჩენილი. ახლა, მომწიფების მრავალი წლის შემდეგ, ისეთი სათვალის ვუყურებდი ცხოვრებას, რომელიც იმდენად მუქი აღარ იყო. გაიზარდა ჩემი ღონე და შესაძლებლობა გაგებისადმი. არანორმალურია, როცა თვრამეტი წლის ადამიანი ხუთი წლისასავით იქცევა. როცა ვიზრდებით,

გვერდზე ვდებთ ან ვივიწყებთ წინას, ბავშვურ გზებსა და გაგებებს, რომლებიც აღარაა გამოსადეგი და ფუნქციური ჩვენი საჭიროებებისა თუ სიამოვნებისთვის.

ამის მსგავსად, როცა ღვთის ასპექტებში იზრდები, როცა ცხოვრების ახალ საფეხურზე გადადიხარ, გვერდზე უნდა გადაადო წინა, მოუმნიფებელი რალაცები. პავლე ამბობდა, რომ ახლა უფლის გზებსა და მის დიდებას ბუნდოვნად ვხედავთ, მაგრამ, როცა მივდევთ ზეციურ ჯილდოს, უფრო და უფრო ცხლად დავინახავთ, სანამ ღმერთს პირისპირ ვიხილავთ. სხვა

ბადარჩენის რჩევები შენი მომზაურობისთვის

№6 „არ გააკეთოს“ სია!

უდაბნოში წმიდა წერილის მიერ ისრაელიანთა სავალალო გამოცდილებაზე ნათქვამის დაფუძნებით არის რალაცები, რაც არ უნდა გავაკეთოთ, როცა დროებით გვალვის პერიოდში ვართ. რეალურად, ეს ძალიან კარგი სიაა იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთო ქრისტიანული ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში, მაგრამ შესაძლოა, ამ ყველაფრის ცდუნება გაცილებით დიდია, როდესაც უდაბნოს ვებრძვით. აქ მოცემულია მათგან ძირითადების სულ მცირე, ნაწილობრივი სია:

1. გულისთქმა ბოროტი რალაცების მიმართ. როცა არაფრის მქონეები ვართ, ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ არასწორი რალაცები უკეთ, ბედნიერადაც კი გვაგრძნობინებს თავს.
2. კერპების მიყოლა. ეს არის საკუთარი სურვილების დევნა, როცა ვიცით რომ ისინი ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება. მისცე რაიმეს ან ვინმეს იესოზე დიდი სიყვარული.
3. სექსუალურ საცდურებში და ამორალურობაში დანებება.
4. უფლის გამოცდა.
5. წუნწუნი, წუნწუნი, წუნწუნი.

სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გავიცნობთ მას, როგორც ის გვიცნობს ჩვენ!

რა არის ზეციური ჯილდო, რომელსაც პავლე ახსენებს? მან ამ კითხვას წინა მუხლში გასცა პასუხი. ფილიპელთა 3:10 ამბობს: „რათა შევიცნო იგი, მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვებში მოზიარეობა, მის სიკვდილს რომ მივემსგავსო“. ზეციური მამის ზეციური ჯილდოა, შეესაბამებოდე მისი ძის, იესო ქრისტეს ხატს რომ იცნობდე, მას, როგორც ის გვიცნობს ჩვენ! სანამ ამ მიზანს მივალწევთ, არ უნდა ვიყოთ კმაყოფილები, ამრიგად, არასდროს არ უნდა შევწყვიტოთ უზენაესის გულის ძიება.

თავის პირველ წერილში კორინთოს მორწმუნეები-სადმი, პავლე ახსენებს, რომ ძალიან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია ჩვენი უდაბნოს წინაპრებიდან იმაზე, თუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ:

არ მინდა, ძმებო, არ იცოდეთ, რომ ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვა. მაგრამ მათგან უმრავლესობა როდი მოიწონა ღმერთმა; ამიტომ უდაბნოში მიმოიფანტა მათი გვამები. და ნიმუშად მოგვეცა ეს, რათა არ შევნატროდეთ ბოროტს, როგორც ისინი შენატროდნენ.
(1 კორ. 10:1, 5-6)

ისრაელიანებმა დიდი ფასი გადაიხადეს, ასე რომ, მოდით, მათი მაგალითიდან ვისწავლოთ!

მეგობარო, უდაბნოში შეგიძლია იპოვო უფლის გზები და მისი გულიც კი, მაგრამ უდრეკი უნდა იყო და მტკიცედ თქვა გულში: „ღმერთო, მე მწამს, რომ კარგი ხარ და გიყვარვარ მაშინაც კი, როცა ვერ ვგრძნობ შენს სიკეთესა და სიყვარულს!“

მესამე, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მივდიოთ ზეციურ ჯილდოს, არის „ილტვოდე მიზნისკენ!“ ილტვოდე, გულისხმობს, რომ გარკვეული წინააღმდეგობა ან ზეწოლა იქნება. არსებობს წინააღმდეგობა იმისა, რომ იცნობდე ღმერთს.

ყველაზე დიდი მუქარა ბოროტისთვის არის ადამიანი, რომელიც იესო ქრისტეს ხატსაა მიმსგავსებული და ამ დროს ბნელეთის ძალები ყველაზე მეტად იბრძოლებენ, ვიდრე სხვა რამ. როცა მორწმუნეები ქრისტეს ხატთან არიან შესაბამისობაში, ისინი საკუთარი თავისთვის აღარ ცოცხლობენ, არამედ მისთვის, ვინც მათში ცოცხლობს. ამის შემდეგ ისინი ქრისტეში თავიანთი ცხოვრების უფრო უხვ, ძლიერ გამოხატულებაში შედიან. აი, რატომ თქვა პავლემ, იმისათვის, რომ ვიცნობდეთ მას, მისი ტანჯვის თანაზიარნი უნდა გავხდეთ. ხორცის კონკრეტული ტანჯვა, რომელზეც იგი ლაპარაკობს, ემთხვევა საკუთარი თავის სიკვდილს, რასაც აღმდგარი სიცოცხლე მოაქვს. პეტრე წერს:

„ვინაიდან ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა, თქვენც განიმსჭვალეთ იმავე აზრით, რადგან, ვინც ხორციელად იტანჯება წყვეტს ცოდვის ჩადენას. რათა სხეულში ყოფნის დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთის ნებით“.
(1 პეტრ. 4:1-2)

თუკი ხორცში ვიტანჯეთ, აღარ ვართ დომინირებულები თუ ფოკუსირებულები ჩვენს პირად გზებზე, დედამიწაზე არსებულ ყველა ცოდვილ საშუალებას ადევნებულნი.

ქრისტესთან ერთად ტანჯვა

რა არის ქრისტეს ტანჯვა? ბევრმა ეს არასწორად გაიგო, რადგანაც ზოგიერთმა რელიგიურმა სწავლებამ გზიდან ააცდინა ეს ბიბლიური ტერმინი. ტანჯვა არ არის ავადმყოფობით სიკვდილი ან გადასახადებისთვის საჭირო ფულის ნაკლებობა. ეს არ არის საკვების გარეშე ყოფნა კვირების განმავლობაში, რათა ღმერთი ამოქმედდეს შენი მსხვერპლით. ტანჯვა არ არის

მსხვერპლი – ეს მორჩილებაა! ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ცხადად ამბობს, რა არის ქრისტეს ტანჯვა:

„მან ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღალადითა და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება მას, ვისაც შეეძლო სიკვდილისგან ეხსნა იგი...და თუმცა ძე იყო, ტანჯვის მეშვეობით ისწავლა მორჩილება“. (ებრ. 5:7-8)

იესოს არ ჩამოუტანია მორჩილება დედამიწაზე; მას მისი სწავლა მოუწია. მან ისწავლა ეს მამის მორჩილებით მაშინ, როცა უფრო მარტივი იყო არ დამორჩილებოდა. ის არ ეძებდა ესამოვნებინა ადამიანებისთვის, არამედ ღვთისთვის. მან იცოდა რომ ადამიანები ძალიან დიდხანს მიიღებდნენ სარგებელს მისი მორჩილებისგან. პეტრე ჭეშმარიტ ტანჯვას აიგივებს უფლის ნების მიხედვით ადამიანური სურვილების წინააღმდეგ ცხოვრებასთან (1 პეტრ. 4:2).

„ქრისტეს ტანჯვა“ ნიშნავს ზეციერი მამის გზით სიარულს, როცა ჩვენი გონება, ემოცია, თუ ფიზიკური გრძნობა გვეძახის მარტივი, კომპრომისისა თუ სიამოვნების გზისკენ. ეს ხშირად ხდება იმ კონფლიქტისას, რომელსაც ვაწყდებით, როცა ღმერთი გვეუბნება, რომ ერთი გზით წავიდეთ, მაგრამ ჩვენი მეგობრები, ოჯახი, თანამშრომლები, თუ სხვები გამოთქვამენ სურვილს, რომ სხვა მხარეს წავიდეთ. სამწუხაროდ, თითქოს ძირითადად ამ წინააღმდეგობას ჩვენთან ახლოს მყოფი ადამიანებისგან ვიღებთ. ამის კლასიკური მაგალითია, როდესაც პეტრე არ ეთანხმება იესოს მისი სიკვდილისა და დამარხვის შესახებ:

„ამის შემდეგ დაიწყო იესომ თავისი მონაფეებისთვის იმის გამხელა, რომ უნდა წასულიყო იერუსალიმს, დიდად დატანჯულიყო უხუცესთა, მღვდელმთავართა და მნიგნობართაგან, მოკლულიყო და მესამე დღეს აღმდგარიყო. პეტრემ გაიხმო იგი, უკრძალავდა და ეუბნებოდა: „შეინყალე შენი თავი, უფალო, ნურც შეგემთხვევა ასეთი რამ!“ ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: „გამშორდი, სატანავ! საცდური ხარ ჩემთვის, რადგან იმაზე კი არ ფიქრობ, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია“. (მათე 16:21-23)

იესომ განუცხადა თავის მოწაფეებს, რომ იმისათვის, რათა დამორჩილებოდა ღმერთს, იგი იერუსალიმში უნდა წასულიყო, ეტანჯა, მოკლულიყო და აღმდგარიყო მესამე დღეს. პეტრეს ნამდვილად არ გაუგია „აღდგომის ნაწილი“, რომელზეც იესომ თქვა, თორემ ასე არ ააღელვებდა ის წინადადება, რომელიც იესომ მის მომავალ სიკვდილზე თქვა.

შეგიძლია პეტრეს აზრების გაგება?

„მოიცადე, შენ მესია ხარ [ეს სულ ახლახანს გაუცხადდა მას] და შენ უნდა დაადგინო სამეფო და აღადგინო ისრაელი. ჩემი ბიზნესი, ცოლი და ოჯახი მივატოვე რომ შენ გამოგყოლოდი. შენს გამოსაყოლად მეგობრები დავკარგე. ძალიან დიდი დრო ჩავდე ამ ყველაფერში. რეპუტაცია გამიცამტვერდა. სინაგოგის ლიდერები ფიქრობენ, რომ გიჟი ხარ; გაზეთები და ჟურნალები მუდმივად წერენ სტატიებს იმაზე, თუ რამდენად საკამათო ხარ. ყველაზე ცხელი საკითხი ხარ სოციალურ მედიაში. და ძირითადად უსარგებლო კომენტარებია. უამრავი უკვე დაფუძნებული თეოლოგი და ლიდერი მწვალებლად მიგიჩნევს და ახლა სიკვდილზე ლაპარაკობ. სად მტოვებს ეს ყველაფერი? მთელი ეს დრო რაც შენს გამოყოლაში ჩავდე, დამეკარგება და არაფერი დამრჩება გარდა ცუდი რეპუტაციისა“.

და შემდეგ პეტრემ წამოაყრანტალა: „არა, უფალო, შენ ამას ვერ იზამ!“ (პერიფრაზი).

იესოს სწრაფად უნდა მიეთითებინა, რომ პეტრეს აზრები ეგოისტური და ამქვეყნიური იყო. იგი უფლის თვალებით არ უყურებდა რალაცებს. ქვეყნიერება სატანის მიერ იწვრთნება („ამ წუთისოფლის ღმერთი“ 2 კორ. 4:4) რათა საკუთარი ინტერესების ძიება დავიწყოთ. ზეცის სამეფო კი ამის საპირისპიროა. ამრიგად, იმისათვის, რომ აღვასრულოთ ზეციერი მამის ნება, კულტურის დინების საწინააღმდეგოდ უნდა წავიდეთ მაშინაც კი, თუკი ეს გულისხმობს, რომ „უფალში ძმისა თუ დის“ წინააღმდეგ წავიდეთ, რომლის აზროვნებაზეც ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს ქვეყნიერებას. პეტრე არ იყო უკეთური ადამიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი აზრები ქვეყნიერებას იყო მიმსგავსებული და

არა ქრისტეს. ის უწყვეტი იყო პერსპექტივის ცვლილებისადმი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რაღაცები.

ამის კიდევ ერთი მაგალითია, როცა ისრაელიანები ქანაანის დასაზვერად წავიდნენ. დაახლოებით ერთი წელი ჰქონდათ გატარებული უდაბნოში, როცა ღმერთმა უთხრა მოსეს, გაეგზავნა ადამიანები, რათა ინფორმაცია შეეგროვებინათ აღთქმულ მიწაზე, რომელიც მათთვის უნდოდა. მოსემ თორმეტი ლიდერი აარჩია თითოეული ტომიდან. მათგან ორი იყო იეშუა და ხალეხი.

როცა ინტელიგენცია დაბრუნდა ჯაშუშობიდან, მათ საპირისპირო ანგარიშები ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ნახეს და რა მოქმედებები იყო საჭირო. ათმა მათგანმა თქვა:

„ძლიერია ხალხი იმ ქვეყანაში რომ ცხოვრობს, ქალაქები ფრიად დიდია და გამაგრებული; ყენაკის ძენიც კი ვნახეთ იქ. ნეგების ქვეყანაში ყამალეკელნი მკვიდრობენ, ხოლო ხეთელნი, იებუსელნი და ამორელნი მთაში ცხოვრობენ, ქანაანელები კი ზღვის კიდეზე და იორდანეს სანაპიროზე მკვიდრობენ...ვერ შევძლებთ იმ ხალხის წინააღმდეგ გასვლას, რადგან ჩვენზე ძლიერია იგი.“
ბოროტად ილაპარაკეს ისრაელიანთ შორის ქვეყანაზე, რომელიც დაზვერეს: „ქვეყანა, რომელიც დავზვერეთ, მშთანთქმელიაო თავისი მკვიდრებისა; მთელი ხალხი კი, იქ რომ ვნახეთ – ახოვანი“. (რიცხვ. 13:29-30; 32-33)

ხალეხმა და იეშუამ კი სრულიად განსხვავებული აღწერა მოიტანეს:

„გააჩუმა ხალეხმა ხალხი მოსეს წინაშე და თქვა: „წავიდეთ და დავიმკვიდროთ ის ქვეყანა, რადგან ძალგვიძს მათი ძლევა...მოვიქცეთ უფლის სათნოდ, შეგვიყვანს ამ ქვეყანაში და მოგვცემს ქვეყანას, სადაც მოედინება რძე და თაფლი. ოღონდ ნუ ამბობდებით უფლის წინააღმდეგ და იმ ქვეყნის ხალხისა ნუ გეშინიათ, რადგან ჩვენი ნადავლია იგი. ვინაიდან განერიდა მათ მფარველი, ჩვენს შორის კი თავად უფალია, ნუ გეშინიათ!“ (რიცხვ. 13:31; 14:8-9)

თორმეტივემ ერთად იმოგზაურა მიწის დასაზვერად. მათ ნახეს: ერთი და იგივე ქვეყანა, ქალაქები, ხალხი. რატომ დაბრუნდა ათი მათგანი სრულიად სხვანაირი ცნობით და ორი – სრულიად სხვანაირით? პერსპექტივა!

ზეციერმა მამამ თქვა ხალხებისა და იეშუას შესახებ, რომ მათ განსხვავებული სული ჰქონდათ, რადგან ისინი მთლიანად მიჰყვებოდნენ მას (რიცხვ. 14:24). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ადამიანთა სურვილებიდან უზენაესის ნებაზე გადაინაცვლეს. ისინი შემოქმედის თვალებით იყურებოდნენ და არა თვითდაცვის პერსპექტივიითიდან. ეს არის გასაღები იმისა, თუ რატომ დაინახა ათმა ჯაშუშმა ერთნაირად სულ სხვა რამ, იეშუასა და ხალხებისგან განსხვავებით. ის ათი საკუთარ კომფორტზე, უსაფრთხოებაზე და ოჯახზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე უფლის სურვილებზე. მათი ცხოვრება იმართებოდა იმის მიხედვით, რასაც გავლენა ექნებოდა მათზე და არა ღვთის სამეფოს მიხედვით. მათ ვერ გააცნობიერეს ის, რომ ზეციერი მამა არასდროს დატოვებდა მათ და წარმატებას მისცემდა ყველაფერში, რასაც წინ დაუდებდა. ასეთივე არასწორი აზროვნება ჰქონდა დანარჩენ მოსახლეობასაც, რადგან მათ თქვეს:

„წუნუნებდნენ ისრაელიანები მოსეზე და აჰარონზე და უთხრა მათ მთელმა თემმა: „ნეტავ, ეგვიპტეში მოვმკვდარიყავით ან ამ უდაბნოში დავხოცილიყავით! რისთვის მივყავართ უფალს ამ ქვეყანაში, რათა მახვილით დავეცეთ? ნადავლად იქცევებიან ჩვენი ცოლები და ჩვენი ბავშვები. განა უმჯობესი არ იქნება ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება!“ (რიცხვ. 14:2-3)

ისრაელიანები უკან იყურებოდნენ ეგვიპტის „კარგ, ძველ დღეებში“, როცა სავსე მუცლები და გარკვეული სტაბილურობა ჰქონდათ. ის, რის წინაშეც ახლა აღმოჩნდნენ, გაცილებით რთულად ეჩვენებოდათ, ვიდრე ეგვიპტის მონობის უღელი. ყველა მათგანი შეუვალი იყო აუცილებელი ცვლილებისადმი. მათ უსაფრთხოება ჰპოვეს ნაცნობ უდაბნოში მიუხედავად იმისა, რომ მათი მომთაბარე ცხოვრების წესი და კვების არჩევანი იდეალურს გაცილებით ჩამორჩებოდა. ამის შედეგად,

მათ არასდროს უხილავთ ალთქმული მინა და არასდროს აღუსრულებიათ ღვთის ნება მათ ცხოვრებაში.

თუმცა ხალებს და იეშუას წინსვლა უნდა გაეგრძელებინათ. შეუვალობა, რის წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ, საკუთარი „ძმებისაგან“ მოდიოდა, რომელთაც უნდოდათ რომ ისინი უბრალოდ დადუმებულიყვნენ: „და თქვა მთელმა თემმა: 'ქვებით ჩავქოლოთ ესენი!'“ (რიცხვ. 14:10). იეშუასა და ხალების მონინააღმდეგეებს, განუახლებელი გონება ჰქონდათ და კვლავ ისე უყურებდნენ და ფიქრობდნენ რაღაცებზე, როგორც ქვეყნიერება. ისინი გაიჭედნენ თავიანთ გზებზე...გაიჭედნენ უდაბნოს აზროვნებაში.

ხალებისა და იეშუას მსგავსად, მოციქული პავლეც ამბობდა რომ მას უნდა დაევიწყებინა ყველაფერი რაც უკან იყო და გაეგრძელებინა ლტოლვა ზეციური ჯილდოსაკენ (ფილ. 3:14).

კვლავ შევხედოთ ესაიას 43:18-19-ს, ინსტრუქციას, რომელმაც დღეს უნდა გაგვამხნევოს:

„ნუ გაიხსენებთ წარსულს, გასულ დღეებზე ნუ იფიქრებთ! აჰა, მე ვქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება, განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გზას გავიყვან, ხრიოკზე მდინარეებს ვადენ“.

სამწუხაროდ, დღესაც კი უამრავი ადამიანი ამჯობინებს თავისი უღელის „უსაფრთხოებაში“ ყოფნას იმას, რომ ილტვოდეს თავისუფლებისაკენ და აღასრულოს ღვთის ნება მასზე. ასეთ ადამიანებს მომავალი ცვლილება მეტად აშინებთ, ვიდრე გარემოებები, რომლებიც მათთვის ნაცნობია, თუმცა შემავინროებელი. არიან სხვებიც, რომლებიც კმაყოფილნი არიან იმით, რაც უზენაესმა გააკეთა წარსულში და არ სურთ ილტვოდნენ ახალი გამოწვევებისკენ. ღმერთმა ჭეშმარიტად დიდებული რაღაცები მოიმოქმედა მათი მეშვეობით, მაგრამ მათ თავიანთი წინა წარმატების ზეგანზე დაიბანაკეს.

უფლის ნების მორჩილებას სიცოცხლე და თავისუფლება მოაქვს. ეს არის ერთადერთი საშუალება, ჭეშმარიტი სისავსის საპოვნელად. თუმცა შეიძლება შენი ახლანდელი გარემოებებიდან გამომდინარე ზეციური ჯილდოსკენ ლტოლვა შეუძლებლად მოგეჩვენოს. ესაიას მეშვეობით ღმერთმა თქვა: რომ ის ახალ

რალაცებს მოახდენდა, მაგრამ ეს ყველაფერი „უდაბნოში დაინყებოდა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მივყვებით რა უფლის სულს მისი სურვილების აღსასრულებლად, ჩვენს თავს ისეთგან აღმოვაჩინოთ, რაც წარმოუდგენელი ჩანს - გვაღვიან სიტუაციებში. მაგრამ როგორც ვიცით, რაც შეუძლებელი ჩანს კაცთათვის, შესაძლებელია ღვთისთვის (ლუკ. 18:27). რადგან შენი ახლანდელი უდაბნოს მეორე მხარეს უხვი სიცოცხლე, გამარჯვება და სისავსეა.

ნუ იქნები იმ ათი ჯაშუშისა და ყველა სხვისი მსგავსი, რომელთაც არ სურდათ ხელი ჩაეჭიდათ ღვთის სურვილებისთვის და შეუვალები იყვნენ იმ ცვლილებებისადმი, რომელთაც უდაბნოს დანაკარგისგან მათი განთავისუფლება შეეძლო! ამის ნაცვლად, დარწმუნებით დაინყე ლტოლვა აღთქმული მიწისკენ, ღვთის ზეციური ჯილდოსკენ შენთვის!

7


ღვთის განსაკუთრებული მაგისტრალი

განსაცდელი უბრალოდ საშუალება არ არის. ეს არის უფლის ყველაზე ეფექტური საშუალება ჩვენი სულიერი ცხოვრების წინ წაწევისთვის. გარემოებები და მოვლენები, რაც ჩვენ უკან დამხევად გვეჩვენება, ძირითადად სწორედ ისაა, რაც ინტენსიური სულიერი ზრდის პერიოდებში გვათავსებს. როცა ამის გააზრებას ვინყებთ და ვთანხმდებით მასზე, როგორც ცხოვრების სულიერ ფაქტზე, განსაცდელი ბევრად მარტივი გადასალახი ხდება.

– ჩარლზ სტენლი

„ისმინეთ ხმა მლაღადებლისა: „გაუმზადეთ უფალს ბილიკი, მოასწორეთ გზა უდაბნოში ჩვენი ღვთისთვის“.

– ესაია 40:3



რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს, უდაბნო ის ადგილია, სადაც ღმერთმა განსაკუთრებული მაგისტრალი მოათავსა! ეს არის ადგილი, სადაც მისი გზა მზადდება, გზა უფრო ამაღლებული ან განდიდებული ცხოვრებისკენ, თუ როგორ ცხოვრობს და ფიქრობს ღმერთი.

მთელი ისტორიის განმავლობაში, ცოტა თუ მიჰყვებოდა მის მაგისტრალს. ახლაც კი, ღმერთი მრავალს ამზადებს მასზე მოგზაურობის დასაწყებად. ამის აღწერას ესაიას 35:6,8-ში ვპოულობთ:

„რადგან უდაბნოში წყალი ამოხეთქავს და ტრამალზე – ნაკადულები...და იქნება იქ გაკვალული ბილიკი, რომელსაც სინმიდის გზას დაარქმევენ“.

უფლის მაგისტრალს უდაბნოში, არ აქვს რაიმე სიმბოლური რიცხვი, როგორც 1-95 ან მარშრუტი 66. მას უბრალოდ *სინმიდე* ჰქვია.

სინმიდის ერთ-ერთი განმარტებაა „სუფთად ყოფნის მდგომარეობა.“ იესო ამბობს: „ნეტარ არიან გულით სუფთანი, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5:8). იესო არ დაბრუნდება არანმიდა, ან უსუფთაო ეკლესიისათვის; ის ბრუნდება ეკლესიისთვის, რომელსაც ერთი წერტილი თუ ნაოჭიც არ აქვს.

რამდენიმე ათწლეულის წინ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ვიყავი და მსახურებას ვიწყებდი, ღმერთმა ერთ დღეს ლოცვისას მაჩვენა, რომ იგი ჩემი ცხოვრების განწმედის დაწყებას აპირებდა. იმდენად ავლელდი, რომ ლიზას ვუთხარი: „ღმერთი აპირებს მინარევები მომამოროს“ და განვაგრძე მისთვის იმ ყველა არასასურველი რაიმეს თქმა, რასაც ღმერთი

მომაშორებდა. (შესაძლოა მან რამდენიმე დაამატა კიდევ, რაც სიის მიღმა დავტოვე!)

შემდეგი სამი თვის განმავლობაში, არაფერი მომხდარა. რეალურად, ყველაფერი გაუარესდა ჩემს ცხოვრებაში და უფრო მეტად მივხვდი როგორ მჭირდებოდა განწმედა. უფალთან მივედი და ვკითხე: „რატომ უარესდება ჩემი ცუდი ჩვევები გაუმჯობესების ნაცვლად?“

„შვილო“ – მან მიპასუხა: „გითხარი, რომ მე ვაპირებდი შენს განწმედას. შენ კი ამის გაკეთებას შენი ძალებით ცდილობდი. ახლა კი, მე გავაკეთებ ამას ჩემებურად.“ მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რომ სულ მალე ჩემს პირველ უდაბნოს მოგზაურობას უნდა შევედგომოდი და იგი თვრამეტი თვე რომ გაგრძელდებოდა.

მისი გზები ჩვენი გზები არაა

როცა ახალი მორწმუნე ვიყავი, თ.ლ. ოზბორნის მსახურებას ვავეცანი. დოქტორი ოზბორნი უდიდესი მსახური და მწერალი იყო, რომელსაც თავის ცოლ დეიზისთან ერთად, ძლიერი მახარებლური და სასწაულებრივი, განკურნებითი მსახურება ჰქონდა ათწლეულების განმავლობაში მთელს მსოფლიოში. მათმა მსახურებამ ათობით მილიონი ადამიანი მიიყვანა გადარჩენამდე.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ რამდენად ალელვებული ვიყავი დოქტორ ოზბორნთან შეხვედრით, როდესაც დალასში ჩამოვიდა ჩვენს ეკლესიაში საქადაგებლად. ამას ერთვოდა ისიც, რომ, როგორც სტუმრების მასპინძლობის მოვალეობის მქონემ, პირადად ვავეცანი იგი. თ.ლ. შესანიშნავი იყო. როცა მასთან ვიყავი, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს იესოს გვერდით ვიჯექი.

თ.ლ. რამდენჯერმე მოვიდა ჩვენს ეკლესიაში და ჩვენ საკმაოდ დავახლოვდით. ყველა წიგნი მომცა, რაც კი უსწავლია, როცა ახალგაზრდობაში მსახურებისთვის ემზადებოდა. თავისი ტანსაცმელიც კი მომცა (ერთი და იმავე ზომას ვიცვამდით) ორჯერ. იმ დღეებში ჩემი და ლიზას ბიუჯეტი ჩაცმა-დახურვას ვერ წვდებოდა, ამ ორი გარდერობიდან უამრავი რამ გამოვიყენე. ამ ვიზიტების შემდეგ, ის და დეიზი მამასა და დედასავით გახდნენ ჩემთვის და ლიზასთვის.

წლებით ადრე, როცა ჯერ კიდევ ამერიკის კორპორაციაში ვმუშაობდი, ერთ-ერთ მსახურებაზე, როცა თ.ლ. ქადაგებდა, სულიწმიდამ ჩამჩურჩულა, ერთ დღეს მას მოემსახურები. დოქტორი ოზბორნისთვის იმუშავებ. გონებაში ვიფიქრე, რომ ალბათ მის გუნდში ვიქნებოდი და მომავალში მეც მის მსგავს მახარებლურ მსახურებას დავინწყებდი.

ამ დროის განმავლობაში არაფერი მომხდარა, კვლავ უდაბნოში ვრჩებოდი. ოზბორნების მსახურების შტაბი ტულსაში იყო, თუმცა ისინი ორლანდოში ცხოვრობდნენ. დროის გასვლის შემდეგ, ისეთი დიდი წნეხი ვიგრძენი, რათა ჩემს მსახურებას შევდგომოდი, რომ გადავწყვიტე, აუცილებლად ორლანდოში უნდა გადავსულიყავი, რათა ოზბორნებთან უფრო ახლოს ყოფნა შემძლებოდა. ჩემი აზრები ორად იყოფოდა. უპირველესად, ეს ნათელს გახდიდა თ.ლ.-სთვის, რომ ეკლესიაში აღარ ვმსახურობდი. იგი უმნიკვლო პატიოსნების კაცი იყო. ვიცოდი, რომ ეკლესიიდან არასდროს დამითხოვდა. მეორე, თუკი მე და ლიზა ორლანდოში ვიცხოვრებდით, უფრო მარტივი იქნებოდა ჩვენთვის შევერთებოდით მათ მსახურებაში. ფლორიდაში გადასვლისთანავე, ჩემს თავს ხელმისაწვდომს გავხდიდი მისთვის.

ვიცი, ეს ყველაფერი ცოტა გადაჭარბებული იყო. მაგრამ იმდენად მონდომებული ვიყავი, ვცდილობდი „დავხმარებოდი“ ღმერთს, ნავეყვანე ჩემი ჭეშმარიტი მონოღებისკენ.

ასე რომ, ჩემს მწყემსს შეხვედრა დავუნიშნე დალასში, რათა გამეფრთხილებინა, რომ სამსახურიდან მივდიოდი და ორლანდოში გადავდიოდი. შეხვედრის წინა ღამეს, სამმა მწყემსმა დამირეკა სამი სხვადასხვა ქალაქიდან. თითოეული მათგანი, ჩემი განზრახვის გაგების შემდეგ ზუსტად ერთსა და იმავე კითხვას მისვამდა: „ლიზა სრულიად თანახმაა?“

ის არ იყო თანახმა. რამდენჯერმე მითხრა: „ჯონ, მე დაგემორჩილები და გამოგყვები, მაგრამ ვერ გეტყვი თითქოს გულში ვგრძნობდე, რომ ამის გაკეთება სწორია.“ მის კომენტარებზე მხოლოდ მხრებს ვიჩეჩავდი. ვფიქრობდი: ლიზა უბრალოდ ვერ ხედავს ამას და რამდენადაც ოჯახის თავი ვარ, მე უნდა დამემორჩილოს და მომყვეს. ოჰ, როგორი მოუმნიფებელი და სულელური აზრები მქონდა!

როცა გვიან ღამით, მესამე მწყემსმა დამირეკა და იგივე კითხვა დამისვა, რაც წინა ორმა, რაღაც დაიმსხვრა ჩემში. თვალები ამეხილა და დავინახე, რომ ვცდილობდი, ღმერთს დავხმარებოდი მისი გეგმის აღსრულებაში, იმის მაგივრად, რომ მისთვის მიმეცა ამის ნება.

მეორე დღეს მე და ღიზა მწყემსსა და მის ცოლს შევხვდით. ორივეს ვუთხარი, რატომ ვთხოვე შეხვედრა, თუმცა ნუხანდელი სამი ზარის შემდეგ გადავიფიქრე. ისინი მოწყალენი აღმოჩნდნენ ჩვენს მიმართ და მე და ღიზას გვითხრეს, რომ კვლავ სურდათ მათთან დავრჩენილიყავით. ჩემი ადგილი და პოზიცია კვლავ თავისუფალი იყო.

თითქოს მძიმე ტვირთი მომშორდა მხრებიდან, ახლა უკვე მზად ვიყავი, ღვთის მოქმედება დამენახა ჩვენს ცხოვრებაში. წარმოდგენა არ მქონდა, რომ ჩემი განწმედის პერიოდი ჯერ კიდევ არ სრულდებოდა. კიდევ ერთი ტალღა უნდა წამოსულიყო და ეს ყველაფერი ზუსტად იმ დღეს უნდა დაწყებულიყო.

მწყემსთან და მის ცოლთან შეხვედრიდან ზუსტად ექვსი საათი იყო გასული, მე სახლში ვიყავი და სპორტულ ტანსაცმელს ვიცვამდი ეკლესიის ბიჭებთან ერთად კალათბურთის სათამაშოდ. ტელეფონმა დარეკა. თ.ლ. ოზბორნი იყო! მარტივად რომ ვთქვათ, შოკში ვიყავი.

ოთხმოცდაათ წუთიანი სატელეფონო ზარის განმავლობაში მეც და ღიზასაც რაღაც პოზიციები შემოგვთავაზა მათ მსახურებაში. ჩვენ მას და დეიზის უნდა დავხმარებოდით და მთელს მსოფლიოში გვემოგზაურა მათთან ერთად. ჩვენ ასევე უნდა დაგვეწყო ეკლესია ტულსაში, რომელიც საბოლოოდ ნიმუში გახდებოდა სხვა ეკლესიებისთვის. მათი მიზანი მსგავსი ეკლესიების დაწყება იყო ყველა ადგილას, სადაც მასიურ ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწყობდნენ.

მთელი ხანგრძლივი სატელეფონო ზარის განმავლობაში ერთი აზრი მიტრიალებდა თავში, *მამა, ვაჟ, ვიცოდი რომ იმოქმედებდი, მაგრამ გაოცებული ვარ, რა სწრაფად გააკეთე ეს!* რთულია სიტყვებით გამოთქვა ის შოკი და აღელვება, რაც მე თ.ლ.-თან ტელეფონზე საუბრისას განვიცადე. დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ეს იყო ის გამოსავალი უდაბნოდან, რომელსაც ამდენ ხანს ველოდი. იმდენად ბედნიერი ვიყავი, მეგონა ავხტებოდი და თავს ჭერს მივარტყამდი. ყურმილის

დაკიდების შემდეგ გარეთ გავედი ღვთისთვის მადლობის გადასახდელად, მაგრამ გულში გადამონმების სურვილი თუ ყოყმანი ვიგრძენი. ეს შემანუხებელი გრძნობა იყო, რომელიც ღრმად, შიგნიდან გლრღნიდა.

ვიფიქრე, არა ღმერთო, არა, არა და არა, ამას ვერ გააკეთებ! ეს ისაა, რასაც დიდი ხნის წინ დამპირდი, რომ ერთ დღეს თ.ლ. ოზბორნისთვის ვიმუშაებდი! ახლა არას ვერ მეტყვი!

გადამონმების სურვილი არ მტოვებდა. სამი დღის განმავლობაში მთელი ძალით ვცდილობდი ლოცვაში, განვთავისუფლებულიყავი მისგან, ვცდილობდი თავი ამერიდებინა ამ არასასიამოვნო განცდისთვის. „ღმერთო, სიხარული მომეცი ამის შესახებ!“ აღმომხდა. ლიზაც იგივეს გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ძალიან უნდოდა ოზბორნებთან მუშაობა.

საბოლოოდ, გადავწყვიტე, არ დამეფერებინა, რომ ეს ყოყმანი შესაძლოა, ღვთისგან ყოფილიყო (კიდევ ერთი მოუმნიფებელი და საშიში ნაბიჯიც კი ჩემი მხრიდან). მე და ლიზა გაფფრინდით ოკლაჰამაში გასაუბრებისთვის და თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. თ.ლ.-მ და დეიზიმ ოფიციალურად შემოგვთავაზეს პოზიციები და მთელი გუნდის წინაშე წარგვადგინეს სამოზაო ნვეულებაზე.

დალასში დავბრუნდი და ეკლესიაში ჩემი პოზიცია მივატოვე. თუმცა გადამონმების განცდა არ მტოვებდა. საათებს ვატარებდი ლოცვაში, მაგრამ მშვიდობას მაინც ვერ ვგრძნობდი. ვცდილობდი, დიდხანს ლოცვით განვთავისუფლებულიყავი ამ დისკომფორტისაგან. მაგრამ არაფერი იცვლებოდა.

საბოლოოდ, ლიზას ვუთხარი: „არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ რაღაც ისე არ არის.“ ის დამეთანხმა: „მეც იგივე განცდა მაქვს.“

დავურეკე თ.ლ.-ს და ვუთხარი, რასაც ვგრძნობდი: „მოდით, ყველა ერთად შევიკრიბოთ და ამაზე ვილაპარაკოთ.“ ამრიგად ტუსლაში გაფფრინდით და ორ საათიანი შეხვედრის შემდეგ, თ.ლ.-მა თქვა: „ჩვენ ეს პოზიციები შემოგვთავაზეთ იმიტომ, რომ გვიყვარხართ და ვიცით, რომ თქვენც გვიყვარვართ. თუმცა ახლა დავინწყეთ იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ეს ღვთისგან არ არის.“

„არც მე მესმის ეს“ - ვუპასუხე: „მაგრამ ვფიქრობ, რომ მართალი ხარ.“ ვერც კი ვიჯერებდი სიტყვებს, რომლებიც ჩემი

ბაგიდან გამოდიოდა. ამის თქმა ძალიან რთული იყო ჩემთვის. ჩემი ცხოვრების ოცნება იყო თ.ლ. ოზბორნისთვის მუშაობა.

იმ წლებში, ყოველ დილას ადრე გავდიოდი და საათ-ნახევრიდან ორ საათამდე ვლოცულობდი. მაგრამ ჩემს გმირთან, დოქტორ ოზბორნთან დაკავშირებული იმედგაცრუების შემდეგ, სულ მცირე ორი კვირის განმავლობაში, დილას ადრე გავდიოდი, თუმცა თითქმის ვერ ვლოცულობდი. თითქოს ერთადერთი რისი გაკეთებაც შემეძლო, გოდება იყო. ერთადერთი რაც შემეძლო იყო ურწმუნობით გადამელახა ის ყველაფერი, რაც ბოლო თვეების განმავლობაში მოხდა. საოცრად ვიტანჯებოდი. თითქოს საყვარელი ადამიანის სიკვდილს ვგლოვობდი. ორი კვირის შემდეგ, გარეთ ვიყავი, სადაც არავის ესმოდა ჩემი ხმა და მთელი ხმით დავიყვირე: „რატომ?! ღმერთო, რატომ უნდა დავნებდე ახლა?! ექვსი წლის წინ, შენ დამელაპარაკე და მითხარი რომ მისთვის ვიმუშავებდი. რატომ?!“

არასდროს დამავიწყდება ის, რაც ღმერთმა მითხრა: „რადგან მინდოდა, დამენახა, მე მემსახურებოდი თუ შენს ოცნებას.“

გავოცდი.

შემდეგ მითხრა: „აი, რატომ დავასმევიანე აბრაამს ისაკი სამსხვერპლოზე! რათა დამენახა, მისი სიყვარული ჩემდამი უფრო ნაკლები ხომ არ იყო, ვიდრე აღთქმული კურთხევებისადმი, რომელიც მე მივეცი. ამით დამტკიცდებოდა, თავის ოცნებას ემსახურებოდა, მე მემსახურებოდა, რომ მისი ოცნება მიელო, თუ მე მემსახურებოდა და ჩემს ერთგულებას ენდობოდა, რომ აღვასრულებდი მის ოცნებას.“

თითქოს ყველა კითხვას, რასაც ბოლო რამდენიმე კვირა ვებრძოდი, პასუხი გაეცა ღვთის სიტყვით. და პირველად, დაახლოებით თვრამეტი თვის განმავლობაში, სიხარულით აღვივსე სულში. თითქოს ჩემი ცხოვრება თავიდან გაიხსნა და გავაცნობიერე, როგორი კურთხეული ვიყავი იმ მომენტში. გავაანალიზე, რა მშვენიერ ქალბატონზე ვიყავი დაქორწინებული. გავაანალიზე, რომ საოცარი პატარა გვყავდა. თავიდან შემეყვარდა ჩემი ცოლი და შვილი. გავაანალიზე რომ ახალ ბინაში ვცხოვრობდი, რომელიც სულ ოცდაათი ნაბიჯით იყო დაშორებული შესანიშნავი აუზისგან და ძირითადად ნათელი, მზიანი დღეები გვქონდა. ყველაფერ ამას ველარ ვამჩნევდი, იმდენად ვიყავი მსახურების წნეხის ქვეშ და ვფიქრობდი, რომ სწორედ ეს უნდა გამეკეთებინა უფლის საამებლად.

ახლა, როცა უკან ვიხედები, ვანალიზებ, რომ მე უკვე მქონდა ის პრივილეგია, რაზეც ღმერთმა მითხრა, რომ უნდა მემუშავა თ.ლ. ოზბორნისთვის, მე ვემსახურებოდი მას არაერთხელ, როცა ჩვენს ეკლესიაში, დალასში ჩამოდიოდა.

მაგრამ ახლა, სამსახური აღარ მქონდა. მივედი ეკლესიაში დამცირებული, რათა გამეგო, შემეძლო თუ არა უკან დამებრუნებინა ჩემი პოზიცია. მახსოვს როგორ ვუყურებდი ჩემს მეგობარს, ერთ-ერთ ასოცირებულ მწყემსს და ვეუბნებოდი: „თავს ისე პატარად ვგრძნობ, ასე მგონია კარების ქვეშაც კი გავძვრები“ – ზუსტად ასე ვთქვი. ყველასთვის მქონდა ნათქვამი, რომ თ.ლ.-სთვის და დეიზისთვის უნდა მემუშავა.

ბადარჩენის რჩევები უნდა მოგზაურობისთვის

№7 ფრთხილად აირჩიე მეგობრები!

შეიძლება ამან არ უნდა გაგვაოცოს, თუმცა ხშირად ჩვენი ყველაზე საზიანო კრიტიკოსები და მონინააღმდეგეები ის ადამიანი არიან, რომლებიც ჩვენს ჯგუფში გვეგონა! ხშირად დევნა ისეთი ადამიანისგან მოდის, ვინც ჩვენი მეგობარი გვეგონა.

უდაბნო შეიძლება რეალურ დევნას მოიცავდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ დევნა მოსალოდნელია თუკი ქრისტეს მიყვებით. მოციქული პავლე ამბობს: „და ყველას, ვისაც სურს ღვთისმოსაობით იცხოვროს ქრისტე იესოში, დევნილი იქნება“ (2 ტიმ. 3:12). დევნა განწმედის პროცესის ნაწილია. და ვინ შეიძლება იყოს მღვწელი? ერთისთვის, თვითმარქვეები – ადამიანები, რომლებიც ღვთის ხალხს შეერივნენ, მორწმუნეებით გამოიყურებიან, როცა რეალურად გული ღვთისთვის არ მიუციათ. აი, რატომ ლაპარაკობს პავლე იანესა და იამბრეზე, რომლებიც წინ აღუდგნენ მოსეს. ისინი უფლის მრევლში იყვნენ და არა მის გარეთ.

ჩვენმა მწყემსმა კათედრიდანაც კი გამოაცხადა ეს და ახლა ეს არ ხდებოდა.

ეკლესიამ გულუხვად მომცა სამსახური ნახევარ განაკვეთზე. იქ კიდევ რვა თვე ვმსახურებდი. ამის შემდეგ, მოხდა ის, რისთვისაც ღმერთი მამზადებდა – მისი მოწოდების შემდეგი ფაზა. შემომთავაზეს ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკლესიის გუნდის წევრი გავმხდარიყავი. მათი ახალგაზრდულის მწყემსი უნდა ვყოფილიყავი. ეს სასწაულებრივად მოხდა. მეც და ლიზამაც, ორივემ ვიცოდით რომ ეს ღვთის კარი იყო. მე ახლა ახალი ცხოვრება და ახალი ხედვა მქონდა, მე ახლა გამზადებული ღვინის ტიკი ვიყავი ამ ახალი პოზიციისთვის, რომელიც ახალ ღვინოს ატარებდა.

პავლე აღწერს იმ დევნებისა და განსაცდელების ნაწილს, რის პირისპირაც ის აღმოჩნდა. იგი გვეუბნება, რომ გულისტკენას ხშირად „ცრუ ძმებისგან“ იღებდა (2 კორ. 11:26).

უდაბნოში გეხმარება გარშემო ისეთი ადამიანების ყოლა, რომლებსაც უყვარხარ და ზრუნავენ შენზე; ადამიანები, რომლებიც ღვთის ნებას ილაპარაკებენ შენს ცხოვრებაში. შენ არ გჭირდება კრიტიკოსები და ისინი, რომლებიც უფლის ურჩობისკენ მოგიწოდებენ, როგორც იობის ცოლი და მეგობრები მოიქცნენ. შენ არ გჭირდება ცრუ წინასწარმეტყველები, რომლებიც გეპირფერებიან, როცა ღვთიური შესწორება გჭირდება. შენ გჭირდება ადამიანები, ვისაც უყვარხარ და ღვთის სიბრძნეს გელაპარაკებიან.

მაგრამ ფხიზლად იყავი: თუ ვინმე შენს გაკრიტიკებას და დადანაშაულებას იწყებს იმაში, რომ შენი უდაბნოს მიზეზი თავად ხარ, ეს ადამიანი შესაძლოა, ჭეშმარიტი მეგობარი არ იყოს. ღმერთი გვამხილებს ჩვენს ცოდვაში და ხშირად სხვებსაც იყენებს, რათა ჩვენი შეცდომების დანახვაში და მონანიებაში დაგვეხმაროს, მაგრამ გრძელვადიანი დადანაშაულებები, რომლებიც არანაირ იმედს არ გვაძლევენ, მტრისგანაა მოტივირებული. ამიტომ, ფრთხილად იყავი!

განწმედის ბილიკი

საუკუნეების განმავლობაში, მას შემდეგ რაც იესომ დედამინა დატოვა, მისი მიმდევრები სინმიდის მიღწევას საკუთარი ძალებით ცდილობდნენ. რეალურად, მთელი ეკლესიის დენომინაციები წარმოიშვა სინმიდის ამო მცდელობების შედეგად. შედეგად, ერთადერთი რაც გავაკეთეთ, ჩვენი თავების კანონებში მოქცევაა, რადგან სინმიდე უფლის მადლის საქმიანობაა და არა ხორცის გარეგნული შეზღუდვები.

ღმერთი თავმდაბალს ანიჭებს მადლს და არა ამაცს. ამაცი ფიქრობს, რომ სინმიდე უზენაესის დახმარების გარეშე, დაწერილი წესების, მითითებებისა და რეგულაციების მიყოლით შეიძლება. თავმდაბალმა იცის რომ ეს ყველაფერი ფუჭია და ღვთის მადლს (ძალას) ენდობა. უფალთან ახლო ურთიერთობა წმიდაა, რადგან მხოლოდ ასეთი ურთიერთობით შეუძლია ადამიანს, გულში ჩანერილი კანონების დაცვის ძალა ჰქონდეს.

მრავალ ჩვენგანს უცდია სინმიდის მიღწევა ახალი აღთქმის წერილის მორჩილებით ან არასაღმრთო წერილისეული რწმენით და საცოდავად ჩაფლავებულა. ებრაელების მსგავსად, რომლებიც წარუმატებლად ცდილობდნენ ხსნის მიღებას რჯულის დაცვით, არც ჩვენ შეგვიძლია სინმიდეში სიარული ამ წესების დაცვით. ბევრმა საკუთარი თავი კანონებით შეიზღუდა გარკვეული ქცევებისა თუ აქტივობების შესახებ. ყველა ეს გარეგნული შეზღუდვა, შინაგანი სინმიდის მიღწევის მცდელობაზეა დაფუძნებული.

მაგრამ ღმერთი სინმიდის გარეგნულ გამოვლინებას არ ეძიებს. მას შენი გულის შინაგანი ცვლილება სურს, რადგანაც წმიდა გული წმიდა ქცევას წარმოქმნის. იესომ თქვა მათეს 23:26-ში: „ჯერ შიგნიდან გაასუფთავეთ სასმისი და ჯამი [გული], რომ გარედანაც სუფთა იყოს.“

თუკი შენი გული წმიდაა, არ გენდომება ისე მოქცევა, რაც პატივს არ მიაგებს იესოს. შორს დაიჭერ თავს პორნო საიტებისგან ინტერნეტში, ან არ ატარებ გამომწვევ ტანსაცმელს. კაცი ან ქალი შეიძლება ტრაბახობდეს იმით, რომ არასდროს განქორწინებულა, მაგრამ გულისთქმა ჰქონდეს ვინმეს მიმართ ჰოლში, ოფისში, ან პერიოდულად უყურებდეს პორნო საიტებს. ეს სინმიდეა?

თუკი შენი გული წმიდაა, კომპიუტერი ან სმარტფონი ვერ დაგაძალებს საზიზღარი მასალის მოძებნას. თავად ტექნოლოგია არაა ის, რაც არანმიდად გაქცევს. ამ მდგომარეობამდე შენს გულში არსებულს მიჰყავხარ. თუკი შენი გული წმიდაა, მხოლოდ ის გენდომება, რაც ღმერთს სურს.

უდაბნო ერთ-ერთია იმ მიძიმე განსაცდელთაგან, რომელსაც ღმერთი ჩვენი მოტივებისა და განზრახვების განსაწმენდად იყენებს. ღმერთი ამზადებს ჩვენს გულებს, უპირველესად მისი დაბრუნებისთვის თავისი ეკლესიისთვის. ღმერთი ზრდის ადამიანთა თაობას, რომლებიც გამოავლენენ არა თავიანთ, არამედ მის დიდებას – ხალხს, რომელიც მის ხატადაა შექმნილი და მისი ხასიათით დადის:

„დიდ სახლში მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი არ არის, ასევეა ხისა და თიხისაც, ზოგი საპატიოდ სახმარი, ზოგიც – არასაპატიოდ. ამრიგად, ვინც ამათგან (ცოდვა/ბოროტება) გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭელი, განწმედილი და ხელმწიფისთვის სახმარი, გამზადებული ყოველი კეთილი საქმისთვის“.
(2 ტიმ. 2:20-21)

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ორი სახის ჭურჭელია: საპატიო და არასაპატიო. ბერძნული სიტყვა არასაპატიო, *atimia*, განმარტებულია როგორც „არასაპატიო, სასაყვედურო, სამარცხვინო, უვარგისი.“ ბერძნული სიტყვა საპატიო არის *time*, რომელიც განიმარტება როგორც „ძვირფასი.“ ღმერთი ამბობს: „თუ ძვირფასს გამოარჩევ უვარგისისგან, ჩემი ბაგე იქნები“ (იერ. 15:19). ძვირფასი უვარგისისგან უწმიდურებებისგან სრული განწმენდითა და განთავისუფლებით გამოირჩევა.

მალაქია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველია, რომელიც ბევრს წინასწარმეტყველებდა ახალი აღთქმის პერიოდზე. პრობლემა, რომელსაც ის წააწყდა, იყო რომ მას არ ჰქონდა ახალი აღთქმის ტერმინოლოგია. ასე რომ, მან გამოიყენა ისეთი ტერმინები, როგორცაა „ლევიტანები“ და „მღვდლები“ იმის გადმოსაცემად, რასაც სულიწმიდის მეშვეობით ამბობდა ახალი აღთქმის ქრისტიანებზე.

მალაქიამ იწინასწარმეტყველა, რომ უფალი მოვიდოდა თავის ტაძართან (თავის ეკლესიასთან), სანამ მოვიდოდა თავისი ეკლესიისათვის. მიზანი: განწმედა. ის წერს:

„დაჯდება ვერცხლის გამომდნობელივით და გამწმენდელივით; განმენდს ლევის ძეებს და გაასუფთავებს მათ, როგორც ოქროსა და ვერცხლს, რათა სიმართლეში მიაერთვან უფალს შესანიღო“. (მალ. 3:3).

ლევიტანელები „სამეფოსამღვდელოების“ მომასწავებელნი არიან (1 პეტრ. 2:9), რომლებიც ქრისტეს მიმდევრები არიან ეკლესიაში. რამდენადაც ღმერთი ამ სამღვდელოების განმენდას ოქროსა და ვერცხლის განმენდის პროცესს ადარებს, ეს გვეხმარება, გავიგოთ ოქროსა და ვერცხლის მახასიათებლები და თუ როგორ იწმინდება ის. მე მხოლოდ ოქროს განვიხილავ, რამდენადაც განწმედის პროცესი ორივე მეტალისთვის მსგავსია.

ოქროს მშვენიერი, ყვითელი ფერი აქვს, რომელიც რბილი მეტალის ბრწყინვალეობას გამოჰყოფს. იგი ფართოდ მოიპოვება ბუნებაში, თუმცა ყოველთვის მცირე რაოდენობით და ძალიან იშვიათად წმიდა მდგომარეობაში. განწმედის შემდეგ ოქრო რბილია, მოქნილი და თავისუფალი კოროზიისა თუ სხვა ნივთიერებებისგან. თუკი ოქრო სხვა მეტალებთანაა შერეული (სპილენძი, რკინა, ნიკელი), იგი უფრო მაგარი, ნაკლებად დამყოლი და უფრო კოროზიული ხდება. ამ ნარევის შენადნობი ჰქვია. რაც უფრო მაღალია სხვა მეტალის პროცენტულობა, მით უფრო მაგარი ხდება ოქრო. და პირიქით, რაც უფრო დაბალია ნაერთის პროცენტულობა, მით უფრო რბილი და მოქნილია იგი.

პარალელი მარტივი დასანახია: ღვთის წინაშე არსებული წმიდა გული, წმიდა ოქროს ჰგავს. წმიდა გული რბილია, მგრძნობიარე და მოქნილი. ამრიგად, როგორც სულიწმიდა ამბობს:

„დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიქვავებთ გულებს, როგორც ამბოხის ჟამს, უდაბნოში გამოცდის დღეს, არამედ შეაგონებდეთ ერთმანეთს ყოველდღე, ვიდრე ღალი ითქმის „დღესო“, რათა რომელიმე თქვენგანს გული არ გაუქვავდეს ცოდვის საცდურით“. (ებრ. 3:7-8, 13)

ცოდვა დამატებული ნივთიერებაა, რომელიც ჩვენს ნმიდა ოქროს შენაერთად აქცევს, ამაგრებს ჩვენს გულებს. სინაზის ნაკლებობა, მგრძნობელობის დაკარგვას იწვევს, რაც ხელს უშლის გავიგონოთ უფლის ხმა.

სამწუხაროდ, დღეს უამრავი ადამიანია ამ მდგომარეობაში, რომელთაც ღვისმოსავეების ფორმა აქვთ, მაგრამ არა მიმყოლი გული, რომელიც ქრისტესთვის ანთია. ეს თეთრი, ცეცხლოვანი სიყვარული ღვთისადმი, ჩანაცვლდა გულცივი, საკუთარი თავის სიყვარულით, რომელიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებას, კომფორტსა და სარგებელს ეძიებს. დაუფშვათ, ღვთისმოსაობა პიროვნული მიღწევის საშუალებაა (1 ტიმ. 6:5), ისინი მხოლოდ სარგებელს ეძებენ აღთქმებში და გაუაზრებლად ან მოხერხებულად გვერდზე ტოვებენ თავად აღმთქმელს. თვალთმაქცობის მდგომარეობაში, ისინი ამქვეყნიური რაღაცებით ასიამოვნებენ თავს და ელიან, რომ სამოთხესაც მიიღებენ! აი, რა სურს ღმერთს:

„ღვთისა და მამის წინაშე ნმიდა და უმნიკვლო მსახურება ის არის... შეურყენელად დაიცვა თავი ქვეყნიერებისგან“. (იაკ. 1:27)

იესო აპირებს, დაბრუნდეს ეკლესიისთვის რომელიც ნმიდაა, არ აქვს ლაქა, მანკი ან რაიმე მსგავსი უნმიდურება (ეფ. 5:27), ეს არის ადამიანთა სხეული, რომელთა გულიც ამქვეყნიური გზებით არაა დაბინძურებული.

ოქროს კიდევ ერთი მახასიათებელია მისი გამძლეობა ჟანგვისა და კოროზიისადმი. თუკი სხვა მეტალებს ლაქები უჩნდებათ ატმოსფეროს პირობებისგან, ეს იგივენაირ გავლენას ვერ ახდენს ნმიდა ოქროზე. თითბერი (სპილენძისა

და თუთიის ყვითელი შენაერთი), მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ჰგავს, მისგან განსხვავდება. თითბერს ადვილად უჩნდება ლაქები. მას ოქროს გარეგნობა აქვს, თუმცა არა მისი თვისებები. ეკლესიაში, ჩვენ გვაქვს თითბერის ჭურჭელი, ისინი, ვისაც ოქროს გარეგნობა აქვთ, მაგრამ არ არიან. მხოლოდ განმნმენდი ცეცხლი დაგვანახებს განსხვავებას ამ ორს შორის. მალაქია განმმედის შემდეგ ამბობს:

„და მობრუნებულნი კვლავ დაინახავთ სხვაობას მართალსა და ბოროტეულს შორის, ღვთისმსახურსა და მათ შორის, ვინც ემსახურება მას“. (მალაქ. 3:18)

მოდით, ოქროს განმმედის განხილვას დავუბრუნდეთ. უცხო ნივთიერებების მალალი პროცენტულობა ოქროში მას არა მხოლოდ მაგარს ხდის, არამედ მეტად მიდრეკილს კოროზიისა და ხრწნისაკენ. მასზე უფრო მარტივად ახდენს გავლენას იმ სამყაროს ატმოსფერო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ამჟამად, ამქვეყნიურმა გზებმა შემოჟონა ეკლესიაში. ჩვენში მისმა კულტურამ შემოჟონა, შესაბამისად ჩვენ ლაქები გაგვიჩნდა. ამერიკაში ეკლესიის ფასეულობები ქვეყნიერებისამ დააბინძურა. ბევრი არამგრძობიარეა და ვერ აცნობიერებს განმმედის საჭიროებას.

მალაქიას 3:3 გვაჩვენებს, როგორ განმმენდს (ან გაათავისუფლებს) მის ეკლესიას იესო ქვეყნიერების გავლენისაგან, როგორც გამნმედელი განმმენდს ოქროს. განმმედის პროცესში ოქრო უნდა დაიფქვას და ფხვნილი გახდეს, რის შემდეგაც უნდა შეერიოს ნივთიერებას, რომელსაც ფლუქსი ჰქვია. ეს ორი, შემდეგ ლუმელში თავსდება და დნება ძლიერი ცეცხლით. შენაერთები თუ მინარევეები ფლუქსს მიეკვრებიან და ზედაპირზე ადიან. ოქრო (რომელიც უფრო მძიმეა) ფსკერზე რჩება. ამის შემდეგ მინარევეები თუ ნარჩენები (როგორიცაა: სპილენძი, რკინა და თუთია, ფლუქსთან შერეული) შორდება.

ახლა, მოდით, კარგად შევხედოთ, თუ როგორ განწმენდს ღმერთი:

„შენსწინააღმდეგ მოვაქცევ ხელს და სახმილით განვწმენდ შენს ნატამალს, მოვაცილებ მთელ მინარევს. აღვადგენ შენს მსაჯულთ, როგორც უნინ და შენს მრჩეველთ, როგორც დასაწყისში! ამის შემდეგ დაგერქმევა სიმაღლის სადარაჯო, სარწმუნო ქალაქი“. (ეს. 1:25-26)

რა არის ის ცეცხლი, რომელსაც ღმერთი ჩვენს განსაწმენდად იყენებს? პასუხს შემდეგ მუხლებში ვპოულობთ:

„ამით გაიხარეთ, თუმცა ამჟამად, თუ საჭიროა, სხვადასხვა განსაცდელით, მცირედ გატანჯულნი! რათა თქვენი გამონრთობილი რწმენა, ცეცხლში გამობრძმედილ, ხრწნად ოქროზე ბევრად ძვირფასი აღმოჩნდეს, ქების, პატივისა და დიდებისთვის იესო ქრისტეს გამოჩენისას.“ (1 პეტრ. 1:6-7)

ღვთის განწმენდელი ცეცხლი, განსაცდელები და მწუხარებებია, რაც, რა თქმა უნდა, უდაბნოს ცენტრალური თემაა. ამ ყველაფრის მცხუნვარება, ჩვენს მინარევებს უფლის მახასიათებლებისაგან გამოაცალკეებს ჩვენს ცხოვრებაში. ეს შესაძლოა, სინმიდისკენ წარგვიძღვეს (ცოტა ხანში ავხსნი, რატომ ვამბობ „შესაძლოა“).

ოქროს კიდევ ერთი მახასიათებელი, მის ყველაზე წმიდა მდგომარეობაში, გამჭვირვალობაა (რაც განიმარტება როგორც შესაძლებლობა, რომ მასში დაინახო, როგორც მინაში). „ხოლო ქალაქის ქუჩა სუფთა ოქროა, გამჭვირვალე მინის მსგავსი“ (გამოცხ. 21:21). მას შემდეგ, რაც მძვინვარე განსაცდელებით განიწმინდები, გამჭვირვალე ხდები! გამჭვირვალე ჭურჭელი თავისთავს კი არ განადიდებს, არამედ იმას, რაც მასშია. იგი ხელის შემშლელი აღარაა და თითქმის შეუმჩნეველია.

მას შემდეგ, რაც განვიწმინდებით, ქვეყნიერება კვლავ დაინახავს იესოს. თუკი გამჭვირვალეები ვართ – ანუ ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტებას ამბობენ, თავი დიდ ვინმედ არ მოაქვთ, ინახავენ სიტყვას, პატიოსნად ცხოვრობენ,

არაფერი აქვთ დასამალი – ქვეყნიერებაზე ხალხი შეამჩნევს ამას.

ესაიას წიგნში ეს უფრო მაღალ დონეზეა აყვანილი:

„აჰა, მე გამოგადნე, მაგრამ არა ვერცხლივით; ტანჯვის ქურაში გამოგცადე. ჩემ გამო, ჩემ გამო ვაკეთებ ამას, რადგან როგორ შევალახვინო ჩემი სახელი? ჩემს დიდებას სხვას არ მივცემ“. (ეს. 48:10-11)

ცეცხლი ან ღუმელი განსაცდელია, და არა პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლი, რომლითაც ვერცხლი (ან ოქრო) განიწმინდება, ეს ხსნის, თუ რატომ თქვა მან „მაგრამ არა ვერცხლივით“. ჩვენი განსაცდელები ძლიერი სიმბურვალეა, რომელიც ძვირფასს გამოყოფს უვარგისისგან.

ღმერთი ამ ყველაფერს ჩვენი ნების სანინააღმდეგოდ არ გვაშორებს. აი, რატომ ამბობს პავლე 2 ტიმოთეს 2:21-ში, რომ ადამიანი, რომელსაც განწმედა სურს, თავად ითავისუფლებს თავს. თუ გინდა გამართლდე ან თავი იმართლო და კვლავ ნება მისცე ნაკლებს, უკან დაგხიონ, ღმერთი მათგან განთავისუფლებას არ დაგაძალებს. ტანჯვის პროცესს ფასი არ ექნება (აი, რატომ დავწერე ცოტა ხნის წინ „შესაძლოა“). განწმედა სინმიდის გზაზე მუდმივი, განგრძობითი და ხშირად მტკივნეული პროცესია. თუმცა, ვიცით რა მისი შედეგი, მივესალმები მის მოსვლას.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამბობს: „ეცადეთ... სინმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს!“ (12:14). იესო ამბობს: „ნეტარ არიან გულით სუფთანი, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5:8). დავითს, რომელსაც ღვთისთვის უძგერდა გული, აღმოხდა: „ვინ გააცნობიერებს თავის შეცდომებს? განწმინდე მე დაფარულთაგან!“ (ფს. 19:12)

დაე, ჩვენც ეს აღმოგვხდეს! თუკი ვთხოვთ ღმერთს ჩვენი გულების განწმედას, ის მოგვაშორებს იმ უწმიდურებებს, რომლებიც ჩვენი თვალთათვის დაფარულია. ღმერთი იცნობს ჩვენს შინაგან აზრებსა და განზრახვებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავად არ ვიცით მათ შესახებ.

ძალიან მინდა, ისწავლოთ, როგორ იცნოთ და შეეგებოთ სულიერი უდაბნოს პერიოდს. როცა მძვინვარე განსაცდელები გირტყამს, ნუ განრისხდები და სხვებს ნუ დაადანაშაულებ, არამედ მათ მიზანს უყურე. გამოიკვლიე შენი გული და ნება მიეცი ღმერთს უვარგისი ძვირფასს მოაშოროს. ის ბრძანებს: „იყავით ნმიდანი, რადგან ნმიდა ვარ მე“ (1 პეტრ. 1:16).

გახსოვდეს, განწმედა აძლიერებს მას, რაც უკვე კარგია და წმენდს და აშორებს იმას, რაც გასუსტებს ან გსვრის. შეეგებე მის განწმედას, შენ შეიძლება საპატიო ჭურჭელი იყო, რომელსაც შეეძლება მშვენივრად, გამჭვირვალედ წარმოაჩინოს მისი დიდება.


ააშენე ჭა

არც ერთი ვარსკვლავი არ ბრწყინავს ისე, როგორც პოლარულ ცაზე მოკაშკაშენი. არც ერთი წყალი არაა ისეთი ტკბილი, როგორც შუა უდაბნოში მომდირე წყაროს წყალი. და არც ერთი რწმენა არაა ისეთი ღირებული, როგორც ის, რომელიც განსაცდელის უამს ცოცხლობს და იმარჯვებს. რწმენას, რომელსაც გამოცდა აქვს ჩაბარებული, გამოცდილება მოაქვს. არასდროს დაიჯერებდი შენი სისუსტეების შესახებ, განსაცდელებში რომ არ გაგეარა. და არასდროს გეცოდინებოდა ღვთის ძალა, რომ არ დაგჭირვებოდა მის ძალას ეტარებინე.

– ჩარლზ სპურგიონი

„ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან – სულიერზე“.

– რომაელთა 8:5



სასიათი აყალიბებს ადამიანს ღვთის კაცად ან ქალად და არა ცხებულება. და სწორედ უდაბნოა ადგილი, როცა წნეხი მოდის, როცა იმედგაცრუება მთად იქცევა, როცა ოცნებები მიუღწევლად გეჩვენება – სადაც ხასიათი ყალიბდება.

გამახსენდა დრო უდაბნოში, როცა ძალიან ვცდილობდი უდიდესი ბრაზი გადამელახა. ეს პირველ თავში გაგიზიარეთ. მე ღმერთს ვკითხე: „რატომ ვარ ასეთი გაბრაზებული ყველაზე? რა უნდა მივიმაგრო ან გადავაგდო ჩემი ცხოვრებიდან?“

მან მიპასუხა: „შვილო, შენ ვერ მიიმაგრებ ან განდევნი შენს ხორცს, შენ ჯვარს აცვამ მას.“

ახლა, კიდევ უფრო იმედგაცრუებულმა ვკითხე: „მაშინ, საიდან მოდის ეს ბრაზი? აქამდე არასდროს განმიცდია იგი, მანამდეც კი, სანამ დახსნილი გავხდებოდი!“

„ეს წლების განმავლობაში იყო შენში“ - მიპასუხა: „მაგრამ ის უხილავია, როგორც მინარევები შენს ოქროს ბეჭედში, სანამ ღუმელში გადნება. მაგრამ, როდესაც ღუმელში მოათავსებ, უწმიდურებები ზედაპირზე ამოდის. ახლა, მე შენი ბრაზი შენთვის დასანახი გავხადე შენი ამ განსაცდელის ღუმელში შეყვანით.“

ზუსტად არ ვიყავი დარწმუნებული, როგორ უნდა გამეგო ის, რაც ღმერთმა მითხრა. ამიტომ, მან უფრო დეტალურად ამიხსნა: „შენ შეგიძლია, დაადანაშაულო ცოლი, დაადანაშაულო თანამშრომლები, დაადანაშაულო მეგობრები, დაადანაშაულო ახალშობილი შვილის წნეხი, დაადანაშაულო გარემოებები. თუ ასე მოიქცევი, ბრაზი დარჩება და როდესაც სიმხურვალე შემცირდება, ის ისევ დაგიბრუნდება და მთელი ეს პროცესი თავიდან უნდა დაიწყოს. მაგრამ არის მეორე ვარიანტიც,

შეგიძლია, მოინანიო ლოცვით: „ღმერთო, მაპატიე, მომაშორე ეს ბრაზი“. თუ ასე მოიქცევი, ჩემი ღიდი ჩამჩით ამოვხაპავ მას შენგან.“

ასეც მოვიქეცი. როცა მძვინვარე უდაბნოს წნეხი ჩემს ბრაზს ავრცობდა, მე ვალიარე ჩემი ცოდვა, მოვინანიე და ვთხოვე მას, მოეშორებინა ჩემგან.

ეს არის მიზეზი, თუ რატომ არის უდაბნო – რაც შეიძლება რთული – ასეთი ფასეული. იგი შეიძლება ღიდი სიხარულისკენაც კი წარგვიძღვეს:

„ამით გაიხარეთ, თუმცა ამჟამად, თუ საჭიროა, სხვადასხვა განსაცდელით მცირედ გატანჯულნო! რათა თქვენი გამონრთობილი რწმენა, ცეცხლში გამობრძმედილ, ხრწნად ოქროზე ბევრად ძვირფასი აღმოჩნდეს, ქების, პატივისა და ღიდეებისთვის იესო ქრისტეს გამოჩენისას“. (1 პეტრ. 1:6-7)

უდაბნო ადგილია, სადაც ვინმეებით და სადაც ხასიათი ვითარდება ჩვენში. სწორედ განსაცდელისა და დევნის ღუმელში ყალიბდება ჭეშმარიტად ღვთიური ადამიანი. რომაელთა 5:3-4 ამბობს: „და არა მარტო ამით, არამედ ჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ ჭირი ქმნის მოთმინებას, მოთმინება – გამოცდილებას, გამოცდილება კი – იმედს.“

ღმერთმა მოიწონა დავითის ცხოვრება, რადგან ის იყო ადამიანი რომლის გულიც ღმერთს ეკუთვნოდა და არა სამეფოს! მეფე საულს არასდროს გაუვლია განმწმენდ უდაბნოში; ამრიგად, იგი განუწმენდელი და დაუცველი დარჩა. თუმცა, დავითი განიწმიდა უდაბნოში და ღმერთმა თავად საული გამოიყენა მის იქ გასაგზავნად!

ღვთის გზები, შესაძლოა, იდუმალი იყოს, მაგრამ მისი გეგმები ყოველთვის კეთილია!

ოცნება გადავადებულა?

თუმცა, განწმედა მტკიცენეული შეიძლება იყოს. არ მოგატყუებთ – უდაბნო დისნეილენდში მოგზაურობა არაა.

ტანჯვა ტანჯვაა – და ზოგჯერ იგი ყველაზე მტივინეული გზით გვიტევს.

ღმერთს შეიძლება შენთვის ის ოცნებები და ხედვები უჩვენებია, რის გასაკეთებლადაც მოგიწოდა. შეიძლება იმ გეგმების შესახებ გელაპარაკა, რაც შენთან მიმართებაში აქვს. თუმცა, უდაბნოში, ხშირად გვეჩვენება, რომ რაც უფრო ეძებ უფალს და ემორჩილები მის სიტყვას, მით უფრო შორდები იმ ოცნებას, რომელიც გულში ჩაგიდო.

წარმოიდგინეთ იოსები: მას ლიდერობის სიზმარი მიეცა – მისი ძმები და ოჯახიც კი მისი ძალაუფლების ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. შემდეგ რა მოხდა? იგი ორმოში ჩააგდეს მათ, რომელთაც წესით იგი უნდა დაეცვათ – მისმა უფროსმა ძმებმა და ძალიან მალე მონად გაყიდეს უცხო ქვეყანაში. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ შოკი, იმედგაცრუება და ტკივილი?

ფაქტობრივად, ცხადია, წარმოდგენილი ექნებოდა, რომ ღმერთი სასწაულებრივად ჩაერეოდა მის რაც შეიძლება სწრაფად გასათავისუფლებლად. ეს იმედები საბოლოოდ გაქრებოდა, რადგან მისი მონობა რამდენიმე თვე და რამდენიმე წელი კი არ გაგრძელებულა, არამედ ათ წელზე მეტიც კი. ეს ძალიან დიდი დროა! ამ დროის განმავლობაში მან იცოდა, რომ ისინი, ვინც მის ტკივილს შეუწყო ხელი, თავისუფლებაში ცხოვრობდნენ და სიამოვნებას იღებდნენ თავიანთი მამის ქონებით.

რა გააკეთა იოსებმა? რა იყო მისი პასუხი თავისი უდაბნოს პერიოდში? მან შეინარჩუნა რწმენა, ემსახურა და არ დაივიწყა ღვთის აღთქმა. იგი ერთგული, ბრძენი, შრომისმოყვარე იყო და შედეგად, გამოსცადა კურთხეული წარმატება.

თუმცა მისი მდგომარეობა უეცრად შეიცვალა და უარესი გახდა. მისი უფროსის ცოლი თვალებით ჭამდა იოსებს. მას სურდა მისი მრუშობაში შეცდენა, არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მრავალჯერ. მაშინაც კი იოსები დაემორჩილა ღმერთს და ყოველ ჯერზე გაურბოდა სექსუალურ უზნეობას. საბოლოოდ, ქალი იმდენად აგრესიული გახდა, რომ იოსებს პირდაპირი მნიშვნელობით მოუწია მისი კლანჭებისგან გაქცევა. ახლა მან იგი შეიძულა და ცრუ ბრალდებით დაადანაშაულა იმაში, რაც არ გაუკეთებია. იგი უსამართლოდ „ცნეს დამნაშავედ“ და საპყრობილეში ჩააგდეს. (ზოგადად, უცხოელი ტყვე, რომელიც მეფის მოხელის ცოლის გაუპატიურებას ეცდებოდა, მზის სინათლეს ველარასდროს იხილავდა.)

ადამიანს ციხეში უამრავი დრო აქვს საფიქრელად. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ აზრები, რომელთაც იოსები ებრძოდა? მთელი ჩემი ცხოვრება ერთგულად ვემსახურებოდი ღმერთს და რა მივიღე? აღმოჩნდა, რომ ჩემი ბრალის გარეშე დასაღვრად ვარ განწირული ამ დიღეგში. ჩემი ცხოვრება დამთავრდა! ჩემი ბოროტი ძმები თავისუფლები არიან და ალბათ, სიამოვნებას იღებენ დიდი სიუხვით. რა გავაკეთე არასწორად? ერთადერთი რაც გავაკეთე იყო ის, რომ ჩემს ძმებს გავუზიარე ჩემი, სავარაუდოდ „ღვთისგან მოცემული“ სიზმარი და აი, რა მომიტანა! რა მომიტანა კარგი იმან, რომ ღმერთს ვემსახურებოდი?! თითქოს რაც უფრო ვემორჩილები მას, უფრო და უფრო უარესდება ჩემი ცხოვრება.

ვის შეუძლია დაადანაშაულოს იოსები ასეთი აზრებისათვის? თითქოს ისინი ლოგიკურად ჟღერს, არა?!

შემდეგ, ერთ დღეს, საპყრობილეში, იოსები მისი უდაბნოს უდიდესი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ღმერთმა ორი კაცი მიიყვანა მასთან, მნდე და მეპურე, რომელთაგან ორივეს მიღებული ჰქონდათ სიზმარი, რომელმაც ისინი დააბნია და ახსნას ეძებდნენ. თუკი იოსები რწმენას დაკარგავდა უფლის და მისი აღთქმების მიმართ, საკმაოდ მარტივი იქნებოდა, საკუთარ თავზე კონცენტრირებულიყო და ისინი უბრალოდ გარეთ გაეძახა. მას შეეძლო, ეთქვა: „ნუხელ სიზმრები ნახეთ არა? ჰაჰ, მეც ვნახე ერთხელ სიზმარი! მეც ღვთისგან მივიღე სიზმარი. მაგრამ აი, ჭეშმარიტება – სიზმრები არ ხდება. სიზმრები უსარგებლოა, ამაო და მომატყუებელი. ასე რომ, შეგიძლიათ უბრალოდ მარტო დამტოვოთ?!“

თუკი იოსები ასე მოიქცეოდა, იგი კიდევ მრავალი წელი დარჩებოდა ამ უდაბნოში, ან, შესაძლოა, მთელი დარჩენილი სიცოცხლეც კი. იგი ხელიდან გაუშვებდა თავის ბილეთს თავისუფლებისათვის (მნდემ უთხრა მეფეს იოსების სიზმრების განმმარტავი უნარის შესახებ, რამაც გამოიწვია იოსების ციხიდან გამოსვლა და დანინაურება). თუკი საკუთარი საცოდაობის მეტზე არაფერზე იფიქრებდა, იოსები საბოლოოდ მოკვდებოდა ამ საპყრობილეში, როგორც გამწარებული, ცინიკოსი, უიმედო კაცი, რომელიც ყველანაირად გამოხატავდა სათქმელს: „ღმერთი ერთგული არ არის; ის არ ასრულებს თავის დანაპირებს!“

მაგრამ იოსები ასე არ მოქცეულა. ის ებრძოდა იმ აზრებსა და ლოგიკას, რაც ეწინააღმდეგებოდა მის პირად აღთქმას

ღვთისაგან. მან აირჩია მომსახურებოდა მნდესა და მეპურეს. იგი მტკიცე დარჩა ღვთისადმი ერთგულებაში. და შედეგი? საბოლოოდ იგი განთავისუფლდა, დაწინაურდა და მეორე ადამიანი გახდა ფარაონის შემდეგ!

ლიდერად დაწინაურებიდან ცხრა წლის შემდეგ სასტიკი შიმშილობის გარემოებამ მისი ძმების ეგვიპტეში ჩასვლა და მის წინაშე წარდგომა გამოიწვია. იოსების მოქმედება სამაგიეროს გადახდისკენ არ ყოფილა მიმართული, რასაც ბევრი აირჩევდა მის ადგილას. ახლა მას ნამდვილი სამეფოს ლიდერის ხასიათი ჰქონდა. მან კარგი გაუკეთა მათ, ვინც ბოროტად მოექცნენ. იგი არ იყო გამწარებული ადამიანი, არამედ რწმენით, სიყვარულით და პატივით სავსე კაცი მათ მიმართ, ვინც მას უღალატა. მეფესალმუნე წერს იოსების შესახებ:

„გაგზავნა [ღმერთმა] მათ წინ კაცი; მონად გაიყიდა იოსები. გატანჯეს ბორკილებით მისი ფეხები, რკინა მისწვდა მის სულს. ვიდრე ასრულდებოდა მისი ნათქვამი, უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი“. (ფს. 105:17-19)

მხოლოდ ღმერთმა იცოდა დადგენილი დრო, როდესაც უნდა აღსრულებულიყო მისი პირადი აღთქმები იოსებისადმი (მისი სიზმრიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ). უდაბნომ ჩამოაყალიბა მასში ის ხასიათი, რომელიც მის ცხოვრებას, ოჯახსა და ლიდერის პოზიციას ააშენებდა. მისი მთელი ამ წარმატების გასაღები იყო იოსების მოკრძალებული შიში უფლისადმი. მნიშვნელობა არ ჰქონდა მდგომარეობას, იოსები ილაპარაკებდა, შეასრულებდა და დაემორჩილებოდა უზენაესის სიტყვას.

და შენ? როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ღმერთს სიზმრები და ხილვები უჩვენებია შენთვის, თუ რის გასაკეთებლად მოგიწოდებ. შესაძლოა, ის იმ გეგმებზე დაგელაპარაკა, რაც შენთან მიმართებით აქვს. მაგრამ როგორც იოსებთან, შენ უდაბნოში ხარ და თითქოს რაც უფრო მეტად ეძებ უფალს და ემორჩილები მის სიტყვას, უფრო შორდები ოცნებას, რომელიც მან ჩაღო შენს გულში.

შეიძლება სხვებს უყურებდი და ისინიც კი, ვინც შენ გიპირისპირდებოდნენ, დაწინაურდნენ მსახურებაში (ან

ცხოვრების სვა სფეროში), მაშინ როცა შენ თითქოს ღვთისგან მოცემული ოცნების საპირისპირო მიმართულებით მიდიოდი. შეიძლება ყველაფერს აკეთებ რისი გაკეთებაც იცი, მაგრამ ხედავ რეალობა არ ხდება.

შესაძლოა სხვებიც იყვნენ შენს გარშემო, ვინც ხორციელები არიან და არ ეძებენ უფალს, მაგრამ წინ მიდიან და თითქოს წარმატებულები ჩანან. ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ფინანსურ და სოციალურ „კურთხევებს“ იღებენ. შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც დანიშნულები არიან მათი პირადი პირფერობისა თუ მანიპულაციების მეშვეობით. შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც არაპატიოსნად აკეთებენ რაღაცებს, წარმატებებს ტყუილით აღწევენ და მაინც ჩანს, რომ ისინი „კურთხეულები“ არიან, მაშინ როცა შენ იოსებივით ხარ, ფარაონის საპყრობილის ჯაჭვებით დაბმული.

რას აკეთებ ამასთან დაკავშირებით? ხომ არ ნუნუნებ? შეხედეთ, რას ამბობს ღმერთი:

„ქედმაღლური იყო თქვენი სიტყვები ჩემს მიმართ – ამბობს უფალი, თქვენ კი კითხულობთ: რა გვითქვამსო შენზე? ამბობდით: ფუჭია ღვთის წინაშე მსახურება, რას გვარგებს მისი ბრძანებების დაცვა და მწუხარედ სიარულიო ცაბაოთ უფლის წინაშე? კურთხეულნი არიანო ამპარტავანნი, აშენდნენ ბოროტმოქმედნი, ღმერთიც კი გამოსცადეს და გაექცნენ სასჯელს“. (მალაქ. 3:13-15)

რას ამბობენ აქ მოწუნუნენი? ისინი ამბობენ: „რა სარგებელი მივიღეთ ზეციერი მამის მორჩილებისგან, არსად არ მივდივართ. ბოროტები – ხორციელები, თვითმარქვეები არიან ისინი, ვინც დანიშნულები, კურთხეულები და წარმატებულები არიან და არა ჩვენ“ (ეს „ბევირის პერიფრაზია“). ღმერთი ამას ქედმაღლურ, უხემ ლაპარაკს უწოდებს და მის წინააღმდეგ მიმართულად აღიქვამს. გულწრფელად რომ ვთქვათ, ეს ბუზღუნია და ნუნუნია.

ნუნუნი ამორებდა ისრაელიანებს აღთქმული მიწისაგან. რატომ არის ნუნუნი ღვთის შეურაცხყოფა და რატომ იმსახურებს მკაცრ სასჯელს? ნუნუნი არაპირდაპირ ეუბნება შემოქმედს: „არ მომწონს, რასაც აკეთებ ჩემს ცხოვრებაში. მე

რომ შენს ადგილას ვიყო, სულ სხვანაირად გავაკეთებდი.“ ეს არის მისდამი მონივნების სრული სიმცირე.

ღმერთი არკვევს, ვინ აპირებს მიჰყვეს მას და ვინ აპირებს მიჰყვეს სარგებელს. პირველი მათგანი მტკიცებები არიან მიყოლაში; ეს უკანასკნელი კი წუნუნს იწყებენ, როცა რაღაცები მათ თვალში სწორად ვერ მიდის. რას უნოდებენ ზოგიერთნი კურთხევას და რა არის რეალურად კურთხევა? - ორი სრულიად განსხვავებული რამაა. ზოგიერთი კურთხევა შეიძლება არ გაგრძელდეს, თუკი შენი დამოკიდებულება (გული) არასწორია. ნახეთ რას ამბობს ღმერთი იმ მოწუნუნე ადამიანებისადმი მოპყრობაზე, რომელთაც ეგოისტური მოტივები აქვთ, ისევე როგორც მათ კურთხევებზე:

„აჰა, თქვენთვის მცნება, მღვდელნო [მოწუნუნე მონივნებო]: თუ არ შეისმენთ და გულს არ დაუდებთ, რომ პატივი სცეთ ჩემს სახელს – ამბობს ცაბაოთ უფალი – მაშინ დაფუშვებ თქვენზე წყევლას და დავნყველი თქვენს კურთხევას; აკი ვწყველი კიდეც, რადგან გულთან არ მიგაქვთ ჩემი მცნება“. (მალაქ. 2:1-2)

ჩვენი ჯილდო თუ მემკვიდრეობა ნივთებისგან თუ პოზიციებისგან არ შედგება. ჩვენი მემკვიდრეობა უფალია!

ეზეკიელის 44:28 ამბობს: „და ექნებათ მათ მემკვიდრეობა – მე ვიქნები მათი მემკვიდრეობა...რადგან მე ვარ მათი სამკვიდრებელი.“

დღეს მრავალმა ქრისტიანმა თავიანთი მზერა ნამდვილი მემკვიდრეობიდან გადაიტანა და ამის ნაცვლად რაღაც საგნებზე და პოზიციებზე ფოკუსირდა — შეიძლება იმ კარგ რაღაცებზეც კი, რაც ღვთისგან მიიღეს. მაგრამ ეს გავს ძეს, რომელიც იმით უფროა დაინტერესებული, თუ რას მისცემს მამა, ვიდრე მამასთან ურთიერთობით. მე ოთხი ვაჟი მყავს და მიყვარს მათთვის მიცემა. თუმცა გული გამიტყდებოდა თუკი ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ყურადღებას მაქცევენ, ჩემგან სასურველის მიღება იქნებოდა. ნახეთ კიდეც რას ამბობს მალაქია:

„როცა ლაპარაკობენ ერთმანეთში უფლის მოშიშნი, ყურს უგდებს მათ უფალი, ესმის და ინერება სამახსოვრო ნიგნში მის წინაშე, უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მოწინებებით მომხსენიებელთათვის“. (მალაქ. 3:16)

ესენი ისინი არიან, რომლებიც იგივე უდაბნოს მდგომარეობაში გადიან რაშიც „მონუნუნენი“, მაგრამ ამ ჯგუფის პრიორიტეტი არ არის პოზიცია, ცნობადობა ან რაიმე საგნები. ისინი ღვთის გულს ეძიებენ! მათში ანთია სურვილი, იცნობდნენ ღმერთს. შენ შეგიძლია დაელაპარაკო მათ სოციალურ ან ბიზნესის საკითხებზე, მაგრამ მათი გული ინვის, როცა უფალზე ან იმაზე ელაპარაკები, თუ რას ამბობს იგი.

ესენი ისინი არიან, რომელთა შესახებაც ლუკა ამბობს: „უთხრეს ერთმანეთს: ‘განა არ გიზგიზებდა ჩვენში გული, როცა გველაპარაკებოდა გზაში და განგვიმარტავდა წერილებს?!’“ (ლუკ. 24:32). მათი სურვილები სულიერი საგნებისკენაა მიმართული. ისინი ამბობენ: „უბრალოდ, მინდა, ვიცნობდე ღმერთს! მინდა, ვასიამოვნო მას! მე მწყურია უფლის სიტყვა! მინდა, მან შემოიტანოს სიხარული ჩემში, რადგან ისაა ჩემი სიხარული!“ აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მათი პირველი სიყვარული იესოა და არა პოზიცია, სტატუსი ან ქონება.

მათი ქცევა არ იცვლება იმის მიხედვით შუაგულ უდაბნოში არიან, თუ მილიონობით ადამიანს უქადაგებენ.

„ვინაიდან ჩვენ ღვთის თანამშრომელი ვართ, თქვენ კი – ღვთის ყანა და ღვთის შენობა. მე, ღვთის მიერ ჩემთვის ბოძებული მაღლით, როგორც ბრძენმა ხუროთმოძღვარმა, საძირკველი დავუდე, ხოლო სხვა აშენებს მასზე; მაგრამ თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს“. (1 კორ. 3:9-10)

ყურადღებით უნდა ვიყოთ, თუ როგორ ვაშენებთ ჩვენს სიცოცხლეს! სახლის აშენება წმიდა წერილში, ჩვენი ცხოვრების აშენების და სამეფოს მომსახურების სიმბოლოა. ჩვენ ღმერთს ვეკუთვნი, რადგან მისი შენობები ვართ:

„...იესო ქრისტე, რომელიც თავისი განმწესებლის ერთ-გულია ისევე, როგორც მოსე მთელ მის სახლში. რადგან ის მოსესთან შედარებით მეტი დიდების ღირსია ისევე, როგორც სახლზე მეტი პატივი აქვს სახლის მშენებელს; ვინაიდან ყოველ სახლს ვიღაც აშენებს, ხოლო ყოველივეს აღმშენებელი ღმერთია“. (ებრ. 3:1-4)

ყურადღება მიაქციეთ: ვინ აშენებს სახლს? – უფალი! ეს ჩვენი ხორცის ძალა არაა. რასაც ღმერთი აშენებს, რჩება; რასაც ჩვენ ვაშენებთ არ რჩება. „თუ უფალი არ აშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები“ (ფს. 127:1). რასაც კაცი აშენებს ღვთის გარეშე, იქნება ეს: მისი ცხოვრება, სახლი თუ მსახურებაც კი – არ დარჩება.

დაბადების 11:4-ში ამის მაგალითს ვხედავთ: „თქვეს: ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, რომლის თხემიც ცას მისწვდება. და ასე შევიქმნით სახლს, თორემ გავიფანტებით დედამიწის ზურგზე.“

რა იყო ბაბილონის გოდოლის მშენებლების მოტივი? მათ სურდათ მიეღწიათ საკუთარი ოცნებებისთვის, აღეშრათათ შენობა საკუთარი დიდებისთვის. მათ სურდათ ღვთის მსგავსი ყოფილიყვნენ, თუმცა მისგან სრულიად დამოუკიდებელნი. ამ ქმედებამ მათი სურვილები და ოცნებები აღასრულა, მაგრამ არა შემოქმედის. უზენაესის გარეშე შენება არასდროს გამოდის, რადგან არ აქვს მნიშვნელობა რამდენად სულგრძელია ჩვენი განზრახვა, ღვთის გარეშე ეს ამაო მცდელობაა. აი, რატომ ვართ გაფრთხილებულნი:

„მაგრამ თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს...და ვინც რას აშენებს ამ საძირკველზე? [რომელიც იესო ქრისტეა]: ოქროს, ვერცხლს, პატიოსან ქვებს, ხეს, ნაძვას, თივას - თითოეულის საქმე გამოიყვანდება. ვინაიდან დღე [„ვინ გაუძლებს მისი მოსვლის დღეს?“] გამოაჩენს, რადგან ის ცეცხლით ცხადდება და თვითონ ცეცხლი გამოცდის თითოეული ადამიანის საქმეს“. (1 კორ. 3:10-13)

ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები – ღვთის გზის შენებას წარმოადგენენ. ხე, ნამჯა და თივა – წარმოადგენენ შენების ჩვენს ამქვეყნიურ მეთოდებს. ეს მუხლები მხოლოდ ზეციური განკითხვის შესახებ საუბრობენ? არა! ეს მუხლები აღწერენ დროს, როცა ის მოვა თავის ტაძართან (მალაქ. 3:16-4:1 და 1 კორ. 3:16-17). ის მოვა, როგორც ცეცხლი, რომელიც ან შთანთქავს ხეს, ნამჯას და თივას, ან განწმენდს ოქროსა და ვერცხლს. აი, რატომ ამბობს ის: „ვისი საქმეც დაინვება, ის იზარალებს; თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლისგან“ (მე-15 მუხლი).

თუკი ცხოვრებას, ბიზნესსა თუ მსახურებას შენ მიერ გაკეთებული აგურებით აშენებ, როგორიცაა შენი პიროვნული ძალა ან ამქვეყნიური მეთოდები და ტექნიკები...თუკი აშენებ ადამიანების შეშინებით, მანიპულაციითა და კონტროლით ... თუკი პირფერობ და სხვებს ისე ატრიალებ, რომ პოზიცია მიიღო... თუკი შენებისას სხვებს კრიტიკითა და ჭორაობით ანგრევ... მაშინ ყველაფერი, რაც ამ მეთოდებით გაქვს მოპოვებული დაინვება და დაიკარგება.

ბევრი საკუთარ თავს არასწორი მეთოდებით აწინაურებს და ხშირად ტყუილსაც კი იყენებს წარმატების მისაღწევად. ესეც დაინვება! „თავს ნურავინ მოიტყუებს. თუ ვინმეს თავისი თავი ბრძენი ჰგონია ამ საუკუნეში, დაე, გაუგუნურდეს, რომ ბრძენი გახდეს. ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წერია: მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენთ“ (1 კორ. 3:18-19).

ნებისმიერი სფერო შენს ცხოვრებაში, რომელშიც შენი მოტივი საკუთარ თავზე მორგებული იქნება, ღვთის თვალში ხედ, ნამჯად და თივადაა მიჩნეული. იმის მიუხედავად, თუ რამდენად ჩანს, რომ რალაც სხვებს ეხმარება ან მოქმედებს უფლის სახელით ან დროა შეწირული ამ ყველაფერში, იგი მაინც დაინვება.

ამქვეყნიერების სიბრძნის ფოკუსი საკუთარ თავზეა. „მაგრამ თუ გული მწარე შურითა და შულლით გაქვთ სავსე...ეს არ არის მაღლიდან ჩამომავალი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკური“ (იაკ. 3:14-15). შური ქმნის შეჯიბრებითობას და ეჭვს. იმისათვის, რომ ჩვენი ადგილსამყოფელი უსაფრთხოდ შევინარჩუნოთ, შეიძლება ძალის თამაშები დავინყოთ, რაც მეგობრების და ჩვენი პატიოსნების დაკარგვად დაგვიჯდეს,

ან რაც უფრო მნიშვნელოვანია, ზიანი მიაყენოს ჩვენს ურთიერთობას ღმერთთან. მწყემსები და სხვა მსახურებიც კი შეიძლება აღიძრნან პოზიციაზე, ნოდებაზე ან ხელფასზე ფიქრით, ღვთის გულთან ახლოს ცხოვრების ხარჯზე.

სხვებს კი, ვინც რეალურად ეძიებს უფლის გულს, შეიძლება მოეჩვენოთ, რომ, რაც უფრო ეძებენ მას, მით უფრო შორდებიან. იმედგაცრუებულებს აღმოხდებათ:

„ღმერთო, რაც უფრო გეძებ, ზევით ასვლის ნაცვლად, უფრო და უფრო ქვევით ჩავდივარ!“

მაგრამ ღმერთი პასუხობს: „უფრო ღრმად გათხარე!“

„ყველა, ვინც ჩემთან მოდის, ჩემს სიტყვებს ისმენს და ასრულებს მათ; გიჩვენებთ, ვისაც ჰგავს. იგი ჰგავს სახლის მშენებელ კაცს, რომელმაც ამოთხარა, ჩაალრმავა და კლდეზე დააფუძნა საძირკველი...“. (ლუკ. 6:47-48)

როცა ჩვენი ოჯახი დალასში ცხოვრობდა, ვუყურებდი მშენებლებს, როგორ აგებდნენ ცათამბრჯენებს. თავიდან პროგრესი ძალიან ნელი იყო, თვეები ეძღვნებოდა კლდის დანგრევას და საფუძვლის გათხრას. რაც უფრო დიდი უნდა ყოფილიყო შენობა, მით უფრო ღრმა იყო ორმო და უფრო ფართო იყო შენობის საძირკველი. მიწის ზევით თითქოს მშენებლები ძალიან ნელა მოძრაობდნენ და ოდნავ წინაურდებოდნენ. შემდეგ უეცრად მაღალი შენობა წამოიჭიმებოდა სწრაფად. მომზადების პროცესთან შედარებით, მისი პროგრესი თითქოს ერთ ღამეში მოხდებოდა.

ზევით მიმავალი პროგრესი არაფერი იყო, ქვევით მიმართულ მომზადებასთან შედარებით.

მჯერა, რომ ქრისტეს სხეულში ბევრია ქვევით მიმართული მომზადების პროცესში — ალბათ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. უფალს ვადიდებ ამისთვის! მათ შეიძლება მოწოდება აქვთ მსახურებაში ან სხვა რაიმე ოცნება ღვთისგან მიცემული, მაგრამ ახლა მომსახურების პოზიციაზე არიან. თითქოს სწრაფად არ ხდება რალაცები, მაგრამ, მჯერა, ღმერთი ფრთხილად ამზადებს მათ უდაბნოში. საფუძველი ეყრება; ქრისტეს ხასიათი ყალიბდება. ეს ხასიათი გააძლიერებს ყველას, ვინც ემსახურება ქრისტეს და მის სამეფოს მთელი არსებით ნლების განმავლობაში.

სხვები, რომლებიც უდაბნოში ბინადრობენ, თითქოს სწრაფად მოძრაობენ ზევითკენ, პოლიტიკით ან თვით-დანინაურების სხვა გზით. ჩვენს უდაბნოში მყოფთ, შეიძლება მოეჩვენოთ, რომ უძრავად დგანან და იმიტიცი კი ცდუნდნენ, რომ თავად აირჩიონ

ბაღარჩენის რჩევები უბნი

მოგზაურობისთვის

№8 იეშუამ სწორად გააკეთა

თუკი უდაბნო ჩვენს საკეთილდღეოდაა განზრახული, მაშინ როგორ ჩავეჭიდოთ კარგს და თავი ავარიდოთ ცუდს?

იეშუა კარგი მაგალითია ადამიანის, რომელსაც სწორი გული ჰქონდა უდაბნოში. როცა მოსე სინაის მთაზე ავიდა, იეშუა მთის ძირას დარჩა. მას სურდა, რაც შეიძლებოდა ახლოს მისულიყო უფლის თანდასწრებასთან. როცა მოსე კარავში შეხვდა ღმერთს, იეშუა იქ იყო იმისათვის, რომ ახლოს ყოფილიყო უფლის თანდასწრებასთან. იეშუა ნავეს ძე მას შემდეგაც არ შორდებოდა კარავს, რაც მოსე ლაპარაკს დაამთავრებდა (გამოს. 33:11).

იეშუა ნავეს ძეს წიგნში ჩვენ ვხედავთ, რომ ცოდვის ხუთი სფერო, რომელმაც მათ მშობლებზე იქონია გავლენა (წინა თაობაზე), საკუთარ თავს იმდენად აღარ ამჟღავნებდა უდაბნოს შემდეგ (იეშუას) თაობაში. ეს მოხდა ერთხელ ყაქანის შემთხვევაში. თუმცა ლიდერებმა და ხალხმა მაშინვე დაიწყეს ღვთის ძიება, რათა მას ეზრუნა ამაზე. მეორე თაობა სწორად მოიქცა, რადგან ისინი უყურებდნენ წინა თაობის შეცდომებს, როგორ დაიხოცნენ მათი მშობლები უდაბნოში, უფლის აღთქმულის შესრულების ნახვის გარეშე.

იეშუა და მისი თაობა თავიანთ ფოკუსს შემოქმედზე ასწორებდნენ და ისინი აღთქმულ მინაზე შევიდნენ. ისინი იცავდნენ უფლის სიჭყვას და მხნედ იყვნენ. მათ უარყვეს ნუნუნე; ისინი სწრაფები იყვნენ ღვთის რწმენაში.

სწრაფი და მარტივი მარშრუტი. მაგრამ იმის ცოდნა, რომ ასეთი მარშრუტი შედეგად ვერ გამოიღებს გამძლე ხასიათს და ის, რომ იგი კომპრომისზე მიდის უკვე არსებულ ხასიათთან, მათ აფიქრებინებს, რომ ეს ძალიან დიდი რისკია. ღვთის მოლოდინით, ისინი ნებას აძლევენ მთავარ მშენებელს, მტკიცე საძირკველი ჩაყაროს კლდეზე.

ამჟამად არიან მწყემსები, რომლებიც გულმოდგინედ ეძიებენ ღმერთს, მაგრამ, ისევ ჩანს, რომ არაფერი არ ხდება. ისინი გვაღვთის პერიოდში არიან. უყურებენ, სხვები როგორ აწინაურებენ საკუთარ თავებს და მსახურებას წარმატებით, ამქვეყნიური მარკეტინგული ხერხების გამოყენებით. ისინი ბედნიერებისა და წარმატების ილუზიას ქმნიან სოციალურ მედიაში. და მაინც, ღმერთი არ მისცემს მათ ნებას, საკუთარი მეთოდებით აშენონ, რადგან იგი მათთვის მყარ, გამძლე საფუძველს ამზადებს.

არიან ისინიც, ვისთვისაც ღმერთს ჯერ არ უჩვენებია კონკრეტული პოზიცია ან ადგილი, მაგრამ მისცა ოცნება. მათ უკვირთ, როგორ შეიძლება იგი ოდესმე აღსრულდეს და თითქოს მისი შესაძლო აღსრულების დრომ უკვე ჩაიარა.

ამ გვაღვთის თუ უდაბნოს პერიოდში ღმერთი გამოაცალკეებს მათ, რომლებიც მორჩილებაში დაელოდებიან უფალს, იმათგან, რომელნიც არასწორი იარაღებით ან თვით-დამწინაურებელი ქცევებითა და მანიპულაციებით აშენებდნენ. ჭეშმარიტი, უფლის მიერი დაწინაურება და უდაბნოდან გამოსასვლელი მივა მათთან, ვინც უყურებს და ელოდება ღვთის მოსვლას თავის ტაძარში. ის ამოხსნის:

„როცა დადგება დათქმული დრო, გავასამართლებ სამართლიანად... რადგან არც აღმოსავლეთიდან, არც დასავლეთიდან და არც უდაბნოდან არაა ამაღლება. არამედ ღმერთია მსაჯული: ერთს დაამდაბლებს და მეორეს აამაღლებს“. (ფს. 75:2-7)

ხორცის ამაოება

ჭეშმარიტება სულისა და ხორცის ჭიდილზე მიემართება ცხოვრების ყველა ასპექტს და არა მხოლოდ მსახურების

მცდელობას. გახსოვდეს, ხორცი ვერასდროს წამოწევს წინ ღვთის აღთქმებს! თუკი რაიმე ხორცის მიერაა შობილი – მაშინ წარმატებები?! ხორცს მოუწევს, გაუძლოს ამას. თუკი სული შობს ამას, ღმერთი უზრუნველყოფს მას.

ხორციელი სცენარი ძირითადად გარემოს მანიპულაციისა და კონტროლისაკენ მიგვიძღვის. ლიდერები ძალებს განივრცობენ ან ადამიანთა ემოციებზე ითამაშებენ სასურველი მიზნის მისაღწევად. თუკი შენ მათი ერთ-ერთი მიმდევარი ხარ, უეცრად ხდები პასუხისმგებელი მათ წარმატებასა თუ მარცხზე იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხე მათ მიმართულებებს. უდიდესი წნეხი, კანონები, მბრძანებლობა თუ მანიპულაცია იქნება ჩართული ამ ყველაფერში.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მსახურების შესახებ ვლაპარაკობ, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს მხოლოდ მსახურებას არ ეხება; მე აღვწერ *ყველაფერს*, რაც კი ხორცის ძალებითაა შექმნილი. ეს შეიძლება შეეხებოდეს ჩვენს მოწოდებას მარკეტინგის, განათლების, ჯანდაცვის, სახელმწიფოს მართვის, სამხედრო, სპორტულ და სხვა სფეროებში, სადაც ღმერთი თავის ხალხს მოუწოდებს, რომ იმსახურონ.

პირიქით, სულის მიერ შობილს, ესმის, რომ მას წვლილი არ მიუძღვის საკუთარი თავის ჩამოყალიბებაში, ამრიგად იცის, რომ მას არ შეუძლია შეინარჩუნოს ან გამოიწვიოს საკუთარი შესაძლებლობების ზრდა. ღმერთზე იქნება მის მიერ შექმნილის (ან აშენებულის) უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

როდესაც ისააკი დაიბადა, ისმაილის პოზიცია უკვე დადგენილი იყო (დაბ. 16-21). ჩემი გამოცდილებით, აღმოვაჩინე რომ ისმაილის მცდელობის შესაძლებლობა ყოველთვის მანამდე იჩენს თავს, სანამ აღთქმული ისააკი დაიბადება. წინააღმდეგობა უნდა გაუწიო ცდუნებას, რომ შენი საკუთარი ძალები გამოიყენო ღვთის აღთქმულის წამოსაწევად. კვლავ გავიხსენოთ მუხლი: „გააძვეე ეს მხევალი თავისი შვილითურთ, რათა არ დაიმკვიდროს ამ მხეველის ძემ ჩემს ძესთან – ისაკთან ერთად“ (დაბ. 21:10).

მოდის დღე, როცა უფალმა უნდა უთხრას თავის ხალხს: „გააძვეე ისმაილის მცდელობა, რადგან ხორცის შთამომავლობამ არ უნდა დაიმკვიდროს აღთქმულის შთამომავლობასთან ერთად.“ მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს ნაცოფიერები

არიან, ღმერთი იტყვის: „განდევნეთ!“ რათა არაფერ ხორციელს არ ჰქონდეს დიდება მის თანდასწრებაში!

უფლის განკითხვის გამოვლენისას, შენი ცხოვრების ნებისმიერი ნაწილი რომელიც შენს საკუთარ შესაძლებლობებზე იყო დაფუძნებული, ვერ გადაურჩება გამწმენდ ცეცხლს. თუკი შენს სიცოცხლეს მთლიანად თვითდაცვის და თვითუზრუნველყოფის მცდელობებით აშენებ, მაშინ ეს ყველაფერი დაინვება. მაგრამ შენ კი „გადარჩები, როგორც ცეცხლისაგან“ (1 კორ. 3:15).

ერთადერთი რაც დარჩება ისაა, რაც აღთქმითაა მიღებული, ღვთის სულითა და მადლითაა ჩაფიქრებული და შობილი.

9


ქალის განვრთნა

*უფალს თავისი საუკეთესო მეომრები მწუხარების
ქვეყნიდან გამოჰყავს.*

– ჩარლზ სპურგეონი

*„ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა; და
უდაბნოში იყო იმ დღეებამდე, ვიდრე ისრაელს გა-
მოეცხადებოდა“.*

– ლუკა 1:80



რამდენიმე წლის წინ სხვადასხვა ტიპის გამოწვევას გავუძელი, რაც გამოხატავს, როგორც ქრისტეს მიმდევრებს, რამდენად გვჭირდება მომზადების დრო, რომელიც გავგჭიმავს და ჩვენს რწმენას გააძლიერებს. გჯერათ ამის თუ არა, ეს განსაცდელი გავიარე არა გვალვაში, უნაყოფო უდაბნოში, არამედ სპორტდარბაზებსა და ჯანმრთელობის კლუბებში.

ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ერთხელ, როცა ქადაგებისას მთელი გული გადმოვღვარე ატლანტას ეკლესიაში, ჯორჯიაში, თითქმის გული წამივიდა სცენაზე. მივხვდი, რომ ფიზიკურად კარგ ფორმაში არ ვიყავი და ვიცოდი, მჭირდებოდა გავძლიერებულიყავი, თუ მინდოდა, ერთგულად წავსულიყავი წინ მსახურებაში.

ჯორჯიიდან სახლში დავბრუნდი და ლიზას ვუთხარი, რაც მოხდა. შემდეგ განვაცხადე: „სპორტდარბაზში მივდივარ.“

ჩემდა გასაოცრად, მისი პასუხი იყო: „მადლობა ღმერთს! მე ვლოცულობდი, რომ სპორტდარბაზში წასულიყავი!“ საოცარია გყავდეს ცოლი, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ ილოცოს თავისი ქმრისთვის!

ამ დროს ფლორიდაში ვცხოვრობდით და ჩვენგან ორი სახლის ქვევით, მსოფლიოს ორთაბრძოლების ფედერაციის მოჭიდავე კიბი ცხოვრობდა. დაახლოებით ერთი ასაკის შვილები გვყავდა, რამაც ჩვენი ოჯახების დაახლოება გამოიწვია. მან არაერთხელ შემომთავაზა, წავყვანე სპორტდარბაზში და გავწვრთენი, მაგრამ ყოველთვის ვპასუხობდო: „არა, ძალიან დაკავებული ვარ. დრო არ მაქვს.“ დაკავებულთან ერთად ცოტათი შეშინებულიც ვიყავი — ისურვებდით პროფესიონალ მოჭიდავესთან ვარჯიშს?

კიბი მასიური ბიჭი იყო, მეტრა და ოთხმოცდათხუთმეტი

სანტიმეტრი, ას რვა კილო, ექვსი პროცენტი სხეულის ცხიმით. მისი მკერდი სრულყოფილი V იყო და რვა კუბიკი ჰქონდა. ბოლო დროს, ის, ჩვენი შვილები და მე შენობის კალათბურთს ან ქუჩის ჰოკეის ვთამაშობდით. თუკი მისკენ გავიქცეოდი, არც კი გაინძრეოდა, მე კი მეტრა-ნახევრით, ორი მეტრით გავფრინდებოდი ხოლმე!

ატლანტაში მოგზაურობის შემდეგ მის სახლში ჩავედი და ვუთხარი: „კიპ, სპორტდარბაზში უნდა წამოვიდე. რამდენჯერ გითქვამს რომ გამწვრთნიდი – ხომ არ გადაგიფიქრებია?“

მან სწრაფად მიპასუხა: „რა თქმა უნდა, წაგიყვან სპორტდარბაზში“. მეტი ყურადღება უნდა მიმექცია მისი სადისტური ღიმილისთვის. წარმოდგენაც არ მქონდა, რა მელოდა!

მეორე დილას ორივე სპორტდარბაზში წავედით. მაშინვე გავანალიზე, რომ ამ ადგილას მხოლოდ სერიოზული ადამიანები ვარჯიშობდნენ. ატმოსფერო ტესტოსტერონით იყო სავსე და სხეულის სურნელება იფრქვეოდა. ერთ-ერთი, რაც პირველ დღეს ვისწავლე სპორტდარბაზში, იყო ის, რომ კუნთებს ვერ აიშენებ ღერძზე მცირე წონის დადებით და მისი ოცჯერ, ოცდაათჯერ აწევით. ამის ნაცვლად, ღერძზე უდიდეს წონას დებ, ისე რომ მხოლოდ სამჯერ ან ოთხჯერ შეძლო მისი აწევა.

სწორედ მესამე თუ მეოთხე გამეორებაზე იწყებს კარგი რალაცები მოხდენას შენს კუნთებში. ზუსტად ამ დროს ამბობს შენში ყველაფერი: „მე მეს ველარ ავნევ!“ მაგრამ როდესაც შენ გარშემო ყველა ყვირის: „მიდი, მიდი, მიანეკი!“, რალაცა შენს შინაგანში გთხოვს რომ ყველაფერი ჩადო მასში და მეოთხედ თუ მეხუთედ აწიო. ეს რთული საკითხი, მარტივად გასაგები რომ გავხადოთ, აი, როდის ვითარდება შენი ნამდვილი კუნთი.

ძალიან მრცხვენია იმის თქმა, რომ პირველ დღეს, მხოლოდ 43 კილოგრამი ავწიე. დარწმუნებული ვარ, კიპი მაშინვე მიხვდა, რომ მის მეზობელს დიდი გზის გავლა მოუწევდა. სპორტდარბაზში რამდენიმე კვირის შემდეგ, 47 კილომდე ავედი. რამდენიმე კვირამაც გაიარა და უკვე 50 კილო ავწიე, შემდეგ 54 და საბოლოოდ 59. ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო მინიმალური, 20 კილოიანი თეფში ღერძის ორივე მხარეს დამეკიდა. უკვე სირცხვილით აღარ ვწევდი მას.

ამ ისტორიაში კიდევ არის რალაც, რასაც მოგვიანებით გაგიზიარებთ ამ თავში, მაგრამ ჩემ მიერ გავლილი პროცესი, როცა ნელა ვიძენდი ფიზიკურ ძალას, კარგი ანალოგიაა იმისა, თუ

რა ხდება როდესაც ღმერთს თავის „სპორტდარბაზში“, უდაბნოში მივყავართ და სულიერი კუნთების დადებაში გვეხმარება.

სწორედ უდაბნოა ადგილი, სადაც ჩვენი სული ძლიერდება, რადგან ეს ადგილი — არა მხოლოდ გვალვისა და „სადა ხარ, ღმერთო?!“-ს ღალადისაა, არამედ, ესაა ადგილი ძლიერი განსაცდელისა და ცდუნების. კარგი ამბავი ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უდაბნო უხეში და გამომწვევია, უნდა გვახსოვდეს, ვინ გვანვება, რომ ავნიოთ სიმძიმე სულიერი ძალების წვრთნისას:

„თუ ღმერთი ჩვენკენ არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?“
(რომ. 8:31)

ის, არამხოლოდ ჩვენკენაა და გვანვება, არამედ მტკიცე დაპირებებსაც გვაძლევს:

„ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ“.
(1 კორ. 10:13)

ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს რა გამოცდის წინაშე დგახარ, როგორ ცივ, გამომშრალ ადგილას დადიხარ, ღმერთი გვპირდება, რომ არასდროს ვიქნებით ისეთ საცდურში, რომელშიც წარმატებით გავლის ძალა არ გვაქვს. საოცარია, როცა ამაზე ფიქრობ.

განსაცდელების წინაშე ყოფნისას არასდროს დაგავიწყდეს, ვინ ხარ. როგორც ღვთის საყვარელ შვილს, იესო გეუბნება: „აჰა, გაძლევთ თქვენ ძალაუფლებას...და მტრის ყოველგვარი ძალის დასათრგუნად; თქვენ კი არაფერი გევენებათ!“ (ლუკ. 10:19). ამრიგად, ვანალიზებთ, რომ მნიშვნელობა არ აქვს რას გადმოგვიგდებს მტერი, ჩვენ შეგვიძლია მისი გადალახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი არ დაუშვებდა მას!

თუმცა აქ პრობლემაცაა. ბევრი ადამიანი არ ზრდის საკუთარ უნარებს, გაუმკლავდეს უფრო დიდ გამოწვევას. ისინი თავს არიდებენ სპორტდარბაზს, ასე რომ ვთქვათ, ან ერთხელ წაინკმუტუნებენ და დანუწუნებენ მასში. თუმცა პავლე სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს. იგი წერს:

„ვინაიდან ქრისტეს გულისათვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ტანჯვაც მისთვის“. (ფილ. 1:29)

აღბათ ცოტა შეგაფიქრიანებთ, როცა კითხულობთ რომ ტანჯვა „მოგეცათ“. რას ნიშნავს ეს? როცა ვინმე მეუბნება: „ეს მომეცა“, იგულისხმება, რომ ეს რალაც კურთხევაა. შესაბამისად ვფიქრობ: რას მივიღებ?

როგორ შეიძლება „მიცემა“ და „ტანჯვა“ ერთსა და იმავე წინადადებაში იყოს? ეს იგივეა, რომ ვინმეს უთხრა: „დაბადების დღეზე მოგეცემა სტომატოლოგთან ვიზიტი, ფესვის გასახსნელად!“ მართლა? მადლობა, მაგრამ არ მინდა! ეს უაზრობაა, რადგანაც დღევანდელ დღეს, ისეთ ქვეყანაში როგორც ამერიკა, კომფორტულ და შედარებით მარტივ ცხოვრებას ვნატრობთ. ამრიგად, „ტანჯვის“ მოცემამ, შეიძლება გონება აგრიოთ. მრავალი ადამიანი, როცა სირთულეს წააწყდება ასეთ რამეებს ამბობს:

„არ მჯერა, რომ მე დამემართა ეს!“

„რატომ მე?“

„რატომ უნდა გავიარო ამაში?“

„ვერ ვიტან ამას.“

„ვერაგინ მიხვდება, რაში გავდივარ!“

„რატომ არ შეიძლება უბრალოდ ნორმალური ცხოვრება მქონდეს?“

„ღმერთო, გთხოვ, მომაშორე ეს!“

„რატომ შევწუხდე? დანებება უფრო მარტივი იქნება...“

დარწმუნებული ვარ, ზოგჯერ ყველა ჩვენგანს გაგვივლია გონებაში ან გამოგვიხატავს მსგავსი დამოკიდებულება სირთულეებთან შეჯახებისას. სამწუხაროა იმის თქმა, რომ ძალიან ხშირად, უბრალოდ არ გვესმის განსაცდელებისა და ტანჯვის (უდაბნოს) მიზეზი.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ღმერთმა იცის, რა გვჭირდება და რა ძალები გვჭირდება, რათა ავშენდეთ და ჩვენი მცდელობები მისი სამეფოსთვის უფრო ეფექტიანი იყოს. აი, რატომ გვაფრთხილებს პავლე ღვთის აღთქმებთან დაკავშირებით, რომ „მოგვეცემა“ გარკვეული ტანჯვა, რათა გაიზარდოს ჩვენი რწმენის კუნთები.

ცდუნების როლი

როგორც ვახსენე, უდაბნოში ჩვენი ძალის წვრთნის ნაწილი შეიცავს ცდუნების ცნობისა და გაძღვების უნარის ზრდას. იესომ ეს მალევე გამოცადა თავის ცხოვრებაში, როდესაც მამამ ნება მისცა ბოროტს, ეცდუნებინა იგი უდაბნოში: „დაბრუნდით დანდანი სულიწმიდით აღვსილი იესო დასულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში. ორმოც დღეს იცდებოდა“ (ლუკ. 4:1-2).

ძალიან ფრთხილად ავირჩიე სიტყვა „ნება დართო“, რადგანაც ღმერთი არასდროსაა ცდუნების ავტორი: „ნურავინ იტყვის განსაცდელში: ღმერთი მცდისო, რადგან ღმერთი არ იცდება ბოროტით და არც ვინმეს აცდუნებს“ (იაკ. 1:13).

რა გვემართება რეალურად როდესაც ვიცდებით? ვიცით, რომ სატანას განზრახვაა, ცოდვაში ჩაგვაგდოს და შედეგად, დაგვაშოროს ჩვენს სიხარულით მორჩილებასა და ურთიერთობას ღმერთთან. ამრიგად, თუკი სატანას ეს სურს ცდუნებით, მაშინ რას ეძიებს ღმერთი იმის დაშვებით, რომ ვცდუნდეთ? მოციქული პეტრე ასეთ აზრს გვთავაზობს: „ვინაიდან ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა, თქვენც განიმსჭვალეთ იმავე აზრით, რადგან, ვინც ხორციელად იტანჯება წყვეტს ცოდვის ჩადენას“ (1 პეტრ. 4:1).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდუნებით გამოცდა, ცოდვის დამარცხება და სხვა რალაცები უდაბნოში - ჩვენს დასახმარებლადაა, რომ ავიშენოთ სულიერი კუნთები და გაიზარდოს ჩვენი მონიფულობა. ამ მუხლში მთავარი სიტყვებია „თქვენც განიმსჭვალეთ!“

შეგიძლია, წარმოიდგინო სამხედრო დანაყოფი, რომელიც ბრძოლაში აღჭურვის გარეშე მიდის? არანაირი ვერტმფრენები, ტანკები, მაშხალები, ყუმბარები – საერთოდ არანაირი აღჭურვილობა. ეს კატასტროფა იქნება. იგივენაირი კატასტროფაა, რის წინაშეც ქრისტეს მიმდევარი აღმოჩნდება, როდესაც არ არის აღჭურვილი ტანჯვისთვის, როდესაც არ არის აღჭურვილი განსაცდელებისთვის.

კომერციული ავიახაზების პილოტები კარგი მაგალითია შესაძლო გამოცდისთვის აღჭურვილი ადამიანებისა. ექვს თვეში ერთხელ ავიახაზები მათ განმეორებით ტრენინგებზე აგზავნის. ამ პილოტებმა უნდა გაიარონ სიმულატორში და ეფექტურად უპასუხონ ყველა წარმოსახვით ცუდ შემთხვევას. ამ ყველაფრის

მიზანი თითოეული პილოტის უნარის გაძლიერებაა, რათა იცოდნენ, როგორ გაუმკლავდნენ გადაუდებელ სიტუაციებს. ავიახაზის კრიზისის დროს მგზავრები, რომლებიც ნამდვილად არ არიან ალტურვილინი – რეაგირებენ, მაშინაც როცა პილოტი მოქმედებს. რატომ? რადგან პილოტი ალტურვილია.

აი, რას აკეთებს უდაბნო მორჩილი ქრისტიანისთვის. იგი განსაცდელის პირისპირ გვაყენებს, რომელიც მომავალი გამარჯვებებისთვის ჩვენს ალტურვას ემსახურება. უნდა გავაანალიზოთ, რომ განსაცდელი – უდაბნო – აუცილებლად მოხდება ჩვენს ცხოვრებაში. იესომ თქვა, რომ ამ ქვეყანაზე მოგვიწევს, შევხვდეთ პრობლემებსა და განსაცდელებს, მაგრამ იგი დაგვეხმარება მათ გადალახვაში. და ამ პროცესში გავძლიერდებით.

დიდი შესაძლებლობა

ჩვენი დამოკიდებულება უდაბნოს მიმართ უნდა იყოს მისი აღქმა, როგორც დიდი შესაძლებლობა სულიერი კუნთების ასაშენებლად, რათა გავძლიერდეთ იმისთვის რისი მოცემაც უფალს შემდგომში სურს. აი, რას ამბობს მოციქული იაკობი:

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით“. (იაკ. 1:2);

ყველა ჩვენგანს უნდა ესმოდეს რას ნიშნავს შესაძლებლობა, რადგანაც ამერიკელები მენარმეობას ავლნიშნავთ. შესაძლებლობა ბიზნესში, მაგალითად, არის შანსი: ზრდის, წარმატების, კეთილდღეობისათვის. ეს არის ჰორიზონტის გაფართოების შანსი. და სწორედ ასე უნდა ვუყურებდეთ პრობლემებს, რადგანაც იაკობი აგრძელებს: „რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის; მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოს ზრდასრულნი, სრულქმნილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე“ (იაკ. 1:3-4).

უდაბნოში გვეძლევა შესაძლებლობა გავზარდოთ ჩვენი ამტანობა. როგორ ვიყენებთ სიტყვა „ამტანობა“ დღევანდელ დღეს ყველაზე ხშირად? ძირითადად იგი ვარჯიშთან დაკავშირებით მესმის, რაც განმარტებულია როგორც ვარჯიშის მოქმედება, გამძლეობის გასაზრდელად. მარტივად რომ ვთქვათ,

ამტანობის წვრთნა, აფართოებს ჩვენს უნარს, გავუმკლავდეთ მომავალ გამოწვევებს.

ამრიგად, ასეთი სიტუაციაა: ნებისმიერ განსაცდელში, რომელთა წინაშეც აღმოვჩნდებით, ღმერთი ამ სირთულეებს რალაც მიზნისთვის უშვებს და ეს მიზანი უნარის გაზრდაა. ღმერთი ნებას მისცემს და კვლავ ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას – ნებას მისცემს, სირთულეს დღეს, რომელიც გამოიწვევს (გაიხსენეთ პილოტის ფრენის სიმულაცია) წნევის იმ დონეს, რასაც იცის, რომ ხვალ შევეჯახებით. სწორედ ამიტომ გვეჩვენება განსაცდელი უფრო დიდი, ვიდრე ჩვენი იმჟამინდელი მომზადების დონე ან პასუხისმგებლობა. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთი ჩვენს ახლანდელ გამოწვევებს იყენებს ჩვენს გასაძლიერებლად მომავლის დიდი გამარჯვებებისთვის.

ახლა ჩემი წონის აწევის გამოწვევას დავუბრუნდეთ. როგორც უკვე გაგიზიარეთ, კიპმა იქამდე გამწვრთნა, რომ 61 კილოგრამის აწევა შემეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ეს დიდი მიღწევა

ბადარჩენის რჩევები უანი მოგზაურობისთვის

№9 ნუ შექმნი ისმაილს!

როცა საკუთარ თავებს უდაბნოში აღმოვაჩინეთ და ვფიქრობთ რომ იქ დიდი ხნით დავიბანაკეთ, ცდუნება მოვა, რომ „უბრალოდ რამე გავაკეთოთ“ ოცნების აღსასრულებლად. ამას მე ისმაილის შობას ვეძახი, რომელიც მაშინ ხდება, როცა ვცდილობთ ჩვენი საკუთარი ძალებით მივაღწიოთ იმას, რის გაკეთებასაც ღმერთი დაგვპირდა. ისმაილები ხშირად კანონიერი საჭიროებით იბადებიან, თუმცა ხორცისგან.

რა თქმა უნდა, ეს იდეა აბრაამის და სარას ისტორიაში იღებს სათავეს, რომელთაც ღმერთი ძეს დაჰპირდა. ისინი თერთმეტი წელი ელოდნენ და ღმერთო ჩემო, აბრაამი უკვე 86-ის, სარა კი ძალიან მოხუცი იყო ბავშვის ყოლისთვის! ამრიგად, ისინი გეგმა B-ზე

იყო, მაინტერესებდა, შემეძლო თუ არა მეტი? ჩემი წონის აწევის წვრთნის, სულიერ მზაობასთან და ძალასთან შედარებისას, რა იქნებოდა, თუკი ღმერთს ისეთი დავალება ჰქონდა ჩემთვის, რომელიც მეტ ძალას მოითხოვდა, ვიდრე 61 კგ.-ის აწევა იყო?

ასე რომ, სპორტდარბაზში სიარული გავაგრძელე. საბოლოოდ 92 კგ. ავნიე, მაგრამ რამდენიმე წელი გავიჭედე ამ წონაზე. კალიფორნიაში კონფერენციაზე ვლაპარაკობდი და ვილაცხიჭებმა მკითხეს: „ჯონ, 102 კგ. არასდროს აგინევია?“

„არა, თუმცა თითქმის ხუთი წელი ვცდილობდი“ – ვუპასუხე მე იმედგაცრუებით.

„ჩვენ დაგეხმარებით წინსვლაში“ – მიპასუხეს მათ. და ამაში დარწმუნებულმა იმ დღეს 102 კგ. ავნიე. ისეთი გახარებული ვიყავი!

ამის შემდეგ, ჩვენს მსახურებას, Messenger International-ს ახალი გუნდის წევრი შემოუერთდა. გავიგე, რომ სიმძიმეების აწევის კონკურსებში მონაწილეობდა, ასე რომ ერთად დავინწყეთ

გადავიდნენ – სარა სთავაზობს აბრაამს აგარასგან მიიღოს აღთქმული შვილი. ეს ძალიან ცუდი აზრი იყო. და ყველა ისმაილის მიდგომა, მაშინაც კი, თუკი კეთილი ან კარგი გეჩვენება, ასევე ცუდი აზრია. ყოველთვის გახსოვდეს, რასაც შენი ხორციელი ძალებით შობ, შენი ხორციელი ძალებით მოგინევს შეინარჩუნო!

უდაბნოში ყოფნისას, ზოგჯერ მიცდია გეგმა B. ვიცოდი, ღმერთი დამპირდა, რომ ერთ დღეს გლობალური ქადაგების მსახურება მექნებოდა. მაგრამ ასე არ ხდებოდა – მე „გავიჭედე“ ადგილობრივი ეკლესიის მსახურებაში. ამრიგად, რამდენჯერმე ვცადა ჩემი ხელებით შემეტია და თავი დამეღწია უდაბნოსათვის. ყველა ჩემი მცდელობა რაღაც ფასი მიჯღებოდა და არაფერი გამოდიოდა. როცა გავტყდებოდი, ღმერთი თავად დაიწყებდა მოქმედებას და ყველაფერი დალაგდებოდა.

ძალიან მინდა, თავი გულისტკენისგან დაიცვა და არ შექმნა ისმაილი! დაე ღმერთმა თავად წამოწიოს ის, რასაც დაგპირდა.

ვარჯიში. მისი დახმარებით, 106 კგ.-ს აწევა შემეძლო და ერთხელ 111-იც ავნიე. მაგრამ ნუთუ მეტიც შემეძლო?

ერთი წლის შემდეგ დეტროიტის ეკლესიაში ვიქადაგე. კვირის მსახურებების შემდეგ, მწყემსმა მითხრა: „ჯონ, მე მწვრთნელი მყავს. იგი მთელ ქვეყანაში ცნობილი მასის აწევის მწვრთნელია და ჩვენს ეკლესიაში დადის. ხვალ დილას უნდა შევხვდე. ხომ არ ნამოხვიდოდი?“

„რა თქმა უნდა!“ - ვუთხარი აღტაცებულმა.

მეორე დღეს წავედით. მწვრთნელმა ხელში ჩამიგდო და მკითხა: „ესე იგი ყველაზე მეტი 111 კილო აგინევია?“

„კი, თუმცა, მხოლოდ ერთხელ.“

„მაშინ დღეს მეტს ავწევთ.“

რაა?! ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ გავიფიქრე: „გიჟი ხარ. შანსი არ არის!“ გარკვეული წვრთნისა და ვარჯიშის შემდეგ, წარმოუდგენელია, მაგრამ მან 120 კილო ამაწევინა.

ძალიან გახარებული ვიყავი. მან მე და ჩემი გუნდის წევრი უკან, კოლორადოში გაგვაგზავნა და ყოველ კვირა ეს მწვრთნელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გვაწვარჯიშებდა. ჩვენ ვაგრძელებდით ამაზე შრომას და ერთი წლის შემდეგ, იგივე ეკლესიაში დავბრუნდი დეტროიტში. ამ დროისთვის უკვე 42 წლის ვიყავი.

იმ კვირას სულიწმიდის საოცარი თვისებების შესახებ ვიქადაგე. ორშაბათი მოვიდა და ყველანი იგივე სპორტდარბაზში წავედით. მწვრთნელმა თქვა: „ჯონ, ნუხელი სიზმარი ვნახე, რომ დაახლოებით 136 კილო აწიე.“

„ეს ნამდვილად სიგიჟეა!“ – ვთქვი მე. ალბათ ვფიქრობდი: *შენთვის კარგია, მაგრამ მე მსგავსი რამ ნამდვილად არ დამსიზმრებია!*

„ჯონ, გუშინ სულიწმიდის ძალაზე იქადაგე. მან მომცა ეს სიზმარი ნუხელ! ამ სკამზე დაჯექი, ჩვენ ამას გავაკეთებთ!“

ამრიგად, გახურების შემდეგ, სიმძიმე დაკიდეს ღერძზე და დიდი ბუზღუნით 147 კილო ავწიე!

იმდენად გახარებული ვიყავი, დეტროიტის აეროპორტიდან დავურეკე ლიზას და ვუთხარი: „ახლა იმდენად ამალეებული ვარ, თვითმფრინავიც კი არ მჭირდება სახლში გამოსაფრენად!“

იმ დროისთვის, როცა 147 კილო ავწიე, რეგულარულად ვწევდი 102-ს. რეალურად, შემეძლო ათჯერ, მიყოლებითაც

ამენია სიმძიმე. მაგრამ, გაიხსენეთ რას ვაკეთებდი მაშინ, როცა დავიწყე, შვიდი წლის წინ. რა მომივიდოდა მაშინ, თუკი 35 წლის ასაკში, კიპი ლერძზე 102 კილოს დაკიდებდა 43 კილოს ნაცვლად? შეიძლება მოვმკვდარიყავი! ლერძი, მთელი თავისი სიმძიმით დამეცემოდა და გამჭყლექდა! წლების შეუპოვარი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ამჟამინდელ ძალამდე მივსულიყავით. ასე რომ, ის რაც ახლა ჩემთვის ყოველდღიური სიმძიმე იყო, შეიძლება ჩემი დასასრული ყოფილიყო შვიდი წლის წინ!

აი, რატომ ხდება, რომ განსაცდელები რომელშიც გავდივართ და ხშირად საკმაოდ ხანგრძლივია, რეალურად სულიერი ძალის წვრთნაა, რაც გვეხმარება გავემზადოთ უფრო დიდი გამოცდებისთვის მომავალში. როცა უფრო ძლიერები ვართ უფალში, გვაქვს შესაძლებლობა, რომ მეტი ვაკეთოთ მისი სამეფოს ასაშენებლად.

სამწუხაროა ის, რომ იქნებიან ადამიანები, რომლებიც განკითხვის სავარძელზე ისხებიან და ცრემლებით სავსე თვალებით იესო ეტყვის: „მე ბევრად მეტი მქონდა თქვენთვის, რაც უნდა გაგეკეთებინათ, მაგრამ თქვენ არ გქონდათ უნარი, გამკლავებოდით გამონვევებს, რომლებიც მასთან ერთად მოდიოდა.“ ეს განსაკუთრებით ტრაგიკულია, რადგან, როგორც ვიცით, ღმერთი არასდროს მოგვცემს იმაზე მეტს, რისი გადატანაც იცის, რომ შეგვიძლია. ეს მისი ალთქმანა ჩვენდამი!

მოდით, ჩემი სიმძიმის აწევის ისტორია ანალოგიად გამოვიყენოთ. თუკი შეგიძლია 61 კილოიანი სულიერი გამონვევა აწიო და ღმერთს აქვს გეგმა ან პოზიცია, რომელსაც 83 კილოიანი წინააღმდეგობების, დევნების, ცდუნებების და განსაცდელების აწევის უნარი სჭირდება, იგი არ დაუმეებს ამას – შენ უბრალოდ საკმარისად ძლიერი არ ხარ. ამის ნაცვლად ის წვრთნის პროცესს დაიწყებს. მან შესაძლოა ნება მისცეს, მაგრამ ავტორი არ იქნება 70 კილოიან განსაცდელისა, რომელიც გაართულებს გამოცდას, თუმცა არ ჩაგყლაპავს.

მაგალითად, შეიძლება ვინმე ჭორაობს შენზე და ცუდ ხმებს გივრცელებს. იმის ნაცვლად, რომ საპირისპირო თავდასხმა განახორციელო საკუთარი თავის დაცვით და ამ ადამიანზე ჭორების გავრცელებით, შენ, ღვთის სიტყვის მორჩილებით, ირჩევ, არაფერი თქვა და ამის ნაცვლად აკურთხო იგი. ეს საოცრია – შენ 70 კილოიანი გამოცდა აწიე! ახლა შემდეგ დონეზე გადადიხარ: 74 კილო. თუ გააგრძელებ დაემორჩილო

მის სიტყვას განსაცდელელებში, შენი წვრთნა გრძელდება სანამ 83 კილოიან დონეს არ მიაღწევ. ახლა მზად ხარ ამ უფრო მაღალი გეგმისთვის, თუ ახალი პოზიციისთვის მის სამეფოში, რაც უფლის გეგმა შენს ცხოვრებაში.

მაგრამ თუკი ქორაობას განაწყენებით და ამ ადამიანის გამათრახებით უპასუხებ, გამოიცანი, რა მოხდება? – ღმერთი ქვითინით ამბობს: „ვნუხვარ, მაგრამ უკან უნდა დაუბრუნდე 65 კილოიან გამოწვევებს.“ შენ კვლავ „სპორტდარბაზში“ ხარ, მაგრამ სარგებელს არ იღებ მისგან.

წვრთნა იგივე დონეზე გრძელდება. ამის შემდეგ ის ფინანსურ პრობლემებს უშვებს – კიდევ ერთ 70 კილოიან გამოცდას – შენს წინააღმდეგ. მაგრამ უზენაესის დაცვის ძებნის მაგივრად, მაშინვე ამბობ: „რა პრობლემაა! ჩვენს საკრედიტო ბარათზე ჯერ კიდევ არის თანხა!“ და ღმერთი კიდევ ერთ სიმძიმეს გამოიწვევს და ამბობს: „უკან 65 კილოსთან.“

საბოლოოდ მოვა დრო, როცა შემოქმედს იმ კონკრეტული სამეფოს დავალებისთვის ან პოზიციისთვის დასჭირდები, რომელიც წინააღმდეგობების 83 კილოს ატარებს. თუკი უდაბნოს გამოცდა, მასის აწევის წვრთნა, მუდმივად მარცხდება, იგი ვერ დაგიძახებს, რადგან შენ სულიერი კუნთები არ გაქვს ამ სიტუაციაში თუ პოზიციაზე არსებული სირთულეების ასანევად. ამ დროს მან სხვა უნდა მოძებნოს, რომ გაუმკლავდეს ამ დავალებას და დაიკავოს ეს პოზიცია.

ღიადი ძალაუფლება და ძალა

აი, რატომ არის უდაბნო ასეთი მნიშვნელოვანი: იგი ჩვენს ძალას აშენებს.

უდაბნოში იოანე ნათლისმცემელი სულიერად გაძლიერდა.

უდაბნოში, იესო სულიერად გაძლიერდა.

სულიერი კუნთები მათ არა მარტივ პერიოდებში, არამედ განსაცდელელების ჟამს განუვითარდათ, როცა მათი რწმენა იცდებოდა.

კარგი სიახლე იაკობისგან...როცა განსაცდელში გადიხარ და ამას ღვთის გზით აკეთებ, შენ ძლიერი იქნები და მზად იქნები იმისთვის, რაც ღმერთს შემდგომში აქვს შენთვის:

„რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის; მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ ზრდასრულნი, სრულქმნილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე“. (იაკ. 1:3-4)

როცა იაკობი ამბობს: „მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება“, ეს ჩვენი უნარი და ჩვენი ამტანობაა. იაკობი ასევე გვეუბნება, რას შეგვიძლია ველოდეთ, თუკი უდაბნოს ავიტანთ: „ნეტარია კაცი, რომელიც გაუძლებს განსაცდელს, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც თავის მოყვარულებს აღუთქვა ღმერთმა“ (იაკ. 1:12).

სიტყვა „გვირგვინი“ ძალაუფლებას გადასცემს; ძალაუფლებით მოდის ძალა. როგორც იესო შევიდა უდაბნოში ბოროტისგან საცდუნებლად და თავისი მორჩილებით და შეუპოვრობით გამოვიდა უდიდესი ძალაუფლებითა და ძალით (ნახეთ ლუკ. 4:1, 14), ჩვენც შეიძლება გამოვიდეთ უდაბნოს პერიოდიდან დიდი ძალაუფლებითა და ძალით აღვსილნი.

არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, მაგრამ მე მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ მაქვს სულიერი კუნთები იმის გასამკლავებლად, რაც ღმერთმა ჩემთვის მოამზადა.

„ვინმეს სპორტდარბაზი ხომ არ სჭირდება?“


წყალი უღაბნობი

თუკი არ შეგვიძლია ღვთის გვჯეროდეს, როცა გარემოებები თითქოს ჩვენს წინააღმდეგაა, მაშინ საერთოდ არ გვჯერა მისი.

– ჩარლზ სპურგიონი

„ყველას, ვინც ამ წყალს დაღევს, კვლავ მოსწყურდება. ხოლო ვინც იმ წყალს დაღევს, რომელსაც მე მივცემ, საუკუნოდ აღარ მოსწყურდება; რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში იქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს.“

– იოანე 4:13-14



ნვიმა იშვიათობაა უდაბნოში. წყალი ადვილი ხელმისაწვდომი არაა და თუკი საერთოდ შეიძლება მისი პოვნა, ჭებიდან და წყაროებიდან უნდა ეზიდო. უდაბნო მშრალი და მწყურვალი ადგილია (ფს. 63:1). იესო კი ამ სიტყვებით გვეპატიჟება:

„თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და დალიოს; ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ მისი მუცლიდან.“ მან ეს სულზე თქვა...“ (იოან. 7:37-39)

რამდენიმე შემთხვევას ვიხსენებ გვალვიანი პერიოდებიდან, როცა ლოცვას ვცდილობდი, მაგრამ რთული იყო გამაცოცხლებელი ცოცხალი წყლის პოვნა. ერთ ასეთ დროს, უფლის ძიებისას, კარავი დავდგი ეროვნულ პარკში, რათა ის საღამო და მეორე დილა გამეტარებინა. იმ ღამით ვილოცე, შემდეგ წავიკითხე, შემდეგ განსაზღვრული საგალობლების სიმღერა დავიწყე. დაახლოებით სამი საათი გავატარე ამ ყველაფერში, მაგრამ თითქოს ვერსად ვერ მივდიოდი. არაფერი არ ჩანდა ცოცხალი – რამდენადაც შეიძლებოდა, მშრალი ვიყავი. საბოლოოდ, საშინლად იმედგაცრუებული, ჩემს საძილე ტომარაში შევძვერი და დაძინება ვცადე.

თითქოს იმ ღამით ყველა დემონი ზეიმობდა, წესიერად ვერ დავიძინე. ვწრიალებდი და ვტრიალებდი, მიკვირდა, რატომ არ მიმონებდა ღმერთი თავის თავს. მეორე დილას გარეთ გამოვედი და ეროვნული პარკის ბილიკებს გაუწყევი, სულში ვლოცულობდი, მაგრამ კვლავ სიმშრალეს ვგრძნობდი. ეს კიდევ საათ-ნახევარი გაგრძელდა. საბოლოოდ, ზევით ავიხედე

და ვთქვი: „უფალო, მივხვდი რომ უდაბნოში ვარ.“ ვფიქრობდი, ალბათ, სახლში უნდა წავიდე და მისი ძიება შევწყვიტო; მან შემეყვანა ამ გვალვიან ადგილას და არაფერი არ შეიცვლება, სანამ ის არ გამომიყვანს.

ეს მცდარი აზროვნება იყო! ღმერთს ამ პერიოდებში არ შევეყვართ, რათა იმედი გავვიცრუვდეს და დავნებდე, სანამ იგი ზებუნებრივად არ შეცვლის ჩვენს მდგომარეობას! უდაბნო განზრახული არაა მარცხის ადგილად, ეს გამარჯვების ადგილია! უეცრად, მშვიდი, მოკლე ხმა გავიგე ჩემში: „იბრძოლე!“ ეს ერთი პატარა სიტყვა ის ცეცხლის ნაპერწკალი და სიცოცხლე იყო რომელიც მე მჭირდებოდა. მაშინვე ვთქვი: „აღძარი ღვთის ნიჭი ჩემში! გადმოდი სიცოცხლის წყლებო! ამოჩქეფე ჭავ, ჩემს სულში!“ გამახსენდა, რა მოხდა როცა ისრაელიანები უდაბნოში იყვნენ:

„იქიდან ჭისკენ წავიდნენ. ეს ის ჭაა, რომელზეც უთხრა უფალმა მოსეს: „შეკრიბე ხალხი, რათა მივცე მათ წყალი.“ მაშინ იგალობა ისრაელმა ეს საგალობელი: „აღივსე, ჭაო!“ (რიცხვ. 21:16-17)

როცა წმიდა წერილში აღმოჩენილ ამ სიტყვებს ვიმეორებდი, ლოცვა უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდა, სანამ აღმოვაჩინე რომ ბილიკზე წინ და უკან დავდიოდი, ვლოცულობდი და ვლაპარაკობდი უფლის სიტყვას უდიდესი ძალითა და ცეცხლით. ყველაფერი განახლდა და მე თითქოს სხვა ადამიანი ვიყავი! მისი თანდასწრება ჩემთან იყო და ამას მთელი არსებით ვგრძნობდი. რამდენიმე წუთით ადრე, თავს დამძიმებულად და სუსტად ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ბრძოლაში ვებმებოდი, მზად ვიყავი ნებისმიერ მტერთან შესახვედრად უფლის სიტყვით!

ეს დაახლოებით ოცდახუთი წუთი გაგრძელდა, მაგრამ თითქოს ხუთ წუთზე მეტი არ გასულიყო. ახლა განახლებული ვიყავი და მზად ვიყავი მსოფლიო ამელო!

იესო ამბობს, რომ ცოცხალი წყლის მდინარეები და წყაროები გადმოჩქეფენ მისი გულიდან, ვინც მასთან მიდის და სვამს. ეს არ არის ღვთის სულის გადმოღვრა (წვიმა), რასაც უდაბნოში განვიცდით. ამ უდაბურ ადგილას, გამაცოცხლებელი წყალი

ჩვენი გულიდან, უფლის წყაროდან ან ქიდან უნდა ამოვიღოთ ღრმად.

ყურადღება მიაქციეთ, იესო მიუთითებს (იოანე 7:39), რომ ქის წყარო, რომელზეც იესო ლაპარაკობს, უფლის სულია და ეს მდინარეები (მრავლობითში) და არა მდინარე (მხოლოდობითში), გადმოდინდება მორწმუნის გულიდან.

როგორ გადმოდინდება უფლის სული ჩვენი გულიდან მდინარეებით? წინასწარმეტყველი ესაია სულის მოქმედების პრინციპს ხსნის: „და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა“ (ეს. 11:2).

სულიწმიდა მოხსენიებულია, როგორც სიბრძნის სული, გონიერების სული, რჩევის სული, ძლიერების სული, ცოდნის სული და უფლის მოშიშების სული. რადგანაც იესო ამბობს, რომ სული მდინარეებით იქნება, ეს ნიშნავს, რომ იქნება: სიბრძნის მდინარე, გონიერების მდინარე, რჩევის მდინარე, ძლიერების მდინარე, ცოდნის მდინარე და უფლის მოშიშების მდინარე. სულაც არაა გასაკვირი, რომ ჩემმა გულმა, ჩემს ბანაკთან ახლოს, ბილიკზე დაიჭირა ცეცხლი!

აქ ამის მხარდამჭერი რამდენიმე ქვეშარიტებაა:

- იგავთა 18:4 ამბობს: „კაცის პირის სიტყვები ღრმა წყლებია, სიბრძნის წყარო – მოჩუხჩუხე ნაკადული.“
- იგავთა 16:22 ამბობს: „გონიერება სიცოცხლის წყაროა მისი პატრონისთვის.“
- იგავთა 20:5 ამბობს: „კაცის გულის ზრახვა ღრმა წყალია, გონიერი კაცი კი ამოზიდავს მას.“

ეს ქები მორწმუნის გულშია დაფუძნებული, რადგანაც სწორედ აქ იცდის სული. თუმცა მხოლოდ იმ ადამიანს ესმის უფლის გზები, რომელიც ქიდან ამოიტანს წყალს. საკვანძო სიტყვა „ამოტანა“. კვლავ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს: გამომაცოცხლებელი წყლები უდაბნოში არ მოდის სულის წვიმით, არამედ გულიდან ამოტანით.

- იგავთა 10:11 ამბობს: „მართლის პირი სიცოცხლის წყაროა.“
- იგავთა 15:23 ამბობს: „კაცის სიხარული მისი ბაგეების პასუხშია.“

**გადარჩენის რჩევები შენი
მოგზაურობისთვის**

№10 საიდუმლო სიხარულის წამალი

როცა უდაბნოს პერიოდში ხარ, ძალიან მარტივია თვალები დახუჭო შენს გარემოებებზე. მინდა პატარა საიდუმლო გაგიმხილოთ: მართლა, ეს დამეხმარა მე რომ გადავრჩენილიყავი და გამეხარა უდაბნოს პერიოდებში. მე ამას ჩემს საუდუმლო სიხარულის წამალს ვეძახი.

როცა ჩემს გარშემო ბევრი არაფერია ისეთი, რაზეც შეიძლება აღფრთოვანდე, როცა უბრალოდ გეჩვენება, რომ არაფერი არ ხდება, შეიძლება ვლოცულობდე და ვლოცულობდე, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავდე, უკან ვბრუნდები და იმაზე ვფიქრობ, თუ რა გააკეთა იესომ. მე ვიხსენებ რომ მან პირდაპირი მნიშვნელობით, ჯოჯოხეთიდან დამიხსნა, სადაც ცეცხლი არასდროს წყვეტს წვას და მუდმივად გოგირდის სუნი დგას. იქ არასდროს მთავრდება ტანჯვა. რომ ჯოჯოხეთი შეიქმნა არა ჩემთვის, არამედ ეშმაკისთვის. მაგრამ ბოროტმა მოატყუა კაცობრიობა და ადამიანი თავისთან ერთად მიჰყავს იქ. და იესომ თავისი სიცოცხლე გაცა – ჩემმა შემქმნელმა **თავისი** სიცოცხლე გაცა, რათა ამისგან **მე** ვეხსენი.

როცა ამას ვაკეთებ, როცა თვალებს მისკენ აღვაპრობ, როცა იმ პერსპექტივაზე გადავინაცვლებ, რომელიც მადლიერებაზეა დაფუძნებული, როდესაც სიცოცხლეს ამ მარადისობის გადმოსახედიდან ვუყურებ, უეცრად, ჩემი კონკრეტული სიტუაცია ასეთი განსაკუთრებული აღარ ჩანს.

ეს არის ჩემი საიდუმლო სიხარულის წამალი – გადახედვა იმ ყველაფრისთვის, რისთვისაც მადლიერი უნდა ვიყო და ჩემი მზერა იესოზე დავტოვო.

ბანაკიდან წასვლა რომ გადამეწყვიტა და მეთქვა: „აღბათ სახლში უნდა წავიდე და მისი ძიება შევწყვიტო; მან შემიყვანა ამ გვალვიან ადგილას და არაფერი არ შეიცვლება, სანამ ის არ გამომიყვანს,“ ჩემს სიმძიმეს წავილებდი თან. მაგრამ იმის ლაპარაკმა, რაც ღმერთმა ჩადო ჩემს გულში, მომცა ძალა, რაც მჭირდებოდა რომ ღრმა ჭებიდან ამომეტანა. მე ხსნის მიწისქვეშა აუზში ჩავვარდი და განახლების წყალი ამომქონდა. ეს მართლა ჰგავდა წყაროდან ცივი წყლის დაღევას შუა უდაბნოში!

ბევრი დანებდა ამ გვალვიან პერიოდებში, მაგრამ ღმერთი გვეუბნება: „გააგრძელე წინ მიწოლა; არ გაჩერდე!“ ჩვენი განზრახვა შეუპოვარი და მტკიცე უნდა იყოს, რაც საშუალებას არ მოგვცემს, შევწყვიტოთ, სანამ მისი ნება აღსრულდება.

ბევრმა შეწყვიტა ლოცვა, როდესაც გამომშრალებად იგრძნეს თავი; მათ შეწყვიტეს, რადგან წყალი არ ამოდიოდა ჭებიდან და მისი მიღება ძალიან რთული ჩანდა. ისინი სუსტები არიან და ღმერთს სურს, რომ მათი ძალა იმ ბრძოლებისთვის ააშენოს, რომელთან შეჯახებაც მომავალში მოუწევთ.

საიდან ვპოულობთ ძალას წყლის ამოსატანად? სიხარულისგან! ესაიას 12:3 ამბობს: „ამიტომ სიხარულით ამოხაპავთ წყალს გადარჩენის წყაროებიდან.“ ეს იმიტომია, რომ „უფლის სიხარული თქვენი ძალაა“ (ნემ. 8:10). სიხარული სულიერი ძალაა, რომელიც გვაძლიერებს.

რა არის უფლის სიხარული? წლების განმავლობაში ვფიქრობდი, რომ უფლის სიხარული ნიშნავდა იმ სიხარულის ქონას, რაც მას აქვს. ამასთან დაკავშირებით დიდი სირთულე მქონდა. თუმცა იგი რეალურად სულაც არ გულისხმობს ამას. ოდესმე გაგიგონია, ვინმეს რაიმე ასეთი ეთქვას: „საჭმლის მომზადების სიხარული?“ თავად მომზადებას სიხარული არ აქვს. ისინი ამბობენ, რომ სიხარულს გრძნობენ მომზადების დროს. „უფლის სიხარული“ არის სიხარული, რომელსაც ჩვენ განვიცდით მასთან ურთიერთობისას. მას მოაქვს ჩვენთვის სიხარული!

მხოლოდ ის, რომ მის თანდასწრებას ვერ ვგრძნობთ ლოცვის ოთახში, არ ნიშნავს, რომ მან უარგვყო. ამრიგად, ჩვენი სიხარული იმაზე როდია დაფუძნებული, თუ რას

ვგრძნობთ. არამედ იგი დაფუძნებულია იმაზე, თუ ვინ არის იგი და იმ პრივილეგიაზე, რაც ჩვენ გვაქვს, რომ ვიყოთ მასთან დაკავშირებულები. ამრიგად, წარსულში ვტოვებთ იმ ტყუილებს, რომ მან უარგვყო და ვაანალიზებთ, რომ მას ამოვყავართ...ღრმა ჭებისკენ!

ჭების დაცლა

აბრაამის სასწაულებრივმა ძემ, ისააკმა, ერთხელ აღმოაჩინა, რომ გვალვის პერიოდში იყო:

„შიმშილი ჩამოვარდა ქვეყანაზე იმ შიმშილობის შემდეგ, რომელიც აბრაჰამის დროს იყო...და გამოეცხადა მას უფალი და უთხრა: „ნუ წახვალ ეგვიპტეს, არამედ დამკვიდრდი იმ ქვეყანაში, რომელზეც გეტყვი. ხიზნობდე იმ ქვეყანაში და შენთან ვიქნები და გაკურთხებ!“ (დაბ. 26:1-3)

ღმერთი განსაკუთრებით მიუთითებს ისააკს, რომ არ გაიქცეს ეგვიპტეში, სადაც კომფორტია, არამედ დარჩეს იქ, სადაც ღმერთმა მოათავსა იგი. ხშირად, როცა საკუთარ თავს გვალვაში აღმოვაჩინებთ, პირველი, რასაც ვფიქრობთ, არის: „აქედან გავდივარ!“ თუკი დილის ლოცვის დროს, უფლის თანდასწრებას ვერ ვგრძნობთ, ჩვენი გონება ხეტიანს დაინწყებს, დავინწყებთ ყველაფერზე ფიქრს, რაც იმ დღეს გვაქვს გასაკეთებელი. ნაჩქარევად დავასრულებთ ლოცვას და გასაკეთებელი საქმეების სიას შევუდგებით.

თუკი ეკლესიაც, სადაც დავდივართ, გამომშრალად გვეჩვენება ისე, რომ ღმერთს არც შევეკითხებით, განვსაზღვრავთ, რომ *იქ უნდა წავიდე*, სადაც *სული უფრო იგრძნობა და უფრო დიდებული ქადაგებაა!*

თუკი ჩვენი სოციალური თუ საქმიანი ცხოვრებაც გამომშრალი გვეჩვენება, მარტივად გადავწყვეტთ, მივატოვოთ იგი და მოვძებნოთ ქალაქი, რომელშიც ეკონომიკა ყვავის. ვფიქრობთ: *თუ აქ დავრჩები, გამოვიფიტები და ვერასდროს დავინახავ ღვთის გეგმის აღსრულებას ჩემს ცხოვრებაში.*

უამრავი ქრისტიანი ფიქრობს ასე. ისინი ერთი სოციალური მედიის პლათფორმიდან მეორეზე გადადიან, ერთი აქტივობიდან – მეორე აქტივობაზე, ეკლესიიდან – ეკლესიაში, ქალაქიდან – ქალაქში და ცდილობენ, იპოვონ ადგილი, რომელიც გამომშრალი არ არის. ჭების თხრის ნაცვლად და იმის მაგივრად, რომ საშუალება მისცენ ღმერთს, გამოიყენოს ისინი, რათა გამაცოცხლებელი წყალი ამოიტანოს იმ გამომშრალი მიწისათვის, სადაც ისინი არიან, ისინი, შეიძლება ითქვას: „ეგვიპტეში გადადიან,“ ეძებენ შვებას და სიმარტივეს. მათ არ ესმით, რომ ამ მშრალ პერიოდებში, ხშირად ღმერთს სურს წინ წამოწიოს ის ხედვა, რაც მათ მისცა. ვიცი, რომ ყოველთვის ასე არ არის, რადგან არის დრო, როცა ღმერთი გვამზადებს ახალი ადგილისთვის და ნებას აძლევს ძველს, გამოშრეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ღვთის სულის მიერ იყო მართული! თუკი ის არაფერს ამბობს, მაშინ დარჩი და იბრძოლე!

ნახეთ, რა ემართება ისაკს, ღვთის მორჩილების შედეგად, როცა იგი შიმშილობის ადგილას დარჩა:

„დათესა ისაკმა იმ მიწაზე და ასმაგად მიიღო მოსავალი იმ წელიწადს; და აკურთხა იგი უფალმა. გამდიდრდა ეს კაცი და უფრო მდიდრდებოდა, ვიდრე მეტისმეტად არ გამდიდრდა. შეიძინა ცხვრის ფარა, ნახირი და დიდი სახნავ-სათესი მიწა. და შეშურდათ მისი ფილისტიმელებს. ჭები, რომლებიც მამამისის მსახურებმა აბრაჰამის სიცოცხლეში ამოთხარეს, ფილისტიმელებმა ჩახერგეს და მიწით ამოავსეს...და ისევ ამოთხარა ისაკმა მამამისის, აბრაჰამის დღეებში ამოთხრილი ჭები, ფილისტიმელებმა რომ ჩახერგეს მისი გარდაცვალების შემდეგ; და იგივე სახელები უწოდა მათ, რაც მამამისმა დაარქვა“. (დაბ. 26:12-15, 18)

წყალი, რომელიც ისაკს სჭირდებოდა თავისი ნათესების გასაზრდელად, მამამისის ჭების თავიდან გათხრით მიიღო, რომლებიც ფილისტიმელების მიერ იყო ამოვსებული. როგორც

ისაკის შემთხვევაში, წყალი რომელიც ასე გვჭირდება, ღვთის უბრუნადი თესლის გასაზრდელად და ჩვენს გულებში მოსამწიფებლად, ხშირად შეჩერებული ჭებიდან უნდა ამოვიტანოთ. ფილისტიმელები ამქვეყნიურები იყვნენ და ქვეყნიური სისტემით მოქმედებდნენ. ხშირად, როდესაც ქვეყნიერების სისტემას ვუახლოვდებით, გაუცნობიერებლად, ჩვენი ჭები ამოვსებული ხდება. აუცილებელია კვლავ ავამოქმედოთ ჩვენი ჭები, რათა ჩვენი სულებისთვის საჭირო წყალი მივიღოთ.

მე მჯერა, რომ კულტურული ღირებულებების შემოჭრამ ქრისტეს სხეულში დღეს მრავალი ჭა „ამოავსო“. ხომ არ გახდა ეკლესია, რომელიც მომდინარე წყლის წყაროდაა განზრახული, მშრალი ადგილი, რადგან მან მტერს უფლება მისცა, ეცდუნებინა – ამოევსო ჭები?

კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ, ასე ჟღერს - შეუძლია თუ არა ღმერთს აღადგინოს თავისი ეკლესია ცოცხალი წყლით? პასუხი: რა თქმა უნდა! ეს სურათი ძალიან ლამაზად აქვს წარმოჩენილი ესაიას:

„მუდამ წინ წაგიძღვება უფალი, გვალვებში სურვილს დაგიკმაყოფილებს, ძვლებს გაგიმაგრებს და იქნები მორწყული ბალივით და წყაროსავით, რომლის წყლებიც არ გამოილევა. უძველეს ნანგრევებს ააშენებ, ძველისძველ საძირკვლებს აღადგენ და დაგერქმევა დანგრეულის აღმშენებელი, საცხოვრებელი ადგილის ბილიკთა განმაახლებელი“. (ეს. 58:11-12)

ისაკის მსგავსად, რომელმაც არ დაიწყო თავისი გზისა თუ სიამოვნების ძიება და არ წავიდა მშვიდობის ქვეყანაში, ჩვენც (იმით რომ არ გავაკეთებთ ჩვენებურად რალაცებს, არ დავიწყებთ საკუთარი სიამოვნების ძიებას ან არ ვიცხოვრებთ ჩვენი სიტყვებით, არამედ პატივს მივაგებთ ღმერთს) უნდა ვიყოთ მორწყული ბალივით და ცოცხალი წყლის წყაროსავით, რომლის წყალიც არ იკლებს! თუკი ყველაფერს მისი გზებით გავაკეთებთ, ღმერთი ჩვენი მეშვეობით, გამოფიტულ, მწყურვალე ხალხს თავის ცოცხალ წყლებს მიუტანს.

ღმერთი მიგვიძღვის, რომ თავიდან გავთხაროთ ნებისმიერი ჭა, რომელიც ქვეყნიერებამ ამოავსო. და კიდევ, ამას სიმტკიცე სჭირდება და შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, ვიდრე რამდენიმე საათი, დღე, კვირა ან წელიც კია.

ვნების დაკარგვა

დარწმუნებული ვარ, ცხადი გავხადე ამ წიგნში, რომ უდაბნო მეტაფორაა, რომელიც გარემოებების მთელ წყებას აღნიშნავს. ყველაზე გავრცელებული საზომია, როცა საკუთარ თავებს ისეთ სიტუაციაში აღმოვაჩინოთ, სადაც გარკვეულ დანაკარგს ან სიმშრალეს ვაწყდებით. ხშირად, უდაბნოს ნიშანია ჩვენი ერთუსიაზმის ან ვნების შემცირება, ან სრულიად გაქრობა ჩვენს მოწოდებაში და ზოგჯერ ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაშიც კი.

ნება მომეცით მოკლედ მიმოვიხილო ჩემი მეორე მნიშვნელოვანი უდაბნოს გამოცდილება, როცა ახალგაზრდულის მწყემსად ვმსახურობდი.

პირველი ცხრა თვე ფლორიდის ეკლესიაში, უბრალოდ საოცარი იყო, მსახურება ფართოვდებოდა და გუნდი იზრდებოდა. აღფრთოვანებული, ენერგიითა და ვნებით სავსე ვიყავი. მაგრამ შემდეგ, თითქოს დაგუბებულ აუზში საცობი ამოაძრეს და ჩემი სტიმული წავიდა.

ბევრად მეტ დროს ვატარებდი ლოცვაში, ვიდრე მანამდე და მაინც, თითქოს ვერსად მივდიოდი. არა მხოლოდ ეს, ხედავ, რომელიც ახალგაზრდული ჯგუფისთვის მქონდა, თითქოს უფერულდებოდა (ძველი ღვინო გადმოდიოდა). რაც უფრო მეტს ვლოცულობდი, უფრო მეტად მცირდებოდა ხედავ. გარეგნულად არაფერი არ შეცვლილა, შინაგანად კი რალაც შეიცვალა.

გარდა ამისა, ყველაფრის შუაგულში ისეთ გარეგნულ განსაცდელებში გავდიოდით, რომლის მსგავსიც არასდროს გამოგვიცდია. ყველაზე დიდი განსაცდელი? ჩემი პირადი მეთვალყურე შემთხვევას ქმნიდა ჩემს გასათავისუფლებლად. მისი ვაჟი ჩვენს ჯგუფში იყო და ერთხელ, ღამით, ახალგაზრდული მსახურების მერე, ჩემს ცოლთან მივიდა და

უთხრა: „ქალბატონო ლიზა, როგორ შემიძლია ისე ვიცხოვრო როგორც ჯონი ქადაგებს, როცა ჩემი მშობლები ... აკეთებენ სახლში?“ (საჭირო არაა მათი კონკრეტული ქცევის ხსენება, ისიც საკმარისია რომ ვთქვათ რომ ეს კარგი არ იყო.)

ლიზა გაოცდა, მაგრამ ბრძნულად ურჩია: „მართალი დარჩი ღვთის სიტყვასთან და შენს მშობლებზე ზრუნვა ღმერთს მიანდე!“ ამ დღიდან მოყოლებული ჩემი უფროსი ჩემი რეპუტაციის განადგურებას და ჩემს თავიდან მოშორებას ცდილობდა. მან ნელა, თუმცა მთელი ძალით დაიწყო შეტევა. წარმატებით მოახერხა ჩემსა და ჩვენს წამყვან მწყემსს შორის კედლის აშენება. თექვსმეტი კვირა გავატარე ისე, რომ ჩემს მწყემსთან არანაირი კომუნიკაცია და შეხვედრა არ მქონია.

ამ კაცის გეგმების განხორციელებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, უფროსმა მწყემსმა გადანვეტილება მიიღო ჩემი გათავისუფლების შესახებ. მან კვირის დილის მსახურებაზე გამოაცხადა, რომ ახალგაზრდულ ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდებოდა. მწყემსის ორმა ძმამ მითხრა, რომ ორშაბათს გამათავისუფლებდნენ.

ღმერთმა სასწაულებრივად იმოქმედა და ჩვენმა წამყვანმა მწყემსმა გადანვეტილება შეცვალა. ღმერთი სადღაც დაელაპარაკა მას კვირის დილის მსახურებაზე განცხადების გაკეთებასა და ორშაბათს, ჩვენს დაგეგმილ შეხვედრას შორის. როცა შევხვდით, თქვა: „ჯონ, ღმერთმა გამოგგზავნა აქ და შენ აქედან არ წახვალ, სანამ ის არ იტყვის რომ წასვლის დროა.“

ექვსი თვის შემდეგ ჩემი უფროსის ქცევები გამოვლინდა და ისიც მაშინვე გაათავისუფლეს ეკლესიის გუნდიდან. ის, რაშიც იგი იყო ჩართული, ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი ჩვენგანი წარმოიდგენდა.

ამ პერიოდის განმალობაში, მე არა მხოლოდ ამ და სხვა გარეგნულ ბრძოლებში ვიკვლევდი გზას, არამედ უამრავ ისეთ შინაგან ბრძოლაშიც, რომლის მსგავსი არასდროს განმეცადა. კვლავ მაინტერესებდა, რაიმე არასწორად ხომ არ გავაკეთე, ამიტომ დავიწყე ყველა ცოდვის აღიარება, რისი ჩადენის გახსენებაც შევძელი, მაგრამ ვერანაირ შვებას ვერ ვგრძნობდი, ვერც შემოტევებისაგან და ვერც სიმშრალისგან.

ერთ დღეს, როდესაც ვცდილობდი გამომეცნო, კონკრეტულად რა შევცოდე, უფალმა მითხრა: „შენ ამ უდაბნოში იმიტომ არ ხარ, რომ შესცოდე; მე გამზადებ იმ ცვლილებისთვის, რაც მოდის.“ ეს იყო ის „ახალი ღვინო“, რომელიც მე-5 თავში აღვწერე.

მას შემდეგ, რაც თითქმის ერთი წელი გავატარე ამ უდაბნოში, ღმერთმა მითხრა რომ მემარხულა. რამდენიმე დღიანი მარხვის შემდეგ, ჩემს ბაგეებზე მოვიდა ლოცვა, რომელიც ჩემმა ყურებმა მხოლოდ წარმოთქმის შემდეგ გაიგეს. ჩემს გონებას გვერდით ჩაუარა ღალადმა ჩემი გულიდან. მთელი გრძნობებით ხმამაღლა აღმომხდა: „უფალო, მნიშვნელობა არ აქვს, სულ მარტო ვიქნები შუაგულ უდაბნოში, თუ მილიონობით ადამიანს ვუქადაგებ, მე მაინც ერთნაირად მოვიქცევი. შენს გულს გამოვყვები!“

უეცრად, ჩემში ზარების რეკვა გავიგე და დავინახე, რას აკეთებდა ღმერთი! „ღმერთო, აი, რას აკეთებდი ჩემში. შენ ისეთ ადგილას მიმიყვანე, სადაც შენ დაგინახავდი ჩემს მემკვიდრეობად და ჩემს პირველ სიყვარულად და არა მსახურებას ან რაიმე სხვას. შესაბამისად, როცა ცვლილება მოვა, მე მას კერპად არ გავიხდი. არ მიგატოვებ როგორც პირველ სიყვარულს და არ შევიყვარებ მსახურებას შენს ნაცვლად. ჩემი გული სწორ მდგომარეობაში დარჩება.“

შემდეგ გამახსენდა, რა თქვა უფალმა დავითის შესახებ:

„მისი მოცილების შემდეგ, მეფედ დავითი აამალა მათთვის, რომლის შესახებაც თქვა დამონებთ: ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულის სანდომი კაცი, რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს ნება-სურვილს“. (საქმ. 13:22)

ნება მომეცით, განვამტკიცო ეს მნიშვნელოვანი ფაქტი – მეფე საულს არასდროს გაუვლია უდაბნოს გამოცდილებაში. იგი თავმდაბალი ჩანდა დასაწყისში – იმალებოდა წინასწარმეტყველისგან, როცა მეფე უწოდეს. მაგრამ წარმატების რამდენიმე ეტაპის შემდეგ მისმა მინარევებმა ზედაპირზე დაიწყეს ამოსვლა. მან უზარმაზარი ბრძოლა მოიგო, მაგრამ ეს თავისი გზით გააკეთა და არ დაემორჩილა ღვთის ბრძა-

ნებებს. თითქოს ეს საკმარისი არ იყო, შემდეგ ძეგლი აუგო საკუთარ თავს. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო იმ უღმრთო ქცევებისა, რაც ზედაპირზე ამოვიდოდა. საბოლოოდ, იგი სწორედ იმ მინარევებმა გაანადგურეს, რომლებზეც არასდროს გაუმახვილებია ყურადღება.

არსებობს ორი მდგომარეობა, რაც გამოავლენს რაა შენს შინაგანში. ერთია, როგორც უკვე ვთქვით, განმწმენდი ცეცხლი. მეორე წარმატებაა. მიუხედავად იმისა, რომ წარმატება შენს მინარევებს ყველასთვის გამოავლენს შენს გარშემო, შენ შეიძლება კვლავ ვერ ამჩნევდე მათ. დასაწყისში უამრავი მსახური არ მისცემდა განმწმენდ ცეცხლს მათი გასუფთავების უფლებას. და მაინც, მეფე საულის მსგავსად ისინი მოწოდებულნი არიან და საბოლოოდ იკავებენ მსახურების პოზიციას. თუმცა, სამწუხაროდ, მათ არასდროს გაუვლიათ სწორი მომზადება. ამრიგად, როცა წარმატება მათი მინარევების ზედაპირზე ამოტივტივებას იწვევს, ეს წარმატება საბოლოოდ მათ მარცხისკენ მიუძღვით იმაში, რის საკეთებლადაც იყვნენ მოწოდებულნი.

საულს უყვარდა თავისი „მსახურება“ და კლავდა, იმისათვის რომ შეენარჩუნებინა. დავითი არ იყო ადამიანი რომელიც ტახტს მიჰყვებოდა; ის იყო ადამიანი, რომელიც ღვთის გულს მიჰყვებოდა. უდაბნოში, დავითმა სიხარულის ჭეშმარიტი ნყარო იპოვა; ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა თავად უფალი. დავითს ორჯერ ჰქონდა შანსი, მოეკლა საული და ხელში ჩაეგდო ტახტი. მის გარშემო მყოფი ადამიანებიც ამხნევებდნენ, რომ ასე მოქცეულიყო. თუკი დავითს საულის მსგავსი მოტივები ექნებოდა, ის მოკლავდა იმის მისაღწევად, რასაც უფალი მას დაჰპირდა წინასწარმეტყველ სამუელის მეშვეობით.

არიან დღეს კაცები და ქალები, რომლებიც ცილს დასწამებენ, იჭორავებენ ან მოიტყუებიან იმის მისაღებად, რასაც ღმერთი დაჰპირდა. დაფიქრდი: როგორი ირონიულია ეს?! ისინი საულის მსგავსები არიან, უნდათ თითქმის ყველაფერი გააკეთონ მემკვიდრეობის მისაღებად ან შესანარჩუნებლად. ღმერთი „დავითებს“ ეძებს, ვისი გულიც მისკენაა მიმართული და არა პოზიციისკენ, გავლენისკენ, ფულისკენ თუ დიდებისკენ. ღვინის ძველი ტიკის დამუშავება, ჩემში და შენში ღვთის ხასიათის გაღრმავებაა. სწორედ უფლის ხასიათს შეუძლია,

გაუძლოს სულის ახალი ღვინის წნევას (მის ცხებულებასა და თანდასწრებას). ხასიათი მისი ძიებით ვითარდება, ვისაც გვსურს, რომ გავყვეთ.

„და რამდენი ხანი დასჭირდება ამას?“ – შეიძლება იკითხოთ.

აი, ჩემი პასუხი: „შენ არ უნდა გადარდებდეს რა დრო სჭირდება ამას; უბრალოდ განაგრძე თხრა, სანამ წყალი არ ამოხეთქავს. ბევრჯერ იქნება, როცა პასუხს ლოცვის გარკვეულ პერიოდში ვერ იპოვი. მოგიწევს შემდეგი ლოცვის დროსაც წამოდგე და შესაძლოა ეს ბევრჯერაც მოგიწიოს.“

როცა დალასში ვიყავი და ვმსახურობდი როგორც უფროსი მწყემსის, ჩემი ძვირფასი მეგობრის და მისი ცოლის დამხმარე –იგი დამხმარე მწყემსი იყო ეკლესიის გუნდში, თითქმის ყოველ დილას მათთან ერთად ვლოცულობდი. ოთახში დილის 7 საათზე შევიდოდით და ლოცვას დავინწყებდით, ხშირად ვგრძნობდით უფლის თანდასწრებას და იმას, თუ როგორ მოძრაობდა ის. მაგრამ იყო ხშირად, როცა 8:30 მოვიდოდა (დრო როცა სამუშაო დღე იწყებოდა) და მოგვინევდა ოთახი დაგვეტოვებინა და ოფისში წავსულიყავით. თითქმის იმედგაცრუებულები ვიყავით, რადგან არანაირი გარღვევა არ იყო...არანაირი გამაცოცხლებელი წყალი. ჭები ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი!

მეორე დილას მივიდოდით და თითქმის ზუსტად იქიდან ვაგრძელებდით, სადაც გავჩერდით. ეს ზოგჯერ ორი დღე გრძელდებოდა, ზოგჯერ სამი დღე, ერთხელ მახსოვს, რომ მთელი კვირა დასჭირდა წყლის მიღებას! თუმცა, როცა გარღვევა მოვიდა, ძალა და განახლება მივიღეთ.

როცა ამერიკის ეკლესიებში ვმოგზაურობდი მრავალ ქრისტიანს შევეჯახე, რომლებმაც დაუშვეს, რომ მათი ჭები ამოვსებულიყო და კომფორტულად დასახლდნენ ამ მდგომარეობაში. საგანგამოა ფაქტი, რასაც ვგრძნობ, რომ უმრავლესობაა და არა უმცირესობა ამ მდგომარეობაში. რა მოხდებოდა, თუკი ეს ადამიანები ზეციურ საჩუქარს აამოქმედებდნენ მათში და ნებას მისცემდნენ მას გამოთავისუფლებულიყო? სიცოცხლეები შეიცვლებოდა, ოჯახები შეიცვლებოდა, ეკლესიები შეიცვლებოდა – ამერიკა შეიცვლებოდა!

უფლის საჩუქარი ძალიან ბევრში ხელუხლებელი დევს. მაგრამ მაშინაც კი, თუკი ქები ამოვსებული ჩანს, სული ელოდება.

განაგრძე თხრა და შენ იპოვი ცოცხალ წყალს უდაბნოში!


გაამზადე უფლის გზა!

განსაცდელი ყოველთვის მოულოდნელია და სიხარულით არავინ ხვდება. იგი მტაცებელი და მპარავია და მაინც, ღვთის ხელებში, განსაცდელი ხდება საშუალება, რომლითაც მისი ზებუნებრივი ძალა გამოვლინდება.

– ჩარლზ სტენლი

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იხილავს, რას აკეთებს მამა, რადგან, რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს“.

– იოანე 5:19



უდაბნო, ის ადგილია, სადაც უფლის გზა მზადდება, ადგილი, სადაც ყველა მთა დაბლდება და ყველა ველი ამალღდება. ესაია დასამახსოვრებლად აღწერს ამას, ამ ცნობილ ადგილას:

„ისმინეთ ხმა მლაღადებლისა:
„გაუმზადეთ უფალს ბილიკი,
მოასწორეთ გზა უდაბნოში ჩვენი ღვთისთვის!
ამოივსოს ყოველი ხევი,
ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდეს,
ფერდობები გავაკდნენ და მთაგრეხილები გასწორდნენ!
გამოცხადდება უფლის დიდება და იხილავს ყველა
ხორციელი, რადგან უფლის ბაგემ წარმოთქვა.
ხმა ამბობს: თქვი! მიუგებს: რა ვთქვა?
ყველა ხორციელი ბალახივითაა
და მისი ყოველი შვენება – მინდვრის ყვავილივით.
ბალახი ხმება, ყვავილი ჭკნება უფლის სუნთქვის
მონაბერზე; ნამდვილად ბალახია ხალხი.
ხმება ბალახი და ჭკნება ყვავილი, ჩვენი ღვთის
სიტყვა კი საუკუნოდ დგას“. (ეს. 40:3-8)

ზუსტად რას ნიშნავს ეს მათთვის, ვინც ახლა უდაბნოს პერიოდში შეიძლება ვიყოთ?

ქრისტეს სხეულში ყველა ჩვენგანს გვაქვს პასუხისმგებლობა, რომელიც უფალმა დაგვაკისრა. მაგრამ სანამ ღმერთი მათ შესასრულებლად გაგვათავისუფლებს, გვჭირდება გარკვეული გამოცდა და წვრთნა უდაბნოში, სადაც ჩვენი სხეული ჯვარს ეცმევა. აქ, ასევე ვსწავლობთ, რომ დაველოდოთ უფალს, მტკიცეები ვიყოთ, სანამ მის ხმას არ გავიგებთ და მივხვდებით,

რას აკეთებს იგი, რათა შეგვეძლოს, მორჩილებით აღვასრულოთ მისი ნება.

მინდა ჩემი პირადი ამბავი გაგიზიაროთ იმის საილუსტრაციოდ, რომ უდაბნოში მოგზაურობა შეიძლება ნაკლებად მოიცავდეს პირდაპირ მარშრუტს გამგზავრებიდან დანიშნულების ადგილამდე და შეიცავდეს რამდენიმე დამაბნეველ შემოვლით გზებს და დაუგეგმავ გაჩერებებს დასასვენებლად.

1979-ში, როგორც პერუდის უნივერსიტეტის სტუდენტი, ხელახლა ვიპვი ჩემი სასწავლებლის საძმომი. ოთხი თვის შემდეგ, სულიწმიდით ავივსე და ღმერთმა დაიწყო ჩემი ნაქეზება მსახურებასთან დაკავშირებით. დამიჯერეთ, მსახურება ნამდვილად არ იყო ჩემს რადარზე, არაფერი მინდოდა მასთან დაკავშირებით. ყველა მსახური, რომელსაც შევხვდი, სანამ გავიზრდებოდი, ისეთი კაცები არ იყვნენ, რომლის მსგავსად გახდომასაც ვისურვებდი. ვიცი ეს განკითხვა იყო, მაგრამ მათ „გარეშე“ პირებად აღვიქვამდი, რომელთაც უცნაური ბავშვები ჰყავდათ და ძალიან ცუდ სახლებში ცხოვრობდნენ. გვიან შევიტყვე, რა თქმა უნდა, რომ ჩემი შთაბეჭდილებები დამახინჯებული იყო. რეალურად, უამრავი ძლიერი მსახური იყო, რომელსაც არაჩვეულებრივი შვილები ჰყავდა და წესიერ სახლში ცხოვრობდა! მაგრამ, როგორც ახალგაზრდა მორწმუნე, ვფიქრობდი, რომ მსახურად ყოფნა ნიშნავდა, დატანჯულიყავი უცნაური ცხოვრებით და დაგემთავრებინა აფრიკაში, ქოხში, ფესსაცმლის გარეშე ცხოვრებით.

მე პატარა ქალაქში გავიზარდე, სადაც 3000 ადამიანი ცხოვრობდა. ერთადერთი მსახური, ვისაც იქ ვიცნობდი, ჩემი კათოლიკე მღვდელი იყო (ეს არჩევანი არ იყო ჩემთვის, რადგანაც მათ დაქორწინება არ შეუძლიათ) და კიდევ ერთი მწყემსი პატარა ეკლესიიდან. მას ორი, ჩემი ასაკის შვილი ჰყავდა, რომლებიც ძალიან უცნაურები იყვნენ და როცა მათ სახლში მივედი, რაღაცას ცუდი სუნი ასდიოდა! ერთხელ იქ მივედი და იმდენად საშინელი სურნელი ტრიალებდა, რომ რაც შემეძლო, სუნთქვა შევიკავე, სანამ საბაბს მოვძებნიდი და სახლში წამოვიდოდი! ასე რომ, ალბათ, გესმით, რატომ არ ვიყავი დიდად დაინტერესებული მსახურებით. მე არ მინდოდა მღვდლად გახდომა, არ მინდოდა უცნაური შვილები და სუნიანი სახლი. არც ის მინდოდა, რომ აფრიკაში წავსულიყავი მისიონერად და სიცოცხლე ქოხში დამემთავრებინა.

ჩემი გეგმები იმ დროისთვის იყო: დამემთავრებინა მექანიკური ინჟინერიის სწავლა პერდუში და შემდეგ მაგისტრატურა ჰარვარდში. ამის შემდეგ, ამერიკის კორპორაციაში შევიდოდი და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მივალწვედი წარმატებას, ბევრ ფულს ვიშოვიდი და ჩემს ეკლესიაში შესაწირავს გავაკეთებდი მსახურების მხარდასაჭერად. ასეთი იყო ჩემი გეგმები და თავს ვარიდებდი ღვთის ჩურჩულს ჩემდამი მსახურებასთან დაკავშირებით. (არაფერი იყო ცუდი ამ გეგმაში, მაგრამ ეს არ ყოფილა უფლის გეგმა ჩემი ცხოვრებისათვის.)

ოთხი თვის შემდეგ, კვირა დილას, ეკლესიაში ვიყავი და მწყემსის ქადაგებას ვუსმენდი, როცა უფლის სულმა მკაცრი უწყება მომიტანა: „მე შენ საქადაგებლად მოგიწოდე! რის გაკეთებას აპირებ ამასთან დაკავშირებით?“

ამ დროს უკვე ცხადად მოვისმინე და ვუპასუხე: „უფალო, თუნდაც ცხოვრება უფეხსაცმელოდ, ბალახის ქოხში დავამთავრო აფრიკაში, მე ვიქადაგებ, მე დაგემორჩილები!“ (ღმერთს საკუთარი გზები აქვს ჩვენი ყურადღების მისაპყრობად. მე უკვე ვითვლიდი ფასს წინა თვეების განმავლობაში მისი პატარა მუჯღუგუნებისას.) ახლა, იმის სრულიად გაცნობიერებით, თუ რაზე ვამბობდი „კის“, მზად ვიყავი, მესიამოვნებინა მისთვის და საფასურს მნიშვნელობა არ ჰქონდა!

უფალმა ჩემი მომზადება დაიწყო. ცეცხლი აენთო ჩემს შინაგანში; დავიწყე ჩემი საძმოს წევრებისთვის იესოზე მოყოლა და ბევრი მათგანი გადარჩა. დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ საძმოში ბიბლიის შესწავლა დავიწყე, სტუდენტები ყველა კამპუსიდან მოდიოდნენ. ყოველ კვირა ახალი ადამიანები უძღვნიდნენ თავიანთ სიცოცხლეს ქრისტეს, იკურნებოდნენ და თავისუფლებას პოულობდნენ.

ხელი ვკარი ჩემს პრიორიტეტებს! ახლა იმდენად ძლიერი იყო ჩემი სურვილი, რომ მექადაგა, რომ მიწოდდა შემენწყობა მექანიკური ინჟინერიის სწავლა პერდუში და ბიბლიის სკოლაში წავსულიყავი. მიზეზები? რატომ ვისწავლო აღრიცხვა და ფიზიკა, როცა ქადაგებისთვის ვარ მოწოდებული და ამ დროს ადამიანები კვებიან და ჯოჯოხეთში მიდიან? იესო მალე დაბრუნდება, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავიდე მიწორზე მოსავლის ასაღებად.

ერთ ღამეს, როცა ვმეცადინეობდი იმას, რაც უკვე მეზიზღებოდა, ჩემი ინჟინერიის წიგნიდან ბიბლიას გავხედე თაროზე. უნდა წამეკითხა! თერმული დინამიკის სახელმძღვანელო კედელს მივანარცხე. გადავწყვიტე – მეტს აღარ მოვიცდიდი! სწავლას შევწყვეტიდი და ბიბლიის კოლეჯში წავიდოდი.

დავუძახე კაცს, რომელმაც დამიმონაფა. იგი მკვლევარი იყო პერდუში და თან ჩემი ძალიან ახლო მეგობარი. დამაჯერებლად განვაცხადე: „დონ, მე ვტოვებ აქაურობას და ბიბლიის სკოლაში მივდივარ!“

მან ბრძნულად მიპასუხა: „ხომ არ გაგვესეირნა და გველოცა ამაზე?“ ასეც მოვიქეციით და ღმერთი დამელაპარაკა: „შენ იმსახურებ ჩემს დანიშნულ დროს...დაამთავრე ინჟინერიის სწავლა.“

მოგვიანებით, როცა ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, როგორ შეეძლო ღმერთს პატარა ქალაქში გაზრდილი ბიჭი მსოფლიოს ერებთან გაეგზავნა, გავიგონე როგორ თქვა: „ვინ შექმნა და აკურთხა მსახურება, რომელშიც მონოდებული ხარ, შენ თუ მე?“

„შენ“ - ვუპასუხე მე.

„ხომ არ გგონია, რომ მე უფრო მეტს ვიფიქრებდი ამ მსახურების შესახებ, ვიდრე შენ?“ ამ წინადადებაზე ჩემი ყურადღება მიიპყრო.

ამრიგად, დავმშვიდდი და დავამთავრე ინჟინერიის ბაკალავრიატი. დამთავრების შემდეგ, Rockwell International-ში დამიქირავეს მექანიკურ ინჟინერად შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტის პროგრამისთვის. მე ჩემს ახალ სამსახურში დავმკვიდრდი და დიდებული ეკლესია ვიპოვე. ერთი წლის შემდეგ, მე და ლიზა დავექორწინდით.

ეკლესიას შევუერთდი როგორც მარტოხელა კაცი და ყველა საჭირო უნარით ვმსახურებდი. ეს მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც დავქორწინდით. წესრიგს ვიცავდი, ციხის მსახურების ნაწილი ვიყავი, მწყემსის შვილებს ტენისს ვასწავლიდი და ბევრ სხვა სფეროშიც ვეხმარებოდი. ამ ეკლესიას ბიბლიის სკოლაც ჰქონდა, სადაც ღამის სესიებს ვესწრებოდი.

ორი წლის შემდეგ ეკლესიამ უფროსი მწყემსისა და მისი ოჯახის დამხმარედ დამიქირავა. მე მწყემსსა და სხვა ლიდერებს ვუთხარი, რომ ამას მხოლოდ ერთი წელი შევძლებდი, რადგანაც საქადაგებლად ვიყავი მონოდებული. ჩემი მოვალეობა იყო, გამეერცხა და სანვავით ამეცხო მათი მანქანები, გამეპრიაღლე-

ბინა მწყემსის ფეხსაცმელი, აქეთ-იქით მერბინა სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად, ბავშვები სკოლიდან წამომეყვანა, ცურვა მესწავლებინა მათი ორი სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, მეზრუნა სტუმრად ჩამოსულ მსახურებზე და კიდევ მრავალი სხვა დავალება შემეხსრულებინა. საბოლოოდ ამის კეთებაში ოთხ-ნახევარი წელი გავატარე და არა ერთი.

ახლა უკვე შვიდი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ღვთის მონოდებას „კი“ ვუთხარი. როცა კოლეჯში გადარჩენილ, განკურნებულ და დახსნილ სტუდენტებს ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ რამდენიმე დღეში სრული დროით დავინწყებდი მსახურებას. წარმოდგენა არ მქონდა იმ პროცესზე, რომელშიც ღმერთს უნდა გავეტარებინე.

იმ დროის განმავლობაში, როცა ეკლესიას ვემსახურებოდი, სამჯერ წარუმატებლად ვცაადე მთელი დროით ქადაგებაზე გადავსულიყავი. როცა აზიიდან დალასში დავბრუნდი (მას შემდეგ რაც მესამედ ვცაადე, მენახა, ეს ხომ არ იყო ადგილი, სადაც ღმერთს ვჭირდებოდი), იოანეს სახარებას ვკითხულობდი და მივადექი მუხლს, რომელიც თითქოს ნიგნის გვერდიდან ამოხტა: „იყო კაცი, ღვთისგან მივლინებული. სახელი მისი იოანე“ (იოან. 1:6). გავიგონე როგორ მითხრა ღმერთმა: „რა გინდა, ჯონ, ბევრისგან იყო მივლინებული, თუ ჩემგან?“

„მინდა რომ შენგან ვიყო გაგზავნილი.“

უფალმა თქვა: „კარგია, რადგანაც თუკი, ჯონ ბევრისგან ხარ გაგზავნილი, ჯონის ძალაუფლებით ივლი, ხოლო თუ ჩემგან ხარ მივლინებული, ჩემი ძალაუფლებით ივლი!“

ამის შემდეგ, დავმკვიდრდი და იქით მივმართე ჩემი ფოკუსი, სადაც ღმერთმა მომათავსა. თუმცა, რაღაც დროის შემდეგ, შფოთვა დაბრუნდა. უდაბნოს წვრთნა ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო; პირიქით, კვლავ პროცესში იყო.

ღმერთმა თაროზე შემომდო ამ შვიდი წლის განმავლობაში, სანამ ჩემთვის რაიმე პოზიცია გამოჩნდებოდა? არა! ათასჯერ არა! მე უდაბნოში ვიყავი, რათა ღვთიური ხასიათი განმვითარებოდა...რათა მისი გზა მომზადებულიყო. ჩემს ხასიათს მომნიჭება სჭირდებოდა, რათა შემძლებოდა, კარგად შემეხსრულებინა ჩემი ფუნქცია იმ მსახურების პოზიციაზე, რომელშიც ღმერთმა მომიწოდა. საბოლოოდ უნდა მესწავლა, რომ ყოველი სულიერი დანიანაურების წინ, ჯერ ამ დონისთვის უნდა მოვმზადებულიყავი.

დავინყე შენი ძალებით მსახურება

მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კარგი განზრახვები გვაქვს, ღვთის ჩართულობის გარეშე, ვერაფერს გავაკეთებთ ისეთს, რასაც მარადიული ღირებულება ექნება – იესოს სახელთაც კი! თავად უფალი ამბობს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იხილავს, რას აკეთებს მამა, რადგან რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს“ (იოან. 5:19). როგორი მტკიცეებაა! იესო - ხორცშესხმული, ცხებული ღვთის ძე, ამბობს რომ მას არაფერი საბოლოოდ ღირებულის გაკეთება არ შეუძლია თავისი ძალებით. რამდენიმე მაგალითს გაგიზიარებთ, თუ რას ვგულისხმობ:

იესოს უყვარდა ლაზარე და მისი ორი და, მართა და მარია-მი, რომლებიც ბეთანიაში ცხოვრობდნენ. ლაზარე ავად გახდა. აი, რა მოხდა შემდეგ:

„დებმა კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: „უფალო, აჰა, ვინც გიყვარს, ავადაა“. ეს ამბავი რომ გაიგო, თქვა იესომ: „ეს ავადმყოფობა სასიკვდილოდ არ არის, არამედ ღვთის სადიდებლადაა, რათა მისი მეშვეობით განდიდდეს ღვთის ძე“. იესოს უყვარდა მართა, მისი და და ლაზარე. მისი ავადმყოფობის ამბავი რომ გაიგო, ორი დღე იქვე დარჩა, სადაც იმყოფებოდა“. (იოან. 11:3-6)

მიუხედავად იმისა, რომ იესო მესია იყო, მასაც ჰყავდა ძალიან ახლო მეგობრები. მას უყვარდა ლაზარე და სიამოვნებდა მის ოჯახთან დროის გატარება. თუმცა ვხედავთ, რომ იესოს არაფერი გაუკეთებია ორი დღე, მას შემდეგ რაც მეგობრის ავადმყოფობის შესახებ გაიგო. რატომ არ წავიდა მაშინვე ბეთანიაში? მიზეზი ისაა, რომ მითითება არ მიუღია ზეციერი მამისგან. იესო მორჩილად ელოდებოდა, სანამ უფლის სული მიუთითებდა, რომ წასულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა იგი.

უფალმა ერთხელ გამომიცხადა, რომ თუკი ლაზარე ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იქნებოდა, მაშინვე მის სახლში წავიდოდი, ხელებს დავასხავდი, ისე რომ სულს არც კი ვკითხავდი მის მიმარ-

თულებაზე. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს ასეთი მენტალიტეტი აქვს. მიგვაჩნია, რომ რადგანაც ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა, აღარ გვჭირდება მას ვთხოვით გაძლოლა მსგავს სიტუაციებში. სიმართლე კი ისაა, რომ უნდა გავჩერდეთ და მგრძნობიარეები ვიყოთ ღვთის სულისადმი. ღმერთმა იცის, რა სურს და თუკი დაველოდებით მისი ინსტრუქციების გაგებას ან იმას, თუ რა არის მის გულში, ის გვეტყვის, რა გავაკეთოთ.

შეიძლება გვეფიქრა, რომ სულის წაძლოლის გარეშეც კი, თუკი ავადმყოფს ხელს დავასხავთ, ღმერთი ვალდებულია, მაშინვე განკურნოს იგი. თუ ეს ასეა, მაშინ არ შეგვიძლია, წავიდეთ საავადმყოფოებში და უბრალოდ დავაცარიელოთ ისინი?

ზოგიერთ შემთხვევაში, ბიბლია მიუთითებს, რომ იესომ „ყველა განკურნა“, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. მაგალითად, რატომ არ განკურნა იესომ ყველა ავადმყოფი, ბრმა, კოჭლი, დავრდომილი ადამიანი ბეთხაზდას აუზთან, როდესაც მხოლოდ ის ერთი ადამიანი განკურნა, რომელიც 38 წლის განმავლობაში იტანჯებოდა (იოანე 5)? შეიძლება რომ ღვთის სული არ წარუძღვა მას სხვების განსაკურნავად?

კიდევ ერთ მაგალითში, იყო კაცი, დედის მუცლიდან კოჭლი, რომელიც ტაძრის კარიბჭესთან იყო მიტოვებული. დარწმუნებული ვარ იესო მას ყოველთვის ჩაუვლიდა ხოლმე ტაძარში შესვლისას. რატომ არ განკურნა იგი იესომ? რადგან მამამ არ მისცა ინსტრუქცია, რომ ასე მოქცეულიყო.

მოგვიანებით, იესოს ზეცად ამალლების შემდეგ, ტაძარში მიმავალმა პეტრემ და იოანემ – სულით წარმართულებმა – განკურნეს ეს კაცი და გამოღვიძება მოიტანეს (საქმ. 3).

როცა იესო მსახურებდა, არ არსებობდა დადგენილი ფორმულა: ზოგს დააფურთხა, ზოგს ხელი დაასხა, ზოგს უბრალოდ დაელაპარაკა, ვილაცისთვის ტალახის ბურთები გააკეთა და თვალის ფოსოებზე დაადო, ზოგი მღვდლებთან გაგზავნა — და სია გრძელდება. გასაოცარი მრავალფეროვნებაა, რადგან იესო მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც ხედავდა, რომ მისი მამა აკეთებდა! ღმერთმა იცოდა საუკეთესო დრო და მიდგომა, რომლითაც თითოეულს უნდა მიეღო განკურნება.

აი, რა სურს ღმერთს ყველა მისი მსახურისთვის...მიგვიყვანოს ადგილას, სადაც მხოლოდ იმას გავაკეთებთ, რასაც ვხედავთ რომ იესო აკეთებს და მხოლოდ მისი წაძლოლით, არა იმას, რასაც ვფიქრობთ ან გვინდა, რომ მოხდეს. იესო ამბობს

იოანეს 20:21-ში: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მოგავლენთ თქვენ.“ იესოს არაფერი გაუკეთებია მამის ნაძლოლის მიღმა. იგივენაირად, ჩვენც უნდა გავყვეთ იესოს მაგალითს. უნდა ვიცხოვროთ მის მსგავსად, სულიწმიდით მართულებმა, ისე უნდა ვიაროთ, რომ მხოლოდ მას შეეძლოს წარგვიძღვეს. ამისათვის ჩვენი სხეული ღვთის სულს — ქრისტეს სულს უნდა ემორჩილებოდეს. ყველაზე ოპტიმალური წვრთნის ნიადაგი სულიწმიდით მართული ცხოვრებისათვის, უდაბნოა. სწორედ ეს გამომწვევი გარემოა ადგილი, სადაც უფლის გზა მზადდება.

ღმერთმა უთხრა მოსეს ორმოცწლიანი უდაბნოს წვრთნის შემდეგ:

„ახლა წადი, მე მიგავლენ ფარაონთან; და გამოიყვანე ჩემი ხალხი, ისრაელის ძენი ეგვიპტიდან.“ უთხრა მოსემ ღმერთს: „ვინ ვარ მე, რომ წავიდე ფარაონთან და ეგვიპტიდან გამოვიყვანო ისრაელის ძენი?“ უთხრა ღმერთმა: „მე ვიქნები შენთან და აი, ნიშანი შენთვის, რომ მე მიგავლინე: გამოიყვან რა ხალხს ეგვიპტიდან, ამ მთაზე სცემთ თავყვანს ღმერთს“. (გამოს. 3:10-12)

ახლა მოდით შევადაროთ თუ რა თქვა ღმერთმა იმ ადამიანების შესახებ, ვინც თავად გაგზავნეს საკუთარი თავი:

„მე არ გამომიგზავნია ის წინასწარმეტყველნი, მაგრამ მორბოდნენ, მე არ მილაპარაკია მათთან, მაგრამ წინასწარმეტყველებდნენ...აჰა, მე ვარ სიზმრების ცრუგანმმარტებელთა წინააღმდეგ, ამბობს უფალი, სიცრუეს რომ უყვებიან ჩემს ხალხს და თავიანთი სისულელით აცდუნებენ; მე არ გამომიგზავნია ისინი, არაფერი დამივალებია მათთვის, არც არავითარი სარგებელი მოაქვთ ამ ხალხისთვის – ამბობს უფალი“. (იერ. 23:21, 32)

პირდაპირ ნესტარს გარჭობს. არც ერთ ჩვენგანს არ სურს ასეთი უწყება ღვთისგან.

ორმოცი წლის ასაკში, როდესაც პირველად სცადა ისრაელიანთა გამოხსნა, მოსეს არ შეეძლო, დახმარებოდა ან სარგებელი მოეტანა მათთვის, რადგან ღმერთს ჯერ არ გაეგზავნა იგი. იმ განათლებით, ლიდერობის უნარებითა და სიბრძნითაც კი, რაც

მოსემ ეგვიპტეში შეიძინა, მოსემ ვერ აღასრულა ის, რის გასაკეთებლადაც, იცოდა, რომ ღმერთმა მოუწოდა. რადგან მას არ ჰქონდა უზენაესის მხარდაჭერა, ღვთის დრო ჯერ არ მოსულიყო. მისმა ფუჭმა ძალისხმევამ, მხოლოდ ერთი ეგვიპტელი შემვიწროებელის სიკვდილი გამოიწვია. მიუხედავად იმისა რომ ამაღლებული განზრახვები ჰქონდა, მისი მისიის შესრულების სანყისი მცდელობა, უფრო მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდა, ვიდრე კარგის. უდაბნოს უკანა პლანზე, რომოცნლიანი წვრთნის შემდეგ, ახალი მოსე გამოჩნდა, რომელიც არაფერს გააკეთებდა იმის გარდა, რასაც ღმერთი ეტყოდა. ახლა, ღვთის დადგენილ დროს, მოსეს ლიდერობით, მთელმა არმიამ დაასრულა სიცოცხლე წითელი ზღვის ფსკერზე. აი, რა განსხვავებაა ჩვენს ძალასა და უფლის ძალას შორის – მთელი არმია, ერთ მეომართან შედარებული.

იოანე ნათლისმცემელი ოცდაათი წელი იწვრთნებოდა იმ მსახურებისთვის, რომელმაც მხოლოდ ექვს თვეს გასტანა და მაინც, იესომ თქვა, რომ იოანე უდიდესი წინასწარმეტყველი იყო, რომელიც დედაკაცისგან იშვა.

ნახეთ! ღმერთს შეუძლია მეტი გააკეთოს ექვსი თვის განმავლობაში იმ კაცისა თუ ქალის მეშვეობით, რომელიც მისგანაა გაგზავნილი, ვიდრე სხვისი მეშვეობით, რომელიც საკუთარი ძალებით შრომობს სამოცი წლის განმავლობაში.

აი, რას ხსნის იესო: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იხილავს, რას აკეთებს მამა, რადგან რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს...“ (იოან. 5:19).

აი, კვლავ ესიას სიტყვები:

„ისმინეთ, ხმა მლალადებლისა:

„გაუმზადეთ უფალს ბილიკი,
მოასწორეთ გზა უდაბნოში ჩვენი ღვთისთვის!

ამოივსოს ყოველი ხევი,
ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდეს,
ფერდობები გავაკდნენ და მთაგრეხილები გასწორდნენ!

გამოცხადდება უფლის დიდება და იხილავს ყველა
ხორციელი, რადგან უფლის ბაგემ წარმოთქვა!

ხმა ამბობს: თქვი! მიუგებს: რა ვთქვა?

ყველა ხორციელი ბალახივითაა

და მისი ყოველი შვენება – მინდვრის ყვავილივით.

ბალახი ხმება, ყვავილი ჭკნება უფლის სუნთქვის

მონაბერზე; ნამდვილად ბალახია ხალხი.

ხმება ბალახი და ჭკნება ყვავილი, ჩვენი ღვთის სიტყვა

კი საუკუნოდ დგას“. (ეს. 40:3-8)

ღმერთი ამბობს, რომ უდაბნო ადგილია, სადაც უფლის გზა მზადდება. უფლის გზა ადამიანის ძალა არაა. იგი ამბობს რომ ხორცის სიამაყე უნდა დამდაბლდეს, თავმდაბალი (ის, ვინც ღმერთს ელოდება) ამალდეს, გამრუდებული (ცრუ, არასწორი, არანრფელი) ადგილები გასწორდეს, უხეში (უსიყვარულო, მკაცრი, სასტიკი) ადგილები დარბილდეს.

ბაღარჩენის რჩევები შენი მოგზაურობისთვის

№11 ჩანთები ჩალაგებული გქონდეს!

მიუხედავად იმისა, რომ არასდროს გავუწევდი ამას რეკომენდაციას, როცა შენი უდაბნოში ყოფნა ისეა განელილი, რომ მარადიულობად გეჩვენება, შეიძლება გადაწყვიტო, რომ ჩანთები ამოალაგო და დასახლდე. მენდე, როცა ღმერთი მოძრაობას გადაწყვეტს, მან ეს შეიძლება ტურბო სტილით გააკეთოს. შეხედეთ იოსებს! თითქოს მთელს სიცოცხლეს საპყრობილეში გაატარებდა და უეცრად, ერთ დღეს, გაფრთხილების გარეშე დანიანურდა ღვთის მიერ მიცემულ ოცნებაში! დიახ, ზუსტად ასეა – ერთ დღეში!

მე უდაბნოში ვიყავი და მეჩვენებოდა, რომ აქ ორმოც წელს გავატარებდი. შემდეგ, მოულოდნელად, უფალმა მითხრა რომ ჩემს იმჟამინდელ პოზიციას დავტოვებდი და მოგზაურობასა და ლაპარაკს დავინწყებდი. ცვლილება მაშინვე არ მომხდარა, მაგრამ როცა მოხდა, ქარიშხალივით მოვიდა. და მე მზად ვიყავი ჩემი მონოდეების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. ჩემი ჩანთები ჩალაგებული იყო.

როგორც კოლეჯის სტუდენტმა, ახალ მოქცეულმა იესოს მიმდევარმა, მრავალი კურთხევა მივიღე და „ნარმატება“ ვიპოვე სხვების მომსახურებაში, მაგრამ იყო მთები ჩემს ცხოვრებაში, რომლებიც უნდა დადაბლებულიყო და უხეში და მრუდი ადგილები, რომლებიც უნდა დარბილებულიყო და გასწორებულიყო. ღმერთმა იცოდა, რომ მე რაღაც დრო მჭირდებოდა უდაბნოში გარკვეული ბზარების მოსასწორებლად.

ნებისმიერი უდაბნოს პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, ნება მისცე ღმერთს, თავისი გზა ჰქონდეს ჩვენში. როცა ჩემს მწყემსს ვემსახურებოდი დალასში, უფალი დამელაპარაკა ერთ დღეს და მითხრა: „ჯონ, ნუ გამოტოვებ იმას, რაც მინდა, რომ დღეს გააკეთო, იმით, რომ შენი მზერა მხოლოდ ხვალინდელი ქადაგებისკენაა.“ გულწრფელად, იმდენად მინდოდა მექადაგა, რომ ჩემი ცხოვრების ამ ფაზას დროის ფლანგვად მივიჩნევდი.

ნუ გაებმები ამ მახეში! გააცნობიერე რომ ღმერთი არ ფლანგავს დროს! იგია ის, ვინც ანაზლაურებს დროს! გააცნობიერე, რომ სადაც ახლა ხარ, სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწილია იმისა, სადაც მიდიხარ. ეს შენი წვრთის არენაა. ეს არის დაპირებიდან დანინაურებამდე გასაველი პროცესი – ეს არის აღსრულება. მას მიანდე იმაზე სანუხარი, თუ როგორ გამოვა ეს ყველაფერი... უბრალოდ გაყევი მას! ის არის ღმერთი, ავტორი და დამსრულებელი. ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის, ვენდოთ მას და დავემორჩილოთ იმას, რასაც დღეს გვაჩვენებს!

ყოველთვის, როცა მეგონა, რომ მივხვდი, როგორ აპირებდა იგი ჩემს დაფუძნებას ქადაგების მსახურებაში, იგი სიკეთით მეტყოდა: „ჯონ, შენ ახლა გამოიცანი კიდევ ერთი გზა, თუ როგორ არ მოხდება ეს!“ ეს სიმართლე იყო – მან ეს მსახურება სრულიად მოულოდნელად მოიტანა ჩემთან. ღმერთს კმაყოფილების (და არა თვითკმაყოფილების) ადგილას მივყავართ და მთლიანად შეგვიძლია, აწმყოთი ვიცხოვროთ.

აკეთე ყველაფერი ღვთის გზით!

როცა ღმერთი ადამიანს თავის ძალაუფლებასა და ძალას აძლევს, რაც უფრო ძლიერია ნაჩუქარი ძალაუფლება და ძალა, მით უფრო დიდია სასჯელი უფლის სულის დაუმორჩილებლობისთვის. უფალს არ განუსჯია მოსე ორმოცი წლის ასაკში, როცა

რაც ცხადებს თავისი გზებით აკეთებდა, რადგან ღვთის ძალა და ძალაუფლება ჯერ კიდევ არ იყო მასზე. თუმცა მოგვიანებით ასე არ მომხდარა. სინას უდაბნოში ხალხი ედავებოდა მოსეს და წუწუნებდნენ იმ ადგილის შესახებ, სადაც მან მიიყვანა. მათ წყუროდათ, წყალი უნდოდათ. ამრიგად, ღმერთმა უთხრა მოსეს, თუ რა უნდა გაეკეთებინა:

„უთხრა უფალმა მოსეს: „აილე კვერთხი და შეკრიბეთ თემი შენ და აჰარონმა, შენმა ძმამ; მათ თვალწინ უთხარით კლდეს და მოგცემთ თავის წყალს; გადმოსჩქევს კლდიდან წყალი და ასვი შენს თემსა და მათ პირუტყვს“.
(რიცხვ. 20:7-8)

ღმერთმა უთხრა მოსეს რომ დალაპარაკებოდა კლდეს და იგი მისცემდა წყალს. მაგრამ ნაიკითხეთ რა გააკეთა მოსემ:

„აღმართა მოსემ ხელი და ორჯერ დაჰკრა კვერთხი კლდეს. გადმოსკდა წყალი უხვად და სვა თემმა და მისმა პირუტყვმა. უთხრა უფალმა მოსეს და აჰარონს: „რადგან არმერწმუნეთ და არ გამოავლინეთ ჩემისი ნიმიდის რაელის ძეთა თვალწინ, ვერ შეიყვანთ ამ კრებულს იმ ქვეყანაში, რომელიც მათთვის მაქვს მიცემული“.
(რიცხვ. 20:11-12)

შეამჩნიეთ, რომ ღმერთმა მილიონობით ადამიანს, რომლებიც უყურებდნენ, მისცა წყალი. ვაჰ! წყალი კლდიდან — ვის სმენია ასეთი ძლიერი სასწაულის შესახებ 21-ე საუკუნეში?! ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოსე არ დაემორჩილა უზენაესის მითითებებს, თუ როგორ გამოეთავისუფლებინა წყალი კლდიდან, ძლიერი სასწაული მაინც მოხდა. წყალი ხალხისთვის იყო, მათი საჭიროების პასუხად. ღმერთს არ დაუკავებია წყალი ხალხისგან მოსეს დასასჯელად. მაგრამ ამას მაინც მოჰყვა თავისი შედეგი: მოსე ველარ შეუძღვა ხალხს აღთქმულ მიწაზე.

ეს სრულყოფილი მაგალითია იმისა, რომ შემოქმედის ზებუნებრივი ცხებულება ადამიანთა საჭიროებებისთვისაა და არა იმ ერთის განსადიდებლად, ვისაც ნიჭი აქვს! შესაძლოა, მოსე იმედგაცრუებული იყო ხალხისაგან და ცოტათი იმედგაცრუებული ღვთისგანაც, რადგან ასეთი რთული ხალხის მწყემსვა უწყვედა. მოსემ დაარტყა კლდე, როგორც სინას უდაბნოში მოიქცა

(გამოს. 17:1-7). შესაძლოა, მოსესთვის კომფორტული გახდა მისი უნარი, გაძლოლოდა სხვებს; შესაძლოა, ფიქრობდა, რომ ღმერთი პატივს სცემდა ყველაფერს, რასაც ის საუკეთესოდ ჩათვლიდა. მან კიდევ ერთხელ გააკეთა რაღაც თავისი გზით, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგები მნიშვნელოვნად დიდი იყო. მოსეს უკვე ჰქონდა გავლილი უფლის ძალაში; მთელი მისი ძალა ღმერთზე დამოკიდებულებისაგან მოდიოდა. ახლა მოსესთვის ხალხის წინაშე ღვთისაგან დამოუკიდებლად ქცევამ სწრაფი განკითხვა მოიტანა.

აი, რატომ ამბობს იაკობის 3:1: „ჩემო ძმებო, ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები, რადგან იცოდეთ, რომ ასეთები უფრო მეტად განვისჯები!“ რაც უფრო დიდია პასუხისმგებლობა თუ დიდება, მით უფრო დიდია განკითხვა.

უდაბნო გვამზადებს იმისათვის, რომ უფლის ძალასა და დიდებაში ვიაროთ დაუმორჩილებლობისათვის განკითხვის დამსახურების გარეშე. გვალვიანი უდაბნოს გამოცდისას სიამაყე მდაბლდება და თავმდაბლობა მაღლდება. ჭეშმარიტად თავმდაბალი ადამიანი იესოსავით დადის და ღაღადებს: „არაფერს გავაკეთებ, თუკი არ დავინახავ რომ უფლის სული აკეთებს ამას. არაფერი ვარ ჩემი პირადი ძალითა და შესაძლებლობით.“

შესაძლებელია, რომ მიზეზი, რის გამოც ღმერთმა თავი შეიკავა თავისი დიდება და ძალა გამოევიდინა ეკლესიაში ბევრისაგან, ისაა, რომ დავეცავით უფრო დიდი განკითხვისაგან? მჯერა, რომ სწორედ უდაბნოა ადგილი, სადაც იგი ხორცს სულისგან აშიშვლებს რათა შევლალადოთ და მოვუსმინოთ მას. შემდეგ, როცა მისი დიდება ვლინდება, ჩვენ მის სახელს მივუტანთ პატივს, რადგან მხოლოდ *მისი გზებით* ვმოქმედებდით.

მოისმინე სულის ხმა! ნება მიეცი გაჩვენოს, როგორ სურს, რომ შეასრულო ის სამუშაო, რაც შენთვის აქვს გამზადებული. შეხედე და მოუსმინე: რას აკეთებს და ამბობს უფალი!

„დავდგები ჩემს სადარაჯოზე, ავალ კომკზე და დავაყურადებ, რომ ვნახო, რას მეტყვის და რა ვუპასუხო ჩემს მხილებაზე. მიპასუხა უფალმა და მითხრა: ჩანერე ჩვენება და დაფებზე ამოტვიფრე, რომ იოლად წაიკითხოს მკითხველმა. რადგან დადგენილ ჟამს ეხება ხილვა, დასასულს აცხადებს და არ გაცუდდება. თუ დააყოვნებს, დაელოდე, ვინაიდან უცილობლად მოვა, არ

დაავიანებს. აჰა, მედიდურ კაცში გულიც არანრფელია, მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს“. (აბაკ. 2:1-4)

წინასწარმეტყველმა თქვა: „დაველოდები რომ ვნახო რას მეთყვის უფალი.“ ერთ-ერთი გზა, რომლითაც ღვთის სული ლაპარაკობს, ხილვაა. იესომ თქვა, რომ მან მხოლოდ ის გააკეთა, რაც დაინახა რომ მამა აკეთებდა. აბაკუმმა თქვა, რომ ის დაწერდა, რაც მან დაინახა. მან გააგრძელა იმის თქმით, რომ სული, რომელიც ამაცია (ამაღლებული), არ არის სამართლიანი (ეს არის კაცი, რომელიც არ ელოდება უფლის სიტყვას და იმის ხილვის გარეშე მიდის, რასაც ღმერთი ამბობს). მაგრამ მართალმა თავისი რწმენით უნდა იცოცხლოს და არა სხვისი რწმენით!

რწმენა მოდის იმის მოსმენისაგან, რასაც ღმერთი ამბობს და შემდეგ მისი მორჩილებით. აი, რატომ შეიყვანა ღმერთმა ისრაელიანები უდაბნოში: „...რათა მიმხვდარიყავი, რომ არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით“ (მეორ. რჯ. 8:3). შეამჩნიეთ, რომ ის ამბობს „მომდინარე“ და არა „გამოსული.“

ჩვენ ვმხნევედებით: „ნუ უარყოფ მოლაპარაკეს (ანწყობი), რადგან თუკი ისინი ვერ გადარჩნენ, რომელთაც ქვეყნად მაუწყებელი უარყვეს, მით უფრო ჩვენ – თუ ზეციდან მაუწყებელს შევაქცევთ ზურგს“ (ებრ. 12:25). მაგრამ არასდროს დაგავიწყდეთ, რომ რასაც ის ლაპარაკობს, ყოველთვის წმიდა წერილთან იქნება თანხვედრაში.

თუმცა ბიბლიის კვლევა იმის გასამყარებლად, რასაც ფიქრობ რომ უნდა გააკეთო, არ არის ღვთის გზა. იესოს შეეძლო, ეთქვა საკუთარი თავისთვის: „მე ცხებულები ვარ ავადმყოფის განსაკურნად, ნავალ და საბოლოოდ ხელს დავასხამ ლაზარეს, როგორც უკვე გამიკეთებია.“ ამის ნაცვლად, იგი ელოდებოდა ღვთის სულის მოქმედებას და ამის შემდეგ იმოქმედა მან.

უდაბნო ადგილია, სადაც ღმერთს შევყავართ რათა გვასწავლოს, რომ ნებისმიერი მცდელობა, რაიმე გავაკეთოთ მისთვის მისი ნაძლოლისა და უნარის გარეშე, ამოებებს განგვაცდევინებს. როცა რეალურად ვსწავლობთ, რომ ხორცი ვერაფერს გააკეთებს რასაც მარადიული ღირებულება ექნება, შემდეგ მზად ვართ, სისრულეში მოვიყვანოთ ის ოცნებები და გეგმები, რაც მან მოგვანდო. უდაბნო ყველაფერია მომზადების შესახებ

162 სადა, ხარ ღმერთო?!

– ეს არის აღთქმულის აღსრულების პროცესი. მოდით, იესოს მაგალითს გავყვეთ, ვიყოთ სულის მიერ მართულები, რათა ყველაფერი ღვთის გზებით ვაკეთოთ და არა ჩვენი გზებით.


ბამარჯვება უდაბნოში

ჩვენი მნუხარება, ისევე როგორც თავად ჩვენ, მოკვდავია. არ არსებობს უკვდავი მნუხარება უკვდავი სულისათვის. ისინი მოდიან, მაგრამ დიდება ღმერთს, ისინი მიდიან. როგორც ჩიტები ცაში, ისინი თავზე გადაგვიფრენენ. მაგრამ ბინას ვერ დაიდებენ ჩვენს სულელებში. ჩვენ დღეს ვიტანჯებით, მაგრამ ხვალ გავიხარებთ.

– ჩარლზ სპურგეონი

ხედვის გარეშე თავს იშვებს ხალხი; რჯულის დამცველი კი ნეტარია.

– იგავ. 29:18



უდაბნო არის ადგილი, რომელსაც ვსტუმრობთ და არა ჩვენი საბოლოო ადგილსამყოფელი! თუ სწორად აიღებ ხელში, უდაბნოში გამარჯვებას გამოცდი და მის საზღვრებს გასცდები!

ჩემს ვნებაგამოცლილ უდაბნოში ვიყავი, როგორც ახალგაზრდულის მწყემსი და ეს ძალიან გრძელი მეჩვენებოდა. უკვე ვინყებდი იმაზე ფიქრს, ოდესმე რაიმე ცვლილება თუ მოვიდოდა ჩემს განსაცდელში. შემდეგ, ერთ დღეს, ცოტა ხნით ადრე, სანამ პრობლემები დამენწყებოდა ჩემს უფროსთან, რომელიც ჩემში ეჭვის შეტანას და ჩემს გათავისუფლებას ცდილობდა, ღვთის სულმა მაჩვენა, რომ ცვლილება მოდიოდა. სწორედ ამ დროს გამომიცხადა ღმერთმა, რომ მე ვიქნებოდი „წარგზავნილი ეკლესიებში და ქალაქებში ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპირომდე; კანადის საზღვრიდან მექსიკის საზღვრამდე; ალასკიდან ჰავაიმდე...“

მაგრამ, როგორც უკვე ვახსენე, ეს მეორე დღეს ან შემდეგ კვირას არ მომხდარა! რეალურად, ექვსმა თვემ განვლო ყოველგვარი დამატებითი დასტურის გარეშე. შემდეგ, ერთ დღეს, ჩემი უფროსი მწყემსი შემოვიდა შეხვედრაზე და თქვა, რომ უფალმა უთხრა, რომ ერთ-ერთი მის მწყემსთაგან (თერთმეტნი ვიყავით ჯგუფში) მალე სრული დროით დაიწყებდა მოგზაურობას და ჩვენს ეკლესიაში აღარ იმსახურებდა. „ჯონ ბევირ, ეს კაცი შენ ხარ!“ - თქვა ბოლოს.

მიუხედავად ამისა, კიდევ მეტმა დრომ განვლო (კიდევ ერთმა ექვსმა თვემ, ზუსტად რომ ვთქვათ) — მეტმა დრომ უდაბნოში. შემდეგ, სამი კვირის განმავლობაში, შვიდი მონვევა მივიღე საქადაგებლად: ერთი მათგანი ერთი საათით იყო დაშორებული კანადის საზღვრიდან, მეორე ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო, სხვა ერთი საათის სავალზე

იყო წყნარი ოკეანიდან და ერთი მექსიკის საზღვარზე იყო! ჩემი მწყემსის ოფისში შევედი, რათა მეკითხა, რა გამეკეთებინა, მან გაიცინა და მითხრა: „ჯონ, მე გითხარი, რომ უფალმა მაჩვენა ეს. მგონი შენი დრო მოვიდა!“

მალევე (იანვარი, 1990), მიძღვნის მსახურებაზე, მწყემსმა ხელები დაგვასხა ღიზას და მე და მას შემდეგ სულ ვმოგზაურობთ! შემიძლია, ვთქვა, რომ ბევრად (და ზედმეტად ხაზს ვერ გავუსვამ სიტყვას „ბევრად“) მეტი ნაყოფი ვნახეთ ჩვენს ცხოვრებაში, რადგანაც ღვთის დროს ველოდებოდით, ვიდრე მაშინ, თუკი ჩვენს თავებს მაშინ ჩაუფშვებდით ამ მსახურებაში, როცა ვიფიქრე, რომ მზად ვიყავი.

ძალიან მინდა იგივე შედეგები იხილო შენს მონოღებაშიც. სწორედ ამიტომ, რომ სამოცი წლის კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს ღვთის ხალხი, რაც შემედლო გამოუცდელი, წრფელი და გახსნილი ვიყავი თქვენთვის. მინდა, წარმატებულები იყოთ თქვენს ხვედრში! ამრიგად, ნება მომეცით, რამდენიმე საბოლოო აზრი შემოგთავაზოთ.

სწორი მიზანი და დანიშნულების ადგილი

ჩვენი ფოკუსი ღვთის მიზანზე უნდა იყოს და არა იმ წინააღმდეგობაზე, რომლის წინაშეც აღმოვჩნდებით და რომელიც ჩვენს შეჩერებას შეეცდება. სწორ სურათს უნდა ვუყურებდეთ, თუკი გვინდა, რომ სწორ დანიშნულების ადგილას მივიდეთ! საშინელება იქნება რბოლაში მიიღო მონაწილეობა და არასწორი ფინიშის ხაზი გადაკვეთო! კატასტროფა იქნება, იარაღი არასწორი სამიზნისკენ მიმართო და გაარტყა!

ფარისევლები ძალიან მონდომებულები და ბეჯითები იყვნენ, მაგრამ მათი მიზანი საკუთარი თავის ძიება იყო. მათ არ ჰქონდათ სწორი ხედვა; ამრიგად, გამოტოვეს ნიშანი.

რა დანიშნულების ადგილი და მიზანი აქვს ღმერთს ჩვენთვის, როგორც მისი ხალხისთვის? იგი ამბობს ეფესელთა 1:11-ში, რომ ჩვენ ვიყავით „განწესებულნი მისი განზრახვის თანახმად, ვინც ყოველივეს თავისი ნება-სურვილით იქმს.“

ბევრი ადამიანი იბნევა როცა ესმით სიტყვა „განწესებულნი“ ან „წინასწარ დადგენილნი“ (ინგ. predestined predestination). იმისათვის, რომ ეს აზრი გვესმოდეს, უნდა დავშალოთ

სიტყვა და შევხედოთ ფუძესა და პრეფიქსს. პრეფიქსი „pre“ უბრალოდ „მდე“-ს ან „დასაწყისამდე მომხდარს“ ნიშნავს. ფუძე „destination“ ნიშნავს სადაც „დაამთავრებ“ ან „გადაკვეთ ხაზს“. ამ ორის შეერთებით, ვიღებთ მნიშვნელობას, „დაანესო ფინიშის ხაზი, დანყებამდე.“ ამრიგად, ეფესელთა 1:1, გვაჩვენებს, რომ ღმერთმა დანიშნულების ადგილი დაუწესა კაცობრიობას ჩვენს შექმნამდე, რაც აღასრულებდა მის მიზანს.

რომაელთა 8:28-29 ამბობს:

„ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მონოდებულებს, ყოველივე სასიკეთოდ ეწევა. ვინაიდან, ვინც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა, რათა იყოს პირმშო მრავალ ძმას შორის“.

ჩვენი დანიშნულების ადგილი, რომელიც ღმერთმა ჯერ კიდევ დროის დანყებამდე დაგეგმა ჩვენთვის, ვისაც უყვარს უფალი, იყო ქრისტეს ხატთან მიმსგავსება. ყველაფერი, რასაც კი ცხოვრებაში ან მსახურებაში გავაკეთებთ, ამ მიზნისკენ თუ ბოლოსკენ უნდა იყოს მიმართული! ღვთის უპირველესი მიზანი შენი შექმნისთვის იყო არა ის, რომ უბრალოდ წარმატებულ მსახურთა გუნდს შეერთებოდი, მილიონობით დოლარი გაგელო სამეფოსთვის, ცნობილი ხელოვანი ყოფილიყავი ან რაიმე სხვა კარიერული მიზანი გქონოდა. ეს არც ავადმყოფის განკურნება, ჰუმანიტარული დახმარების გაღება, სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადარჩენა, ადამიანთა დამოკიდებულებებისგან განთავისუფლება ან დაკარგულთა იესოსთვის შექმნა ყოფილა. როგორი კეთილშობილი და ღვთიურიც არ უნდა იყოს ეს საქმიანობები, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ყველაფერი ბევრმა გააკეთა, თუმცა ფინიშის ხაზი არ გადაუკვეთავთ. მიზეზი, რის გამოც კარგად ვერ დაასრულეს ისაა, რომ მათი ფოკუსი მსახურებაზე იყო და არა იმ მიზანსა თუ გულზე, რომელიც მსახურების მიღმაა!

ახლა პასუხი უნდა გაცეცს კითხვას: „რა იყო ღვთის მიზანი, როცა წინასწარ დაგვადგინა, რომ მივმსგავსებოდით ქრისტეს ხატს?“ პასუხი მარტივია — რადგან მან შეგვიყვარა და სურდა ჩვენთან ურთიერთობა „რათა გამოჩნდეს მომავალ საუკუნეებში

მისი მადლის გარდამეტებული სიმდიდრე ჩვენდამი მოწყალებით ქრისტე იესოში” (ეფ. 2:7).

ლიზას და მე ძალი გვყავს, სახელად ლექსი. ის ლამაზი, ცელქი და მხიარულია. თუმცა მხოლოდ განსაზღვრულ დონეზე შეგვიძლია მასთან კომუნიკაცია. ზოგჯერ იმედგამაცრუებელია, რომ მასთან საუბარი არ შემოიძლია. მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ჩვენს შვილებთან. როცა მომნიფდნენ, სიამოვნებას ვიღებდით მათთან ინტერაქციით. მათ ძალიან ბევრი შემატეს ჩვენს ცხოვრებას. აი, რატომ შეგვექმნა ღმერთმა. მას არ სურს დაბალი დონის ურთიერთობა ჩვენთან, როგორც მე ლექსისთან მაქვს. მას სურს, მის ასულებს და ვაჟებს გულის დონეზე ჰქონდეთ ურთიერთობა.

ეს იყო მისი მიზანი დასაწყისიდან. როდესაც მან შექმნა კაცი და ბაღში მოათავსა, ღმერთი დადიოდა და მოზიარეობა ჰქონდა ადამთან, რადგანაც უყვარდა. ადამის ერთ-ერთი შთამომავალი ჩაეჭიდა ღვთის მიზანს და ჩანერილია მასზე, რომ „ღმერთთან დადიოდა ენოქი და აღარსად იყო, რადგან ღმერთმა აიყვანა იგი“ (დაბ. 5:24). ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამბობს, რომ „...ნაყვანამდე მიიღო დამონება [ენოქმა], რომ ღმერთს აამა“ (ებრ. 11:5). რატომ აამა ენოქმა შემოქმედს? იმის გამო ხომ არა, რომ რაიმე სახის დიადი მსახურება ჰქონდა? არა, ეს იმიტომ იყო, რომ იგი ღმერთთან ერთად დადიოდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ყველაფერი, რაც ღმერთს წარსულში გაუკეთებია, ახლა აკეთებს ან მომავალში გააკეთებს ამ მიზეზით იქნება. შესაბამისად, უდაბნოს მიზანია, მიგვითითოს მიმართულებაზე, თუ როგორ დავემსგავსოთ იესო ქრისტეს ხატს.

თუკი ვკარგავთ ღვთის მიზნის სურათს, დავკარგავთ თავდაჭერილობას და გავუარესდებით სულიერად. როგორც ეკლესია, როცა ღვთის მიზნის სურათს ვკარგავთ, ვშრებით, ამქვეყნიურ რაღაცებში ვეფლობით. ჩვენ ხაზს ვუსვამთ შედეგებს, უფრო დიდ ციფრებს და უფრო დიდ შედეგებს იმის მაგივრად, რომ ქრისტეს ხატად დავიმონაფოთ ხალხი (მათ. 28:19).

მოდით, ისევ შევხედოთ იგავთა 29:18-ს: „ხედვის გარეშე თავს იშვებს ხალხი; რჯულის დამცველი კი ნეტარია.“

ნეტარება, რომელზეც ღმერთი ლაპარაკობს, ხელს გვიშლის დაბალი დონის მოწოდებაში დასამკვიდრებლად, რაც ძალიან მცირეა მის ხატთან შედარებით. ნეტარებაა, რაც გვიცავს კმაყოფილებისგან, სანამ მის ხატს მივემსგავსებით, პირისპირ შევხვდებით და მისი დიდება გამოვლინდება. ეს ის ნეტარებაა, რომელიც გვიცავს არ დავთანხმდეთ არაფერს მცირეს მის სრულყოფილ ნებასთან შედარებით. ეს ნეტარება დაგვიცავს იმისგან, რომ ვიყოთ მოდუნებულები და ვაკეთოთ ყველაფერი ისე, როგორც ქვეყნიერება აკეთებს, როგორც ხორცი აკეთებს.

ხედვაზე საუბრისას იესომ თქვა: „სხეულის ლამპარი თვალია; ჰოდა, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც განათებული იქნება. ხოლო თუ შენი თვალი ბოროტია, მთელი შენი სხეულიც ბნელი იქნება“ (მათ. 6:22-23). იგი არ საუბრობს ჩვენს ფიზიკურ თვალზე, არამედ გულის თვალზე, გზაზე, რომლითაც აღვიქვამთ ყველაფერს.

გზა, რომლითაც აღვიქვამ ყველაფერს შენს გულში არის გზა, თუ როგორი გახდები: „რადგან, როგორც გულში ფიქრობს, ისეთია იგი“ (იგავ. 23:7).

გზა, რომლითაც იმ გარემოებებს ხედავ, რომელშიც საკუთარ თავს აღმოაჩენ, განსაზღვრავს, როგორ გამოხვალ მათგან. თორმეტმა მზვერავმა, რომლებიც აღთქმული მიწის შესახებ ცნობების შესაგროვებლად წავიდნენ, ერთი და იმავე რამ ნახეს – ერთი და იგივე გამაგრებული ქალაქები, ერთი და იგივე გოლიათები და ქანაანის ერების ერთი და იგივე ჯარები. თუმცა ორმა მათგანმა - იეშუამ და ხალეებმა — ყველაფერი დანარჩენი ათისგან სრულიად განსხვავებულად დაინახეს. ამ ორმა ეს ყველაფერი ისე აღიქვა, როგორც ღმერთი ხედავდა, დანარჩენმა ათმა კი აღთქმული მიწა ბუნებრივი გამოცდილებისა თუ საკუთარი უნარებისა და ძალების თვალებით აღიქვეს. რადგანაც მათი თვალები გაცუდებული იყო, მათი ქცევის დანარჩენი ნაწილიც (ან როგორც იესომ თქვა: „მათი მთელი სხეული“) ასევე არასწორი იყო. ისინი ბაგით ლაპარაკობდნენ და თავიანთი ქცევებით პასუხობდნენ ღვთის ნების საწინააღმდეგოდ და მან თქვა, რომ მათი ანგარიში „ბოროტი“ ანუ „ცუდი“ იყო:

„უთხარი მათ: ცოცხალი ვარ მე, ამბობს უფალი. როგორც ილაპარაკეთ ჩემს გასაგონად, ისე მოგექცევით. ამ უდაბნოში დაეყრება თქვენი გვამები, თქვენი, ვინც

აღრიცხულნი ხართ, ოცი წლის ასაკიდან და უფროსნი, რადგან დრტვინავდით ჩემზე. ვერ შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელზეც აღვმართე ხელი, რათა დამემკვიდრებინეთ მასში, გარდა ხალხი იეფუნის ძისა და იეშუა ნავეს ძისა“. (რიცხვ. 14:28-30)

რამ გამოიწვია, რომ ათმა მზვერავმა ისეთი შეფასება გადმოსცეს, რის გამოც მათ ვერასდროს იხილეს ღვთისგან აღთქმული? ეს იყო ის, თუ როგორ აღიქვეს მათ წინაშე მყოფი – ეს არ იყო წინასწარმეტყველური ხედვა; ეს იყო ბუნებრივი ხედვა. რაც დაინახეს, ის თქვეს.

იმისათვის, რომ გამარჯვებულები გამოვიდეთ უდაბნოდან, ყველაფერს ისე უნდა შევხედოთ, როგორც ღმერთი ხედავს. ისრაელიანები უკვე წელიწადზე მეტ ხანს წუნუნებდნენ, სანამ ღმერთი მზვერავებს გაგზავნიდა აღთქმულ მიწაზე. მათი პერსპექტივა უკვე ცუდი იყო და მათი მთელი თავდაჭერილობა უკვე უარყოფილი იყო. ამრიგად, იმ დროისთვის, როცა ღმერთმა ნება მისცა მათ, ენახათ მიწა, რომელზეც რძე და თაფლი მოდიოდა, მათ უარყვეს ის კარგი, რაც დაინახეს. ამის ნაცვლად ფოკუსი მიწაზე არსებულ გოლიათებზე გადაიტანეს.

ისინი, რომლებიც მხოლოდ უდაბნოს (და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს) ხედავენ, თავიანთ უდაბნოში დაიხოცებიან. ისინი, რომელნიც მზერას აღთქმულ მიწაზე და იმ ხედვაზე აჩერებენ, რომელიც მას აქვს დადგენილი მათ წინ, უდაბნოს გაივლიან, როგორც ნაკურთხი მებრძოლები, რომლებიც მზად არიან მათ წინ დადგენილი აღთქმული მიწის ასაღებად და მასში საცხოვრებლად, უფლის სადიდებლად.

„მიტომ არ ვცხრებით [არ ვეცემით წინააღმდეგობის დანახვისას] ... ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა, გარდამეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის; რადგან ვუყურებთ არა ხილულს, არამედ – უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი – საუკუნო“. (2 კორ. 4:16-18)

უდაბნოში განცდილი ტანჯვის დრო და ხანგრძლივობა იმასთან შედარებით, რასაც შევიძენთ მსუბუქ, ხანმოკლე გამონვევად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, როცა უდაბნოს შუაგულში

ხარ, რთულია ამ ყველაფერს შეხედო, როგორც არც ისე დიდს, თუკი არ გაქვს ხედვა, თუ რა მოდის უდაბნოდან გამოსვლის შემდეგ.

როცა წარსულში, მშრალი პერიოდების შუაგულში ვიყავი, რა თქმა უნდა არ ჩანდა, რომ ისინი „წუთიერი“ იყო. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობდი, *ოდესმე დამთავრდება? ოდესმე აღსრულდება ის, რასაც ღმერთი დამპირდა?* ამ დროს, სასწრაფოდ უნდა მოვიშორო ეს აზრები და გავამხნევო საკუთარი თავი უფალში. ვიხსენებ ხოლმე იმ წინასწარმეტყველებებს, რაც ცოტა ხნის წინ იყო ჩემ მიმართ და მათი მეშვეობით ვინცებ ძლიერ ომს (ნახეთ 1 ტიმ. 1:18). წინასწარმეტყველებები იყო ღვთის ის ხედვა ჩემს ცხოვრებაზე, რაც მან გამომივლინა ეს მისი სულით, მისი სიტყვის მეშვეობით.

მშვინვა ბრძოლის ველია უდაბნოში. მშვინვა შედგება შენი გონებისაგან, ემოციებისა და ნებისაგან. ნება შენი მშვინვის ნაწილია, რომელიც გადანყვეტს, ღვთის გზას ირჩევ, თუ ყურადღებას შენს მწუხარებას დაუთმობ უდაბნოში. პეტრე წერს: „საყვარელნო, შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს! განემორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვის!“ (1 პეტრ. 2:11).

ყველაფერი იქამდე მიდის, თუ ვინ არის შენი ფოკუსის ცენტრი — უფალი თუ შენ? ხორციელი გულისთქმები, რომლებიც შენს გონებაში და ემოციებში იბრძვის, ეგოისტურ ინტერესებზე ფოკუსირდება. ეს დაგაშორებს ღვთიურ ხედვას, რადგან ღვთის გზა არ არის ეგოისტური, არამედ საკუთარი თავის უარყოფის გზაა.

სახარება, რომელიც იქადაგებოდა და ბევრმა მიიღო დღეს, არის ხორცის დამამშვიდებელი სახარება. ძირითადი უწყებათაგან ბევრი სულაც არ მოგვიწოდებს ხორცის ჯვარცმისთვის, არამედ იმ სურვილების დასამშვიდებლად და დასაკმაყოფილებლად, რაც რეალურად იბრძვის საბოლოო მიზნის, ქრისტესთვის მიმსგავსების წინააღმდეგ. ხშირად ფოკუსი იმაზეა, თუ „რა შეუძლია ღმერთს გააკეთოს ჩემთვის?“ და არა იმაზე, თუ „რა სურს მას ჩემგან?“ დამამშვიდებელი სახარება არ უსვამს ხაზს იმ ტანჯვის რეალურობას, რაც ქრისტეს მიყოლას მოსდევს. ამან ბევრის თვითკმაყოფილი ცხოვრების მიყოლა გამოიწვია. ასეთი სახარება ვერ აღჭურვავს მორწმუნეებს, რომ ღვთის ჯარისკაცები იყვნენ.

მოციქული პავლე ეხება ამ თემას, როცა თავის მონაფეს, ტიმოთეს წერს:

„ტანჯვაშიც ეზიარე, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა. არც ერთი მეომარი არ შეიბორკება ცხოვრებისეული საქმეებით, რათა ასიამოვნოს მხედართმთავარს“. (2 ტიმ. 2:4)

ამ „დამამშვიდებელი სახარების“ გამო, თუკი წინააღმდეგობას ან სირთულეს განვიცდით, გაქცევის გზას ვეძებთ, ნაცვლად იმისა, რომ თვალი გავუსწოროთ სირთულეს და გავიაროთ მასში. ხედვა, რომელიც იბადება დამამშვიდებელი სახარების სწავლებით, არ არის „ზეციური, ან წინასწარმეტყველობითი ხედვა,“ არამედ „ეგოისტური ხედვა“.

პავლე ასევე წერს:

„ამიტომ არ ვეურჩე ზეციურ ჩვენებას, მეფე აგრიპავ! პირველად დამასკოსა და იერუსალიმის მკვიდრთ, მერე კი იუდეას მთელ ქვეყანას და აგრეთვე წარმართებს ვუქადაგებდი მონანიებას, ღვთისკენ მოქცევას და მონანიების ღირსი საქმეების აღსრულებას. ამისათვის შემიპყრეს ტაძარში იუდეველებმა და მოკვლა დამიპირეს“. (საქმ. 26:19-21)

სამყაროში უამრავი ხედვაა, მაგრამ მხოლოდ „ხედვა ზეციდან“ არის მამის ნება! ყურადღება მიაქციეთ რას ამბობს პავლე?! „ამისათვის [ქადაგებისთვის] შემიპყრეს ტაძარში იუდეველებმა და მოკვლა დამიპირეს“. იგი მიჰყვებოდა ზეციურ ხედვას და უდიდესი წინააღმდეგობების განცდა უწევდა. თუკი იგი დამამშვიდებელ სახარებას ერწმუნებოდა, როგორც ბევრი ქადაგებს და სწამთ დღეს, იგი ვერასდროს ნახავდა ამ ხედვას აღსრულებულს. მეფე აგრიპამდეც არ მიიტანდა ამას, რადგანაც ბევრად ადრე მოძებნიდა გაქცევის გზას ყველა იმ წინააღმდეგობისაგან, რასაც განიცდიდა.

იერემია, კიდევ ერთი ბიბლიის გმირია, რომელიც მიჰყვებოდა ზეციურ ხედვას და მისი მორჩილების შედეგად, უამრავ სიტყვიერ და გონებრივ დევნებს განიცდიდა. ერთ

ბაღარჩანის რჩევები შენი მოგზაურობისთვის

№12 გააკეთე კარგი ჩანიშვნები!

როცა ამას ვწერ, უკვე 59 წლის ვარ — როგორ მოხდა ეს?! უკან მიხედვისას, ვაანალიზებ, რომ ჩემი უდაბნოს პერიოდები ზრდის უდიდესი პერიოდები იყო, მიუხედავად იმისა, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ უკან მივდიოდი დანინაურების ნაცვლად. აი, რატომ თქვა ჩვენმა ძველმა მეგობარმა, იობმა: „წინ მივდივარ...ის აქ არ არის...თუმცა იცის ჩემი გზები რომლითაც დავდივარ და როცა გამომცდის, ოქროსავით ხალასი გამოვალ“ (იობ. 23:10).

რეალურად, მივიჩნევდი, რომ ჩემ მიერ დანერჩილს, ახლა უკვე ოცი წიგნის, 90 % ვისწავლე არა სიუხვის დროს, არამედ გვალვის პერიოდებში, რაც უდაბნოში გავატარე. ასე რომ, ჩემი რჩევა შენდამი: გააკეთე კარგი ჩანიშვნები, როცა უდაბნოში ხარ! რასაც სწავლობ ამ პერიოდში, დიდი ძალა გახდება სხვებისთვის (უფრო ასაკიანი შენი თავის ჩათვლით)! და ვინ იცის...შეიძლება შენი გამოცდილება ერთ დღეს წიგნადაც იქცეს!

მეგობარო, მინდა შენზე ვინინასწარმეტყველო ახლა! ყურადღება მიაქციე, რაც უნდა ვთქვა: ღვთის განსაზღვრულ დროს, იგი რალაცას გააკეთებს შენს ცხოვრებაში, რაც ძალიან ღრმაა და რაც გავლენას იქონიებს მრავალი ადამიანის ცხოვრებაზე. ეს მოხდება მაშინ, თუკი ნებას მისცემ, თავისი მიზანი განაზოციელოს შენი უდაბნოს პერიოდში. ბევრი ადამიანი მოექცევა გავლენის ქვეშ და შენ გაიხარებ მთელი მარადიულობის განმავლობაში, როცა შენი მორჩილების ნაყოფებს შეხედავ. მეგობარო, შენ უნდა გამოხვიდე როგორც ოქრო: გამოცდილი, ძლიერი და ჭეშმარიტი!

დღესაც დაიღალა ამ ყველაფრით და ცოტა ნუნუნო დაინყო. მან თქვა: „რატომ ემართება ხელი ბოროტმოქმედს? რატომ არიან მშვიდად მოღალატენი?“ (იერ. 12:1)

ღმერთს თანაგრძნობით არ უპასუხია. მან თქვა: „თუ მორბენლებთან ირბინე და დაიქანცე, ცხენებს როგორღა შეეჯობები?“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „იერემია, თუკი შენ ბოროტის ქვეითმა მეომრებმა დაგლალეს, რის გაკეთებას აპირებ, როცა ბოროტის არტილერიას შეხვდები?“

ომი ბრძოლებისგან შედგება

უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს დიდი გამარჯვებები დიდი ბრძოლების გარეშე. ეს უფრო ახლობელი გახდა იერემიასთვის. სიტყვიერი შეურაცხყოფიდან ციხეში პატიმრობით დაასრულა, ბოლოს დილეგში ჩააგდეს და სასიკვდილოდ მიატოვეს. თუმცა, ღმერთმა საბოლოოდ იხსნა იგი ყველა უბედურებისა და დევნისაგან.

ბრძოლები, რასაც ქრისტეს სხეულში უმრავლესობა განიცდის დღეს, გონებრივი შემოტევებია და არა ის ფიზიკური დევნები, რასაც პავლე განიცდიდა. რას გავაკეთებთ, თუკი წინააღმდეგობა შეიცვლება? სირთულეები რასაც ახლა გავდივართ, უნდა გაძლიერდეს, რათა უფრო დიდი ბრძოლები ავიღოთ მომავალში.

უდაბნო სანვრთნელი ბანაკია მომავალი ბრძოლებისთვის. როგორც ჩვენ ვაგზავნი ჯარისკაცებს სანვრთნელ ბანაკში ომისთვის მოსამზადებლად, ასევე ღმერთი თავის არმიას ჩარიცხულ ჯარისკაცებს აგზავნის უდაბნოში, რათა მოემზადონ, რისთვისაც არიან მოწოდებულნი მისი სამეფოს ასაშენებლად. ყველაზე დიდი სირთულეები, რისი გადალახვაც ჯარისკაცებს სანვრთნელ ბანაკში უწევთ, მათი შიშები, სისუსტეები და გაუბედაობაა. იგივეა ირად, ყველაზე დიდი ბრძოლები, რასაც უდაბნოში განვიცდით, მშვინვის სფეროშია.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძოლა, რომელსაც ვაწყდებით გაუბედაობაა. ერთ დღეს, როცა ვლოცულობდი, უფალმა მკითხა: რა იყო გამბედაობის სანინააღმდეგო?

ჩემი პასუხი იყო: „შიში, რა თქმა უნდა.“

მან მიჩურჩულა: „ეს გაუბედაობაა.“ არასდროს შემხედავს

გა-უ-ბედობისთვის ამ მხრივ! ამან მაშინვე დამანახა „რატომ“ თქვა იეშუამ რვაჯერ, რაც დანერილია: „იყავით გაბედულნი!“ (რიცხვ. 13:20; მეორ. რჯ. 31:6, 7, 23; იეს. ნავ. 1:6, 7, 9, 18). ღმერთმა იცოდა, რომ ეს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა იქნებოდა. გაუბედობას ადგილი აქვს უდაბნოში ან ბრძოლებში, როცა ჩვენს თავზე ვფოკუსირდებით და არა ღმერთსა და ჩვენს მისიაზე.

მტრის მიზანია ფოკუსი საკუთარ თავზე გადაიტანო, სწორედ ამას ცდილობდა იესოსთან, უდაბნოში. იესო მშვიდი იყო, რადგან ორმოცი დღე არ ჰქონდა ნაჭამი, მივიდა, ბოროტი და უთხრა: „თუ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ პურებად იქცნენ ეს ქვები“ (მათ. 4:1-11). ცდუნება იყო, გამოეყენებინა ღვთის ძალა, უფლის გზის მიღმა, რათა მიეღო, რაც ხორცს უნდოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ღმერთი გვაძლევს ნიჭს, მასთან ერთად მოდის დიდი პასუხისმგებლობა, რომ არასწორად არ გამოიყენო იგი, არამედ მართო მისი სურვილისამებრ. ზეციერ მამას უნდოდა, დაერწმუნებინა, რომ იესოს საჭიროებები დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ეს მისი გზით მოხდებოდა. როცა ბოროტმა დატოვა, ანგელოზები მივიდნენ და მოემსახურნენ მას.

მოდით, ისევ შევხედოთ, რას ამბობს იესო თავის მსახურებასთან დაკავშირებით:

„უთხრა მათ იესომ ამის პასუხად: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იხილავს, რას აკეთებს მამა, რადგან რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს“.
(იოან. 5:19)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „იხილავს“. იესო არაფერს აკეთებდა უზენაესის ნების მიღმა.

გვალვის პერიოდებში, ერთ-ერთი ჩვენი საცდური იქნება, რომ რაღაც ჩვენი გზით გავაკეთოთ და არ დაველოდოთ ღვთის გზას. შეგიძლია წარმოიდგინო ჯარისკაცი ბრძოლაში, რომელიც არ იბრძვის მისი ოფიცრის ბრძანებების მიხედვით? ამან შეიძლება სერიოზული ზიანი გამოიწვიოს, როგორც ამ ჯარისკაცისთვის, ასევე სხვებისთვის, ვინც მასთან ერთად იბრძვიან. საწვრთნელ ბანაკში ჯარისკაცი სწავლობს, დაემორჩილოს ბრძანებებს,

რათა სულელურად არ გარისკოს მისი და სხვების დაზიანება ბრძოლის დროს.

მნიშვნელოვანია, რომ არ დაგვავიწყდეს, რა გამოგვიცხადა ზეცამ. იქნება დრო, როცა ვიფიქრებთ, ახლა უნდა გავცე პასუხი! ან ახლა უნდა გადავდგა ნაბიჯი; თუ არაფერს გავაკეთებ, ყველაფერი ჩაფლავდება! თუ გეჩვენება, რომ ღმერთი არაფერს გეუბნება, ეს არ ნიშნავს, რომ ის არაფერს გეუბნება! იმას ვგულისხმობ, რომ ღმერთი მრავალი გზითაა ჩართული. ამ მაგალითში უწყება, რომლითაც მას „კომუნიკაცია აქვს“, არის, რომ „შენ არაფრის გაკეთება არ გჭირდება ახლა.“ ამ სიტუაციებში, ჩვენ უნდა დაველოდოთ უფალს და ძალით არ გავაკეთოთ რალაცები:

„მიენდე უფალს [დაელოდე], გამხნევი და გაიმაგრე გული! მიენდე უფალს!“ (ფს. 27:14)

თუკი ჩვენს საჭიროებებზე ვფოკუსირდებით და არა მასზე, გაუბედაობა და სიმძიმე დაგვანწვება. ჩვენ ვერ დავიბნევით და ვერ ვფოკუსირდებით „მსუბუქ განსაცდელებზე“. ამის ნაცვლად, ჩვენი მზერა უნდა შევინარჩუნოთ დიდების მზარდ და მარადიულ მასაზე, რაც გამოგვიმუშავდება განსაცდელის ჟამს (2 კორ. 4:17).

ეს არის ჩვენ წინ არსებული სიხარული, რამაც ჩვენი მზერა უნდა მიიპყროს.

ჩვენ წინ დადგენილი სიხარული

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით! რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის; მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ ზრდასრულნი, სრულქმნილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე“. (იაკ. 1:2-4)

სიხარული სულიერი ძალაა რომელიც ძალას გვაძლევს, რომ სირთულეები და განსაცდელები გადავიტანოთ. ყურადღება მიაქციეთ, ღვთის სიტყვა ამბობს: „ყოველივე სიხარულად

ჩათვალეთ, “ იგი არ ამბობს: „ნაწილი სიხარულად ჩათვალეთ და ნაწილი მწუხარებად.“ ჩვენ არ უნდა გვქონდეს სიხარულისა და წუხილის არეული კომბინაცია ჩვენს გულებში. ასე შეხედეთ ამას: შეგიძლია, გქონდეს ჯაჭვი, რომელშიც 99 რგოლი სიხარულისაა და მხოლოდ ერთია მწუხარების. ეს ჯაჭვი ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც ეს ერთი რგოლი. მოცემულ სიტუაციაში საჭირო ძალის საპოვნელად ასი ნაწილი უნდა იყოს სიხარულის და ნოლი მწუხარების.

მე და შენ ვიცით, რომ მარტივია „ყველაფერი სიხარულად მივიჩნიოთ“, როცა ყველაფერი კარგად მიდის. მაგრამ ამას არ გულისხმობს ტექსტი. დრო, როცა „ყველაფერი სიხარულად უნდა მიიჩნიო“, არის განსაცდელების დროს: უდაბნოს, დევნის, სირთულეების, პრობლემების და კიდევ მრავალი ასეთის დროს. ღმერთი ამას ამბობს, რადგან იცის, რომ „...უფლის სიხარული თქვენი ძალაა“ (ნემ. 8:10). მასთან ახლო ურთიერთობის ქონის სიხარული გვაძლევს ძალას.

ჩემს ცოლსა და მთელ ოჯახს: ძეებს, რძლებსა და შვილიშვილებს – სიხარული მოაქვთ ჩემთვის! არის პერიოდები, როცა სახლიდან შორს ვარ და მათ სურათს ვკიდებ. ამასაც კი ყოველთვის სიხარული მოაქვს ჩემთვის. ისიც მაძლიერებს.

ამას ეუბნებოდა ნეემია თავის ხალხს. ისინი დაძაბულ პერიოდში გადიოდნენ და ნეემიამ შეჰლაღადა: „ნუ დამწუხრდებით ამ განსაცდელით – თქვენი მზერა უფალზე შეინარჩუნეთ. რადგან, როდესაც მიუახლოვდებით, სიხარული აავსებს თქვენს გულებს და ძალა იქნება ეს თქვენთვის“ (ჩემი პერიფრაზი).

განდიდება გამოიწვევს შენი ფოკუსის შენგან უფალზე დაბრუნებას. შუა განსაცდელში, ადვილია დაკარგო ღვთის შესაძლებლობის ხედვა, იმ ინტენსიური წნეხის გამო, რის წინაშეც გვინევს ყოფნა. დავითმა, მისი ფსალუნების უმეტესობა შუა განსაცდელში დაწერა. ღვთის განდიდებათ მას შეეძლო, დარჩენილიყო ძლიერი რთულ გარემოებებში.

ესაიას 61:3-ში ღმერთი ამბობს, რომ ის გვაძლევს „... სიხარულის ზეთს – გლოვის ნაცვლად, ქების მოსასხამს – უძლურების სულის ნაცვლად.“

მასხოვს ძალიან მშრალი პერიოდი, როცა ეს მუხლი ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. სახლში მარტო ვიყავი და სიმძიმე მანვა. ბიბლია ავიღე წასაკითხად და ძლივს ვაკეთებდი ამას. ამიტომ ლოცვა დავინყე, ეს უარესი იყო. შინაგანში

ვგრძნობდი, რომ ღვთის სული მეუბნებოდა: „ჩართე ერთ-ერთი შენი განდიდების დისკი.“ ასე რომ, გავედი ოთახში, სადაც ეს ყველაფერი გვექონდა, ჩავრთე სგალობლები და სიმღერა დავიწყე. მეტი იყო საჭირო, ამიტომ ვცადე მეცეკვა უფლის წინაშე. ისე ვიყავი გულში დამძიმებული, რომ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გამდნარ ტყვიაში ვცეკვავდი. საჭირო არაა იმის თქმა, რომ ძალიან ვწვალობდი.

როცა სიმღერების კრებული დამთავრდა, იძულებულად ვიგრძენი თავი, იგივე ჩამერთო ხელახლა. თუმცა მეორედ უკვე დავიწყე იმის მოსმენა, თუ რას ვმღეროდი. უეცრად თითქოს თვალი მოვკარი ჩემს გულში, ტახტზე მჯდომ იესოს და მის დიდ სიყვარულს. სიხარულმა დაიწყო ამოხეთქვა ჩემს სულში და სრულიად დაუბრკოლებლად დავიწყე ცეკვა. შევამჩნიე, რომ ჩემმა მზერამ საკუთარი თავიდან იესოს დიდებულებაზე გადაინაცვლა. შემდეგი ოცდაათი წუთის განმავლობაში ვმღეროდი, ვცეკვავდი და ველურივით დავრბოდი ჩვენი პატარა სახლის გარშემო. სიმძიმე გაქრა და ჩემში სიცოცხლე და ძალა ჩქეფდა, როცა ოცდაათი წუთის წინ არც ერთი არ მქონდა.

მისი განდიდებისას, ჩემი ფოკუსი კვლავ მასზე დაბრუნდა. განვიცადე ის, რასაც ესაია წერს: „ამიტომ სიხარულით ამოხაპავთ წყალს გადარჩენის წყაროებიდან“ (ეს. 12:3) და უფლის სიხარულის მეშვეობით დავიწყე ხსნის ჭებიდან ძალის ამოხაპვა.

განდიდება გვეხმარება ჩვენი მზერა ჩვენს წინ არსებულ სიხარულზე შევინარჩუნოთ და არა იმ გარემოებებზე, რაც გარს გვარტყია.

„ამიტომ ჩვენც, გვაკრავს რა მონმეთა ღრუბელი ირგვლივ, ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი და ვუმზიროთ რწმენის წინამძღოლსა და სრულმყოფელ იესოს, რომელმაც მომავალი სიხარულისათვის ჯვარი დაითმინა, უგულუბელყო სირცხვილი და ღვთის ტახტის მარჯვნივ დაჯდა. დაუკვირდით მას, ვინც ესოდენი სიძულვილი დაითმინა ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი. ჯერ კიდევ არ შეწინააღმდეგებიხართ ცოდვას სისხლამდე საბრძოლველად“. (ებრ. 12:1-4)

იესომ გაუძლო უდიდეს განსაცდელს, რასაც ვინმე წინ აღდგომია ან აღუდგება იმით, რომ თავის მზერას მის წინ არსებულ სიხარულზე შეინარჩუნებს, რაც იყო აღდგომა, რომელიც ჯვარცმას მოჰყვა. ეს იყო დიდება, რაც მოჰყვა მისი ტანჯვის მორჩილებას და რამაც მაშინვე მოიყვანა უამრავი ძე და ასული მის სამეფოში — რომელიც მოგვიცავს შენ და მე!

ესაა გზა ჩვენთვის, ვინც მის ნაბიჯებს მიჰყვება. საკუთარი თავის უარყოფისა და ხორცის ჯვარცმის მიღმა აღმდგარი სიცოცხლე გველოდება. ხორცის ტანჯვის მიღმა საჭირო მომნიშვნეულობაა იესოსთან უფრო ახლო ურთიერთობისათვის! უდაბნოს სირთულის მიღმა, დიდი დიდებაა! პავლე წერს: „ვინაიდან, მიმაჩნია, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოვლინდება ჩვენს მიმართ“ (რომ. 8:18).

ღვთის დიდება მის დაბრუნებამდე გამოვლინდება ეკლესიაში. მისი მაგნიტუდა იმდენად დიდი იქნება, რომ ხალხის ერებსა და ქალაქებს მიიზიდავს გადარჩენისკენ. მანამდე არასდროს არ ექნება დედამიწას ნანახი მისი ძალის ასეთი დემონსტრაცია, როგორც ქრისტეს იმ მიმდევრებში გამოვლინდება, ვინც ნება მისცა ღმერთს, განენმიდა ისინი. მისი სულის ამ გადმოჩქეფვას, რაც უდიდეს მოსავლამდე მიგვიძღვება, კაცისგან დახმარება არ დასჭირდება. მას ღვთის ძალა და დიდება წარმართავს!

„საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ მოგსვლოდეთ. არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა მისი დიდების გამოცხადებაშიც იხაროთ და იმხიარულოთ“. (1 პეტრ. 4:12-13)

კვლავ, რა სიხარულია ჩვენს წინ? ეს არის ის, რომ მისი დიდებაა გამოვლენილი ყველა ჩვენგანში, ვინც ქრისტეს მორჩილების შედეგად იტანჯებოდა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ხარისხი რომელშიც იტანჯები, უნდა იყოს ხარისხი, რომელშიც გაიხარებ, გეცოდინება რა რომ, რაც უფრო დიდია წინააღმდეგობა, მით უფრო დიდია დიდება!

ნააგე შენი ცხოვრება!

მეგობარო, ნუ შეწყვეტ ღვთის მიყოლას, როცა წინააღმდეგობა მოვა! ვიცი, რომ ის წარგიძღვება ცხოვრების რთული სიტუაციებისკენ, რადგან, რაც უფრო დიდია ბრძოლა, მით უფრო დიდია გამარჯვება, სამეფოსთვის და შენთვის. მაგრამ ამ ბრძოლების შუაში ყოველთვის წინ გქონდეს ეს გარანტია:

„არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; ხოლო, ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გაგიჩენთ, რომ გადატანა შეიძლოთ“. (1 კორ. 10:13)

არ აქვს მნიშვნელობა, რა განსაცდელი გემუქრება, შენ გაქვს ძალა, რომ გაიარო მასში და გაიარო წარმატებითა და დიდებით. სხვაგვარიც მის წინ არ აღმოჩნდებოდი; ღმერთი ამას არ დაუშვებდა!

თუკი გიყვარს შენი ცხოვრება, რთულ ადგილებში დანებდები. დაამთავრებ მიყოლას და დასახლდები უნაყოფო ცხოვრებაში.

გამოცხადების 12:11 ამბობს: „და გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს თავიანთი თავი, თვით სიკვდილამდე.“

ისინი, ვინც მეტს ფიქრობენ საკუთარ თავზე, ვიდრე ღვთის ნებაზე, არიან ადამიანები, ვისაც საკუთარი ცხოვრება უყვართ და იესო ამბობს: „რადგან ვისაც თავისი სულის გადარჩენა სურს, დაღუპავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაიღუპავს სულს, იგი მოიპოვებს მას“ (მათ. 16:25).

ერთადერთი გზა, გაუძლო იმას რაც წინ გელოდება, არის, ნააგო შენი სიცოცხლე. მინდა შეგაგონოთ, გააგრძელოთ მიწოლა: „სანამ მალლიდან არ გადმოიღვრება ჩვენზე სული და უდაბნო ნაყოფიერ მინდვრად არ გადაიქცევა და ნაყოფიერი მინდორი ტყედ არ შეირაცხება“ (ეს. 32:15).

უდაბნო არ არის ადგილი, სადაც ჩვენი ბრძოლის იარაღი უნდა დავყაროთ და დავნებდეთ! ეს არის ადგილი, სადაც ძლიერი, მტკიცე და მხნე უნდა ვიყოთ, რათა უფლის ნება

აღვასრულოთ. ეს არის ადგილი, სადაც საკუთარი თავები ღმერთს უნდა დაუქვემდებაროთ და მყარად გავუნოთ ნინააღმდეგობა ბოროტს.

თუკი ახლა უდაბნოში ხარ, ღმერთმა შეგიყვანა ამ ადგილას, რათა გაიგო, რა არის შენს გულში. ძალიან ხშირად ის, რაც შინაგანად ბოროტის საცდური მეგონა, სინამდვილეში ჩემი ცხოვრების დაფარული ადგილები იყო, რომელსაც ქრისტესადმი დამორჩილება სჭირდებოდათ.

„ზეციური ჯილდოსკენ სწრაფვისას გახსოვდეს ეს სიტყვები: „მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებას გვანიჭებს ქრისტეში...“. (2 კორ. 2:14)

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშველე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“. (რომ. 8:35, 37)

“მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს გამარჯვებას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით“. (1 კორ. 15:57)

არ შეწყვიტო მისი მიყოლა! არ დანებდე! შეინარჩუნე მისგან მოცემული ხედვა იმის მიუხედავად თუ როგორ გამოიყურება გარემოებები.

იოსებისთვის სიტუაცია უიმედოდ გამოიყურებოდა ჯერ ორმოში და შემდეგ უცხო ქვეყანაში, როცა დილეგში მოისროლეს. თითქოს მისი ცხოვრება დამთავრდა. როგორ შეიძლებოდა მას რაიმე მომავალი ჰქონოდა? გახსოვდეს, მიუხედავად ამისა: „ეს კაცთათვის არის შეუძლებელი და არა ღვთისთვის, რადგან ღვთისთვის ყოველივე შესაძლებელია“ (მარკ. 10:27).

იგივენაირად შენს შემთხვევაშიც – არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად რთულდება, გახსოვდეს: „მორწმუნისთვის ყველაფერი შესაძლებელია!“ (მარკ. 9:23).

შეინარჩუნე მზერა შენ წინ დადგენილ სიხარულზე, რომელიც შენში გამოვლენილი მისი დიდებაა! ეს მოგცემს ძალას, გადალახო, განსაცდელები, რომელთა ნინაშეც აღმოჩნდები. გააგრძელე მისი ძიება მთელი შენი გულით და გწამდეს ის, რასაც იგი თავისი სულით, თავისი სიტყვის მეშვეობით გელაპარაკება. თუ ასე მოიქცევი, გამარჯვებას გამოცდი უდაბნოში.

„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან
და უბინონი ნარგადგინოთ თავისი დიდების
წინაშე სიხარულით,
ერთადერთ ღმერთს,
ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
დიდება, სიღიადე,
ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს,
და ახლა და უკუნითი უკუნისამდე!“
ამინ. (იუდ. 1:24-25)

სადისკუსიო კითხვები

თუკი ამ წიგნს უდაბნოს სწავლებასთან ან კურსთან ერთად კითხულობ (რაც ძალიან კარგი იდეაა!), გირჩევთ, უყუროთ თითოეული კვირის ვიდეო გაკვეთილს და ჯგუფში განიხილოთ, მასთან დაკავშირებული სადისკუსიო კითხვები. ვიდეო გაკვეთილები გაჰყვება და გააძლიერებს ძირითად თემებს წიგნიდან. ასე რომ, ყველა მონაწილისთვის იდეალურია, უყუროს გაკვეთილებს და ამავდროულად, წაიკითხოს წიგნი.

ისიამოვნეთ!

გაკვეთილი 1

წაიკითხეთ თავი 1

1. რა განსხვავებაა ღვთის დამონმებულ და ყველგანმყოფ თანდასწრებას შორის? რაში დაგვეხმარება განსხვავების ცოდნა?
2. რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, გავარჩიოთ რა პერიოდში ვართ და ვიცოდეთ, ვართ თუ არა უდაბნოს პერიოდში?
3. რატომ ფიქრობ, რომ სატანა იყენებს უდაბნოს სეზონებს ჩვენს საცდუნებლად, რომ ჯიუტად შევცოდოთ ან დავნებდეთ ჩვენს რწმენაში?
4. რატომ უშვებს ღმერთი უდაბნოს პერიოდის განელვას?

გაკვეთილი 2

ნაიკითხეთ თავი 2 და 3

1. უდაბნოს რამდენიმე მიზანი აქვს. გაკვეთილში ნახსენები შვიდი მიზნიდან ყველაზე დიდი გავლენა რომელს აქვს შენზე და რატომ?
2. რატომ ფიქრობ, რომ ღვთისადმი უდაბნოში მორჩილება შედეგად სულიერ ზრდას გამოიღებს?
3. უდაბნო საკუთარი თავის აღმოჩენის პერიოდია. რა ისწავლე უდაბნოში შენს შესახებ და ღმერთთან ერთად შენი სიარულის შესახებ?
4. ამ დამდაბლების ყამს როგორ ისწავლე, გეპოვა ძალა ღმერთში?

გაკვეთილი 3

ნაიკითხეთ თავი 4

1. ალექმასა და მის აღსრულებას შორის, ყოველთვის არის პროცესი. რატომ გგონია, რომ ეს პროცესი მნიშვნელოვანია?
2. როგორ დაგინახავს შენს ცხოვრებაში ალექმის პროცესის მოქმედება?
3. რატომ გგონია, რომ ღმერთი ალექმას გაძლევს მანამ, სანამ პროცესს გამოცდი?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი, გქონდეს ალექმა ღვთისგან შენს ცხოვრებაზე და არა უბრალოდ ხუთწლიანი გეგმა?

გაკვეთილი 4

წაკითხეთ თავი 5 და 6

1. როგორ გვეხმარება დავითისა და საულის ცხოვრების შედარება, იმის გაგებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ღმერთმა გაგვნიძღოს უდაბნოს განმავლობაში?
2. განწმედა ოქროს უფრო მოქნილს ხდის და ღვთის განწმედა უფრო დამყოლს გვხდის მის მიმართ. აღწერეთ, რას ნიშნავს, უფრო დამყოლი იყო ღვთისადმი.
3. რა უნდა იყოს ჩვენი პასუხი, როცა ღვთის განმწმენდი პროცესი დამალულ ცოდვას ან სისუსტეს ავლენს?
4. როგორ გვაყენებს განმწმენდი პროცესი იმ პოზიციაზე, რომლითაც უფრო ცხადად გამოვავლენთ იესოს?

გაკვეთილი 5

წაკითხეთ თავი 7

1. რატომ სძულს ღმერთს წუნწუნი? როგორ გამოიყურება წუნწუნი დღეს შენს ცხოვრებაში?
2. რა განსხვავებაა მალაქიას წიგნში მოცემულ მონწუნწუნებსა და იერემიას წიგნში მოცემულს შორის? რატომ განაწყენდა ღმერთი ერთ ჯგუფზე და უპასუხა იერემიას წუნწუნს?
3. განკითხვა ნიშნავს გადანყვეტილებას და არა მსჯავრდადებას. როცა განკითხვა იწყება ღვთის სახლში, ის იღებს გადანყვეტილებას, თუ ვინ არის მისი მსახურების ღირსი. როგორ ფიქრობთ, რას უყურებს ღმერთი ამ გადანყვეტილების მიღებისას?

4. ღმერთი ეძებს თავისი მსახურებისთვის შესაფერის ჭურჭლებს. როგორ აღწერდი განსხვავებას, მონოდებულად ყოფნასა და ამორჩეულად ყოფნას შორის?

გაკვეთილი 6

წაკითხეთ თავი 8

1. რა იყო შენი შინაგანი პასუხი, როცა გაიგე, რომ ტანჯვა საჩუქარია? როგორ შეიცვალა შენი პერსპექტივა გაკვეთილის ბოლოს?
2. ღმერთი არ დაუშვებს, იმაზე მეტად გამოიცადო, რისი გადატანაც შეგიძლია. როგორ გამხნევეს ეს?
3. ღმერთი არ დაგტოვებს ამჟამინდელი ძალით. რას გასწავლის ეს ღვთის გემის შესახებ შენს ცხოვრებაზე?
4. ღმერთი უშვებს, რომ გავიაროთ განსაცდელეებში დღეს, რაც გავს იმ წნეხს, რის წინაშეც ხვალ აღმოვჩნდებით. რა გითხრა ღმერთი შენი მომავლის შესახებ, რაც მნიშვნელობას ანიჭებს იმ წნეხებს, რასაც ახლა გრძნობ შენს განსაცდელეებში?

თავი 7

წაკითხეთ თავი 9

1. ღვთის მიყოლას ყოველთვის აზრი არ აქვს. რატომ არის რთული, ენდო ღმერთს, როცა იგი „არღვევს“ ამის გაკეთების ტრადიციულ გზებს?
2. რას გრძნობ, როცა ღმერთი შენი განრიგის მიხედვით არ მოქმედებს? რა წნეხს და ცდუნებებს გრძნობ, როცა გრძნობ, რომ ღვთის აღთქმა თითქოს იგვიანებს?

3. როგორ დაგინახავს ეს ჭეშმარიტება ცხადად შენს ცხოვრებაში: რაც ხორცში იშვა, ხორცში უნდა დარჩეს? როგორ განსხვავდება ეს იმისგან, რასაც ღმერთი შენში შობს?
4. რა გაძლევს დარწმუნებას, რომ ღვთის ბილიკს მიჰყვები შენს ცხოვრებაში?

გაკვეთილი 8

წაკითხეთ თავი 10

1. უდაბნო არის ადგილი, სადაც ღმერთი საკუთარ თავს გამოავლენს. მაშინ რატომ გვეჩვენება ღმერთი მოშორებით ამ პერიოდში?
2. რას გულისხმობს: მიჰყვე ღმერთს უპირველეს ყოვლისა და არა მის კურთხევებს?
3. რატომ არის საშიში, როცა შენი აღთქმა ან მოწოდება უფრო მნიშვნელოვანი ხდება შენთვის ვიდრე თავად ღმერთი?
4. როცა ხედავ ნიმუშს, თუ როგორ გამოავლინა ღმერთმა საკუთარი თავი წმიდა წერილის გმირების მეშვეობით, როგორ ცვლის ეს იმას, თუ რის მიღებას უნდა ელოდო უდაბნოს სეზონიდან?

გაკვეთილი 9

წაკითხეთ თავი 11

1. რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რომ ყურადღებით ვიყოთ, თუ სად მივდივართ დასამშვიდებლად, განსაკუთრებით სულიერად მშრალი პერიოდებისას?
2. როგორ აძლიერებს ჩვენს სულიერ ფესვებს ლოცვისა

188 სადა, ხარ ღმერთო?!

და წმიდა წერილის ღრმად თხრა, განსაკუთრებით როცა ამის სურვილი არ გაქვს?

3. როგორ გამხნევებს იმის ცოდნა, რომ უდიდესი დარტყმა შენი მოსავლის წინააღმდეგ, ზუსტად მაშინ ხდება, სანამ მოსავალი გამოვლინდება?
4. რატომ ცვლის უდაბნოს სეზონს ღვთის ერთგულებაზე ფიქრი?

გაკვეთილი 10

წაიკითხეთ თავი 12

1. როგორ მოგამზადა უდაბნომ პერიოდის ცვლისთვის?
2. რატომ არის ცვლილება რთული? რა არის ხშირად შენი ყველაზე დიდი ბარიერი რისი შეცვლაც გინევს?
3. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შენთვის ღვინის ტიკის განახლების პროცესში? რატომ იყო ეს შენთვის გამორჩეული?
4. იმისათვის, რომ ახალს ჩაეჭიდო, ძველს უნდა გაუშვა ხელი. რა არის ის, რასაც უნდა გაუშვა, იმისათვის, რომ ახალს ჩაეკონო?

დანართი

ხსნა ყველასათვის

„თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

რომ. 10:9-10

ღმერთს სურს, რომ მარადიული წარმატების პოზიციაზე იდგეთ. მას დიდი მონადინება აქვს თქვენსა და იმ გეგმის მიმართ, რომელიც თქვენი ცხოვრებისთვის შექმნა. და მაინც, თქვენი დანიშნულებისკენ სვლის დაწყების ერთადერთი გზა ასეთია: ხსნის მიღება ღვთის ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

ღმერთმა იესო ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით გზა გაგისწავლა მის სამეფოში საყვარელი ძისა და ასულის სახით შესასვლელად. ქრისტეს ჯვარცმის მსხვერპლმა შესაძლებელი გახადა თქვენთვის მარადიული და უხვი სიცოცხლის უსასყიდლოდ მიღება. გადარჩენა ღვთის საჩუქარია. თქვენ მას ვერც დაიმსახურებთ და ვერც გამოიმუშავენთ.

ამ ძვირფასი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა აღიაროთ თქვენი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა (რადგან ეს არის თქვენ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი). ამგვარი მონანიება გადარჩენის მიღების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პეტრემ ეს იმ დღეს გააცხადა, როცა ხუთი ათასმა ადამიანმა მოინანია საქმეთა წიგნში: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები!“ (საქმ. 3:19). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ყოველი ჩვენგანი ცოდვის მონად იბადება. ამ მონობის ფესვი ადამის ცოდვისგან მოდის, რაც ნებსით ურჩობის მაგალითია. მონანიება არის არჩევანი, რაც საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის

მორჩილებიდან ახალი ბატონის, იესო ქრისტეს მორჩილებაში გადმოსვლას ნიშნავს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა თქვენს გამოსახსნელად.

იესოს თქვენს ცხოვრებაზე უფლობის ნება უნდა მისცეთ. იესოს უფლად აღიარება მისთვის თქვენს ცხოვრებაზე (სულზე, სამშვიდობო და სხეულზე) – მთელს თქვენს არსებასა და საკუთრებაზე – ბატონობის მინიჭებას ნიშნავს. როგორც კი ამას გააკეთებთ, ღმერთი სიბნელისგან დაგიხსნით და მისი სამეფოს სინათლესა და დიდებაში გადაგიყვანთ. თქვენ მარტივად გადახვალთ სიკვდილიდან სიცოცხლეში და მისი შვილი გახდებით!

თუ გსურთ გადარჩენის მიღება იესო ქრისტეს მეშვეობით, შემდეგი ლოცვა წარმოთქვით:

„ზეციერო მამავ, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმაღლის სტანდარტებიდან! ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ! მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამტოვე. მჯერა, რომ იესო ქრისტე, ქალწული მარიამისგან დაბადებული შენი მხოლოდშობილი ძე გამოგზავნე დედამიწაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასატანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის, როგორც ჩემი უფალი და მხსნელი. ამრიგად, დღეს ვინანიებ შენგან ჩემს დამოუკიდებლობას და ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისტეს უფლობას გადავცემ. იესო, ჩემს უფლად და მხსნელად ვაღიარებ! შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად! ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. შენი მადლით ვიცოცხლებ შენთვის, ვინც საკუთარი თავი გასწირა, რომ მარადიულად მეცოცხლა. მადლობა, უფალო! ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი. იესოს სახელით. ამინ.“

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს საოცარი ახალი ამბავი სხვა მორწმუნეს

გაუზიაროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ახალ რწმენაში გაგამხნევენ. შეგიძლიათ, ჩვენს მსახურებას დაუკავშირდეთ (ენვიეთ MessengerInternational.org-ს) თქვენს საცხოვრებელ არეალში ეკლესიის საპოვნელად.

თქვენ ეს-ეს არის წამოიწყეთ შესანიშნავი მოგზაურობა. დაე, ყოველდღიურად გაიზარდეთ გამოცხადებაში, მადლში და ღმერთთან მეგობრობაში!

მარადისობით ამოძრავებულნი

გახადეთ თქვენი ცხოვრება ღირსეული
დღეს და სამარადისოდ



ერთ დღესაც ღვთის წინაშე წარსდგებით და თქვენი ცხოვრების ანგარიშს ჩააბარებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ახლა უნდა დაუსვათ, შემდეგია: იმ დროს მზად ვიქნები?

ქრისტიანთა უმეტესობამ იცის, რომ ჯვარცმაზე მათი გამომხაფურება განსაზღვრავს მათ ხვედრს მარადისობაში. და მაინც, იცით თუ არა, რომ მარადისობაში თქვენს ადგილს თქვენი ამჟამინდელი ცხოვრების საქმეები განსაზღვრავს?

ღმერთს სურს, რომ აღმოაჩინოთ თქვენი მონოდება – მას არ სურს სიბნელეში იყოთ. ფაქტობრივად, მას მთელი გულით სწავლია, რომ იპოვოთ აზრი და მიზანი, რაც დედამიწაზე თქვენი ადგილის გაცნობიერებით მოდის.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ დაწყებული ცხოვრება დანიშნულების ადგილზე მეთია. ნუ მოიცდით იქამდე, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება. აღმოაჩინეთ ღვთისგან ბოძებული ხვედრი მარადისობაში და თქვენი ცხოვრება ღირსეული გახადეთ დღეს და სამარადისოდ.

აფაბელი

აუდიო სპექტაკლი



აფაბელი ჯონ ბევირის ეპიკური ალეგორიული ნაწარმოები გახლავთ. იგი სარკმელს წარმოადგენს, რომელიც ამქვეყნიური რეალობის მიღმა გვახედებს და ღვთის სამეფოს მრავალ ჭეშმარიტებას ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს. მორწმუნეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღქმა ძნელია.

თქვენც შეუერთდით დიდებულ მეფე ჯეილინს, ბნელეთის ბატონ დაგონს, მოწყალეებს, დამოუკიდებელსა და სხვებს. აღმოაჩინეთ აფაბელის საოცარი ტერიტორიები და გარესკნელის საშინელი მინა ლონი. თქვენი ცხოვრება გარდაიქმნება, როცა ზემოხსენებული პერსონაჟების ამბავი თქვენს საკუთარ გულისნადებს გამოავლენს.

აფაბელის აუდიო სპექტაკლის ეპიზოდები მეტად მიმზიდველი მოსასმენია და ნიგნის (მარადისობით ამოძრავებულნი) დინამიურ და თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს.

სატანის სატყუარა

იცხოვრეთ წყენის საშინელი
ხაფანგისგან თავისუფლებმა!




სატანის სატყუარა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე შეცდომაში შემყვან ხაფანგს, რომელსაც მტერი იყენებს მორწმუნეების ღვთის ნებიდან გადასაყვანად: წყენას. ადამიანების უმრავლესობა ისე არიან გაბმულები ამ ხაფანგში, რომ ვერც კი მიმხვდარან.

ნუ მოტყუებდები! ქრისტემ თქვა: „შეუძლებელია არ მოვიდნენ ცდუნებანი“ (ლუკ. 17:1). შენ ვერ აირჩევ განაწყენდები თუ არა, მაგრამ შენ ირჩევ, თუ რა იქნება შენი პასუხი ამაზე. თუკი წყენას სწორად მიუდგები, სიმწარის ნაცვლად გაძლიერებას გამოცდი. მხოლოდ სწორ პასუხს შეუძლია მოგცეს ძალა, რომ დაუბრკოლებელი ურთიერთობა გქონდეს ღმერთთან.

ამ უწყებით, ჯონ ბევირი ძალას გაძლევს დარჩე ღვთის ნებაში და გათავისუფლდე ეჭვისა და ნგრევისაგან. შენ შეგიძლია თავი დააღწიო გონების მსხვერპლობას და იცხოვრო სიმძიმისა და მარცხის ტვირთის გარეშე. ღმერთის მორჩილების უფრო მაღალი დონის აღმოჩენასთან ერთად, შენს ცხოვრებაში უხვად შემოვა პატიება,

სიკეთე თუ ღმერთი?

რატომ არ არის საკმარისი ღვთის
გარეშე გაკეთებული სიკეთე?



თუ საქმე სიკეთესთან გვაქვს, ის აუცილებლად ღვთისგან უნდა იყოს მართალია?


ჩვენს დროში სიკეთე და ღმერთი სინონიმებად აღიქმება. დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებაში ზოგადად მიღებული სიკეთე ღვთის ნებას შეესაბამება. ქველმოქმედება, თავმდაბლობა, სამართალი – კარგია. ეგოიზმი, სიამაყე, სისასტიკე – ბოროტებაა. ეს განსხვავება საკმაოდ სწორხაზოვანი ჩანს.

ნუთუ ყველაფერი ასე მარტივადაა? თუ სიკეთის რაობა ასე აშკარაა, რატომ გვეუბნება ბიბლია, რომ ამოსაცნობად გარჩევის უნარია საჭირო?

„სიკეთე თუ ღმერთი?“ არ გახლავთ კიდევ ერთი დამხმარე სიტყვა. ეს წიგნი თქვენგან საკუთარი ქცევის შეცვლაზე გაცილებით მეტს მოითხოვს. ის გაგაძლიერებთ ღმერთთან იმ დონეზე თანამშრომლობისთვის, რომ თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტს შეცვლის.

გაანადგურე კრიპტონიტი!

გაანადგურე ძალის მპარავი!




სუპერმენის მსგავსად, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და მტრის დამარცხება შეუძლია, ქრისტეს მიმდევრებსაც აქვთ გამოწვევების წინაშე დგომისა და გამარჯვების ზებუნებრივი უნარი. თუმცა, ჩვენსა და ამ გმირის ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა არსებობს. ეს გახლავთ კრიპტონიტი, რომელიც ძალას გვპარავს.

რასაკვირველია, სუპერმენი და კრიპტონიტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ სულიერ კრიპტონიტზე იგივეს ვერ ვიტყვი. ეს წიგნი პასუხებს გვთავაზობს კითხვაზე, თუ რატომ არ აქვს ბევრ ჩვენგანს ღვთიური ძალა, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო პირველი საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრებაში.

წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“, ჯონ ბევირი ააშკარავებს კრიპტონიტის რაობას, თუ რატომ მიდიან მასთან კომპრომისზე ჩვენს ეკლესიებში და როგორ უნდა გავთავისუფლდეთ მისი ბორკილებისგან. არა სიმხდალისთვის, „გაანადგურე კრიპტონიტი“ სულიერი შაქრის ამწეა. ეს სერიოზული ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ქრისტეს მიმდევრისთვის, რომელიც ცდილობს ჩაეჭიდოს ტრანსფორმაციის გამომწვევ, თუმცა ღირსეულ გზას.

ქორწინების ამბავი

რატომ არ არის საკმარისი, კარგი ღმერთის გარეშე



დიდი ხნის წინ... ქორწინება მარადიული იყო. ეს იყო აღთქმა, რომელიც ერთ კაცსა და ერთ ქალს ერთმანეთზე აქსოვდა. ეს კავშირი ორივეს უფრო ძლიერს, სულგრძელს და იმის უფრო მოძრავ გამოხატულებას ხდიდა თუ როგორც ბად იყვნენ შექმნილები. ისინი უკეთესები იყვნენ ერთად, ვიდრე ცალ-ცალკე. ქორწინების ცერემონიალი მხოლოდ დასაწყისი იყო. ეს იყო კარიბჭე მათი მომავალი ბედნიერების ასაშენებლად. თითოეული არჩევანი და მოქმედება იმ ცხოვრების ასაშენებლად იყო, რომელსაც მათი გაერთიანება წარმოადგენდა. ქმარი და ცოლი ერთმანეთზე გადაჯაჭვული გულებით, ხელებითა და ხმებით მიდიოდნენ უცნობ ადგილას, მათი შემოქმედის სიყვარულის გამოსახატად.

როგორ ვკარგავთ შეხებას ამ ძირითად სიყვარულის ამბავთან? წიგნში „ქორწინების ამბავი“ ჯონი და ლუზა ბევირები გვიწვევენ ღმერთის საწყისი გეგმის თავიდან აღმოსაჩენად. დაქორწინებული ხარ, მარტოხელა თუ დანიშნული, შენი ისტორია მისი ისტორიის ნაწილია.



Messenger International ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებს, ეკლესიებსა და ერებს ღვთის გარდამქმნელი ძალის გაცნობიერებასა და განცდაში ეხმარება. ამის გააზრებას შედეგად მოაქვს ძალმოსილი ცხოვრება, გარდაქმნილი საზოგადოებები და მთელს მსოფლიოში მოდებული უსამართლობის მიმართ დინამიური გამომხაურება.



CLOUD LIBRARY

გსურთ უფრო მეტი? დაასკანერეთ აქ:
Cloud Library.org

Cloud Library ონლაინ პლატფორმა გახლავთ, რომელიც პასტორებსა და წინამძღოლებს უფასო ციფრულ რესურსებთან წვდომის საშუალებას აძლევს მათ მშობლიურ ენაზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ენზეთ CloudLibrary.org -ს და ჩამოტვირთეთ რესურსები ჯონ და ლიზა ბევირებისგან თითქმის 100 ენაზე!

ელ. წიგნები, ვიდეო და აუდიო გაკვეთილები, აუდიო წიგნები, ბიბლია...



სადა ხარ, ღმერთო?! რესურსების ნაკრები

ნიგნი, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, ჯონ ბევირის რესურსების ნაკრების ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც „სადა ხარ, ღმერთო?!“ ეწოდება. ნიგნის ნაკითხვით და თანდართული სასწავლო მასალების გამოყენებით დინამიური და ცხოვრების გარდამქმნელი სწავლების გათავისების შესაძლებლობა მოგეცემათ, რომლებიც DVD ROM-ის ფორმით არის მოცემული და ასევე შეიძლება მათი ჩამოტვირთვა CloudLibrary.org-დან. ეს მასალა, დაკვირვებით შესწავლის შემთხვევაში, დიდ გავლენას მოახდენს და თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებას გაამდიდრებს, რითაც ღვთისთვის უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა მოგეცემათ.

რესურსების ნაკრები „სადა ხარ, ღმერთო?!“, შემდეგ კომპონენტებს მოიცავს. გადმოტვირთეთ ისინი თქვენს პირად მონყობილობებში:

- **„სადა ხარ, ღმერთო?!“ სახელმძღვანელო ნიგნი.**
რესურსების ნაკრების ერთადერთი ბეჭდური ნაწილი. ნიგნი ასევე განთავსებულია რესურსების ნაკრების DVD-ზე ელექტრონული ნიგნის სახით.
- **„სადა ხარ, ღმერთო?!“ DVD ROM.**
თანდართული დისკი ყველა მასალას მოიცავს ციფრული ფორმით. დისკის ვერ ჩართავთ თქვენს სახლის ფლეიერზე, თუმცა ყველა ფაილის ჩამოტვირთვა და ნახვა შესაძლებელი იქნება ტაბლეტებზე, კომპიუტერსა და სმარტფონებზე.
- **„სადა ხარ, ღმერთო?!“ აუდიონიგნი.**
სახელმძღვანელო ნიგნის ყველა ნაწილი ნაკითხვით მშობლიურ ენაზე MP3 ფორმატში.
- **„სადა ხარ, ღმერთო?!“ ვიდეო გაკვეთილები.**
თერთმეტივე ვიდეო გაკვეთილი MP4 ფორმატში.
- დისკი ასევე მოიცავს სხვა ნიგნებს და რესურსებს, მათ შორის ელექტრონულ ნიგნებს - „სიკეთე თუ ღმერთი?“ და „მარადისობით ამოძრავებულნი“.

მულტიმედიური სასწავლო მასალა, ელექტრონული ნიგნები და ბიბლიები ხელმისაწვდომია უფასოდ.

ყველა ეს პროგრამული რესურსი საჩუქარია!



შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაიღოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად. გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ლეთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების წყურვილია.

მეტი ინფორმაცია „გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე:



- ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეოფლეიერისთვის. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მოწყობილობაზე.
- MP4 ვიდეო ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- MP3 აუდიო ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
- PDF ციფრული ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე. ადვილად შესაძლებელია მათი ნაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება.



CloudLibrary.org

სადა ხარ, ღმერთო?!

რესურს დისკი

მხოლოდ
კომპიუტერისთვის



უყურეთ ვიდეოს და გადმოყვირეთ
უფრო მეტი:



CloudLibrary.org

ჯონ ბევირი

 **MESSENGER**
INTERNATIONAL
MessengerInternational.org



ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბევირების სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინჯერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:



CloudLibrary.org

დამატებითი რესურსები სხვა ენებზე იხილეთ და ჩამოტვირთეთ
Youtube.com & Youku.com-დან და სხვა მსგავსი მედია-გვერდებიდან.

თავს დაკარგულად ბრძნობ რთულ პერიოდში? და სვავ კითხვას „სადა ხარ, ღმერთო?!“

შეიძლება ადრე მოგისმენია ღვთის ხმა, მასთან გისაუბრია, მაგრამ ახლა თითქოს იგი დუმს. შეიძლება წინ მიიწევდი რწმენაში, მაგრამ ახლა მის თანდასწრებას ვეღარსად პოულობ. კეთილი იყოს შენი მობრძანება უდაბნოში — ადგილას, რომელიც ღმერთისგან აღთქმის მიღებასა და მისი აღსრულების დანახვას შორისაა.

მაგრამ კარგი სიახლე მაქვს შენთვის — ეს უშიზნო, უნაყოფო მინა არაა. ღმერთი იყენებს უდაბნოს შენს მოსამზადებლად და აღსაჭურვად შენი ბედისთვის — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად გაიკვლევე მასში გზას. იმის საპირისპიროდ, რასაც ბევრი შეიძლება ფიქრობდეს, ამ პერიოდში გავლა არ ნიშნავს უბრალოდ ელოდო ღმერთს. შენც უნდა ითამაშო რაღაც როლი მასში გზის გასაკვლევადად. თანაც ძალიან დიდი როლი. და თუ არ გინდა წრეზე სიარულში გაფლანგო დრო, უნდა ისწავლო ეს რა არის.

ამ თვალისამხელ წიგნში, ბესტსელერის ავტორი ჯონ ბევირი აღგჭურვავს იმ უმნიშვნელოვანესი ბიბლიური გაგებითა და ღრმა ისტორიებით, რომლებიც დაგეხმარება შენს რთულსა და მშრალ პერიოდში გზის გასაკვლევადად და იმაში შესაბამისად, რაც ღმერთს აქვს შენთვის.



წიგნს „სადა ხარ, ღმერთო?!“ თან ერთვის DVD რესურსდისკი



ჯონ ბევირი საერთაშორისო სპიკერი და ბესტსელერების ავტორია, რომელიც ცნობილია მისი გაბედული და უკომპრომისო მიდგომით ღვთის სიტყვისადმი. ჯონი და მისი მეუღლე, ლიზა Messenger International-ის დამფუძნებლები არიან, მსახურების, რომელიც უკომპრომისო ქრისტიანების განვითარებას უწყობს ხელს, რომლებიც ჩვენს სამყაროს გარდაქმნიან. როცა სახლშია, კოლორადოში, შეიძლება თავის ოთხ ვაჟთან მოთამაშე ნახოთ, ან შეესწროთ, როგორ ცდილობს ლიზას დათანხმებას გოლფის სათამაშოდ.



უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვის
ენციეთ CloudLibrary.org-ს



წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი?
დასასვლით.

